საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი

აკაკი ბესიკაშვილი

ილია ჭავჭავაძე

(ძიებანი შემოქმედების საკითხები)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1962

წიგნი მიზნად ისახავს დაახასიათოს ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების სიახლენი და თავისებურებანი, როგორც ქართული პოეზიისა და პროზის ტრადიციის განვითარების ლოგიკური შედეგი; გაანალიზოს იდეურ-მხატვრული წინამძღვრები, რომელთაც განაპირობეს ილიას შემოქმედებაში წინამორბედთა ტრადიციის გაზიარება, მისდამი დაპირისპირება ან ახლებურად მომარჯვება, მისი მაღალი მწერლური კულტურა.

შესავალი

ილია ჭავჭავაძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით იწყება და მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლებით მთავრდება ქართველი ერის ცხოვრების ერთი დიდი ეპოქა.

ლიტერატურის ისტორიაში ყოველი ხანა თანაბრად მნიშვნელოვანი არაა. ილიამ და მისმა თაობამ ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განახლების ხანა შექმნეს.

ილიას, როგორც მწერლის მთავარი დამსახურება ის არის, რომ მან თანამოკალმეებთან ერთად თავისი თანამედროვეობის დიდი მიმდინარეობა რეალიზმი ქართული სინამდვილის ასეევე დიდ მოვლენად აქცია; ამრიგად, ილიამ და მისმა თაობამ საქართველო მსოფლიოს დიდი სულიერი მოძრაობის მწყობრში ჩააყენეს, ქართული ინტელექტუალური ცხოვრების ახალი, მაღალი დონე შექმნეს, ქართული რეალიზმი პრიმიტიულობას და კუთხურობას აცდინეს, ქართული მწერლობა დიდი ლიტერატურის გზაზე დააყენეს. მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი თვით ილიას დროსვე ჯაჭას, ყაზბეგის და შემდეგში გალაკტიონის გამოსვლა.

რეალიზმი იყო ილიას ლიტერატურული მრწამსი. ილიამ რეალიზმი სხვადასხვა მნიშვნელოვან წყაროდან შეითვისა, მათ შორის: რუსული რეალიზმის იმ კორიფეთაგან (გოგოლი და სხვა), რომელნიც დასავლეთ ევროპამ გაცილებით გვიან „აღმოაჩინა"; ილიამ რეალიზმი შეითვისა ფრანგ პროზაიკოსთაგან (ბიუგო და სხვ.). და თვით ქართული ფოლკლორის, პროზისა თუ პოეზიის ტრადიციებიდან. ილია გასცდა თვით თავის უშუალო ქართველ წინამორბედთა რეალიზმს, რაც ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ მიმართულებას ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა. ილიას დროის ქართულმა რეალიზმმა გააღვივა ქართული ეროვნული გრძნობა, იმის შეგნება, რომ ქართველ ხალხს თავისი დამოუკიდებელი სულიერი და მატერიალური კულტურა გააჩნია, თავისი ეროვნული სახე.

ილია რომ რეალისტია, და ქართული კრიტიკული რეალიზმის დიდი მოვლენა, ამაზე არავინ დაობს; იგი ქართული რეალიზმის მთავარი დამაარსებელია. რუსთაველის შემდეგ, საბას სახელის გვერდით. ილია საპატიო ადგილს იკერს, ისე როგორც აკაკი და ვაჟა.

ყოველ დიდ რეალისტს თუ რომანტიკოს შემოქმედს ევიწრობა ლიტერატურული მიმართულების „სავალდებულო“ ჩარჩოები; ამითაც აიხსნება, რომ სრულიად სხვადასხვა დროისა და ქვეყნის დიდი მწერლები მრავალი მონაცემით უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ კანონის მოქმედების პრიზმაში ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, „აჩრდილი“. „მგზავრის წერილები“.

ლიტერატურული ფრაზა — მწერლობა ცხოვრების სარკეა, არც რეალისტის მიმართ გულისხმობს ცხოვრების სარკისებრ წმინდა „რეალისტურ“ ასახვას; მწერლობა არაა „სარკისებური მკვდრული აქტი, არამედ რთული, გაორებული, მიხვეულ-მოხვეული აქტია“ (ლენინი). ტოლსტოი „რუსული რევოლუციის სარკეა“, მაგრამ მისი მიმართება სინამდვილისადმი, მისი რეალიზმი განსხვავდება, მაგალითად „წითელი და შავის“ ავტორის რეალიზმისაგან; სტენდალი რეალიზმის მოწინააღმდეგეთ უპასუხებდა: „რომანი სარკეა დიდ გზაზე; მასში აირეკლება ლაქვარდი ცაც, ტალახიც, წუმპეც, ღრანტეებიც და ადამიანს, რომელსაც სარკე აქვს, თქვენ ადანაშაულებთ უზნეობაში. სარკე ასახავს ტალახს, და თქვენ ადანაშაულებთ სარკეს. უმჯობესია დაადანაშაულოთ ღრანტეებიანი გზა (თვით ცხოვრება, რომელსაც სარკე—მწერალი გვიხატავს—ა. ჯ.) ან საგზაო ინსპექცია“. ილია ჭავჭავაძე ანალოგიურად წერდა: „ხშირად ერთი და იგივე საგანი, ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს...,—წერს „კაცია-ადამიანის“ ბოლოს პეტორი,—გონებას კი — ძნელად გაჟღენება... თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს ...თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედა და მამიგონე ჭორი...“ მაგრამ „ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა... ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს... შენი ცუდი. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს... დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე...“ მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! “

ტოლსტოის. სტენდალის, ილიას რეალიზმის თავისთავადობა, ორიგინალობა გულისხმობს, რომ მათი რეალიზმი არაა ცხოვრების

სარკისებრი ასახვა; მათ შორის სხვაობის ნიშნები არა მარტო რეალიზმის ფარგლებში, არამედ რეალიზმის „გარეთაც" მდებარეობს.

ილია ჭავჭავაძის რეალიზმი განსხვავებით თვით იმ რეალისტებისაგან, რომელნიც ილიამ განსაკუთრებით ნაყოფიერად შეიარსხორცა, გამოირჩევა და განსხვავდება არა მარტო ქართული გარემოს მასალის გამოყენებით. ილიას რეალიზმში აშკარაა რეალისტურად ტრანსფორმირებული რომანტიზმის თავისებური ნაკადი, და საერთოდ ქართული მწერლობის ტრადიციების მძლავრი ნაკადი ეს ესთეტიკური ხედვის სიფართოეზე, ქართული მწერლობის ტრადიციებთან მჭიდრო ცნობიერ კავშირზე მეტყველებს და არა ლიტერატურული გავლენისადმი მორჩილებაზე. ვინაიდან ილიას რომანტიზმი მოცემულია რეალისტური თვალსაზრისისადმი ერთგულების ფარგლებში. ილიასთან რომანტიკული ნაკადი მჟღავნდება არა მარტო იმით, რომ ეთიკურად თუ ესთეტიკურად მახინჯი და მდაბალი მწერლის ირონიას, სარკაზმს, გაკილვას იწვევს. ხოლო მშვენიერი და ამაღლებული მწერლის დადებით მიდგომას და რომანტიკას; ილიას რომანტიზმი მჟღავნდება იმითაც, რომ მის შემოქმედებაში, როგორც სარკეში ჩანს ის, რასაც მწერლის თანადროულობაში გამოკვეთილი სახე გააჩნდა და აგრეთვე ისიც. რაც მხოლოდ იდეალს წარმოადგენდა, რაც მწერლის აწმყოში ჯერ კიდევ მხოლოდ ჩანასახის ფორმაში იმყოფებოდა; ამ ჩანასახის გარკვეული ჩვენება და მისდამი რწმენა თავისებურ რომანტიკულობას წარმოქმნის.

ასე იჩენს თავს რომანტიზმი ილიას (აგრეთვე აკაკის) რეალიზმში, როგორც მისი თავისებური შემადგენელი ნაწილი; ეს არსებულ სინამდვილეზე ამაღლებული მოვლენის ძიების წყურვილით აიხსნება; რეალიზმიც და რომანტიზმიც XIX საუკუნის ბუნებრივი მოვლენა იყო: „XIX საუკუნის რეალიზმისადმი სიძულვილი ეს არის გააფთრება კანიბალისა, რომელმაც თავისი თავი დაინახა სარკეში; XIX საუკუნის რომანტიზმისადმი ზიზღი, — ესაა გააფთრება კანიბალისა, რომელმაც თავისი გამოსახულება ვერ იხილა სარკეში" (უაილდი).

ილიას რეალიზმი ღრმად ეროვნულია, რომელიც მოიცავს თავისი დროის საქართველოს წმინდა ეროვნულ და სოციალურ ტკივილებს; ამდენად ილიას შესწევს ძალა წინა, თუ ძველ თაობებზე უფრო ფართო, მრავალმხრივი, და ახალი მხატვრული სიტყვის მთქმელი იყოს. ამ მხრივ ილია თავის თაობასთან ერთად ქართული

ლიტერატურის განვითარების ახალ პერიოდსაც ქმნის და წინამორბედთა იდეური თუ მხატვრული ნამოღვაწარის ლოგიკურ გამაგრძელებლადაც თუ მემკვიდრედ გვევლინება.

ახალი თემატიკა, ახალი იდეები, ახალი მიმართება სინამდვილისადმი ამა თუ იმ ხარისხით ილიას უშუალო წინამორბედებთანაც იჩენს თავს. ილიამ ყოველივე ამას შესატყვისი მხატვრული მოდუსი მოუძებნა, რამაც წარმოქმნა მაღალი მწერლური კულტურა.

ილია მემკვიდრეობას არც ანგრევს, არც იმეორებს, არამედ გადაამუშავებს, გარდაქმნის და ახალი მხატვრული ასპექტით წარმოდგება; თავის თანამედროვეებს თითქმის იმასვე ეუბნება, რაც წინამორბედებმაც (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი) თქვეს, მაგრამ ილია თავის სათქმელს უკვე ახალი ასპექტით ამბობს. ამით აიხსნება, რომ ილია თავისმა თანამედროვეობამ არა მარტო დიდ პოეტად და მწერლად, სახელმწიფოებრიობას მოკლებული ერის ფაქტიურ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წინამძღოლადაც აღიარა. მაგ., მეტად გახმაურებული ლექსით „ქართვლის დედას“, ილია რომანტიკოსებივით იგონებს წაოსულ დროებს, როცა ქართვლის დედა გმირებს უზრდიდა მამულს; მაგრამ რაკი დროთა ბრუნვის გამო, დიდებული წარსულის აჩრდილიღა დარჩა, სრულიად ახალი ძალის მქონე, ახალი ინტონაციის, ახალი მხატვრული გაგების მატარებელი აღმოჩნდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტის გახმაურებული სტრიქონები:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,

ეს წარსულის ფუჭი გლოვის დაგმობა პოლიტიკურ მოწოდებასაც ჰგავს სახელმწიფოს მეთაურისას, რომელმაც ეს-ეს არის ხელში აიღო სახალხო ძალაუფლება; იგი ლიტერატურულ დეკლარაციადაც მოჩანს ახალი თაობისა, რომელიც ახალი მტკიცე განზრახვებით მოვიდა მწერლობაში; აქ არის მხატვრული თვალსაზრისის სიახლე, ღირებულებათა გადაფასება. რაც წარსულის მემკვიდრეობის ნგრევა არ არის, არამედ მისი ახალი მხატვრული თვალთახედვით გაგრძელება:

აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა.

ამ ახალ ასპექტს ექვემდებარება ილიას მთელი მხატვრული, პუბლიცისტური და ესთეტიკური მემკვიდრეობა და პრაქტიკული მოღვაწეობა.

ილიას შემოქმედება ასახავს ქართველი ერის ცხოვრებას და მძლავრ კვალსაც ამჩნევს მას.

ილია პირველ ყოვლისა მთლიანი ქართველი ერის მქადაგებელი და მოჟირნახულე იყო, ამდენად, ქართველი მშრომელი გლეხობის დიდ მოამაგედაც დარჩა სიკვდილამდე, — ეროვნული აღორძინების მთავარ დასაყრდენს ქართველ გლეხობაში ხედავდა.

XIX საუკუნემ საქართველო თავისი სწავლული შვილების შემყურე დასტოვა; რასაც გააწყობდნენ ისინი, ეს იქნებოდა ერის გზა. მეფის მთავრობის კოლონიურ-გამარუსებელი პოლიტიკის ვითარებაში „ქართვლის ბედის“ საჭესთან არა მეფენი, არამედ ილია და აკაკი და მათი თაობა დგას XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთელ მანძილზე; მათი იდეებითა და საქმეებითაა აღბეჭდილი იმდროინდელი საქართველოს ცხოვრება. ილიამ და მისმა თაობამ მაშინვე დაიმსახურეს ერის მოწინავე ძალების ნდობა და მხარდაჭერა; მათ წამოაყენეს და თანამიმდევრულად იცავდნენ საქართველოს ეროვნული განთავისუფლების იდეას; ამ პრინციპს ექვემდებარებოდა ილიასა და მისი თაობის ყველა სიახლე, თანამედროვე იდეებით გატაცება თუ ძველი თაობის შეხედულებათა გადაფასება. ილია და აკაკი წარსულის და თანამედროვეობის ყოველი საკითხის განსჯისას ეროვნული განთავისუფლების ერთგულნი რჩებოდნენ. ილიასა და აკაკის მიერ რევოლუციურ-დემოკრატიული მოძღვრების გაზიარებაც შემოქმედებითი იყო, იგი ეროვნული განთავისუფლების იდეას ექვემდებარებოდა: ყველა ხედავდა, რომ ილიასა და მისი თაობისათვის თავიდათავი ეროვნული თავისუფლება იყო. ილიას რწმენას მატებდა, რომ ასეთი თვალსაზრისი უკვე მოიწიფდა და იშვა ჯერ კიდევ ისეთ დიდ კორიფეებთან, როგორიც გრიგოლ ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი იყვნენ. თავის ლიტერატურულ წერილებში ილია საგანგებოდ გამოყოფს საქართველოს ეროვნული თავისუფლების ხაზგამსმელ სტრიქონებს ბარათაშვილიდან:

ჟრად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ ჰერთ-ჭეშე თავისუფლება.

თავის მხრივ ილიამაც ლოზუნგივით გადმოისროლა:

ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

დიდი ილია თბილისის სახევარი საუკუნე ბელმძღვანელობდა აკაკისთან ერთად ქართველი ერის სულიერ ცხოვრებას; და მთელი ამ ხნის პანძილზე ერს, რომელსაც იგი მეთაურობდა, გააჩნდა მტკიცე რწმენა, მომავლის იმედი.

ილიამ და აკაკიმ განახლებისათვის ბრძოლაში მთელი ერი გაიყოლიეს. მათ მოიტანეს ყველა ის თვისება, რაც ასე მოსწყურებოდა ქართველ ხალხს. ილიამ და აკაკიმ მოიტანეს იდეა, რომელიც საქართველოს ნიშანსვეტად იქცა. ეს იყო საქართველოს აწმყოში მისი მომავლის გამოჭედვის იდეა. ქართველ ერს სწამდა იგი და ამით იკრეფდა წინსვლის ძალებს. ასეთი დიდი ოპტიმიზმით მთელი ერის შეიარაღება არის ეპოქალური პიროვნების ხვედრი, როგორიც დიდი ილია იყო.

I. ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების გზა

ჭავჭავაძენი ისტორიულ წყაროებში XV საუკუნიდან იხსენიებიან, თუ ამაზე ადრე არა. თ. ყორდანიას „ქრონიკებში“ (1897 წლის გამოც.) 1488 წლის სიგელში იხსენიება ჭყროდი ჭავჭავაძე (გვ. 244, ქართლის მკვიდრი უნდა იყოს ა. კ.). 1517 წლის სიგელში სწერია კახეთის მკვიდრ ჭავჭავაძეებზე: „ჭიჭავას ძეია როშნიას შვილთა: ზალ, დასტან, მანუჩარ და გიორგი...“, „გიორგის შვილნი (ჭავჭავაძენი) გარსევან და ბეჟან“ (გვ. 334).

გადმოცემების მიხედვით ჭავჭავაძეთა შორეული წინაპრები თითქოს გლეხები ყოფილან და ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოსახლებულან კახეთში; თავადობა შემდეგ მიუღიათ.

დოკუმენტში „აღწერა საქართველოში მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, ვკითხულობთ: „თ-დნი ჭავჭავაძენი არიან ორ გვარად: პირველნი, რომელნიც ყვარელსა შინა სახლობენ გაღმა მხარეს, ესენი იყვნენ ადგილით ფშავის მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდნენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა მეფემან ადგილი“. მეორე შტო იყო წინანდალს მოსახლე ჭავჭავაძენიო, რომელნიც აგრეთვე ფშავ-ხევსურეთიდან მოსულან. ყვარელსა და შილდაში ჭავჭავაძეთა დამკვიდრება XVI საუკუნის დამდეგს მომხდარა.

გარეჯის მონასტრის სიგელი (1590) ასახელებს სახლთუხუცეს იასე ჭავჭავაძეს. XVII საუკუნის წყაროში იხსენიება სახლთუხუცესი მამუკა ჭავჭავაძე[1]. თეიმურაზ პირველს ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარში დგომია ყვარელი გარსევან გულბაათის ძე ჭავჭავაძე. ერეკლეს დროს, ცნობილია, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო გარსევან ჭავჭავაძე (ალ. ჭავჭავაძის მამა), რომელიც ერეკლეს „ყოველსა საქმესა შინა სარწმუნო კაცად“ მიაჩნდა.


ილია ჭავჭავაძის პაპის მამას ბესპაზს თავი უსახელებია 1755 წელს ყვარლის ციხეზე შემორტყმული ლეკების ალყის გარღვე-

---

[1] პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, 1957.

ვაში. ერეკლეს მიერ გაცემულ სიგელში სხვებთან ერთად ბესპარ ჰავჰავაძეც იხსენება: „...ოცდაათი დღე ლომსაითა იბრძოდესო“[2].

დღემდე გამოვლინებული ცნობების მიხედვით თვით ილია ჭავჭავაძის გენეალოგიური შტო ასეთია:



ილიას პაპა პაატა ერეკლეს მომსწრე იყო. მას თან ახლდა იმერეთში 1788 წელს, როცა ერეკლემ გაამეფა თავისი შვილიშვილი სოლომონ მეორე; პაატამ მონაწილეობა მიიღო ერეკლეს თელავიდან მცხეთაში გამოსვენების ცერემონიალში; გიორგი XII დროს სამხედრო სამსახურშია, რამდენჯერმე თავიც ისახელა. საქართველოში რუსეთის დამკვიდრების დროს დასახლდა ყვარელში; პაატას ხუთი ვაჟი ჰყავდა, აქედან ოთხი ოფიცერი (მათ შორის ილიას მამა გრიგოლიც—1812-1852); გრიგოლმა დავ. ჭავჭავაძესთან ერთად 1850 წელს გმირობა გამოიჩინა ყვარელში შემოჭრილ ლეკების განდევნაში.

ა. გაჩეჩილაძე, მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, ლიტ. ძიებანი, VIII, 1953, გვ. 361—379.

გრიგოლი არ იყო შეძლებული მემამულე. მარტო ალ. ჭავჭავაძის ოჯახს ეძახდნენ კახეთში „დიდი კნიაზის“ ოჯახს. 1846 წლის 15 იანვარს გრიგოლ ჭავჭავაძეს საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლისთვის სიღარიბის მოწმობაც კი უთხოვია თავისი შვილების კონსტანტინეს, ილიას და ელისაბედის სახელმწიფო ხარჯზე აღზრდის მიზნით. იმავე წლის 16 იანვრის თარიღით კიდეც მიუცია ასეთი მოწმობა. მასში აღნიშნულია: „არასაკმაო შეძლების გამო არა აქვს საშუალება კეთილშობილური (приличный) აღზრდა მისცეს თავის 9 ცირეწლოვან ვაჟიშვილს ილიას“[3].

ილიას მამა ყოფილა ჯმუხი ხასიათის. ზოგჯერ რამდენიმე დღეს ხმას არ გასცემდა არავის, ზოგჯერაც ოხუნჯობდა და კვიმატად ენამახვილობდა კიდეც. ხასიათის ამ ნიშნებმა ნაწილობრივ თავი იჩინა ილიაშიც.

ილიას დედა მარიამი (მაგდან — 1818—1848), თბილისელი მოქალაქის ქრისტეფორე ბებურიშვილის ასული, იყო ქართული მწერლობის კარგი მცოდნე.

ილიას კარგი მოგონება დარჩენია დედაზე. იგი თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი. საღამოობით დაგვსვამდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს, წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზედ გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს. რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად უამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით“.

დედისადმი სიყვარულით არის გამთბარი ილიას უკვდავი ქმნილებანი: „ქართვლის დედას“, „ნანა“, „დედა და შვილი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ.

დედ-მამის ტკბილი მოგონებებით არის აღბეჭდილი მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“.

ილიას მშობლები დასაფლავებული არის ყვარელში.

გრიგოლს და მარიამს ექვსი შვილი ჰყავდათ: კონსტანტინე, ნინო, ილია, ელისაბედი, თეიმურაზი და სვიმონი. 1854 წელს წინანდლიდან დაეით ჭავჭავაძის ოჯახი გაიტაცეს ლეკებმა. თავდამ-

---

[3] ა. ი ო ე ი ძ ე, ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები, დოკ. 4, 5, „საისტორიო მოამბე“, 1947.

სიმელებთან შეტაკებისას მოჰკლეს ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე.

ძლიერ უყვარდა ილიას თავისი და ნინო. შემდეგში ნიკოლოზ აფხაზის მეუღლე (გარდ. 1880 წ.). ნინოს შვილი იყო კონსტანტინე აფხაზი.

დედის გარდაცვალების შემდეგ ილიას და მის და-ძმებს დედობრივ მზრუნველობას უწევდა მამიდა მაკრინე, იგივე არაგვის ერისთავის ქვრივი, რომელიც გოგოლს უყვარელში ჩამოუყვანია ცოლის გარდაცვალების შემდეგ. 1912 წელს ილიას და ელისაბედი თავის მოგონებაში მამიდა მაკრინეზე წერდა: „შვილი არა ჰყვანდა. მამისჩემის თხოვნით გადმოსახლდა თავის სამშობლოში თავის ძმა გრიგოლთან, მიიღო დედობრივი მზრუნველობა ობლებზედ. ფრიად კეთილი. ღვთისმოყვარე. ქართულ მწიგნობრობაში. საღვთო წერილში განვითარებულს, ყოვლად პატივცემულ ადამიანთან აღვიზარდენით".

მამიდის ამაგს ილია მეტად აფასებდა. ახლად ცოლშერთული ილია მამიდას წერდა: „სიკეთე, მამიდაჯან, დაუვიწყარია და რაც ოქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მანდ გადმოსვლა, იმიტომ უფრო მამიდაჯან, რომ თქვენთან გახლდე და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო".

ილიას პირველი ბიოგრაფის მ. ნასიძის გადმოცემით „ყველაზე გამოჩენილ პირად პოეტის ოჯახში უნდა ჩაითვალოს მამიდა მისი მაკრინე, ერისთავის მეუღლე. ისა ბრძანდებოდა დიდი მწიგნობარი, დიდი განათლებული და ნაკითხი თავისი დროის შესაფერად".

ილია დაიბადა სოფელ ყვარელს, 1837 წლის 27 ოქტომბერს (ან 1838 წლის 27 ოქტომბერს ილიას მიერ 1906 წლის 26 მაისს მიცემული ცნობის მიხედვით)[1].

10 წლამდე ილია სოფელში იზრდებოდა გლეხების გოგო-ბიჭებთან ერთად. ამ დროიდან ჩაესახა ილიას გლეხობისადმი სიყვარული. სახლშიც და სოფლის მთავართან პირველდაწყებით სწავლას ილია იღებდა ყმა-გლეხების ბავშვებთან ერთად. გლეხების ბავშვებთან გატარებული დღეების შთაბეჭდილებანი მოჩანს გაბრიელისა („გლაბის ნაამბობი") და ზაქროს („ყაჩაღი") ბავშვობის გადმოცემაში,

---

[1] ლენინგრადის ცენტრალური ისტორიული არქივიდან შ. გოზალიშვილის მიერ ჩამოტანილი დოკუმენტები (საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიას ფონდიდან № 496).

მეფანდურისა და ბავშვების გაბაასებაში („დიმიტრი თავდადებული") და სხვ.

ილია ცელქი ბავშვი არ ყოფილა, მაგრამ არც განკერძოებული, არამედ უაღრესად გულთანაზიარი და გლეხობის მოჭირნახულე. „ხმა-მაღალს სიტყვას არავის ეტყოდა, გაჯავრებული რომ ყოფილიყოო"[5],—გადმოგვცემს ილიას გამდელი სალომე ლოლაძე.

ილია ბავშვობიდანვე ეწაფებოდა ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ითვისებდა ზეპირსიტყვიერებას. ილიას ახლო ნათესავი და მეგობარი კოხტა აფხაზი (1838 1913), რომელიც ბავშვობიდანვე, თითქმის განუყრელად იყო დაკავშირებული ილიასთან, წერს: „პატარაობიდანვე ილიას მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლეხ-კაცებთან. მეტადრე მოხუცებულებთან. კრებდა და აგროვებდა ზღაპრებს, ახდაზებს. გამოცანებს. უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უვლიდებდა ყურს"[6]. ილიას, უთუოდ, ბავშვობისას აქვს გაგონილი და ღრმად ჩარჩენილი მეხსიერებაში დიდი სახალხო გმირების არსენასა და ქოროღლის თავგადასავალი, რაც შემდეგ ოქროს მძივებად არის ასხმული მთელ მის შემოქმედებაში („გუთნის დედა", „აჩრდილი", „კაკო ყაჩაღი", „გლახის ნაამბობი" და სხვ.).

მშობლებისა და სოფლის მთავრის მონათხრობებმა ილიას საშობლოს თავისუფლებისა და ქართული მწერლობისადმი სიყვარული ჩაუნერგეს. თვით ილიას გადმოცემით მთავარმა მომხიბლავი თხრობა იცოდა ამბებისა: „ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის „დიმიტრი თავდადებული" თემად კამოვიყენე... ერთი კიდევ საშობაო მოთხრობა დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში" ზოგიერთ ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბებისა".

1848 წელს, ილია თბილისში რაევსკისა და ჰაკეს პანსიონში შეიყვანეს, სადაც 1851 წლამდე სწავლობდა.

პანსიონში ასწავლიდნენ საზოგადო საგნებს: ისტორიას, გეოგრაფიას, არითმეტიკას და სხვ. ენებს: ლათინურს, ფრანგულს, გერმანულს და მშობლიურ ენასაც. აქვე ასწავლიდნენ სუფთა წერას, ხატვას და ევროპულ ცეკვებს.

პანსიონის ხელმძღვანელებიდან, თავის ავტობიოგრაფიაში, ილია პატივისცემით იგონებს გერმანელ ჰაკეს: „ჰაკე სასტიკი კა-

---

[5] გ. ლეონიძე. მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტ. მემკვიდრეობა", 1935, წიგნი 1, გვ. 546—575.

[6] „ლიტ. მემკვიდრეობა," 1935, წიგნი 1, გვ. 564.

ცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა შეგირდების მიმართ. ...რომ თითქმის მთელ თავისუფალ დროს კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა. ხან ართობდა მუსიკითა და მართავდა ხელდახელ კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა".

1852 -- 1856 წლებში ილია სწავლობს თბილისის გიმნაზიაში (ახლანდელი I საშუალო სკოლა), სადაც ერთ დროს ნიკოლოზ ბარათაშვილი სწავლობდა.

ილიასთან ერთად გიმნაზიაში სწავლობდნენ შემდეგში მისი ახლო მეგობრები ან თანამოღვაწენი: ნიკო ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, პეტრე ნაკაშიძე, ივანე პოლტორაცკი, დიმიტრი ყაზბეგი, კოხტა აფხაზი და სხვ.

ილიას დროს გიმნაზიის მზრუნველი ყოფილა დიმიტრი ყიფიანი. რუსულ სიტყვიერებას ასწავლიდნენ ვ. სპერანსკი და გ. ზახაროვი; ქართულ ენას ზ. ზახაროვი და ი. თურქესტანიშვილი; ისტორიას — ლ. ზაგურსკი.

გიმნაზიაში სწავლის რეჟიმი მძიმე ყოფილა. ამაზე ბიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს ილიას პროზული ესკიზი „კაკო". ილია წერს ბრაზიან ოსტატზე „სქელ და პტყელ ჯოხით", რომელიც მოსწავლეთა ცემის მიზნით უბრალო საბაბს ეძებდა; იქვე ილია საგანგებოდ ჩერდება აგრეთვე გრამატიკის გაკვეთილიდან კოლას ცემა-ტყეპით გამოგდებაზე: „მსგავსმა შემთხვევებმა პირველად დაარწმუნეს კოლა, რომ ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ე დ ს ა მ ა რ თ ა ლ ი არ არი, ...რომ კაცი სხვა კაცის საუბედუროდ უნდა ცხოვრობდეს". ალბათ, ამით აიხსნება, რომ ილიას გიმნაზიაში სწავლა დიდად არ იტაცებდა. კურსი დაასრულა 1856 წელს, მაგრამ საბოლოო გამოცდები არ ჩაუბარებია. გიმნაზიაში ყოფნას უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია ილიასთვის.

იგი ამ დროს შესამჩნევად გათვითცნობიერებულა პოლიტიკურად. მისი თანაკლასელების გადმოცემით ილია ჯერ კიდევ გიმნაზიაში გატაცებული იყო სერიოზული წიგნების კითხვით. ამ პერიოდში ილია, როგორც ჩანს, უკვირდებოდა მაშინდელი საქართველოსა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას; ამას მოწმობს მისი განუყრელი მეგობრის კოხტა აფხაზის მოგონება ილიას გაუხარაშვილთან შეხვედრის შესახებ.

საფიქრებელია, რომ პირველი სტრიქონები კაკოზე გაჩნდა არა სტუდენტობის დროს (1859 წელს), არამედ გაცილებით

ადრე, გიმნაზიაში მოწაფეობისას, დასახელებული ცნობილი ეპიზოდის შემდეგ. აი, ეს სტრიქონებიც:

ნიაეო, ჩემო ნიაეო,
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა,
მსტვინავო, ჩემო მსტვინავო,
შენ უალერსე კაკოსა!
ღრუბელო, აღმა მავალო,
ის (ბიჭი) გებრალებოდეს;
მე კისრად ვიღებ დამხსნელო,
რაც იმას ემართებოდეს.

გიმნაზიაში ყოფნის დროსვე ეცნობა ილია უფრო ახლოს არა მარტო ბატონყმური, არამედ ეროვნული ჩაგვრის უსამართლობასაც. დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს გაიტაცა იგი მთელი ცხოვრების მანძილზე საყვარელმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა გმირმა ჯუჯეპე გარიბალდიმ. ამ მხრივ საყურადღებოა მოთხრობა „ბნელოს“ ავტორის მ ე ლ ა ნ ი ა ს მოგონება. ილიამ „მიამბო: ერთ დროს (უმაწვილობაშიო) დავაპირე ბერად შედგომაო, ძლიერ მომწონდა მყუდრო, განდეგილი ცხოვრებაო... მაგრამ როცა გარიბალდმა დაიწყო თავისი მოქმედებაო, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლაო. შ ე მ დ ე გ, როცა სტუდენტურ ცხოვრებაში გავეხვიე, ვეღარ შევასრულე ეს განზრახვაო“[7].

ყოველივე ამის გამო ილიას მოწაფეობა აღარ უნდა იქნას კაგებული მხოლოდ ბავშვობად; პირიქით, ილია მოწაფე, საკმაოდ მომწიფებული ჩანს ინტელექტუალურად: ამ დროს გაეცნო იგი საკმაოდ ახლოს ქართველი ხალხის ცხოვრებას, ისტორიას, ზეპირსიტყვიერებას, მწერლობას, ასევე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კულტურას; ჯერ კიდევ გიმნაზიაში შესვლისას, 14-15 წლის ილია მძაფრად განიცდის თავისი ქვეყნის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ტკივილებს და გამათავისუფლებელი იდეალებით იმსჭვალება. ილია ფართო ცოდნის შეძენისთვის პეტერბურგისკენ ისწრაფვის, მაგრამ სამშობლოს დატოვებაც ეძნელება:

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსნოვანას ვერ მიეცემ მე დავიწყებასა.

---

[7] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა,“ I, 1935, გვ. 573.

1857 წლის 2 აგვისტოს ილია განცხადებას აძლევს პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად. იმავე წლის 28 ოქტომბერს მიღებული გამოცდების ჩაბარების შემდეგ იგი ჩარიცხულ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „ამერალურ ცეკნობიკის“ განყოფილებაზე. „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა“.—წერს კოხტა აფხაზი.

ილიას დროის მოწინავე ლექტორ-პროფესორებიდან აღსანიშნავია: ა. პიპინი, მ. სტასიულევიჩი, ნ. კოსტომაროვი და ვ. სპასოვიჩი. ბ. ნიკოლაძის გადმოცემით სტუდენტებს იზიდავდნენ განსაკუთრებით: ვ. სპასოვიჩი, მ. სტასიულევიჩი და ნ. კოსტომაროვი. „ყველა ეს სამი სჯობდაო“. წერს ნ. ნიკოლაძე.

პეტერბურგში ყოფნამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ილიას, როგორც შემოქმედისა და მოაზროვნის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. პეტერბურგი იყო მაშინდელი რუსეთის მოწინავე კულტურის უდიდესი ცენტრი. 1857 1861 წლები. როცა ილიას უხდება უნივერსიტეტში ყოფნა, რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ ცხოვრებაში არის ისტორიული ძვრების წლები. ამ დროს დაიწყო დიდი შეტევა საუკუნეებით განმტკიცებული ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების განსაკუთრებული აღმავლობა. მთელი ბრწყინვალებით გამოჩნდა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მოღვაწეობა. ამ დროს კიდევ უფრო მასვილად ამეტყველდა სახელოვანი „სოვრემენიკი“. ამ დროსვე დაიწყო სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობაც (რასაც 1861 წელს ილიას უნივერსიტეტიდან გარიცხვაც მოყვა).

ილია ღრმად გაიცდის რუსეთის 60-იანი წლების დიად მოკლენებს. ამით აიხსნება ის მაღალი შეფასება, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებულ ოთხ წელს მისცა ილია ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში“.

ილია არ კმაყოფილდებოდა უნივერსიტეტის ლექციებით. ზედმეტ გარეშე წიგნს კითხულობდა და ფართოდ ეცნობოდა სხვადასხვა მეცნიერების ისტორიას, ეკონომიკურ აზროვნებას, ფილოსოფიასა და ლიტერატურას. „მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული...“ წერს კოხტა აფხაზი. „ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, I, 1931, გვ. 86.

რი ტევნი დაჰყოლოდა. ის თვითონ იკაფავდა გონების გახსნის გზას. იმას ოდი აკმაყოფილებდა ადამის წლის პროფესორების დაძველებული და მამაპაპური ლექციები... ამისთანა ყმაწვილები... ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბაასით, მოქმედებისა და წერის ცდით შეცადინეობდნენ... დამზადებულიყვნენ ჩვენი ხალხის სასარგებლო მსახურებად... ამგვარი იყო მაგალითად ილია ჭავჭავაძის და ზოგიერთი ამ დროის ახალგაზრდობის დამზადება", გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე[9]. რუსული მოწინავე მეცნიერებისა და ლიტერატურის დადებით როლზე ილია 1889 წელს წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია... მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა. თვითეულს ჩვენგანს მის გამოსარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია"[10].

ილია რამდენად გატაცებული ყოფილა იმ დროის რუსეთის მოწინავე იდეებითა და კერძოდ „სოვრემენიკით". ამას შესანიშნავად ადასტურებს ერთი ბიოგრაფიული დეტალიც, რაც ნიკოლაძეს აქვს აღნიშნული მათი „რუსული აზრებით წახდენის" შესახებ: „ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა სტუდენტმა, ერთმა ავტორიტეტმა გამოთქვა ჩვენსა, როცა „სოვრემენიკის" კითხვაზე წამასწრო.

გაიხსენე ჩემი სიტყვაო, — მითხრა, — თუ შენც ისე არ წაიდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდაო"[11].

ილია ჭავჭავაძეს კარგად ჰქონდა შეგნებული რუსეთის 60-იანი წლებისა და თვით „სოვრემენიკის" დიდი ისტორიული მნიშვნელობა. ამ წლებში იგი ხედავდა რუსეთში სრულიად „ახალი სიოს ქროლვას", რაც რევოლუციონერმა დემოკრატებმა და თვით „სოვრემენიკმა" ძირმომპალი „ერთხელ შემოღებული წყობის უარყოფაში" და ახლის დამკვიდრების შეუპოვარ ცდაში გამოხატეს: „ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს ...ახლად თვალახილულმა რუსეთმა... ჯერ თავისთავზედ დაიხედა... ნახა, რომ მისის სნეულების საოთავე—თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება... უარჰყო იგი წყობა... საზოგადოება მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და

ჟურნ. „კრებული", 1873, № 1, გვ. 292—293.

[10] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, II, 1941. გვ. 607.

[11] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩ. ნაწერები, I, 1931, გვ. 67.

კიცხვაა დრო-გარდასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირტებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტობაში, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა-და დაუვიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა უარმყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში... ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი «Современник»-ი", — წერდა ილია 1881 წელს[12].

ილიას საკმაოდ ფართო გონებრივი ჰორიზონტი გამოუმუშავდა 60-იან წლებში. სწორედ სტუდენტობის წლებში ილიას უთარგმნია ვალტერ სკოტის, შილერის, ბაირონის, ჰაინეს, რიუკერტის, ანდრე შენიეს, ტომას მურის, პუშკინის, ლერმონტოვისა და ი. პოლონსკის 21 ლექსი და პოემა. აღსანიშნავია, რომ აქედან 8 პუშკინისა და ლერმონტოვის თხზულებანია.

ილიას ლექსს „მუშას". ეპიგრაფად უძღვის ნეკრასოვის სიტყვები: «В труде проходит жизнь его и не приносит ничего».

ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის დროის ნაწერებს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეებისა და მოწინავე მწერლების გავლენა იმდენად ემჩნევა, რომ გვაფიქრებინებს, ბეერ მათგანთან მას პირადი მეგობრობაც უნდა ჰქონოდა. ამის შესახებ რ. ხომლელისა და ნ. ხიზანიშვილისთვის ერთ-ერთ საუბარში ილიას უთქვამს, რომ „დაახლოებით იცნობდა და მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმ წრეში, რომელსაც მეთაურობდა ჩერნიშევსკი"[13].

რუსეთში ყოფნის პერიოდშივე ილია დაწაფებულია პირველ ყოვლისა მშობლიური ქვეყნის ცხოვრებას და კულტურას; საგულისხმოა თვით ილიას სიტყვები: ქართველი 60-იანელები „აღზრდილი და განსწავლული" იყვნენ რუსულს მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც, ისიც რუსულის შემწეობით", მაგრამ აკრეთვე ჩვენმა მწერლებმა ხელი მიჰყვეს „საკუთარს ვითარებას... ძველის ვითარებისა და მწერლობის შესწავლასა"[14]. ილიამ იმთავითვე იცოდა, რომ „ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საჭირველად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია"[15].

---

[12] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952, III, გვ. 59—60.

[13] რ. ხომლელი, ილია ჭავჭავაძე როგორც ლირიკოსი პოეტი, ჟურნ. „განთიადი", 1915, № 12, გვ. 21—22.

[14] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 178.

[15] იქვე.

კოხტა აფხაზის ცადმოცემით პეტერბურგში ილია „მთელი წელიწადი... წიგნების კითხვაში იყო გართული“, კერძოდ, კითხულობდა „ბევრს ძველ ქართულ წიგნებს“. ქართველ სტუდენტებს ჰქონიათ კარგი საკუთარი ბიბლიოთეკა. ნ. ნიკოლაძის მოწმობით „ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ მას“[16]. ცნობილ ქართველ მკვლევარს დავით ჩუბინაშვილს ქართველი სტუდენტებისთვის გადაუცია 38 იშვიათი ქართული წიგნი, მათ შორის: „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა, ვახუშტის „საქართველოს ისტორია“, „ქართლის ცხოვრება“, სულხან ორბელიანის წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“, ქართულ სიტყვათა ლექსიკონი და სხვ.

ილიას რამდენად კარგად შეუსწავლია სტუდენტობის დროსვე საქართველოს ისტორია, ზეპირსიტყვიერება, ლიტერატურა და ქართული ენა, ამას ყველაზე ეჭვმიუტანლად ადასტურებს მისი ამ დროის მხატვრული ნაწარმოებები და კრიტიკულ-ესთეტიკური წერილები.

სტუდენტობის დროს ილიას შემოქმედებითი შთაგონების მთავარი წყაროა, უწინარეს ყოვლისა, რუსთაველი. „აჩრდილს“ (რომელიც ძირითადად დაწერილია 1859 წელს) წამძღვარებული აქვს ეპიგრაფად რუსთაველის შემდეგი სტრიქონები:

> რა ვარდმან მისი ყვაეილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
> ივი წაეა და სხვა მოეა ტურფასა საბაღნაროსა.

„აჩრდილის“ XIV თავის სტრიქონები „მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი“, თავისებური გამოძახილია რუსთაველის სიტყვებისა: „სამთა მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს“.

პოემა „ქართვლის დედას“ პირველ ვარიანტს, რომელიც 1860 წლის 14 იელისს დაუმთავრებია ილიას პავლოვსკში, ეპიგრაფად აქვს რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. ასევე „ქაჯო ყაჩაღს“ ეპიგრაფად უძღვის, როგორც სახელმძღვანელო იდეა, რუსთაველის ცნობილი აფორიზმი:

> მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
> მიღწეიან, შემიგონებენ, დამლოცენ, მოეევონები.

---

[16] ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, I, 1931, გვ. 95.

სოციალურ საკითხზე, როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ ფართოდ და მოხდენილად არის გამოყენებული მოთხრობა „გლახის ნაამბობში“. კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ ძირითადად „გლახის ნაამბობის“ თემატიკურ-სიუჟეტური რკალის შემკვრელ ესკიზში „კაკო“ (რომელიც 1859 წელსაა დაწერილი, ე. ი. გაცილებით აღრე ვიდრე „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი) კარგად მოჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ღრმად გამგები მწერალი.

1859 წელს დაწერილ ლექსს „ალაზანს“ წინ უძღვის სულხან ორბელიანის სიტყვები:

სიჯაბუკისა ყვავილი
დამიჭკნო ჟამთა დენამა.
ნდომა მომაკლო, დამიგდო
სასაპყროდ გელი რბენამა.

სტუდენტობის დროის ნაწერებშივე (ისე როგორც შემდეგში) ილია ჭავჭავაძე უხვად დაწაფებია ქართულ ზეპირსიტყვიერებას. „გუთნის დედას“ ეპიგრაფად ახლავს ცნობილი ხალხური თქმა:

გადი-გამოდი, გუთანო,
ღორღიტავ, ბანი უთხარო.

„ქართველის დედა“ იწყება შესანიშნავი ხალხური ლექსით:

გაგეიძეღ, ბერო მინდიავ.
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო. -

„კაცია-ადამიანს“ დართული აქვს ეპიგრაფად „შეუცდომელი და ყოველთვის მართალი“ „ხალხის გენიის“ მაჩვენებელი ცნობილი ხალხური აფორიზმი:

მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირს უკანაო.

ი. ჭავჭავაძის ნაწერებში სტუდენტობის დროიდანვე გარკვევით მოჩანს აგრეთვე ახალი ქართული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლების ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ძლიერი გამოძახილიც. 1858 წელს ილიას ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიურის“ იმიტაციით დაუწერია ლექსი „ჩემი თარიაარალი“, რომელსაც ფრჩხილებში კიდეც უწე-

რია: „ბიბაძეა ალ. ჭავჭავაძისა". 1860 წელს ილია წერს ლექსს „ალექსანდრე ჭავჭავაძე".

გრ. ორბელიანის პოეზიით აღტაცება თავს იჩენს განსაკუთრებით „მგზავრის წერილებში". „მამებსა" და „შვილებს" შორის ატეხილმა დავამ. როგორც ჩანს, ილიას ვერ შეუშალა ხელი გრ. ორბელიანის მაღალნიჭიერი პოეზიის ერთგული დამფასებელი დარჩენილიყო ბოლომდე. „აჩრდილში" ეროვნულ-გამათავისუფლებელი კონცეფციის განვითარებაში, საქართველოს გმირული წარსულისადმი დამოკიდებულებაში, დადებითი ეროვნული გმირის იდეალის დახატვაში და სხვ. გარკვევით მოჩანს „სადღეგრძელოს" შესაფერი პასაჟების გამოძახილი.

ი. ჭავჭავაძის პოეტური შთაგონებისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი კონცეფციის ჩამოყალიბების განსაკუთრებული წყარო გამხდარა ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური შემოქმედება. ილიასთვის ჟურნ. „ცისკრით" იმთავითვე ცნობილი უნდა ყოფილიყო ბარათაშვილის ლექსები: „ბულბული ვარდზედ", „სულო ბოროტო", „რად ჰყვედრი კაცსა", „ჩემი ლოცვა". „ჩჩვილი" და „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე". ბარათაშვილის გენიალურ ქმნილებებს „ბედი ქართლისას", „მერანს". „ფიქრი მტკვრის პირას" და სხვ. ილია სტუდენტობისას გაცნობია (1858 წელს), ეკატერინე დადიანის ოჯახში, ბარათაშვილის თხზულებათა ავტოგრაფული კრებულიდან: „მახსოვს, — ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქალბატონ დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენიმეც მახსოვს ბარათაშვილის საკუთარი ხელით ნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი" და „მერანი". ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილითო",—გადმოგვცემს კოხტა ამბავს.

1860 წელს დაწერილ ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ", ილიამ „ერის დაობლებად" მიიჩნია ბარათაშვილის სიკვდილი. ამით, თითქოს, თავისთავი ბარათაშვილის დიდ მემკვიდრედაც გამოაცხადა. გახდა კიდეც მისი ღირსეული მემკვიდრე. ეს, ჯერ კიდევ 1865 წელს, გარკვევით აღიარა ილიას დიდმა თანამებრძოლმა აკაკი წერეთელმა. ქართველ მწერალთა პირველი ალმანახი „ჩანგური" აკაკიმ პირველ ეროვნულ წიგნად აღიარა: „ჩანგური" არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და კვნესის ქართველების კვნესით... მიზეზიც ამისი არიან ორი პირვე-

ლი მწერალთაგანი, როგორც ღირსებით, ისე რიცხვითაც: ნ. ბარა-თაშვილი და თ. ი. ჭავჭავაძე"[17].

ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი ღრმად ჩაწვდნენ რუს ხალხთან მჭიდრო კავშირის გადუვალობას, რუსი და ქართველი ერების მეგობრობის შესაძლებლობას. ამას გვიჩვენებს კერძოდ, ნ. ბარათაშვილის გენიალური ქმნილება „ბედი ქართლისა" და ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა". ბარათაშვილმა გენიალურად განსჯვრიტა ერის ფიზიკური გადარჩენისა და რუს ხალხთან კავშირის ისტორიული მნიშვნელობა:

ჟამთ ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საბძო;
...სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოკალაქის მართავს აწ ხელი.

დამახასიათებელია, რომ იტალიის, ირლანდიის და სხვ. ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ ქართველ 60-იანელებს დაახლოებით ისეთივე იდეური პოზიცია უჭირავთ, როგორიც რუს რევოლუციონერ დემოკრატებს — გერცენს, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს, ნეკრასოვს. „საქართველოს მოამბეში" ილია ჭავჭავაძე და მისი თანამშრომლები იტალიის ეროვნულ-რევოლუციურ მოძრაობაზე თითქმის ისეთივე ხასიათის მასალებს ბეჭდავენ, როგორსაც „სოვრემენიკი". საგულისხმოა, რომ გარიბალდის თანამებრძოლზე ალ. გავაციზე თვით ილიას უთარგმნია დობროლუბოვის ცნობილი წერილი „ალექსანდრე გავაცი", რაც „საქართველოს მოამბის" პირველსავე ნომერში მოათავსა. ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლა რუსი რევოლუციონერი დემოკრატებისთვის არ წარმოადგენდა უშუალო ამოცანას. რამდენადაც რუსეთი არ იყო XIX საუკუნეში დაპყრობილი ქვეყანა, მაგრამ მასზე ყურადღებას აჩერებდნენ, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ამოცანებიდან გამომდინარე. ილიასა და აკაკისათვის ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლა შეიცავდა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანასაც და წარმოადგენდა ძირითად მიზანს, რითაც ისინი რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან და მოწინავე მწერლებთან ერთად ნიადაგს ამზადებდნენ რუსეთის ცარიზმის ასაფეთქებლად. ამ სახით ისინი მხარდამხარ მიდიოდნენ როგორც რუსი, ისე

[17] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის" შესახებ, ჟურნ. „ცისკარი", 1865, № 9.

რუსეთის სხვა ხალხების მოწინავე მწერლებთან ერთად რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსი და ქართველი სამოციანელების რაიმე გათიშვის ცდა ამ მხრივ შეცდომა იქნებოდა. ასეთ გათიშვას, როგორც აღვნიშნეთ, თვით ილია გმობდა.

ილია და აკაკი თავის თხზულებებში ხშირად წერენ „ქართველ ერზე", „ქართველ ხალხზე", „ქართველობაზე", წარსულიდან არ ივიწყებენ უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმოხვეჭილ მეფეებს, თავადებსა და სასულიერო პირებს, ხაზს უსვამენ ეროვნებას, „ეროვნულ გრძნობას" და სხვ. მაგრამ ეს ხდება არა წარსულისკენ დაბრუნებისთვის, არამედ ქართველი ხალხის დემოკრატიული ძალების აღორძინებისათვის.

ილია ჭავჭავაძეს ჭაბუკობიდან დაწყებული სიკვდილამდე თან სდევდა რუსეთის ცარიზმისადმი ზიზღიც და რუს ხალხთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობის რწმენაც: ამით აიხსნება, რომ გვიანდელ ხანაშიც, 1899 წელს ილია, როცა ცარიზმისადმი კვლავ შეუნელებელი სიძულვილით იყო გამსჭვალული, მაღალ შეფასებას აძლევდა ერეკლე მეორის ისტორიულ მისიას საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო ცნობილ წერილში „ასის წლის წინათ": 1799 წლის 26 ნოემბერს ძველი სტილით „შემოვიდა რუსის ჯარი თბილისში... დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ჭოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა... ამ ღირს-სახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა... გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა... საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება"[18]. რა თქმა უნდა. ამით ილია ხელს არ იღებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე: ეს არ იყო ცარიზმთან შერიგება.

ილიას სტუდენტობის დროს დაუწერია 5-ჰ ორიგინალური ლექსი, მათ შორის ლექსები: „ყვარლის მთებს", „გუთნის დედა", „ქართვლის დედას", „ელეგია". „მუშა". „პოეტი". „მესმის, მესმის" და სხვ. სტუდენტობის დროსვე დაუწერია „კაცია-ადამიანის", „გლახის ნაამბობისა" და „კაკო ყაჩაღის" იდეის გამაერთიანებელი ორი პროზული ესკიზი „კოლა" და „კაკო". 1859 წ. ილიას ცალკე დაუწყია „გლახის ნაამბობი". რომელსაც კვლავ უბრუნდება 1862—1873 წლებში (I— VI თავები დაიბეჭდა 1863 წელს „საქართვე-

[18] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, II, 1941, გვ. 499.

ლოს მოამბეში"). „კაცია-ადამიანის" დიდი ნაწილი შესრულებულია სტუდენტობის დროსვე მასზე მუშაობდა 1859 1863 წლებში (1863 წელს მთლიანად დაბეჭდა „საქართველოს მოამბეში"). „კაჯი ყაჩაღი" დასრულებულია 1860 წელს (მისი პირველი ნაწილი 1863 წელს დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში"). „აჩრდილი" ძირითადად დაწერილია 1858 185ი წლებში (1859 წ. V თავი დაიბეჭდა „ცისკარში", XXIV, XXVI და XXVII თავები „საქართველოს მოამბეში"). 1871 წელს ილია კელავ უბრუნდება ამ პოემას და უფრო აზოგადებს „შრომის ახსნის" იდეას. პოემის „ქართვლის დედას" პირველი ვარიანტი დაწერილია 1860 წელს. 1871 წელს კი ხელახლა ამუშავებს მას

სტუდენტობის დროსვე ილიას შესრულებული აქვს 18 შესანიშნავი პოეტური თარგმანი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. როგორიცაა: შილერის „ცრემლთა შინა ნუგეში", ბაირონის „სტიროდეთ!", პუშკინის „ჭეშმარიტება". „წინასწარმეტყველი", ჰაინეს „მეცა მქონია კარგი მამული", ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკი" და „წინასწარმეტყველი", ი. პოლონსკის „ბედა მქადაგებელი".

ილია ჭავჭავაძის პირველი მხატვრული ნაწარმოებები, რითაც მან ფეხი შედგა პოეზიის ტაძარში, არის ლექსები „ყვარლის მთებს" და „ხმა სამარიდამ". ამ ლექსებში უკვე მოჩანს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი თვისებანი: იდეურობის, პოეტურობის, ლირიზმისა და სატირის ჩანასახი.

1860 წელს დაწერილი ლექსის „ქართველი სტუდენტების სიმღერის" პირველი ვარიანტის ერთ სტროფში ნიშანდობლივად არის გამოხატული ცარიზმისადმი შეურიგებლობა და გლეხობის კეთილდღეობისთვის ბრძოლის მისწრაფებანი:

ცართან ძმობას არ ვაძრელობთ,
მაგრამ ვნატრობთ გლეხთანაო.

არა წარსულის დაბრუნების. არამედ ექსპლოატატორებისაგან თავისუფალი, ახალი ქვეყნის ახალ საწყისებზე შექმნისთვის ბრძოლის ოპტიმისტური რწმენით არის გაჟღენთილი აგრეთვე ილიას ცნობილი ლექსი „ქართვლის დედას" (1858). რაც ახალი თაობის პროგრამად იქცა.

აქ გარკვევით მოჩანს ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი ლიროიკული გმირი. ლექსი შეიცავს „ძმობის, ერთობისა და თავისუფლებისათვის" ბრძოლის იდეებს, ბედთან შეჯიდების მოწოდებას, რაც დედამ უნდა ჩაუნერგოს შვილს—„მომავალ გმირს". მწერლის ყუ-

რადღების ცენტრშია ახალი ცხოვრება, ახალი ადამიანები, რომლებიც ფეოდალიზმის ნგრევის პროცესში იბადებოდნენ:

აჭ არის დედაც შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულის...
შეაგონებდე კაცთა სიყვარულს.

ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.—
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მრმავლისთვის ბედთანა ბრძოლებს.

ცარიზმისაგან დამონებული სამშობლოს თავისუფლებისთვის სისხლისმღვრელი ბრძოლისაკენ მოწოდების იდეით არის აღსავსე ილიას ლექსი „ნანა" (1859).

ისე როგორც თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში, პოეტი აქაც იძლევა თავისი დროის ქეშმარიტად დადებით გმირს, — ახალი ცხოვრებისთვის მებრძოლის სახეს:

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!...

იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლები მთელი მოწინავე კაცობრიობის, ახალი თაობების აღტაცებას იწვევდა; აღფრთოვანებული იყვნენ ჰიუგო და რუსი რევოლუციონერი დემოკრატები, მგზნებარედ გამოდიოდნენ დიდ საზოგადო შეკრებებზე, რუსი რევოლუციონერები საგანგებოდ გზავნიან იტალიაში დობროლუბოვს და სხვ. სტუდენტი ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა ასევე რევოლუციური გზით დამსხვრეულიყო ეროვნული მონობის პორკილები მის სამშობლოშიც:

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

გარიბალდიმ 1860 წ. 10 ივლისს აიღო მესინა. ილიას 17 დღის შემდეგ (27 ივლისს) დაუწერია ეს ლექსი.

ილიას სტუდენტობის დროის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოემა „აჩრდილი", რომლის პირველი ვარიანტიც დასრულებულია 1859 წლის დამდეგისთვის. ილიას შემოქმედებისთვის ნიშანდობლივი მაგისტრალური ხაზი—ეროვნული და სოციალური ჩაგვრის, — ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეები საკმაოდ დიდი მხატვრული სიმასივილით გამოვლინდა ამ პოემის პირველ ვარიანტშივე.

ქართველ ხალხს სულს უხუთავდა ცარიზმი და ბატონყმობა. პოეტი გვევლინება თავისი ქვეყნის თავისუფლების მებაირახტრედ. თავის თანამედროვეებს იგი აგონებს საქართველოს წარსულ დიდებას და თავისუფლებას. იგი რევოლუციურ-რომანტიკული პათოსით მიმართავს არაგვს. საქართველოს ძველი ძლიერების მოწამეს:

ჩვენო არაგვო! რა-რიგ მიყვარხარ!
ქართველის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ!
შენს კიდეებზედ ჩემი მამული,
იყო ერთ დროსა გამშვენებული.
იქ ერთხელ ქართვლის სიცოცხლე დუღდა,
იქ მამულისთვის ქართველს ხმა ქუხდა.

პოეტს საქართველოს ძველი დიდების მოწმედ მიაჩნდა აგრეთვე ისტორიული ცნობები და გადმოცემები ლეგენდარული არგონავტების მოსვლაზე ანტიკურ კოლხიდაში, მის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქებზე, „ეას" ნანგრევები, დიოსკურია, ბიჭვინთა და სხვ. ქართველი ხალხის წარსულში პოეტი პოულობს უმაგალითო გმირობისა და შეუპოვრობის ნიმუშებს:

ტბილო ქვეყანაე! მახსოვან წამნი,
როს მხიარულად ჰაბუკნი, ყრმანი
შენს ძახილზედა მოგროვდებოდნენ
და მამულისთვის გმირულად თრთოდნენ;
და იმ ჰაბუკთა მკერდთა კედელი
იყო მტერთაგან შეულეწელი.

„აჩრდილის" პირველი ვარიანტითვე საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიმტკიცის მაჩვენებელ ასეთ წარსულს უპირისპირებს ილია თავისი დროის საქართველოს, არა როგორც კონსერვატორი რომანტიკოსი, არამედ როგორც რევოლუციურად მოაზროვნე რეალისტი. მას სურდა არა ფეოდალური, არამედ ძლიერი, დამოუკიდებელი. თავისუფალი საქართველოს აღორძინება, რასაც

ხელს უშლიდნენ ცარიზმისა და ბატონყმობის სულისჩამდგმელნი,—ნამდვილი თავისუფლების მტრები:

გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზედ პატიოსნებას.
და დაჟანგებულს ბორკილზედ სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

ილია ხოტბას კი არ ასხამს თავისი დროის საქართველოს, პირიქით, ფარდას ხდის, ამხილებს მასში გამეფებულ მანკიერებას. იგი ხედავს, რომ —. მშრომელი ხალხი, ყმა-გლეხობა განუკითხავ ჩაგვრას განიცდის მებატონეების, ვაჭრების, სამღვდელოებისა და მოხელეთაგან:

ყმავ!.. შენში კაცის გრძნობას არ ხედავენ:
დედის ძუძუდამ შვილსა აჰგლეჯენ,
და, ვინ უწყს, საით სად გაჰყიდიან!..
შეუბრალებელ ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთეს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.

ასე მაღალი, უაღრესად რადიკალური მისწრაფებანი შეეძლო განევითარებინა მხოლოდ რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთების პოეტს. ილია ჭავჭავაძე როგორც ეროვნული, ისე სოციალური ბოროტების სათავეს ხედავს ხალხის ვერაგ მტერში ცარიზმში. როგორც სამართლიანად წერს ცნობილი მკვლევარი პავლე ინგოროყვა. ცარიზმი ილიას მიაჩნია „ბნელ დემონად"[19]. დამახასიათებელია, რომ „ბნელ დემონს" ახლავს პოეტის ასეთი საგულისხმო შენიშვნა: „ამ დემონს იცნობს ყოველი, ვისაც კი საქმე ესმის". პოეტი რისხვით აღსავსე სტრიქონებით მიმართავს „ბნელ დემონს":

ბნელო დემონო! აღსავსე გესლით
ამ დაღლილ ხალხის სუსტი არსება
და ბოროტების ძლიერ მარჯვენით
პირველ შენ ჩარგე აქ ბოროტება;
...ყოველი აზრი შენ მას მოუკალ,
და იმ იმედით დღეს დააძინე,
რომ დაიძინებს იგი კიდევ ხვალ.

[19] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, I, 1914, გვ. XXIV.

პოეტს სურდა არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის ყველა ხალხის გამოღვიძება. მონობის ბორკილების რევოლუციური გზით დამსხვრევა და ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება. ამას ბრწყინვალედ გამოხატავს პოემის ერთი საუკეთესო პასაჟთაგანი:

რისღა ვიხილავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისსა დიდების ნაშთთა ზედა კვლავცა აღმკაფსა.
...როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით აღელდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მბზინვარება.
როდის დაადნობს დაჟანგებულ დიდ ხნის ბორკილსა?

მაგრამ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა. ცხადია, არ იყო რუსეთისაგან მოწყვეტის ცდა.

ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობიდანვე ხასიათდება როგორც კავკასიის, ისე დიდი რუსი ხალხისადმი გულწრფელი მეგობრობის მისწრაფებებით.

ჯერ კიდევ ჭაბუკ პოეტს მტკიცედ სწამდა, რომ მრავალ განსაცდელს გამოვლილი ხალხი კვლავ აღდგებოდა და დაამხობდა ცარიზმს, მიაღწევდა ნანატრ თავისუფლებას:

ნუ შიშობ, ვეღო! შენს მშვენიერ ხალხს
წარუვლენ წელნი ძილის ჟამისა,
...და გაბრწყინდება მზე მომავლისა!

1859 წელს არის დასრულებული ილიას პირველი პროზული ესკიზი „კაკო“. მართალია, ამ მოთხრობის თემატიკურ-სიუჟეტური ხაზი შემდეგში მაღალხარისხოვნად არის გაშლილი „კაცია-ადამიანში“, „კაკო ყაჩაღში“ და უფრო „გლახის ნაამბობში“, მაგრამ მასში არის ზოგიერთი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სტილისტური ნიუანსიც, რაც ინტერესს არ არის მოკლებული ილიას შემოქმედებითი გზის გასათვალისწინებლად. საყურადღებოა, მაგ., მებატონე ლუარსაბის სატირული ტიპიზაციისათვის გამიზნული თქმა: „აი, ოყრაყი, ამას შაუჭამია საქართველო!“ „კაკო“ ამხილებს ჯოხის რეჟიმზე დამყარებულ „სწავლა-აღზრდასაც“. ილიას მიზნად დაუსახავს ეჩვენებინა კაპიტალისტური ქალაქის გახრწნილებაც. 1859 წელს ილიას დაუწყია „გლახის ნაამბობის“ წერა, მაგრამ მაშინ არ დაუმთავრებია.

1859 წელს შედგომია ილია უკვდავი სატირული ეპოპეის „კაცია-ადამიანის“ წერასაც, მაგრამ მისი რა ნაწილი დაწერა სტუდენტობის დროს, ამის დადგენა ძნელია.

სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებთა ციკლიდან. რომლებიც ილიას სტუდენტობის დროს დაუწერია და დაუმთავრებია. ცენტრალურ ადგილს იკავებს პოემა „კაკო ყაჩაღი" (1859 1860 წლები); პოემის პოლიტიკური მახვილი მიმართულია ბატონყმობის წინააღმდეგ. „გლახის ნაამბობის" მსგავსად მასშიც სისხლისმღვრელი შეტაკება აღიარებულია სოციალური ბოროტების აღკვეთისა და სამართლიანობის დამყარების ერთადერთ სწორ გზად. ამ ნაწარმოებებში წარმტაცად და ამაღლებულად სწორედ ის პასაჟებია მოცემული, სადაც ყმა-გლეხები იარაღით უსწორდებიან მხეც მებატონეებს.

1860 წელს ილიას დაწერილი აქვს პოემა „დედა და შვილი" („ქართველის დედა"). პოემა თავისი ეროვნული ტენდენციით „აჩრდილს" მისდევს იმითაც კი. რომ იგი წარმოადგენს „სცენას მომავლის ცხოვრებიდან". ასეთ სცენად აქ დასახულია „მთელი ქვეყანის" აღდგომა თავისუფლებისთვის.

სტუდენტობის წლებში იბადება არა მარტო პოეტი და მწერალი. არამედ ესთეტიკოსი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძეც.

სტუდენტობის წლებს ეკუთვნის ილიას ისტორიული მნიშვნელობის პუბლიცისტურ-ესთეტიკური წერილები: „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის" თარგმანზედა" (წერილი დაიწერა 1860 წელს, დაიბეჭდა 1861 წლის აპრილში) და „პასუხი" (დაიწერა 1861 წელს, მაისში, დაიბეჭდა ივნისში). ამ წერილებით ილია რევოლუციურ-დემოკრატიული სიმახვილით და მეცნიერული საბუთიანობით ამხელს ქართული მწერლობის გაყინვას. ჟურნ. „ცისკრის" უნდილობას, ენის დაცემას და სხვ.

იმდენად დიდია ამ ორი წერილის მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიასა და თვით ილიას მოღვაწეობაში. რომ საჭიროა მათზე ცალკე შეჩერება.

ჟურნ. „ცისკარმა" უეჭველად დადებითი როლი შეასრულა თავისი არსებობის მანძილზე, და დიდად მნიშვნელოვანიც, მაგრამ ნაკლიც საკმაოდ დიდი ჰქონდა. სწორედ ამიტომ ამ წერილებით ილიამ გადაჭრით დააყენა იმ სქოლასტიკური პოზიციის შეცვლის აუცილებლობა, რაც ჟურნ. „ცისკარს" და მისი სახით თვით ქართულ მწერლობას ეკავა 50-იანი წლების ბოლოს. ეს იყო მოთხოვნა, ქართულ ჟურნალსა და მწერლობას ჰეშმარიტად პროგრესული გეზი აეღო. კულტურის მაღალი დონისთვის მიეღწია—განეგრძო ქართული ლიტერატურის კლასიკური ტრადიციები. აღნიშნულ წე-

რილებში მწერლობისა და აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენლებად მიჩნეული არიან შექსპირი, რუსო, შილერი, გოეთე, ბაირონი, ჰაინე, პუშკინი, ლერმონტოვი, ბელინსკი, გოგოლი, საქართველოდან შ. რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი.

ჟურნ. „ცისკრის“ მწერლების ძალად პოეტობას, „ანბანთ თეორეტიკას“, სქოლასტიკას, რითმების მექანიკურ შეკოწიწებას, ხელოსნობასა და უშინაარსობას, „ხელოვნებას-ხელოვნებისათვის“, — უფრო სწორად, უნიჭობას, ილია უპირისპირებს ჭეშმარიტ იდეურ ხელოვნებას: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა..“

ილია იმავე წერილში ქვეტექსტით აყენებს იმ ბოროტების კრიტიკულად ჩვენების აუცილებლობასაც, რაც საქართველოს მაშინდელ ცხოვრებას აწყლულებდა. ამით თეორიულად ასაბუთებდა კრიტიკული რეალიზმის გაბატონების გარდუვალობას, რასაც იგი ამკვიდრებდა კიდეც თავისი შემოქმედებით. იგი, როგორც დიდი ნოვატორი, არ კმაყოფილდება 50-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში არსებული კრიტიკული რეალიზმის ელემენტებით. ილია წერდა: „ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩ ვ ე ნ ი ბ ო რ ო ტ ე ბ ა ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს.. (ადგილი გამოშვებულია ცენზურის მიერ — ა. კ.). აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის-მოყვარე, და არა ის, ვინც მეტისმეტად დ ა მ ჭ ა ვ ე ბ უ ლ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს გამო. ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა“

ილია ს წ ე რ ლ ო ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ გამახვილებას მოითხოვს. ამას კარგად ადასტურებს, კერძოდ, „პასუხის“ ერთი სქოლიო: „1860 წ. ნოემბრის ნომერში გახლავთ კნ. ბ. ჯორჯაძის სტატია, სახელად: „რამდენიმე აზრი ახლანდელს მდგომარეობაზედ“. ამ სახელმა არ მოგატყუოთ, ჩვენო მკითხველნო. ცუდი მაღაზინი მაჯგვარ წარწერილობით შეიტყუებს ხოლმე მსყიდველთა. მაგ სტატიის სახელს რომ დაუჯეროს კაცმა, იფიქრებს: ან პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მდგომარეობაზედ იქნება რამდენიმე აზრიო, ან ე კ ო ნ ო მ ი უ რ მდგომარეობაზედ, ან კიდევ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ზ ე დ. არა, ბატონო, მაგ სტატიაში კნეინა ბრძანებს, მ ა რ ხ ვ ე ბ ს არ ინახავენო“. იგივე აზრი მწერლობის გაუფერულების წინააღმდეგ ბელინსკის სიტყვებითაც გამოთქვა ილიამ: «Из нашей литературы хотят устроить бальную залу, и уже зазывают в нее дам; из наших литерато-

ров хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модною фразою, изящество — щеголеватостью, критику — комплиментами».

საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ილიამ დაიწუნა კოზლოვი და მისი ქართული თარგმანი, არამედ ის რომ მიუთითა ჟურნალის დაბალ ლიტერატურულ გემოვნებაზე, სათარგმნელი თხზულების კარგად შერჩევის საჭიროებაზე: „მართლა-და საკვირველია! თუ კაცს რუსულიდგან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კოზლოვსა,"—წერდა ილია. ამით იგი უარყოფდა ფსევდოკლასიციზმისა და ფსევდოსანტიმენტალიზმისათვის ნიშანდობლივ „ბრმად მიბაძვას" და „ძალად მოყვანილ გრძნობას". ილიას მიაჩნია, რომ ახლა აღარ არის საჭირო ფსევდოკლასიციზმისა და სანტიმენტალიზმის გაცოცხლება. ილია შინ რუსთაველსა და ბარათაშვილს მიაპყრობს ქართველი მწერლების ხედვას, გარეთ ევროპასა და რუსეთს, მაგრამ არა მარმონტელის და კოზლოვის, არამედ შექსპირის, ბაირონისა და გოეთეს ევროპას და პუშკინის, ლერმონტოვისა და გოგოლის რუსეთს. ილიას ესთეტიკას ლესინგი და ჰეგელი, ბელინსკი და ჩერნიშევსკი ჰკვებავენ, მაგრამ მისი მთავარი არტერია რუსთაველის ესთეტიკიდან მოდის: „პ ო ე ზ ი ა განსახოვნებაა ჰეშმარიტებისა",—ამბობს ილია. „შ ა ი რ ო ბ ა პირველადვე ს ი ბ რ ძ ნ ი ს ა ა ერთი დარგი", — ამბობს რუსთაველი.

ილია ჭავჭავაძის ესთეტიკის ფესვები რუსთაველის ესთეტიკაშია.

ცრუკლასიციზმსა და სანტიმენტალიზმს, რასაც „ცისკრის" მწერალთა უმრავლესობა უხსნიდა გზას, ილია უპირისპირებს ჭეშმარიტ რეალიზმს: „პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა",—წერდა ილია პირველ წერილში.

იმავე წერილებით ილიამ წამოაყენა ლიტერატურის ხალხურობის პრინციპიც. ნამდვილ შემოქმედად ილიას ის მწერალი მიაჩნია, რომელიც ხალხის მაღალ მისწრაფებებს უკვდავეპას ანიჭებს: „პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს: ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო",—ამბობს ილია მეორე წერილში.

ჟურნ. „ცისკარში" არ იხატებოდა ქართველი ხალხის პოტენციალური შესაძლებლობა. პირიქით, მასში დიდ გასაქანს პოულობდა

უმთავრესად მხოლოდ ის, რაც კვდომასა და თვლემას განიცდიდა. ამიტომ ესხმოდა თავს მას ილია ჭავჭავაძე: „ლიტერატურა — ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია. ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მარტო „ცისკარია" ამ ჟამად. ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში" იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჯუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში" ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია ვამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა: მეც იმიტომ ესე პირდაპირ ელაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარა ბღაჯნოს". ვინც ბარათოვის, ივ. კერესელიძის, დ. ბერიევის, რევ. ერისთავის, სარდიონ მესხიევის, ექვთ. წერეთლისა და სხვ. ნაწერებს იცნობს (რასაც ჟურნ. „ცისკრის" შესასწავლად აქვს მხოლოდ მნიშვნელობა), მის ილიას კრიტიკა გადაჭარბებულ სიფიცხედ არ მოეჩვენება.

სტუდენტობის დროის პირველი ორი წერილით ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებლად გვევლინება. იგი, ოგორც შემდეგშიც. საგანგებოდ ეხება ლიტერატურული კრიტიკის დიდ საზოგადოებრივ დანიშნულებას: „კრიტიკა" — ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საჭიროა, რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა — რომ ყოფილიყო, რადგანაც ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც საბუღია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს",—წერდა ილია „პასუხში".

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა სტუდენტობის პერიოდშივე ამტკიცებს, რომ მისი სახით ქართულ სინამდვილეს მოევლინა დიდი განმანათლებელი, რომელიც ფართოდ აყენებს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების გარდაქმნის საკითხებს. ილიამ საგანგებოდ დააყენა ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორიით დამძიმებული ქართული სალიტერატურო ენის გაწმენდისა და ხალხურ სასაუბრო ენასთან დაახლოების საკითხი. ანტონ კათალიკოსის არქაულმა ენამ სწორედ ჟურნ: „ცისკრის" თანამშრომელთა უმრავლესობის თხზულებებში იჩინა თავი. ილიამ განსაკუთრებით ენის არქაულობა დაგმო.. ძველი თაობა ანტონ კათალიკოსის „ანბანთ თეორეტიკით" შეეცადა მწერლობის მომაკვდავი, ნაძალადევი ენის დაცვას. ილიამ მეცნიერულად დაასაბუთა ცოცხალ სამეტყველო ქართულზე დაყრდნობული სალიტერატურო ენის საჭიროება.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების, აზროვნების, მწერლობის. სალიტერატურო ენის და თვით ჟურნალის გარდაქმნისათვის ბრძოლაში ილიას მაშინვე ამოუდგნენ გვერდით აკაკი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე.

ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო და პესარიონ ღოღობერიძეები. პეტრე ნაკაშიძე. დავით ყიფიანი, ილია ოქრომჭედლიშვილი, მიხეილ ჩიკვაიძე, კოხტა აფხაზი და სხვ. ქართველ სტუდენტთა წრის აღიარებული მეთაური ილია ჭავჭავაძე იყო. წრის წევრები ხშირად იკრიბებოდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ აზრებს წაკითხულზე,—როგორ ემოქმედათ იქ და სამშობლოში დაბრუნებისას. ძირითადად ამ წრეში გამომუშავდა 60-იანი წლების ქართველ მ ო ღ ვ ა წ ე თ ა შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა ნ ი. საქართველოში დაბრუნებისას, ზემოდასახელებული პირების უმეტესობა ილიამ შემოიკრიბა ეურნ. „საქართველოს მოამბის“ ირგვლივ. მართალია, აკაკი ამ ორგანოში არ თანამშრომლობდა, მაგრამ ამის გარეშეც აკაკი და ილია ერთ საქმეს ემსახურებოდნენ.

ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და მწერლობის დამკვიდრების საქმეში ილია ჭავჭავაძესთან ერთად განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის აკაკი წერეთელს. მათ ერთად მოახდინეს დიდი რეფორმაცია ქართულ სალიტერატურო ენასა და მწერლობაში.

* * *

ილია სტუდენტობის დროს საკმაოდ ღარიბად ცხოვრობდა. ერთხელ სწავლის ქირიდანაც გაუთავისუფლებიათ სიღარიბის მოწმობით. ხელმოკლეობის გამო ხშირად ამა თუ იმ კულტურულ გასართობსაც თმობდა.

1858 წლის 26 აგვისტოს ილია ნათესავ ქალს ნენე ანდრონიკაშვილს სწერს: „ხომ იცით ჭავჭავაძის სისუსტე სად არის — ჯიბეში და ისევ ჯიბეში; უხ! ხანდისხან რა უგრძნო ქარიშხალი წამოუბერავს ხოლმე ჯიბით...“ იმავე წელს ანიკო ვაჩნაძეს ატყობინებდა: „პეტერბურღი... უდიდესი ქალაქია, ბევრი მხიარულება, ბევრი შეჭცევაა,მაგრამ ჩემთვის კი სულ ფუჭია, მისთვის, რო მე ყოველს ჟამს და ყოველს წუთს ჯიბესთან მწყრალათა ვარ და აბა, ამ ჯიბის მწყრალობით, ფეხსაც ვერ გადასდგამს კაცი“.

ილიას და მისი ამხანაგების მატერიალურ სივიწროვეზე საყურადღებო ცნობას შეიცავს „ქართველ სტუდენტების სიმღერის“

მესამე ვარიანტი:

უცხო ქვეყნად მშიერ-მწყურვალ
ხშირად, ძმანო, ჩვენ ვყოფილვართ;

1859 წელს ჭლექის ნიშნები გამოჩენია ილიას, რის გამოც ივნისიდან რამდენიმე თვით ჩამოსულა საქართველოში და გაჯანსაღებულა.

1861 წლის 12 ოქტომბერს სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისთვის ილია სხვებთან ერთად გაურიცხავთ უნივერსიტეტიდან. ილიას ნება ეძლეოდა სამოქალაქო სამსახურში მხოლოდ მეორე თანრიგის მოხელის უფლებით ესარგებლა. მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მისთვის პირველხარისხოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გამხდარიყო.

რუსეთიდან ილია დაბრუნდა როგორც მომზადებული მოაზროვნე და მწერალი, რომელიც კარგად იცნობდა არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურასა და მეცნიერულ აზროვნებას.

რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების მომენტში დაწერილ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მგზავრის წერილები". იგი დათარიღებულია 1861 წლით (თუმცა ზოგიერთი შესწორება განუცდია მას 1871 წლისთვის, „კრებულში" დასაბეჭდად მომზადების გამო). ამ ნაწარმოებში „აჩრდილის" შემდეგ მთელი სისრულით არის წარმოდგენილი ილიას ეროვნულ-პატრიოტული კონცეფცია; მასში ილიამ სატირით გაამათრახა რომანოვების სახელმწიფო სისტემა, მცირე ერთა ჩაგვრაზე, დაყრდნობილი „ხალხთა საპყრობილე", წამოაყენა საკაცობრიო იდეალები.

ეს ნაწარმოები გახდა მთავარი ნიშანსვეტი მომდევნო მოწინავე თაობებისთვის.

რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების პირველი წლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ილიას მიერ ჟურნ. „საქართველოს მოამბის" დაარსება და მასში მოღვაწეობა. ძველმა თაობამ მოსინჯა ახალი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციები და მიხვდა მის რევოლუციურ-დემოკრატიულობას (ძველი თაობის მწერალთა გამოთქმით — „ბელინსკობას", ან ბელინსკისებრ „ზაფრიანობას"). მართალია, ძველმა თაობამ ახალი თაობის წინააღმდეგ გალაშქრებაში სრული უბადრუკობა გამოამჟღავნა, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, იგი ახლა იშლებოდა მხოლოდ. საჭირო იყო ახალი თაობის ორგანოს დაარსება და

ბრძოლის იქ გაგრძელება. ეს ასეც მოხდა. 1863 წლის იანვრიდან ილიამ დაიწყო ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ გამოშვება, რომელსაც „ცისკრის“ რედაქტორმა ივ. კერესელიძემ „სტუდენტების ჟურნალი“ უწოდა. ეს მართლაც ასე იყო. ჟურნალში თანამშრომლობდნენ უმთავრესად პეტერბურგის უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული ან იმჟამადაც იქ მოსწავლე პირები. ესენი იყვნენ: თვით ილია ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ვ. თულაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, დავით და მიხ. ყიფიანები, პ. ნაკაშიძე, პ. უმიკაშვილი და სხვ. 1862 წლის 27 დეკემბერს ივ. კერესელიძე რაფ. ერისთავს წერდა: „ბაბალე მწერდა გუშინ წიგნსა, კახეთში ხმა დააგდეს, ჭავჭავაძემ ისეთი რამე უნდა გამოსცეს, ჯერ არც ენახოს ქვეყანას და ვერც ჩამომავლობამ ნახოსო“. ცხადია, ეს უმწეო ირონია იყო. „საქართველოს მოამბე“ თავის დროის ყველაზე პროგრესული ორგანო იყო. ქართული საზოგადოებრივი აზრი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, „საქართველოს მოამბესთან“ ერთად იბადება საქართველოში.

ახალი თაობის მოსვლა ჟურნ. „ცისკრითაც“ გახდა ცნობილი, მაგრამ „საქართველოს მოამბემ“ ამ თაობის უფრო ფართო ასპარეზი დაანახა ქვეყანას. აქ სიტყვას დაეუთმობთ ნიკო ნიკოლაძეს: „ვის არ ახსოვს ეს წელიწადი (1863 წელი), როცა ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა, — როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება უწინდელ კალაპოტს სცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა... როცა, მეორე მხრით, ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობას, ე. ი. ახალ ცხოვრებას, და ძველ კაცობას, ე. ი. ძველ წესსა და სჯულს შუა?... რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარს“ და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში“.

საკმაოდ მართებული, ჩვენი დროისთვისაც სახელმძღვანელო ხასიათის შეფასება მისცა გ. წერეთელმაც „საქართველოს მოამბეს“: „პეტერბურგის სტუდენტობა აღტაცებით შესდგა ამ ჟურნალის გამოსვლას. იქიდან მესამე კურსის სტუდენტმა კ. ლორთქიფანიძემ და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წერეთელმა ჯერ კიდევ უცდელი კალმის ნაშრომიც მოაწვდინეს ახალ წრეს ღუმანიტარუ-

ლი მიმართულებისას. „საქართველოს მოამბემ" დაჰგმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, გრძნობით შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც"[20].

ჟურნალ „საქართველოს მოამბის", მისი თანამშრომლებისა და თვით რედაქტორის იდეურ-პოლიტიკური პოზიციების გასარკვევად უნდა ითქვას ერთი ზოგადდამახასიათებელი გარემოების შესახებაც. ჟურნალი ბეჭდავდა პუბლიცისტურ-ესთეტიკურ წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებს და ძირითადად ემსახურებოდა ორ რამეს: ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს ხორციელდება ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დროშის აღმართვით, რაც არ გამორიცხავს თვით ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლასაც. რეეოლუციურ-დემოკრატიული იდეები ამ ძირითადი ნიშნის ქვეშ იშლება საქართველოში, ისე როგორც ეს იყო რუსეთის სხვა ხალხების ცხოვრებასა და ლიტერატურაში. საქართველო გამონაკლისი არ არის. სხვა საკითხია, თუ რა ხანეს მიაღწია მეფის რუსეთის იმპერიის ამა თუ იმ ქვეყანაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლამ. ვინც გულდასმით დააკვირდება „საქართველოს მოამბის" ყველა ნომრის მასალას, შენიშნავს, რომ მთავარ მიზანს წარმოადგენს ბატონყმობისა და ცარიზმის ლიკვიდაცია. თითქმის ყველა ნომერში, ორივე მიმართულებით არის გამახვილებული ყურადღება. თანამშრომელთა შორის წამყვანი ადგილი ილიას უკავია. მაგ., „საქართველოს მოამბის" პირველ ნომერში მოთავსებული რვა მასალიდან ხუთი ილიას ეკუთვნის და მათში გაცალკევებით ან შერწყმულად არის მოცემული როგორც კლასობრივი, ისე ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივები.

დამახასიათებელია, რომ ილია ჭავჭავაძემ ჟურნალის პირველი ნომერი გახსნა ნ. ბარათაშვილის ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზედ". ნათქვამია, სული სულს იცნობსო. ნ. ბარათაშვილთან ერთად ილია ჭავჭავაძე ტრაგიკულად განიცდიდა შავბნელ ეპოქას, მაგრამ მასთან ერთადვე სწამდა ახალი ცხოვრების დაბადების გარდუვალობა:

რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

მომდევნო ლექსი თვით ილიასია. ესაა „ჩემო კალამო". იგი კონკრეტულად საქართველოს ეხება — „ქართვლის ბედი" დგას

[20] „ცნობის ფურცელი", 1897, № 46.

პოეტის ყურადღების ცენტრში, მაგრამ „ქართვლის ბედი“ და „საქართველო“ არ შეიძლებოდა ყოფილიყო დროისა და სივრცისაგან მოწყვეტილი რამ. პოეტისთვის ეს იყო უპირატესად ქართველი მშრომელი ხალხი, რომელიც კოლონიურ და კლასობრივ ჩაგვრას განიცდიდა. საჭირო იყო ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ უკვე აღმართული მახვილის მტკიცედ მომარჯვება. სწორედ ამის აგიტაციას წარმოადგენს სტრიქონები:

ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად — მათ სულთ-ხდომის
სეირს ვუყუროთ.

პირველ ნომერშივეა მოთავსებული წოდებათა შორის ‘ბერიგების შეუძლებლობის, ბატონყმობის წინააღმდეგ მკაცრი პროტესტის, ფართო დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეალების მქადაგებელი შესანიშნავი მოთხრობის „გლახის ნაამბობის“ დიდი ნაწილი. აქ გარკვევით გამოითქვა გარეკოლუციურების გზაზე დამდგარი ქართველი მშრომელი გლეხობის შეხედულება ბატონყმობის უკუღმართობაზე: „რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!“

პირველ ნომერშივეა დაბეჭდილი ილიას ცნობილი ლექსი „მუშა“, რომელიც გვიჩვენებს, რომ ილია არა მარტო ყმა-გლეხობის, არამედ ყველა ჩაგრულის ბედნიერებისათვის იბრძოდა[21].

იმავე ნომერშივეა მოთავსებული დობროლუბოვის ცნობილი სტატია „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“. ვინც ამ ნაწარმოებს კარგად იცნობს, მას ეცოდინება, რომ იგი ასახავს იტალიე-

[21] აქვე შეიძლება გავიხსენოთ ილიას პოეტური კრედოს გამომხატველი ცნობილი ლექსი „პოეტი“, რომელიც ჟურნალის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა. ამ ლექსის გვიანდელ რედაქციაში ლაპარაკია პოეტის ერისადმი დამოკიდებულებაზე. „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ რედაქციაში კი მარტო ერთხელ წერს პოეტი: „ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ, რომ წარეუძღვე წინა ერსა“. დანარჩენ სტროფებში ყველგან „ხალხია“, მაგ., „მე ცა მნიშნავს და ხალხი მზრდის,“ რომ „ხალხისა მოძმედ ვიყო“; „ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად“; „მოვსწყვდნენ ხალხსაც ტანჯვის ცრემლსა“. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ილია ჰავეჰავაძე, როგორც რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი დაჩაგრული ერის პოეტი, „ერის წინამძღოლობით“ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადობას კისრულობდა, მაგრამ ერში მისთვის მთავარი იყო ხალხი (=მშრომელი ხალხი). აღსანიშნავია, რომ 1864 წელს, როცა კირილე ლორთქიფანიძემ პეტერბურგში გამოსცა „ჩონგური“, მასშიც ასეთივე რედაქციით დაიბეჭდა „პოეტი“.

ლი ხალხის რევოლუციურ-შეიარაღებულ ბრძოლას არა მარტო უცხო ტომის დამპყრობლების, არამედ თვით იტალიელი მჩაგვრელების: მეფეების, ჰერცოგების და სხვ. წინააღმდეგ. სტატიით დობროლუბოვი არა მარტო ეროვნულ-, არამედ ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას შთააგონებს მკითხველს. დობროლუბოვის მიზანი სწორედ ეს იყო. სტატია მონარქიული სისტემების რევოლუციის გზით დამხობისა და ხალხის მართველობის დამკვიდრების პროპაგანდაა: „გარიბალდი არის დიდი წარმომადგენელი ჩვენის ძლევამოსილის რევოლუციისა, რომელიც ნიშნავს ხალხთა რჯულიერების აღდგენასა მფლობელების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ; დიპლომატია კი ნიშნავს ღერცოგებისა და კოროლების აღდგენასა წინააღმდეგ ხალხის რჯულიერებისა[22]“,—ამბობს გავაცი. მასში გაისმის აჯანყებული ქვეყნის ცალკეული კუთხის ერთმანეთისადმი დახმარების მოწოდება „ლეგიონებითა, თოფებითა, ცხენებითა და ზარბაზნებითა“, როგორც გამოირკვა, დობროლუბოვის ეს ბრწყინვალე სტატია თვით ი. ჭავჭავაძეს უთარგმნია და თან დაურთავს მკვეთრად რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათის შენიშვნებიც[23].

პირველ ნომერშივეა მოთავსებული ილიას ცნობილი ბრწყინვალე წერილი „საქართველოს მოამბეზედ“. მართალია, ავტორი ბოდიშობს იმაზე, რომ შეიძლება „ეს სტატია მეტაფორებით სავსე ეჩვენოს მკითხველსაო“, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მასში რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძღვრების მძლავრი გამოძახილი დავინახოთ. ავტორი არ იფარგლება ვიწრო ესთეტიკური ამოცანებით. მისი ყურადღების ცენტრში დგას თვით ცხოვრების, ხალხის მდგომარეობის გარდაქმნა-გაუმჯობესებისთვის ბრძოლა. ამ მხრივ იგი თავისუფალი არ არის იდეალიზმისაგანაც. ცხოვრებას „რა აახლებს, რა ცვლის... რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასაო“,—წერს ილია. მაგრამ ილია, აღიარებს ცხოვრების რევოლუციურ განვითარებასაც: „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“.

ცხოვრების ეს ცვალებადობა ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი კანონზომიერი ობიექტური პროცესია; ცხოვრების განვითარებას აქვს ისეთი კანონები, რასაც ადამიანი წინ ვერ აღუდგება: „ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ“. „ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობ-

[22] „საქ. მოამბე“, № 1, გვ. 93.

[23] იხ. ჩემი სტატია ნ. დობროლუბოვი და ი. ჭავჭავაძე, „ლიტერატურული გაზეთი“, 1954, 30, VII, № 31.

მა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს". მაგრამ სულ უძლურიც არ არის ადამიანი. ცხოვრებისადმი, როგორც ბაზისისადმი, ადამიანის ცნობიერების მიმართებაში ილია იდეალიზმსაც მიუახლოვდა (ცოდნის უოვლისშემძლებლობის აღიარებით) და ისტორიულ მატერიალიზმსაც (ილიას აზრით „მეცნიერება და ხელოვნება... იბადებიან ცხოვრებისაგან... და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება"). ილია თავისუფალია კანტიანური აგნოსტიციზმისაგან, ადამიანის გონების უძლურების აღიარებისაგან. მისი შეხედულებით ცხოვრების ამ ობიექტურ კანონებს ჩაწვდება „ხალხის დაწინაურებული თაობა", იგი „მაშინვე მიხვდება,—რომ დრო იცვლება... რომ ძველი ცხოვრება... დამწიფდა.... უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა... გ ა ი ს ტ უ მ რ ო ს ძ ვ ე ლ ი დ ა... გ ზ ა გ ა უ ხ ს ნ ა ს ა ხ ა ლ ს ა". ამ შემთხვევაში, „დაწინაურებულ თაობას" უებარ სამსახურს უწევს ხელოვნება და მეცნიერება. ხელოვნებისა და მეცნიერების როლისა და სპეციფიკის განსაზღვრის საკითხში ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ დიდ მატერიალისტ მოაზროვნედ გვევლინება. ილიას მეცნიერებისა და ხელოვნების საერთო ნიშნად მიაჩნია „ცხოვრების ახსნა და გაგება" და არა „სწავა რაღაც წ ა რ ტ ო ლ ვ ი ლ ცნობაებში გაბმა". მაგრამ ხელოვნება და მეცნიერება „სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედებენ და გამოსთქვამენ". ხელოვნების სპეციფიკის მთავარი არსი ის არის, რომ „ს ა რ კ ე ს ა ვ ი თ ცხოვრება გარდმოსცეს, რათა ჩვენი თავი მ ი ს მ ო მ ხ ი ბ ლ ე ვ ი ს კ ა ლ მ ი თ ც ხ ო ვ ე ლ ა დ იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დ ა ვ ი ნ ა ხ ო თ".

ილია მთელი პრინციპულობით აყენებს ხელოვნების მასებისადმი სამსახურის საკითხებს. ილია საქართველოსა და რუსეთის მაგალითზე ხედავდა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოკლებული იყო სწავლა-განათლების მიღების საშუალებას. ამიტომ იგი ხელოვნებისა და მეცნიერების ხალხის ფართო მასებისთვის გამოყენების საკითხს წმინდა კლასობრივი თვალსაზრისით უდგებოდა. ილია წერდა: ხ ა ლ ხ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს უნდა „იხელთოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფნი, მაგრამ ვერ მისწვდომია. განა იმის გამო, რომ უღირსნი და უღონონი არიან. არამედ ათასი სხვადასხვანაირ მიზეზებისა გამო, რომელთაც აქ ჩვენ არ მოვიხსენიებთ". საცენზურო პირობების გამო მეტს ვერ ამბობს, მაგრამ გასაგებია რისი თქმაც სურდა. მეცნიერებისა და ხელოვნებისკენ ხალხს ხიდი ჩატეხილი ჰქონდა. სწორედ ამიტომ ამახვილებდა უურადღებას ილია ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების ხალხისთვის მისაწვდომობაზე,—„ჩვენი საქმე საქართველოს სალხის ცხოვრებააო". ამდენად

აღნიშნული წერილი წარმოადგენს კრიტიკული რეალიზმის იმ პრინციპების შემდგომ თეორიულ-მეცნიერულ დასაბუთებასაც, რაც მას მოცემული აქვს ჯერ კიდევ ჟურნ. „ცისკარში“ დაბეჭდილ წერილებში. იგი მოითხოვს, რომ ხელოვნებაში „სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს“. ცხოვრებიდან მოწყვეტილმა „ოხვრის კვამლის“ პოეზიამ მოჰამა წუთისოფელი. ხელოვნება „დროა ჩაეიდეს ცხოვრების... ძირშია“. „იქ... ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა: არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა“.

ილია ჭავჭავაძემ პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა ხელოვნებაში ცხოვრების ასახვა და კარგის სააშკაროზე გამოტანის პრობლემა.

ილია ჭავჭავაძე ნამდვილი სახალხო ტრიბუნივით მოუწოდებდა: „ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთო“. „ლაფისა და ჭუჭყის ჩამორეცხვა“ გულისხმობდა: კოლონიური ჩაგვრის, ბატონყმობის, ცარიზმისა და ხალხის კულტურული ჩამორჩენილობის წინააღმდეგ მეცნიერებისა და ხელოვნების საშუალებით ბრძოლას. ეს იყო იმ დროის ყველაზე დიდი ისტორიული ამოცანა. იგი მიაჩნდა ილიას, როგორც დიდ მატერიალისტ ჰუმანისტს, არა მარტო გლეხობის, არამედ საერთოდ მთელი ერის კეთილდღეობისთვის ბრძოლადაც. ამიტომ წერდა ილია ჭავჭავაძე: „ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა... ხალხი დაბალი, თუ მაღალი—ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველას უნდა ვუშველოთ“. „ყველას შველად“ ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა მაშინდელ სოციალურ ბოროტებათა სასტიკად მხილება: „ბევრნი... ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

ყოველივე ამით, პირველმა ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკის პრინციპები საქართველოში.

„საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში მოთავსებულ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ და არა მხატვრულ ნაწარმოებთა იდეური ტენდენციები ნიშანდობლივია ჟურნალის სხვა ნომერში დაბეჭდილი მისი ნაწარმოებებისთვისაც. საკმაოა დავასახელოთ: „ქაცია-ადამიანი?!“ და „კაკო ყაჩაღი“ (პირველი ნაწილი). ცნობილი ლექსები: „გუთნის დედა“, „პოეტი“, „მას აქეთ რაკი შენდამი“, პოემა „აჩრდილის“ ნაწილი, „სხვადასხვას“ სათაურით დაბეჭდილი საშინაო და საერთაშორისო ამბების პოლიტიკური მიმოხილვები (№ 2,3 — ხელმოუწერლად), „რედაქციისაგან“ და სხვ.

„კაცია-ადამიანით“ ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურად მძაფრი კლასიკური სატირის ფუძემდებელი და დამამკვიდრებელი გახდა ახალ ქართულ ლიტერატურაში[24].

თუ „კაცია-ადამიანში“ სატირის ცეცხლს მიმართავს ილია ჭავჭავაძე ბატონყმურ-ფეოდალური სისტემის წინააღმდეგ, „კაკო ყაჩაღში“, ისე როგორც „გლახის ნაამბობში“, ასეთ მახვილს წარმოადგენს არასატირული ტიპიზაციის გზით გამხეცებული მებატონეების ფიზიკური განადგურებისკენ, სისხლისმღვრელი კლასობრივი შეტაკებისკენ მოწოდება.

„გლახის ნაამბობსა“ და „კაკო ყაჩაღში“ ახალი დროის ნამდვილ რაინდებად გვევლინებიან არა თავადაზნაურობის, არამედ გლეხობის წარმომადგენლები. სასიქადულო გმირობად და ვაჟკაცობად მიჩნეულია არასხვა რამ, არამედ თავაშვებული მებატონეებისადმი თოფ-იარაღით ანგარიშის გასწორება: „შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დავეცი“,—სიამაყის გრძნობით გადმოგვცემს ბატონის მოკვლის გამო გაბრო. ასევე თავმომწონედ ამბობს ზაქროც:

> მაშინ ჩემ თოფმაც გამოიქექა
> და შეუნგრია გულის-ფიცარი —
> იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა.

(თუმცა ეს ადგილები „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღის“ იმ ნაწილებშია, რომლებიც „საქართველოს მოამბეში“ არ დაბეჭდილა).

მნიშვნელოვანი მოვლენაა „გლახის ნაამბობში“ ბრძენი მთხრობელის როლში მებატონეების წინააღმდეგ მებრძოლი გლეხის გამოყვანა. მასში მაღალი ადამიანური იდეალებით გვევლინებიან ყმა-გლეხები, და ეს დიდი მხატვრული, რეალისტური ტაქტით არის ასახული.

„საქართველოს მოამბის“ სხვა თანამშრომლებსაც მეტ-ნაკლებად თითქმის ისეთივე პოზიცია უკავიათ, როგორიც ი. ჭავჭავაძეს.

„საქართველოს მოამბის“ თითქმის ყოველ ნომერში წარმოდგენილია სხვა თანამშრომელთა ისეთი მხატვრული თუ პუბლიცისტურ-ლიტერატურული, თარგმნილი ან ორიგინალური მასალა, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიმართულია უმთავრესად მეფის მთავრობის, მისი კოლონიური პოლიტიკის, ბატონყმობისა და ძველი

---

[24] ზოგჯერ ჰგონიათ, „კაცია-ადამიანში“ ხელის თითების მაგალითი კლასობრივი მორიგების ქადაგება იყოს. პირიქით, ილია ამბობდა: ხელის თითები მართლა არ უშლიან ხელს ერთმანეთს, მაგრამ ცხოვრებაში შეუძლებელია ეს: „თავადიშვილი კარგი რა არის, აბი რა იყოს“ („კაკო-ყაჩაღი“).

თაობის წინააღმდეგ. ამ მხრივ საყურადღებოა: კ. ლორთქიფანიძის (თერგდალეულის) რუსულად დაწერილი სტატია: „ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“, დ. ავალიშვილის* „სხვადასხვა ამბავი“, პ. ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები“, დავ. ყიფიანის „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალად“, გ. წერეთლის „ცისკარს რა აკაკანებდა?“, ი. ჭავჭავაძის (სპ. ჩიტორელიძის) „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“, ი. ბერიძის „უცნაური ნიშნობა“ და სხვ.

ცენზურის სიმკაცრის გამო კ. ლორთქიფანიძე კონკრეტულად არაფერს ამბობს საქართველოში ან თვით რუსეთში არსებულ სოციალურ უკუღმართობაზე, მაგრამ მისი წერილი „ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ („საქ. მოამბე“. № 11. 12) ყოველგვარ ჩაგვრას გმობს.

წერილი შეიცავს დემოკრატიული წყობილების დიდებას და ცარიზმის რევოლუციური გზით დამხობის ტენდენციებსაც. სტატია იწყება ლონგფელოს ალეგორიულ-რევოლუციური ხასიათის ეპიგრაფით: „ჩვენს ქვეყანაში არის დამონებული და დაბრმავებული სამსონი. ის ბორკილებისაგან ჭანცაგწყვეტილია. მაგრამ — ვაი! თუ მან ხელები აღმართა სიმწარისაგან გაცოფებულმა“. წერილში აღმაშფოთებლად არის მიჩნეული შავკანიანთა ბარბაროსული ექსპლოატაცია, ცემა, დასახიჩრება, მკვლელობანი. მონობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის დევნა და სხვ. მონები სიბნელესა და გაუნათლებლობაში ჰყავთ თორემ „უთუოდ ეცდებოდნენ... ბორკილის გაგლეჯასო“. წერილის ავტორის რევოლუციური პროტესტი, რასაც თვით საქართველოს სინამდვილეც აღძრავდა, უფრო მკვეთრად გამოთქმულია შემდეგ სიტყვებში: „განა კაცი ცხოველია... კაცს რომ დაუმონებია და ხან მიწას ახნევინებს და ხან აზიდვინებს?.. კაცი არც ცხენია და არც ღორი. ყოველი მოქმედება. რომელიც აგდებს კაცს უმეცრებაში და უშლის კაცად გახდომას... უღვთოობაა, სიმხეცეა, შემაძრწუნებელია“.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება „იმისთანა კაცებზე“ (რევოლუციონერებზე), რომლებიც „კომუნური დაწყობილების“ შესაქმნელად „გარეგან გარემოებების“ „ღობესავით გადამტვრევას“ ცდილობენ (ე. ი. ცარიზმის რევოლუციური გზით დამხობას).

---

* ეს წიგნი აწყობილი იყო, როცა ალ. კალანდაძემ დაადგინა, რომ დ. ავალიშვილი დავით ყიფიანის ფსევდონიმია, ხოლო სპ. ჩიტორელიძე არა მიხ. ყიფიანის, არამედ ი. ჭავჭავაძისა („საქართველოს მოამბეში“), რომ „სპირიდონის და თადეოზის ბაასი“ ეკუთვნის არა მიხ. ყიფიანს, არამედ ი. ჭავჭავაძეს.

დ. ავალიშვილის „სხვადასხვა ამბავი“ („მოამბე“, № 5), მიმართულია როგორც კოლონიურ-ნაციონალური, ისე კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. წერილი იწყება „ცნობის მოყვარეობის“, პოლიტიკური შეგნების ამაღლებისკენ შენიღბული წაქეზებით. „შენ რა გენაღვლება... მე რა მენაღვლებას“ სატირულ-ირონიული ფორმით ავტორი აღწევს როგორც ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობისკენ, ისე ბატონყმობის მოსპობისკენ მოწოდების გამოვლინებას, რასაც უშუალოდ საქართველოს უკავშირებს. „ჩვენ დროში ერთმა დიდმა აღრეულობამ იტალიისამ რაღაცა ნაციონალობის, ხალხობის აზრი წამოაყენა წინა, რომლის მოთხოვნილებასაც, მკითხველო, ჰეშმარიტი თერგდალეულობა ეტყობა... საკვირველია, რა ეშმაკი და ქაჯი დააყენებს თითქო ამგვარ ბოროტებასა (მთელი ხალხის აღრეულობა ბოროტებაა, მაშ რა არის?!)... საკვირველია, ხანდახან კაცობრიობა გაჰყვება ერთ-ორ ჰირვეულ კაცებსა, დაიჟინებს ხოლმე რასმე და მანამ თავის გასაოცარ უჯიათობას, თავის ჰირვეულ გულის წადილს არ აასრულებინებს ხოლმე, არ მოეშვება ხოლმე, არა და არა!..“

ასევე იყენებს დ. ავალიშვილი ამერიკის მონათმფლობელობისა და მის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობის ფაქტსაც,—იგივეობის ნიშანს სვამს მონათმფლობელობასა და ბატონყმობას შორის: ამერიკელი „ხალხის მომეტებულ ნაწილში თურმე თავისებური ბატონყმობა, ე. ი. ბატონ-მონობა არის. მონებად არიან ძველადვე იქა მცხოვრებნი, რომელნიცა სულ სხვა ფერის კაცები არიან“...

ავტორს სურს ეროვნული და კლასობრივი „ბატონ-მონობის“ საწინააღმდეგო მოძრაობა საქართველოშიც დაიწყოს, „მაგრამ სად არის შეძლება ჩვენი სურვილის ასრულებისა? ამას მოუსვენრობად მიიღებენ და შეგვიმუსრავენ ხოლმე ყოველს ამგვარ სურვილსა“.

დაახლოებით, ასეთივე ხასიათი აქვს პ. ნაკაშიძის „სამგზავრო წერილებს“ (№ 7), რომელიც პოლონეთის ეროვნულ-რევოლუციურ მოძრაობას ეხება. წერილი, ერთი მხრივ, გვიჩვენებს პოლონელების თავგანწირულ ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის. წერილში ჩაქსოვილია პოლიტიკური ცნობისმოყვარეობის გაღვიძებისკენ მოწოდების ტენდენცია, გამახვილებულია ყურადღება ცარიზმისგან თავისუფალი აზრის ჟანდარმულ დევნაზე, რაც ადამიანში უცნობთან უბრალო გასაუბრების შიშსაც კი იწვევდა. და-

ცინვით ამას პ. ნაკაშიძე „ფიჩხულობას" (პოლიტიკურ სმა-ჩაკმედილობას) უწოდებს: „ფიჩხულობა დიდი რამ სასარგებლო ნიჭი და ტალანტი არის".

დავ. ყიფიანის წერილში „სხვადასხვა ამბავი" (№ 4) გაბედულად არის წამოყენებული აზრის თავისუფლების პრინციპი, რაც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ რევოლუციური ამხედრებისკენ მოწოდებას უდრიდა: „მოიფიქრე ხოლმე შენს ქვეყანაზე, ქართველობაზე...,—მიმართავს დავ. ყიფიანი მკითხველს, — შენს ფიქრებს თავისუფლება ათხოვე და ნუ შეგეშინდება, იმ შენმა თავისუფალმა ფიქრებმა სადამდინაც უნდა მიგიყვანონ".

დავით ყიფიანი მოითხოვს საქართველოში „თავისუფალი შრომის" შემფერხებელი პირობების მოსპობას, რასაც „უთუოდა გრძნობს ქართველობის კეთილშობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათო". მაგრამ გაფრთხილებას იძლევა წერილის ავტორი, — თუ შეეცდებიან ფეოდალური სისტემის შენარჩუნებას, „მაშინ სხვა ღონისძიებას შეუდგება ლიტერატურა. აიღებს იმ სენსა, რომლის სენობაც ცხადია და დაუწყებს შიგნეგვამში კეპასა".

საგლეხო რეფორმა განხორციელებული იყო რუსეთის შიდა გუბერნიებში და დიდი წინააღმდეგობებით ტარდებოდა სხვაგანაც. რევოლუციურ-დემოკრატიულმა ლიტერატურამ ადრე დაიწყო ბატონყმობისა და ცარიზმის „კეპვა" რუსეთში. 60-იან წლებში იგივე პროცესი მიმდინარეობდა საქართველოშიც.

ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებური გამოხატულება იყო საქართველოში ახალი ქართული ლიტერატურისა და სალიტერატურო ენის დამკვიდრებისთვის ბრძოლაც; მთავარი დარტყმა „არისტოკრატიული ენისა" და ლიტერატურის წინააღმდეგ იყო მიმართული. დამახასიათებელია, რომ ანტონ კათალიკოსის არქაული ენა დავ. ყიფიანის მიერ გამოცხადებულია „ენის არისტოკრატად", „რომელსაც. დრო არის, რომა ყოველი კაცი ჰკიცხავდესო" („საქ. მოამბე", № 3). „დაკანონიერება, დაწესება ენისა იმდენად უნდა ვისურვოთ, რამდენადაც იმ ენისაგან არის შესაძლებელი, რომელზედაც მთელი ხალხი,—ქართველი, კაცი თუ იმერელი კი არა, — მთელი ქართველი ხალხი ლაპარაკობს". იგი ირონიით შენიშნავს ძველ თაობაზე: „დიდის ბღენძითა,.. ეს მეცნიერნი ბრძანებენ, რომა გაუნათლებელმა, ბრიყვმა სოფლელებმა... რაც ენა აბმარონ, მეც ისევე როგორ ვიხმაროვო? "

ანტიხალხური პოზიცია ენაში ხალხის ჩაგვრისა და პოლიტიკური ბოროტების გამოხატულებად არის გამოცხადებული დავ. ყიფიანის მიერ: „უკანონობა, უწესობა, დესპოტობა, როგორც სხვაში, ისე ენაშიაც საძაგლობააო".

რევოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციები საკმაო სიმახვილითაა გატარებული ავრეთვე გ. წერეთლის ცნობილ სტატიაში „ცისკარს" რა აკაკანებდა?" (№ 5). გ. წერეთელი, გმობს რა ცისკრის" სკოლასტიკურობას. აყენებს წმინდა პოლიტიკურ მოთხოვნას, რომელიც მაშინდელი წყობილების შეცვლას ითვალისწინებდა: „საზოგადოების არსებულ ფორმამ განვლო თავის საუკუნე, დაძველდა და ამის გამო უნდა მოისპოს და ანგადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ".

ილია ჭავჭავაძისა და „საქართველოს მოამბის" თანამშრომელთა რევოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციები ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჭეშმარიტებისაგან შორს ვიქნებით თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ქართული რევოლუციური დემოკრატიზმი არ არის რუსეთის გამეორება, მისი ასლი, რუსული რევოლუციური ძალისა და გაჭანებისა, არამედ სრულიად დამოუკიდებელი ეროვნული მოვლენაა: ქართული რევოლუციური დემოკრატიზმი არსებითად განსხვავებულ ნაციონალურ საწყისებზე ვითარდებოდა: მასში მთავარია ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის პოზიციიდან ცარიზმის დამხობისაკენ სწრაფვა. რასაც მახვილი ორგანიზაციული ფორმები არ მიუღია: ჩვენში არ ყოფილა პოლონეთის. იტალიის, უნგრეთის, ან ბულგარეთის მსგავსი ეროვნულ-გამათავისუფლებელი აჯანყებები: ყოველივე ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ 20—30-იანი წლების ქართული აჯანყებებითა და შეთქმულებებით დამფრთხალი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა 40-იანი წლებიდან საკმაოდ შემპარავი და მოქნილი გახდა; ადგილობრივი შეძლებული კლასები და ინტელიგენციის „ნაღები" უკვე გაიერთგულა კავკასიის კოლონიურმა მართველობა აპარატმა; ამ „ნაღებიდან" მოდის: „ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს"; სიბნელესა და სიბეჩავეში მყოფი ხალხის ამოძრავება და თვით ინტელიგენციის ხალხის საკეთილდღეოდ დარაზმვა, მეტად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამ განსაკუთრებული ისტორიული სიტუაციის გამოძახილია:

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გეღვიძოს ჩვენ გაღვიძება?!

ილიას და მისი თაობის ერთვნულ და სხვა თავისუფლებათათვის ბრძოლა ძირითადად მხოლოდ ლიტერატურის არენიდან ბრძოლის ჯასიათს ატარებდა, — მათ ოცნებად და მთავარ მიზნად რჩებოდა:

თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება,
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა!
(„აჩრდილი")

ამდენად გადაჭარბებად არ მოჩანს ილიას საყვედური სამშობლოსადმი: „ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!"

საზოგადოებრივი მოდუნებისა და ხმაჩაწყვეტილობის გამო წერდა ილია 1862 წელს: „თქვენ არ იცით რა ძალა აქვს საზოგადო ხმას: როცა ის კაცს აქეზებს, კლდეს გაარღვევინებს, სუსტს ახოვნებას აძლევს; და როცა ისევ ის ხმა ბოროტობს, თვით ახილესსა ქოსდრის კაცად თუ არა ხდის, დაასუსტებს მაინცა... მძიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის..., რომელიც თავის-თავის გარეითად, სხვაზედაცა ფიქრობს, სხვაზედაცა სწუხს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს"[25].

აქ გამოვლინებულია ქართველ სამოციანელთა აქილევსის ძალაც და სისუსტეც („აქილევსის ჭუსლი").

ჟურნალ „საქართველოს მოამბის" რედაქცია კარგად გრძნობდა, რომ საქართველოს მტკივნეულ სოციალ-პოლიტიკურ საკითხებს თვით იმ დროისთვის საჭირო სიღრმითა და სიმახვილით ვერ შეეხო. ჟურნალი ამაზე გადაჭარბებული თვითკრიტიკითაც კი გამოვიდა: „ყველაზე დიდი ნაკლოვანება ჩვენის ჟურნალისა ის იყო, რომ დროების ინტერესი არა ჰქონდა ...არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება,.. არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს... არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმც ზოგჯერაც სცადა... „მოამბემ" შორიდამ დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდამ გასასინჯავი იყო",—წერდა ი. ჭავჭავაძე ჟურნალის მე-11 ნომერში. იგი ერთგვარ იმედს გამოთქვამდა, რომ „კვლავ იქნება ჩვენს ჟურნალს დარი დაუდგეს და კარგი ნაყოფი გამოიღოსო". მაგრამ ჟურნალის არსებობა მე-12 ნომრის შემდეგ შეწყდა. ირკვევა, რომ მეფის მთავრობის სათანადო ორგანოები ჟურნალს გაფაცებით ადევნებდნენ თვალს და დახურვით ემუქრებოდნენ. ამაზე გადაკვრით, როგორც აღვნიშნეთ, ლაპარაკია ჟურნალში მოთავსე-

[25] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1941, II, გვ. 631.

ბულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან სტატიაში. თუმცა, მკაცრი ცენზურული დაბრკოლების მიუხედავად ჟურნალს თავი არ შეურცხვენია. — მის სულის ჩამდგმელთ „დიპლომიანი ლაქიობა“ არ გაჰხუჭნიათ. ილია ჭავჭავაძე ზემოდასახელებულ სარედაქციო წერილში გულწრფელად მიუთითებდა: „ჩვენ დავჩუმებულვართ და სვინდისისათვის არ გვიღალატნია“, „სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია“... და ამაში საეჭვო არაფერია: ილია ჭავჭავაძის სინდისი ყოველთვის წმინდა იყო.

დღეს ჩვენთვის კიდევ არაა მთელი სიზუსტით ცნობილი, თუ რა სახით მოხდა „საქართველოს მოამბის“ ასე სწრაფად დახურვა. მაგრამ რომ ეს ჟურნალის პოლიტიკურმა სიმახვილემ დააჩქარა, ეს საეჭვო არ უნდა იყოს; ამას გრძნობდა თავისი დროის ისეთი მოლიბერალო კრიტიკოსიც კი, როგორიც ნ. ბერძნიშვილია. აი, რას წერდა იგი გაზ. „კავკაზში“ ამ საკითხზე: „საქართველოს მოამბე“ „წავიდა ლიტერატურის არენიდან ისევე კეთილსინდისიერად, რაგორადაც შეუდგა მას... ძალაუნებურად იკითხავ: რა მიზეზების გამოა, რომ ძლივს მბეუტავი „ცისკარი“ დღემდე თავს იმაგრებს ლიტერატურის არენაზე და „მოამბე“ კი, ასე ბევრის დამპირებელი, ჩაჩუმდა ერთი წლის შემდეგ? ამაზე განა შეეძლოთ ეპასუხათ მათ, რომლებიც იკისრებდნენ გადაეწყვიტათ კითხვა: რატომაა რომ ზოგის უნაყოფო და უმიზნო ცხოვრება გრძელდება მრავალ ათეულ წელს, და ზოგისა კი, სავსე იმედებით, ძალითა და ენერგიით, წყდება ადრეულ ახალგაზრდობაში? ასეთ კითხვებს ჰაინე „დაწუეელილ კითხვებს“ უწოდებდა, რაზედაც იგი „პირდაპირ პასუხებს“ ითხოვდა. მაგრამ მათ ვერ იღებდა[26].

ნ. ბერძნიშვილისთვისაც „დაწუევლილი კითხვა“ აღმოჩნდა „საქართველოს მოამბის“ სწრაფად დახურვა და „პირდაპირი პასუხი“ ვერც მან გასცა, მაგრამ მიგვახვედრა კი, თუ რისი თქმაც სურდა.

სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ გ. წერეთლის უფრო გვიანდელი ცნობის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მთავრობის წრეებში „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლები „საშიშ ლიბერალებად“ ყოფილან მიჩნეულნი და დევნა-შეეიწროებას განიცდიდნენ[27].

„საქართველოს მოამბეზე“ მსჯელობის დამთავრებისას, საჭიროა აღინიშნოს ამ ჟურნალისთვის „ანტისომხური ნაციონალიზმის“

---

[26] გახ. „კავკახი“, 1872, № 3.

[27] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, აკ. აბაშიძე და „ჩვენი ახალგაზრდობა“, ჟურნ. „ქვალი“ 1897, № 46, გვ. 815.

მიწერის შესახებ: „საქართველოს მოამბეში",—წერს მკვლევარი პ. გუგუშვილი,—უკვე გამოსჭვივის ანტისომხური ნაციონალიზმი"[20] მას მხედველობაში აქვს განსაკუთრებით ი. ბერიძის „უცნაური ნიშნობიდან" ქართველი მებატონის სიტყვები, რომელიც ჩივის უველაფერს სომხები დაეპატრონენო. უნდა ითქვას, რომ ასეთი „ანტისომხური ნაციონალიზმი" გ. ერისთავსა და ზ. ანტონოვსაც მოეპოვებათ. რაც ცხადია ანტისომხური ნაციონალიზმი არ არის. ანტისომხური ნაციონალიზმი ჩვენში იყო, მას გაღატაკებული თავადაზნაურობა, წვრილი ბურჟუაზია და გზადაბნეული ინტელიგენცია ასაზრდოებდა. რასაც მეფის მთავრობა უმართავდა ხელს. ამას მკვლევარი არ უარყოფს. მაგრამ ანტისომხური ნაციონალიზმის მოწინავე ქართველი ინტელიგენციისთვის. კერძოდ, „საქართველოს მოამბისთვის" მიწერა, უბრალო გაუგებრობაა მსოლოდ. პირიქით. „საქართველოს მოამბე", ისე როგორც უველა ხალხისადმი, სომეხი ხალხისადმიც მეგობრობას ქადაგებდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ „საქართველოს მოამბეში" დაიბეჭდა XIII საუკ. სომეხი მწერლის კირაკოზ განძაკეცის ისტორიული ხასიათის ნაშრომი. ჟურნალის მეექვსე ნომერში მოთავსებულია ი. ოქრომჭედლიშვილის სპეციალური სტატიაც „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს". რომელიც სომეხი ხალხის ეროვნული თვითგამორკვევისთვის ბრძოლის დიდებას წრმოადგენს: „რვაას წელიწადზედ მეტია, რაც ნამდვილი სომხეთი დაეცა და იმისმა შვილებმა დაიცვეს მტკიცედ თავიანთი ენა... სომეხს უყვარს თავისი ენა და ცდილობს რომ ყოველი ღონისძიებით შეამკოს ეს სასურველი საგანი თავის სათნოებისა... ამავე სიყვარულზედ არის დაფუძნებული იმედი, რომელიც ძველადვე გულში ჩაინერგეს გაძევებულ ჰაოსიანთ თავის მამულის აღდგენისაო",—წერს ილია ოქრომჭედლიშვილი.

„საქართველოს მოამბეს" შეუწყვიტეს თავისი სახელოვანი არსებობა, თანამშრომლები მოეწყვნენ სხვადასხვა სამსახურში, მაგრამ უმეტესობას საზოგადო საქმე არ მიუტოვებია.

1863 წელს დაიწყო საქართველოში ბატონყმობის მოსპობისთვის მზადება ოფიციალურად. ი. ჭავჭავაძე, როგორც მოსალოდნელიც იყო, ყმების მიწიანად გათავისუფლების მომხრეთა უმცირესობაში მოექცა. დადასტურებულია, რომ თავად-აზნაურობის ერთ კრებაზე ილიას ამის გამო თავადებმა ხანჯლით მოკვლა დაუპირეს. იყო მეორე შემთხვევაც, როცა მოსალოდნელი იყო დუელი, მაგრამ მოწი-

[20] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 385.

სააღმდეგემ უკან დაიხია (გენერალ-მაიორმა ივ. მუხრანსკიმ) და ბოდიში მოიხადა ილიას წინაშე.

ილია დიდ მნიშვნელობას აძლევდა ბატონყმობის მოსპობას. 1864 წელს ილია ჭავჭავაძე მთავრობის განსაკუთრებული მინდობილობით ქუთაისში იმყოფება. იქიდან, უმების ჩამორთმევის მოლოდინით შეშფოთებულ თავადაზნაურობაზე ილია წერდა (1864 წლის 22 მაისს) მეუღლეს: „ამას კი მოგწერ, რომ ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ: აი, ესენი არიან ჩვენი დამღუპველებიო, უმების წამრთმევებიო, ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა პყრიან, ეს ვიღა გადამთიელი მოთრეულაო". თვით ილიამ და მისმა მეუღლემ უმები მიწიანად გაათავისუფლეს რეფორმის მომენტში. ამაზე თვით ილია გვაწვდის სარწმუნო ცნობას. 1905 წელს, როცა ჟანდარმერიის მოსყიდული აგენტები შეეცადნენ საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეეყვანათ და ილია ჭავჭავაძისათვის მიეწერათ გლეხობისადმი მტრობა, ილია წერდა: „მე საკუთრივ, ცოტა თუ ბევრი უმები მყავდა კახეთში, მაგრამ უმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლკარის მიდამო. მათი ხვედრი ვენახები უსასყიდლოდ დავუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის... ჩემმა მეუღლემაც გაყოფის დროს ისე გამოიწილადა მონაწილეთაგან მამული, რომ არცერთი ხიზანი, არც ერთი ნაყმევი არ ირგუნა".

თუ არ ჩავთვლით განსაკუთრებით წერილს „მეცხრამეტე საუკუნე", სადაც კერძო საკუთრება დაგმობილია, ილია ჭავჭავაძე, ისე როგორც თითქმის ყოველი განმანათლებელი, კერძო საკუთრებას არ უარყოფდა, მაგრამ ვერ ურიგდებოდა მის უკიდურესად უთანაბრო განაწილებას. 80-იან წლებშიც კი, როცა „ხმლისა და გუთნის" მცდარი თეორია წამოაყენა, კერძოდ, 1886 წელს „ხიზნების საქმესთან" დაკავშირებით ილია წერდა: „ბატონ-ყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო. საცა ცხადი და აშკარა უსამართლობაა, იქ სამართლიანობის პოვნა ყველასათვის ადვილია... სულ სხვა ამბავია, როცა, საუბედუროდ, ერთს ხელში მიწაა და მეორეში შრომა... აქ, თუ გნებავთ, უსამართლობა თვით სათავეშივეა"[29]. იგი ვერ ურიგდებოდა გლეხის მცირემიწიანობას და მით უფრო უმიწობას.

ილია ხედავდა ღარიბი გლეხობის არა მარტო დიდი მემამულეებისაგან, არამედ ბობოლა გლეხებისაგან ჩაგვრასაც: „მდიდარი და

[29] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი III, 1952, გვ. 307.

შემძლებელი გლესი შეუძლებელსა სჩაგრავსო". „თავი და ბოლო ავკაცობისა, რომლის შედეგი ძარცვა-მტაცებლობაა, ეკონომიური ჭირ-ბოროტი და გაჭირვება არის",—წერდა ი. ჭავჭავაძე 1879 წელს. ილია კარგად ხედავდა ქონების უთანაბრო განაწილების მავნე შედეგებს, მაგრამ მას გულწრფელად არ შეეძლო მოეცა მშრომელი ხალხის ხსნის სავსებით სწორი გზა. მაგრამ ილია ჭავჭავაძე არის არა ქალისა და მცონარების, არამედ სიფხიზლისა და ბრძოლის დიდი მასწავლებელი; იგი შემთხვევით არ წერს: „თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა".

* * *

„საქართველოს მოამბეში" მოღვაწეობის პერიოდში, 1863 წლის 21 აპრილს, ილიამ ცოლად შეირთო ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი, რომელსაც ამ დროს ახალი დამთავრებული ქონდა ქალთა ინსტიტუტი. მათ თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი. ილიასთვის ოლღა გახდა ცხოვრების საუკეთესო მეგობარი. ამას ბიოგრაფებისა და თანამედროვეთა გარდა, ადასტურებს ილიას მრავალრიცხოვანი წერილი ოლღასადმი. „მეუღლე ილიასი აღმოჩნდა ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველისმოქმედი, ყოვლის კეთილის თანაგრძნობელი, დიდად მოსიყვარულე თავისის სახელოვანი ქმრისა და მაღმერთებელი მისის ნიჭისა. სულ თვალსა და წარბში შესცქეროდა ოლგა ილიას და თავისნი დღენი იმას ცდილობდა, მისი საწყენი და უსიამოვნო არა მოექმედნა რა",—წერს ილიას ცნობილი ბიოგრაფი გრ. ყიფშიძე.

ილიამ ოლღას უძღვნა თავისი უბრწყინვალესი პოემა „განდეგილი".

ოლღა ჭავჭავაძისა საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა, მონაწილეობდა საქველმოქმედო საღამო-წარმოდგენების გამართვაში და სხვ.

1864 წელს ილია ითვლებოდა საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან. მის მოვალეობას შეადგენდა დასავლეთ საქართველოსთვის საგლეხო რეფორმის საკითხის მომზადება. 1864 წლის ნოემბრიდან იგი დანიშნეს მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში და ამ თანამდებობაზე დარჩა 1868 წლამდე. 1868 წლის თებერვალში ის ინიშნება დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ, სადაც მუშაობს 1873 წლის მაისამდე.

ილიასთვის აუტანელი ყოფილა ბიუროკრატიული სასამართლო, მაგრამ ეკონომიური ხელმოკლეობა აიძულებდა დრომდე არ მიეტო-

ვებინა იგი. „საქმე ეხება ისე მოეწყო, რომ რაც შეიძლება მალე მოკ-შორდე სუდის ნაწილის სიდამპლესა და სიმყრალესა... მარტო ეს მაწუხებს, რომ ცხოვრების სახსარი, სამსახურიდან რომ გამოვალ, ყი-ნულზე იქნება დაწერილი",—წერდა მეუღლეს ილია. „ეხლანდელი ჩემი მდგომარეობა ასეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეო-ბა არა მაქვს... დიდად ვწუხვარ... მაგრამ რითი ვიცხოვრო? ვაი, თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა-პურის შოვნის დევნაში, სამ-სახურს რომ თავი დავანებო"[30], — ატყობინებდა ილია კ. ლორთქი-ფანიძეს დუშეთიდან.

საგანგებო მინდობილობათა მოხელედ, მომრიგებელ შუამავლად და მოსამართლედ მუშაობის დროს ილიამ უფრო ღრმად შეისწავლა გლეხთა საკითხი, გლეხობის ყოფა-ცხოვრება, მათი ჭირ-ვარამი, შეკ-რიბა დიდძალი ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები, ახლოს გაეცნო ხალ-ხის მეტყველებას და ყოველივე ეს გამოიყენა თავის ამ პერიოდისა და შემდგომი წლების მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებში.

ილიას მრ[illegible]იგებელ შუამავლად და მოსამართლედ მუშაობა სპე-ციალური შესწავლის ღირსია. უამრავი საქმე, რაც მას გაურჩევია წლების მანძილზე ილია ჭავჭავაძეს წარმოგვიდგენს ღარიბი გლეხო-ბის თავგამოდებულ დამცველად.

1866 წელს გამოსვლა დაიწყო გაზ. „დროებამ", ხოლო 1871 წლიდან ჟურნ. „კრებულმა". „დროება-კრებულის" ირგვლივ თავი მოიყარეს გ. წერეთელმა, ს. მესხმა, ნ. ნიკოლაძემ, კ. ლორთქი-ფანიძემ, პ. უმიკაშვილმა და სხვ. ამ ჯგუფთან მჭიდრო კავშირი აქვთ ილია ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს.

1864 — 1875 წლებში, ე. ი. უბრალო მოხელის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, ილიამ შესძლო ახლოდ დაეწერა ან გადაემუ-შავებინა და გამოექვეყნებინა „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები" (1865 — 1867 წწ.), პოემა „ქართვლის დედა", „მგზავრის წერილები", „აჩრდილი", „გლახის ნაამბობი", „კომუნის დაცემის დღე". ხელნაწერის სახით თბილისში გავრცელდა „მამების" მამხილებელი ლექსები „გამოცანები", „კიდევ გამოცანები", „პასუ-ხის-პასუხი".

ბატონყმობის დროს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მთავარი თე-მა იყო ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა. რეფორ-მისშემდგომ პერიოდში კი მთავარი იყო ცარიზმისა და ფეოდალიზ-მის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა. ჯერ კიდევ რეფორმამდელ პე-

[30] ჟურნ. „მნათობი", 1933, № 8—9, გვ. 278.

რიოდში ილია ფიქრობდა, რომ კლასობრივი ჩაგვრის სამყარო მოისპობოდა, ძმობა დამყარდებოდა. ასეთი მისწრაფების ჩანასახად შეიძლება მივიჩნიოთ „აჩრდილის“ პირველ ვარიანტში (1858 — 1859 წწ.) ადგილი:

მოვა დრო, როცა მაგ შენ უფალსა,
შეუბრალებელს, ხარბსა, გულქვასა
თვისი დიდება, ამპარტავნება
ფუჭი, ამაო დაავიწყდება;
მაშინ გიხილავს უბრალოდ დასჯილს
სინანულითა გარდგეხვევა ძმას.

რეფორმამ გლეხობა მოატყუა. მიწის საკითხი კვლავ გადაუჭრელი დარჩა. ილია ჭავჭავაძე თავისი მხატვრული კონცეფციით იბრძვის რეფორმის ბოლომდე მიყვანისთვის; ამის გამოხატულებას წარმოადგენს ილიას სატირა „სცენები“ (1868). ილია სასაცილოდ იგდებს ყოფილ მებატონეებს, რომლებიც კვლავ ბატონყმური პრივილეგიების შენარჩუნებას ესწრაფვიან (მებატონის ქვრივი, აგრეთვე ქვრივის მაზლი). ნაწარმოებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უთავბოლოდ მოლაპარაკე ადამიანის გლახა ჭრიაშვილის დაუვიწყარი სახე: ჭრიაშვილი სასაცილოც არის და შესაბრალისიც. „სცენებში“ წარმოდგენილია „სათნო“ ნაბატონარისა და ნაყმევის სახეებიც (მოხუცი მებატონე და გლეხი იაკო შაიაშვილი).

ილია ჭავჭავაძე, როგორც მთელი ერის ბედნიერებისათვის მებრძოლი განმანათლებელი, აღშფოთებული იყო, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდშიც ეროვნული შეგნება შედარებით კვლავ დაბალ დონეზე იდგა; „იმერელი—იმერელია, გურული—გურულია, მეგრელი—მეგრელია, ქართლელი—ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან“,—წერდა ილია სტატიაში „ზოგიერთი რამ“[31].

ეროვნული კეთილდღეობისთვის ბრძოლას ილია ჭავჭავაძე ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით აწარმოებდა, როგორც დიდი განმანათლებელი, მაშინაც კი როცა მას ე. წ. „კლასობრივი ზავის“ აზრების წამოყენება უხდებოდა.

როგორც 60-იან ისე 70-იან წლებში ი. ჭავჭავაძისათვის მთავარია რევოლუციურ-ჰუმანისტური ტენდენციები; ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ქართვლის დედა“, „მგზავრის წერილები“, „აჩრდილი“ და „კომუნის დაცემის დღე“. „ქართვლის დედის“ ახალ რედაქციაში, დედის მონოლოგში, 1871 წელს ილიამ შეიტანა

[31] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 54.

თავისუფლების ოდა, რომელიც თავისუფლების კლასიკური სიმღერის ნიმუშად ჩაითვლება. თავისუფლების იდეა ზოგად ფილოსოფიურ გაგებამდე აჰყავს ილია ჭავჭავაძეს. ილიას რწმენით თავისუფლება ჩაგრულთა ნავთსაყუდარია, იგი „მშვიდობის ღვთაებაა", რომელიც მხოლოდ სისხლით, ე. ი. რევოლუციით მოიპოვება.

თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი.

თავისუფლების, ე. ი. „მშვიდობის" რევოლუციის გზით მოპოვების აზრი, როგორც ცნობილია, ილიას განვითარებული აქვს „მგზავრის წერილებში".

რევოლუციის ამ შესანიშნავი განმარტებითა და თავისუფლების ოდით ილიას მიერ აღიარებულია თავისუფლების არა ევოლუციური, არამედ მხოლოდ რევოლუციური გზით მოპოვების ! შესაძლებლობა და საჭიროება. ჯარის სიმღერის ახალ რედაქციაშიც იგივე იდეაა გატარებული:

თავისუფლების მშოვნელი
ამ ქვეყნად მარტო თოფია.

1871 წელს პეტრე ნაკაშიძისადმი მიწერილ ბარათში ილიაშ განსაკუთრებული აღტაცება გამოამჟღავნა ჯარის სიმღერისადმი, როგორც უფრო ხალხურისადმი: „მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილიაო"[32].

ზოგადსაკაცობრიო რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეალებმა მკვეთრი გამოვლინება პოვა პოემაში „აჩრდილი" და „კომუნის დაცემის დღე". ეს ნაწარმოებები 1872—1873 წწ. გამოქვეყნდა. ილია ისეთი ტიპის მოღვაწე იყო, რომელიც ყოველთვის თავისი დროის სა_ ზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების კურსში იმყოფებოდა; ეტყობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა პარიზის კომუნის ამბებს, აღტაცებული იყო კომუნართა გმირობითა და მამაცობით, პოეტი პარიზის პროლეტარიატის ბრძოლას „განახლების ძალთა" ბრძოლად მიიჩნევს, ბურჟუა-კაპიტალისტებს „მჩაგრავ ძალად" და მტარვალებად, კომუნის მარცხს „ისტორიის შეფერხებად".

„აჩრდილის" ბოლო რედაქცია (ისტორიული ნაწილის გარდა) 1872 — 1873 წლებში გამოქვეყნდა. ცვლილება შეტანილია განსაკუთრებით XIII — XIV თავებში. ბატონყმობა უკვე განვლილი ეტაპია. ამ თავებში ახლადაა წამოყენებული „შრომის ახსნის", „ქალთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილების მსხვრევისა" და „შრო-

[32] ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, სოხუმი, 1949, გვ. 36.

მის სუფევის" დამკვიდრების იდეა. ეს კი მწერლის არა ბატონყმობისადმი, არამედ ცარიზმისა და კაპიტალისტური სამყაროსადმი დამოკიდებულებას გამოხატავს ძირითადად. ის, რაც ილიას რევოლუციის შესახებ აქვს გამოთქმული „ალექსანდრე გაცაციზე" კომენტარიებში, „ქართველის დედაში", „მგზავრის წერილებსა" და „კომუნის დაცემის დღეში", კ ო მ პ ა ქ ტ უ რ ა დ არის წარმოდგენილი; პოემის მეცამეტე თავში ფეოდალურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციის სამყაროზე რევოლუციური ჭვით ნგრევის იდეას აყენებს:

Шрома, аѳ ქვეყნად ტყვედა პყробილი,

და სხვა.

რით უნდა ავხსნათ ის, რომ „კრებულმა" 1871 წელს დაიწყო გამოსვლა, 1871 წლის 29 მაისს დაწერილი ლექსი „კომუნის დაცემის დღე" კი გამოქვეყნდა მხოლოდ 1873 წელს („კრებული", № 5 — 6) და ისიც სათუთრით „პარიჟი". ხოლო პარიზის კომუნის დიადი ამბებით შთაგონებული „აჩრდილის" XIII — XIV თავები დაიბეჭდა იქვე 1872 წელს („კრებული", № 8 — 9)? აქ მთავარი უნდა იყოს საცენზურო პირობები. „კომუნის დაცემის დღეში" პირდაპირი მითითება იყო კომუნაზე და, ვიდრე სათაური არ შეუცვალეს, ეტყობა გაძნელდა ლექსის დაბეჭდვა, ხოლო „აჩრდილის" XIII—XIV თავებში რაკი ასეთი პირდაპირი მითითება არ იყო პარიზის ამბებზე, მიაღწიეს მის ადრე გამოქვეყნებას.

რატომ მოხდა, რომ ილიამ „კრებულში" (1872 წ., № 8—9) პირველად გამოაქვეყნა „აჩრდილის" XIII XIV თავები და არა თანამიმდევრულად, — რატომ არ დაიწყო ბეჭდვა პირველი თავიდან? პასუხი ერთი შეიძლება იყოს: უთუოდ ილია ყველაზე მეტ მნიშვნელობას აძლევდა პოლიტიკურად მახვილ ამ თავებს, უფრო ადრე ისინი გადაამუშავა და პირველადაც მათი გამოქვეყნება დააჩქარა.

როდის დაწერა ილიამ აღნიშნული თავები? „აჩრდილს" არც 1872—1873 წლებში გამოქვეყნებულ ნაწილში და არც ხელნაწერებში თარიღი არ უზის. ამდენად მისი პირველი ნაწილის 1872 წელს გადამუშავება მხოლოდ სავარაუდო თარიღია, კიდევ მეტი, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მისი გადამუშავება უფრო ადრე დაიწყო. XIII — XIV თავების დაწერის მიახლოებითი თარიღის დადგენაც კი შეიძლება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „აჩრდილის" XIII — XIV თავები დაწერილია დაახლოებით 1871 წლის მარტის ბოლო რიცხვებიდან 20 მაისამდე. რა იძლევა ასეთი დათარიღების საშუალებას და რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს მას? დათარიღე-

ბის საშუალებას გვაძლევს განსაკუთრებით XIII თავის შინაარსი და უფრო აზუსტებს მწერლის იდეური პოზიციის სიმახვილეს. რაკი XII თავში ბატონყმობის სიმკაცრეზე, ხოლო XIII-ში „შრომის ახსნაზეა“ ლაპარაკი, ერთი წუთით შეგვეძლო დაგვეშვა, რომ XIII თავიც ბატონყმობის მოსპობამდე იყოს დაწერილი, მაგრამ „აჩრდილის“ დათარიღებულ ხელნაწერებში არ არის XIII თავი. ბატონყმობის მოსპობამდე მის დაწერაზე ფიქრი იმას ნიშნავს, რომ ვთქვათ რუსეთის პირველი მემამულის, ალექსანდრე მეორის განჭრახვისთვის, — ყმების ზევიდან გათავისუფლებისთვის ეძღვნას ილიას მღელვარე რევოლუციური სტრიქონები:

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებული,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებული.

ვფიქრობთ, რომ ხაზგასმული სტრიქონები უშუალო გამოძახილია პარიზის კომუნართა ტრიუმფალური ბრძოლებისა პარიზის კომუნართა ბატონობის. დღეებში, უშუალოდ მათი ყოველდღიური ბრძოლის შთაბეჭდილებით უნდა იყოს დაწერილი:

შრომისა ახსნა — ეგ არის ტკივილი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრად იბრძვის.

ცხადი უნდა იყოს, რომ ამ სტრიქონებს ილია ვერ მიუძღვნიდა უკვე დამარცხებულ კომუნარებს. ეს სტრიქონები გარკვევით ასახავს არა განვლილ, არამედ მიმდინარე ბრძოლებს. ამდენად არის საფიქრებელი მისი კომუნართა გამარჯვების დღეებში დაწერის შესაძლებლობა.

პარიზის კომუნართა გამარჯვების მაგალითს შთაუგონებია პოეტისთვის ექსპლოატატორული სამყაროს რევოლუციის გზით დამსხვრევის აუცილებლობა. პირველად ილიას შემოაქვს ქართულ ლიტერატურაში რევოლუციურ აჯანყებათა სიმბოლური პოეტური ცნებანი: „ხალხთ ბორკილის მტვრევა“, „დათრგუნვა-მონობის“, „კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი“, „განახლების გრიგალი“ და სხვ. პარიზის კომუნის მიმდინარე ბრძოლების დღეებში იწერება სტრიქონები:

ვეღარ გახეძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
და დაისავრევა იგი ბორკილი.

და სხვა.

პარიზის კომუნის მიმდინარე ბრძოლების დღეებშია დაწერილი აგრეთვე სტრიქონები:

აღღო აღღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზეადმა საუკუნემა
უსკა შვას იგი შრომის სუფევა.

ცხადია, ილიასათვის უცხო არ იყო რევოლუციურ-ჰუმანისტური იდეები. ასე უნდა განვსაჯოთ პარიზის კომუნის ამბებით აღძრული „შრომის სუფევის" სამყაროს იდეალებიც:

უველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.

აშკარაა, რომ „ცხვარსა და მგელში" იგულისხმება ყოფილი ჩაგრული და მჩაგვრელი, რომლებიც, პოეტის კონცეფციით, „შრომის სუფევის" სამყაროში აღარ იქნებოდნენ ჩაგრულ-მჩაგვრელი. „წართმეული ნიჭი" (ქონება და უფლება) დაუბრუნდებოდა მშრომელს და ყველა აღმოჩნდებოდა თანაბარ პირობებში. უკლასო ჰუმანისტური საზოგადოების იდეალს გულისხმობს XIV თავში:

მაშინ. მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწვე, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.

XIII — XIV თავების იდეური მიზანდასახულობა ამდენად არსებითად განსხვავდება „აჩრდილის" 1859 — 1860 წლების რედაქციის XIX თავის ჩამოუყალიბებელი. ქრისტიანული სოციალიზმის „მიტევების კონცეფციისაგან".

XIII — XIV თავებით პარიზის კომუნართა ბრძოლებისადმი ნამდვილი რევოლუციურ-ჰუმანისტური გამოხმაურებით აიხსნება, რომ პოეტმა მძიმედ განიცადა კომუნის დაცემა, რაც ჯერ ცოლისადმი გაგზავნილი წერილის პატარა ფრაზაში გამოვლინდა: „მ ე წ უ ი ნ ა ძ ა ლ ი ა ნ ფრანცუზების დამარცხება, მაგრამ რა გაეწყობაო". „კომუნის დაცემის დღეში" თავის ამ განცდას ილიამ

მაღალი პოეტური განათება მისცა. ახლა აშკარა უნდა იყოს, რომ XIII — XIV თავები არ წარმოადგენს ილიას ლექსის პირდაპირ პარალელიზმს პარიზის კომუნაზე. პირიქით, ამ ლექსში არის გამოყენებული ზოგიერთი პოეტური სახე, განსაკუთრებით, XIII თავიდან. აქ ლექსთან პარალელიზმზე არ შეიძლება ლაპარაკი მარტო იმიტომაც, რომ აღნიშნულ თავებში ლაპარაკია „განახლების გრიგალისაგან“ „მძარცველობის“ სამყაროს გარდუვალ აფეთქებასა და ამის შედეგად, „შრომის სუფევის“ დამკვიდრებაზე; ხოლო ლექსი ამ „განახლების ძალთა“ „შედგომის“ სიმწვაეზე უსვამს ხაზს.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის რევოლუციურ-ჰუმანისტურმა მისწრაფებებმა, რაც 60-იანი წლებიდან მომდინარეობს, ახალი ხალით პოვა გამოვლინება „ქართველის დედაში“, „მგზავრის წერილებში“, „კომუნის დაცემის დღეში“ და სხვ., მაგრამ მთელი სისრულით იჩინა თავი „აჩრდილის“ XIII — XIV თავებში, რომლებიც უშუალოდ პარიზის კომუნის „პირველი პროლეტარული სახელმწიფოს“ დიდი ისტორიული გამარჯვების დღეებში იწერებოდა, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე ლექსი „პარიზის კომუნის დაცემის დღე“.

თუ რაოდენად ნიშანდობლივია 70-იან წლებში ილიასთვის წმინდა რევოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციები, ამას არანაკლებად ადასტურებს პამფლეტის ჟანრის ტრადიციის შემქმნელი მისი ცნობილი „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და, კიდევ უფრო, „პასუხის პასუხი“ (1871—1872 წწ.). მათ უშუალოდ ცარიზმის მუნდირიანი ბობოლების გამყიდველობის გამანადგურებელი მხილება ჭონდათ მიზნად; ამიტომაც ეს ლექსები ხელნაწერის სახით ანონიმურად ვრცელდებოდა. თუ ავტორი გამომჟღავნდებოდა, მეფის მთავრობის გადაგვარებული ლაქიებისგან, როგორც თვით ი. ჭავჭავაძე, წერდა დაით ერისთავს 1871 წლის 11 დეკემბერს, მოსალოდნელი იყო ყოველგვარი სისაძაგლე. ილია მოითხოვდა ზუსტად დაცულიყო კონსპირაცია ავტორის ვინაობაზე: „დათიკო! გიგზავნი გამოცანებს... საქმე იმაშია, რომ არავინ არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა არ უნდა იცოდეს ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენიცი როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება,—ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში“. ილია კვლავ უსვამს ხაზს იქვე: „მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ

ჩვენდა სამტროდ „ინინი" ყოველს ფერს სიმურტლეს იკადრებენ". როგორც ცნობილია, ილიას გამოესმაურა აკაკიც და რეაქციის ძალებსაც არ დაუყოვნებიათ: „ამ ზემოთ მოხსენებულ ლექსებს გარდა, — ვკითხულობთ 1872 წელს ჟურნ. „მნათობში" (№ 6 — 7), — სხვა ხელნაწერი ლექსებიც ბევრი გამოვიდა ორიოდე ძველი და ახალი თაობის მომხრეებისა".

ილია ჭავჭავაძე 60 — 70-იან წლებში, ისე როგორც შემდეგშიც, უპირატესობას ანიჭებს იდეურ მშვენიერებას ხელოვნებაში, რაც არ გამორიცხავს მხატვრულ ოსტატობას. მას არ სწყამს მშვენიერი, როგორც წმინდა ფორმა. მშვენიერი ილიას გაგებით ფორმისა და იდეის (= შინაარსის) ორგანული მთლიანობით იქმნება: ამას მოწმობს მოთხრობა „კაკოს" (1858—1859 წწ.) ავტოგრაფში ავტორის მიერ გადახაზული ერთი ადგილი: „მშვენიერებაში ისმის ფშვენია დიდის შემოქმედისა... უეცბრო სიბრძნე ასულდგმულებს ფორმას, ცოცხალ და შესაფერ სულითა.. სადაც ფორმაა და არ არის იქ შესაფერი იდეა, იქ მშვენიერებაც (არ) არის. აი, რით აიხსნება, ის რომ ვხედავთ ხოლმე მშვენიერს და ზოგი მათგანი არამც თუ მიგვიზიდავს ჩვენ. სრულიად განირიდებს ჩვენს გულს ხოლმე, იმიტომ, რომ უახლოვდებით მას რამდენსაც, იმდენს უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ სული და ტანი შეუსაბამოდ შეკავშირებულან"[33].

1864 წელს იბადება საქართველოში ბანკის დაარსების აზრი, რაც 1867 წელს გადაწყდა კიდეც. 1872 — 1873 წლებში კი შეუდგნენ პრაქტიკულად მის განხორციელებას. 1873 წელს ილია დუშეთიდან თბილისში ახალი გადმოსული იყო. მას დაევალა ბანკის წესდების შემუშავება. ამ მიზნით 1873 წლის ზაფხულში იგი მიავლინეს რუსეთში, სადაც 1874 წლის გაზაფხულამდე დარჩა. ეს დრო გამოიყენა და ასე საფუძველი ჩაეყარა შექსპირის ქართულად თარგმნას, რაც შემდეგში ბრწყინვალედ დააგვირგვინა უკვე დამოუკიდებლად ივანე მაჩაბელმა.

[33] საქ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერი S—4996, ფ. 28.

ილია შექსპირით სტუდენტობის დროსვე ყოფილა გატაცებული. 1858 წელს პეტერბურგში დიდი გაბმაურება ჰქონია ზანგი მსახიობის ირლიჯის გასტროლებს, კერძოდ, მის მეფე ლირს. 1857 წელს, როცა ილია ავადმყოფობის გამო რამდენიმე თვით სამშობლოში დაბრუნდა, „მეფე ლირიდან“ ცოცხალი სურათები დაუდგამს. მონაწილეობდნენ ალ. ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი სოფიო, ვაჟიშვილი დავითი და სხვ. მეფე ლირის როლი თვით ილიას შეუსრულებია. შექსპირით გატაცება აშკარად ჩანს, კერძოდ, ილიას პირველ ცოცხალ სტატიაშიც. კოტლოვის „შეშლილის“ გოგოს დრამატიზმის სიყალბის, — მისი კნავილისებური „ჩიჩილისა“ და „ტანჯვის“ ხაზგასასმელად დრამატიზმის კლასიკურ ნიმუშებს შექსპირიდან ასახელებს: „აბა შექსპირის ოფელია აიღეთ, ან კაროლი ლირი... იქ, თუმცა შექსპირი არ ამბობს, რომ ჭკვიდამ შეშლილები არიანო, მაგრამ... მაშინვე გაიგებთ შესაბრალებელს შეშლილ ადამიანის სულის მდგომარეობას“.

შექსპირით დიდ გატაცებას გამოხატავს ილიას სიტყვები: „ოჰ, რა კარგი რამ არის შექსპირი, გულთამხილავს რომ იტყვიან, სწორედ ის არის“,—სრულიად მოულოდნელად წერს ილია 1881 წლის დეკემბრის „ივერიის“ მიმოხილვაში.

ბანკში მუშაობის პერიოდში ილია კიდევ უფრო ფართოდ ჩაება ქართული მწერლობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისა და კულტურული ცხოვრების ფერხულში.

1877 —1887 წლები წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის მესამე პერიოდს. ამ დროსვე დაიწყო ილია ჭავჭავაძემ ფართო ხასიათის პუბლიცისტური საეურნალო მოღვაწეობა, რაც შემდეგ წლებშიც გრძელდება.

1877 — 1887 წლებში ილია ჭავჭავაძემ შექმნა: „დიმიტრი თავდადებული“. „სარჩობელაზედ“, „განდეგილი“, „ბაზალეთის ტბა“, „ოთარაანთ ქვრივი“. შემდეგ იმდენად მნიშვნელოვანი არაფერი მოუცია მხატვრულ შემოქმედებაში.

აღნიშნულ პერიოდში ილია ჭავჭავაძე კვლავ ფართო მნიშვნელობის ეროვნული და სოციალური პრობლემების არეში რჩება.

1877 — 1879 წლებშია შექმნილი პოემა „დიმიტრი თავდადებული“. პოემის ჩანასახს წარმოადგენს პირველვარიანტები „მეფანტურეზე“, რომლებიც ილიას ჯერ კიდევ 1860 წელს დაუწერია რუსეთში ყოფნის დროს. „მეფანტურეში“ წამოწყებულია თხრობა იმ დროზე:

ოდეს გქონია თავისუფლება
და არ გეცოდნია უცხოთ პონება.

ამ ქარგაზეა აგებული „დიმიტრი თავდადებულშიც“ მეფანდურის წინასიტყვა. პოემაში ახალია დიმიტრი მეფის თავგადასავალი და ეპიზოდი ბერიკაცზე. დიმიტრის თავგადასავალი ილიას აღებული აქვს „ქართლის ცხოვრებიდან“ და გასხივოსნებულია სოფლის მთავრის იმ ნაამბობის მოხდენილი გამოყენებით. რაც მას ბავშვობისას ჩარჩა მეხსიერებაში. დიმიტრი მოცემულია ისეთ მეფედ, რომელიც თავის ხალხს სწირავს სიცოცხლეს: ბერიკაცით კვლავ ხალხი განადიდა ილიამ ისტორიაში. მწერალს იგი პირობითად აქვს შეტანილი და ისტორიულ წყაროებს არ ემყარება. მაგრამ კარგად გამოხატავს მწერლის ხალხურ მისწრაფებას: ერის „ოფლისმღვრელ და ტვირთმძიმეთა“ წარმომადგენელი მოითხოვს დამპყრობლის წინაშე არა ქედის მოხრას, არამედ მის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას.

სამშობლოს ბედნიერი მომავლისკენ სწრაფვა წარმტაცად გამოხატა ილია ჭავჭავაძემ ბალადაში „ბაზალეთის ტბა“ (1883 წელი). ერის ცრემლად დასახა პოეტმა გალეგენდარებული ტბა, რომელიც ხალხს დაუდენია იქ თამარის მიერ ჩადგმულ ოქროს აკვანზე. პოეტის განსაკუთრებული გულისხმიერების საგანი ის ყრმაა, რომელიც ამ აკვანში წევს:

ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი.

80-იანი წლებიდან განსაკუთრებით იზრდება ილიას როგორც ერის ბელადის სახელი; უამრავი ბარათი ქართველ თუ უცხოელ მოღვაწეთაგან, რიგითი ადამიანებისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ მოგონებებზე და სხვა წყაროებზე, ილიას სახელის არაჩვეულებრივ ზრდას მოწმობს: რაზე არ მიმართავენ თუ წერენ ილიას რჩევისა და დახმარებისათვის, საზოგადოებრივ თუ სხვა საქმეში მონაწილეობისათვის; ასრულებენ ილიას დავალებებს. ილიას ვენაში მყოფი ი. ოქრომჭედლიშვილისათვის დაუვალებია შეეტყო „ვისრამიანის“ ორიგინალობაზე თუ თარგმნილობაზე ხომ არავინ იცოდა რაიმე საყურადღებო: „მკითხავ, — პასუხობს ოქრომჭედლიშვილი, — ხო არა იცი ვისრამიანზედაო, ან მანდ მოიკითხე მანდაურ მეცნიერებშიო,... აქაური მეცნიერები... შორიდან მტრებს აბრმავებენ, ახლოდან კი თავიანთ პატრონებს. ამ მხრით არაფერ შემწეობას

არ უნდა მოველოდეთ. ამ საქმეს ჩვენ თვითონ უნდა შეუდგეთ და დაეწყოთ საქმე ანი-დგან..."[34] ოქრომჭედლიშვილი წერდა იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეს საქმე, ან ძეგლების გამოცემა და შემდეგ მოულოდნელად გამოჩნდება ილიას პიროვნებასთან დაკავშირებული დეტალი: „ვიცი მოცლა არა გაქვს,— წერს ოქრომჭედლიშვილი, — მაგრამ რასა იქ, აბა ერთი სხვა კაცი მიჩვენე, რომელსაც შენსავით ასტკივდეს გული ქართულ საქმეზე". ან ავიღოთ ქართული მწერლობის ერთი მოამაგის, ილია ალხაზიშვილის ბარათი ილიასადმი: თქვენ მოიწონეთ ჩემი კორესპონდენციები, წერს იგი, ახლაც გიგზავნით, ამასთან გაცნობებთ, რომ მოსკოვში ვაპირებ წასვლას საფარმაცევტო სასწავლებელში შესასვლელად, წასვლის წინ „გეახლებით თბილისში... მომიტევეთ, ჩემო ლმობიერო ხელმწიფევ, რომ გიკადნიერდებით და ბევრს გაწუხებთ, მაგრამ რა ექნათ, თქვენს მეტს ვის მივმართოთ, რახან გიტვირთიათ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ბედის გაძღოლა, შემწუხებელიც ბევრი გეყოლებათ, მე არ ვარ პირველი და უკანასკნელი"[35], — წერს ი. ალხაზიშვილი 1889 წლის 21 იელისს ახალციხიდან. მსგავსი მაგალითები მრავალრიცხოვანია.

80-იან წლებში ილია ჭავჭავაძე ღრმად მომწიფებული მწერალია. რეფორმის შემდეგ საკმაოდ დიდმა ხანმა განვლო, მაგრამ მშრომელი ხალხის ცხოვრებაში გაუმჯობესება არ მომხდარა. ქვეყნის კაპიტალიზაცია უფრო შესამჩნევი ხდება, თუმცა ფეოდალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ მძლავრობს. ცარიზმის, როგორც რეაქციის ბურჯის. შეტევა ხალხსა და პროგრესულ ინტელიგენციაზე ახალ ფორმას იღებს, — კიდევ უფრო ძლიერდება. ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე, კიდევ მეტად აფართოებს თავის დაკვირვებას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. იგი ვერ ურიგდება ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრას. დიდი მწერალი ეძებს მოწინავე კაცობრიობის ბედნიერი ცხოვრების გზას. 1873 თუ 1874 წლის 15 იანვარს ილია ცოლს რუსეთიდან მეფის მთავრობის მოხელეებზე სარკაზმით წერდა: „დასწყევლოს ღმერთმა აქაურობა თავის სამინისტროებითა... რას უზამ იმისთანა ხალხს, რომლებისთვისაც ღმერთს, არც მოტვლეპილს კეპაში ტვინი ჩაუდვია და არც მყრალს გულში გრძნობა... ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი ამათ ბრჭყალებიან ხელში ჩავარდნისაგან. ვერ

---

[34] საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი № 170, (ილიას ფონდი).

[35] იქვე, № 187.

წარმოიდგენ რა ხალხია. ღმეჩია, ღრეჩია, ფლიდი და მურტალი, ერთი-ერთმანეთს ასხედან და რუსეთის იმპერიის საქმეს განაგებენ“[36].

მემამულურ-ბურჟუაზიული გარემოცვის უსულგულო ეგოიზმის, სულიერი დაცარიელების, ზნეობრივი გახრწნილებისა და პოლიციური დესპოტიზმისადმი ილიამ ბოლომდე შეინარჩუნა ზიზღი, რაც კლასიკურად ჩააქსოვა თავის მხატვრულ და პუბლიცისტურ თხზულებებში. ამ მხრივ დიდ ყურადღებას იქცევს მოცულობით პატარა მოთხრობა „სარჩობელაზედ“ (1879). ულმობელი ბრალმდებელი ხელს ადებს რეაქციულ მემამულურ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ სისტემას, რომელიც ათახსირებს ადამიანს და ხალხის „აღზრდის“ საშუალებად სახრჩობელები გაუჩენია.

მოთხრობა „სარჩობელაზედ“ ტრაგიკულს, ადამიანის სიკვდილით დასჯის საშინელებას ამხილებს არა მარტო დრამატული ხასიათით (უმცროსი ძმა), არამედ კომიკურითაც (პეტრე). მკითხველს ეღიმება პეტრეზე, რომელსაც სურდა თავისი თვალით ეხილა ადამიანის ჩამოხრჩობა და ნახა კიდეც, მაგრამ არ დაიჯერა; ქეთილ პეტრეს ვერ წარმოუდგენია სახრჩობელაზე ადამიანის კატასავით ჩამოკიდება.

ილია ჭავჭავაძის ფართო ჰუმანისტური იდეალები ახალი მხატვრული ჟღერადობით გამოვლინდა პოემა „განდეგილში“. იგი დაიწერა 1882—1883 წლებში, დაიბეჭდა 1883 წელს; ავტორი შემთხვევით არ უძღვნის მას თავისი ცხოვრების საუკეთესო მეგობარს ოლღა ჭავჭავაძისას. პოემა ამაღლებული სიმღერაა საღი ადამიანური ცხოვრების მშვენიერებაზე, რაც ილია ჭავჭავაძემ წარმტაცი ქალიშვილის მხატვრულ სახეში მოათავსა. სიცოცხლით აღსავსე ულამაზესი ქალწულის ერთი გაელვება მწირის სადგომში საკმარისი აღმოჩნდა ერთბაშად დაფერფლილიყო მისი ასკეტიზმი. ცხოვრებიდან განდგომილ, რელიგიური დოგმებით შეიარაღებულ, სულისათვის სორცით ნაწამებ მწირზე იმარჯვებს უბრალო მწყემსი ქალიშვილი. განდეგილი დაიმორჩილა მწყემსი ქალის დამატყვევებელმა მშვენიერებამ.

„განდეგილით“ ილია ჭავჭავაძემ არარაობად აქცია ცხოვრებიდან გაქცევის, ასკეტიზმის „ფილოსოფია“. იმავე დროს ფარდა ახა-

---

[36] საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A:1720/1.

და კლასობრივი ჩაგვრის სამყაროს. როგორც „ცოდვის საუგურს“.

სად ცოდვა კაცსა სდევნის ღღე-და-ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;

„განდეგილი“ ქართული პოეტური ეპოსის შედევრია. იგი შეუთხვევით არ უთარგმნია „ევფხისტყაოსნის“ მთარგმნელ ინგლისელ მწერალ ქალს მარჯორი უორდროპს. პოემის თითქმის ყოველ თავს ახალი სხივი შეაქვს ნაწარმოების სიუჟეტურ-კომპოზიციურ აგებულებაში. ამაღლებულ ეპიურ თხრობას, რაც პირველი თავიდან იწყება, IX თავიდან ცვლის მარტივი ცხოვრებისეული დიალოგები, რითაც სულ ახლოს განვიცდით პოემის გმირების სუნთქვას. დიდი ეპიური ტაქტით არის შესრულებული, ერთი მხრივ, ცხოვრების სიტკბოებით მოხიბლული უმშვენიერესი ქალწულის გატაცებანი, ხოლო, მეორე მხრივ, მომხიბლავი ქალწულის სინატიფით დამარცხებული მწირის სულიერი კატასტროფა.

უშუალოდ რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს კლასთა შორის ურთიერთობის საკითხებს მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალე მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ (წერა დაამთავრა 1887 წელს, დაიბეჭდა 1888 წელს)[37]. ილია ჭავჭავაძე ყოველთვის იჩენდა საქართველოს ცხოვრების მოწესრიგებისადმი ინტერესს, 80-იან წლებში ამის ახალ გამოხატულებას წარმოადგენს, პირველ ყოვლისა 1877 წელს „ივერიის“ დაარსება და თანდათანობით მასში მისი ცნობილი პუბლიცისტური წერილების ბეჭდვა. „ოთარაანთ ქვრივი“ თავისებური სოციალური ტრაქტატია.

კლასთა ბრძოლას ზოგადად არასოდეს არ უარყოფდა ილია ჭავჭავაძე, დიდ მნიშვნელობას აძლევდა მის უმაღლეს ფორმას რევოლუციას, აღფრთოვანებით შეხვდა პარიზის კომუნართა გამარჯვებას, 90-იანი წლებიდან ცდილობს ჩაწვდეს მარქსიზმის არსს და სხვ. მაგრამ 70-იანი წლებიდან განსაკუთრებით, როგორც ცნობილია, „კლასთა ჰარმონიის“ ქადაგებს საქართველოს მიმართ („ცხოვრება და კანონი“ და სხვ.). საქართველოს ეროვნული სიმტკიცისა და მთლიანობის ინტერესები მას უკარნახებს ამტკიცოს, რომ საქართველო გამონაკლისს წარმოადგენს, სადაც დას-დასად დაყოფა არ ყოფილა. განსაკუთრებული უპირატესობით არ სარგებლობდა არც ერთი წოდება, ამდენად მოსპობილი იყო წოდებათა შორის შეხეთქებაც

[37] როგორც აღმოჩნდა, „ერთი ხანა მოთხრობიდამ „ოთარაანთ ქვრივი“, გამოუქვეყნებია ილიას 1886 წელს („ივერია“, 28/IX); ეს თავი საბოლოო რედაქციის VII თავს („ჯაფარი დედისა“) უდრის; სხვაობა ბევრე სტილისტურ ნიუანსებშია.

საფუძველიც,—არ ჰქონდა ადგილი კლასთა ბრძოლას. წოდებათა შორის წინააღმდეგობა გაჩნდა ჩვენში ძირითადად მხოლოდ მე-19 საუკუნიდან. მაგრამ არც ისე მწვავედ. რომ მისი გადალახვა საქართველოში არ შეიძლებოდეს ქართველების ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ნიადაგზეო. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ილიამ მშრომელ გლეხობაზე ზრუნვა დაივიწყა და საერთოდ, დათმო პროგრესული პოზიციები? არა! ილია ხელს უწყობდა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას და არა ფეოდალიზმის დაბრუნებას.

იგი ხედავდა. რომ საგლეხო რეფორმამ მოატყუა გლეხობა, — გლეხი კვლავ მიწის მეპატრონეზე დამოკიდებული აღმოჩნდა.

ილია ჭავჭავაძე შევიწროვებულად თვლის თითქოს ორიენ წოდებას. მაგრამ აქცენტი მშრომელი გლეხობის მძიმე მდგომარეობაზე აქვს გადატანილი: „შფოთებამ ამ ორ წოდებათა შორის უსიამოვნობა დათესა და საჩივრებმა კიდევ თავი მოაბეზრა მ ე ბ ა ტ ო ნ ე ს და გ ლ ე ხ ს ა ც ა... **რასაკვირველია, გლეხს უფრო, ვ ი დ რ ე მ ე ბ ა ტ ო ნ ე ს ა.** იმიტომ რომ გლეხი დღიური მუშა-კაცია და იმისათვის საჩივრებისა გამო აქა-იქ თრევა და ტანტალი ლუკმა-პურის დაკარგვაა“[38]. ნახევრად ბატონყმურ და ნახევრად კაპიტალისტურ ვითარებაში, ილია უტოპიურად ფიქრობს წოდებათა შორის წინააღმდეგობის მოსპობას. ეს წინააღმდეგობანი თითქოს კერძო ხასიათისაა, პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზეზებს მოწყვეტილი. უბრალო. „ავგულობასაო“, „სიხარბესაო“ და „უნამუსობაზეაო“ დამყარებული. ამდენად მისი გადალახვა თითქოს იოლად შეიძლება „ნამუსის ქუდის“ კვლავ თავზე დახურვის გზით: ვამბობთ, „ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას“, ერთმანეთში „ნათელ მირონობაც“ აქვთ და მისთ. „ამას ხ ე ლ ი ს შ ე წ ყ ო ბ ა ჰ მ ა რ თ ე ბ ს და ა რ ა ხ ე ლ ი ს შ ე მ ა რ თ ვ ა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ **ჩვენში გლეხი, თავადი, აზნაური თუ მღვდელი უველგან ეგრე ძმურად სცხოვრობენ. არა,—ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება,** ხოლო დიდი შეცდომა იქნება, ამისი მიზეზი თითონ წ ო დ ე ბ ა თ ა წ ყ ო ბ ა ს... მივაწეროთ ამისი მიზეზი იგივეა, რაც თვითოეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა“[39]. გასაგები ხდება, თუ რატომ დასვა წოდებათა ურთიერთობის საკითხი მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“. მაგრამ, ცხადია, ეს მოთხრობა არ არის მის პუბლიცისტურ ნაწერებში მოცემული „კლასობრივი ზავის“ თვალსაზრისის მხატვრული ილუსტრაცია.

---

[38] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 234.

[39] იქვე, გვ. 259—360.

კლასობრივი შეთანხმების იდეა ქართველი ხალხის შესამჭიდროებლად იყო გამიზნული. მაგრამ რეალისტი მხატვარი იმასაც ხედავდა, რომ ცხოვრება მწვავე წინააღმდეგობებით იყო აღსავსე: ვერც კესოს სინანულის ცრემლებმა, ვერც არჩილის რწმენამ, რომ ამ ცრემლებს თითქოს იმ ტივის მოტანა შეეძლო, რომელიც ამ ორ წოდებას შორის „ჩატეხილ ხიდს" გააერთებდა, ვერც გიორგის სიყვარულმა, რაც მას თან ჩაიტანა სამარეში. „ჩატეხილი ხიდის" გამთელების თვალსაზრისი ობიექტურ იდეად ვერ აქცია. გიორგის ლოიალობა არჩილისადმი, მისი უხეში დამოკიდებულება მოჯამაგირეებისადმი, ერთ აზრს ბადებს მხოლოდ გიორგის მიმართ: „გიჟია თუ რა?". გიორგის „გაპატიოსნებულად" გასვენებამ ვერ წაშალა გლეხობაში თავადებისადმი სიძულვილი: „კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბრძენ თვალსაო",—ამრეზით ამბობენ გლეხები არჩილსა და კესოზე.

მოთხრობაში „ჩატეხილი ხიდის" პრობლემის დასმით საბრალდებლო დასკვნა, პირველ ყოვლისა, თავადაზნაურობას აქვს წაყენებული. ბრალდებულის სკამზე ეს წოდება დასვა მწერალმა. არჩილისგან თავადაზნაურობისა და თვით კესოს განკიცხვა ამ მიზანს ემსახურება. ამ წოდების „საქმე" „წასულად" არის მიჩნეული თვით არჩილის მიერ. რომელიც ამავე დროს ფიქრობს ამ ორ წოდებას შორის „ჩატეხილი ხიდის" გამთელებას. დიდი რეალისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გიორგისა და არჩილ-კესოს დამოკიდებულება თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობის სირთულეს უსვამს ხაზს, არ ალამაზებს ცხოვრებას. სწორედ ამით აიხსნება, რომ თავად-აზნაურული ინტელიგენცია „ოთარაანთ ქვრივის" აეტორს დაესხა თავს, როგორც რეალისტ მხატვარს; წოდებათა შორის არსებული სოციალური კონფლიქტის მძლავრი მხატვრული გახსნა დანაშაულად ჩაუთვალეს. ამის მაჩვენებელია „მკითხველის" (შ. დავითაშვილის) ბროშურა „ჩატეხილი ხიდი" (1888): „რა გზა-კვალს, რა ხიდებს ეძებს ჩვენი მწერლობა ბ. ჭავჭავაძის მოთაეობით? ნუთუ მართლა ჩვენ ხალხში წოდებათა შორის ისეთი განხეთქილება სუფევს, რომ მათ შორის ხიდი ჩატეხილა და მის აღსადგენად მრავალთაგან-მრავალი ცრემლი იყო საჭირო?

რა ვიცი, არა ერთი სოფელი მომივლია, არა ერთს თავადს, აზნაურს ვიცნობ, არა ერთ გლეხთან მილაპარაკნია და ჩატეხილ ხიდზე

ხსენებაც არსად არის... ჩატესილ ხიდზედ ლაპარაკიც არ შეიძლება და არ ვიცი საითგან რა გამოუგონია ბ. ჭავჭავაძეს.

დღემდე ასე არის და, თუ ხიდის ჩატეხაა, შეიძლება დღეის იქით ჩატყდეს და ისიც ჩვენი „არჩილების", მედიდურთა მწერალთა და მათ მოქალაქე ერთგულთა წყალობით"[1].

„ოთარაანთ ქვრივით" ილიამ უკლასო საზოგადოების მშვიდობიანი გზით („ცრემლიანი ცოდნით, თუ ცოდნიანი ცრემლით") აშენების იდეალიც წამოაყენა.—კლასობრივი ანტაგონიზმი ტრაგედიად დასახა.

80-იან წლებში შედარებით მოაწესრიგა ილიამ ოჯახური საქმეები. „იერიაში" და ბანკში მუშაობა მისგან მოითხოვდა თბილისში მუდმივად ცხოვრებას. 1875 წლიდან ილიასა და ოლღას საზაფხულო დასვენების ადგილად იქცა ყვარელზე უფრო მისაწვდომი საგურამო. დროის უმეტეს ნაწილს ილია ატარებდა თბილისში. ზაფხულობით იგი საგურამოში იყო. დაახლოებით აგვისტოს პირველ რიცხვებამდე, შემდეგ ყვარელში. საგურამო ეს იყო ოლღა და „ვაჟკაცობა"... „სარჩობელაზედ", „ოთარაანთ ქვრივი".

80-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძე ცარიზმისა და მისი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას ახალი ენერგიით იწყებს: საზოგადოებრივი ცხოვრების, სკოლის, თეატრის, მწერლობის, ჟურნალ-გაზეთის, წიგნის, ბანკის, სხვა ერებთან დამოკიდებულების და სხვ. საკითხებს ილია ჭავჭავაძე, პირველ ყოვლისა, უდგება „საქართველოს დაცემული ვინაობის აღდგენის" პოზიციებიდან.

ილია მთავარ საშიშროებას ცარიზმისაგან ქართველი ხალხის ეროვნული ვინაობის მოსალოდნელ გაქრობაში ხედავდა.

ამიტომ ილია ჭავჭავაძე მთავარ ამოცანად 90-იან და მომდევნო წლებშიც კვლავ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას თვლიდა. ყოველგვარი სოციალური გარდაქმნისათვის ბრძოლის ამ ძირითად ამოცანას — ეროვნული თვითარსებობისთვის ბრძოლას უქვემდებარებდა: ძირითადია **„ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა,** ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან.. ყოველივე საქმე, ყო-

---

[1] შ. დავითაშვილი, ჩატეხილი ხიდი, 1888, გვ. 38, 40.

ველივე საგანი... სულ ყოველისფერი ჩვენს ეროვნებას საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მოვუბრუნოთ თავი... ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მღაღადებელს ამას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აპყურებაა"[42], — წერს ილია 1881 წელს.

სამი ათეული წლის მანძილზე (1875 წლიდან, ვიდრე 1905 წლამდე) განაგებდა ილია ქართულ სათავადაზნაურო ბანკს; მიუხედავად იმისა, რომ ბანკი წმინდა კაპიტალისტური დაწესებულებაა (რასაც ილია არ ეთანხმებოდა), ილიას ხელმძღვანელობით ამ ბანკის გამგეობა დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა.

ბანკს ილია იყენებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად სახელმწიფო ბრიობას. მოკლებული თავისი ქვეყნის თითქმის სახელმწიფო ბრივი ძალ-ღონის მქონე ფინანსურ დაწესებულებად.—ხალხის გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1879 წელს წერდა: „დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა" ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლოობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ"[43].

როგორც ბანკი მიაჩნდა ილიას ერთგვარ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანოდ, დაახლოებით ასეთივე მნიშვნელობას აძლევდა იგი თავადაზნაურობის მარშლობის ინსტიტუტსაც: „იქ, სადაც საზოგადოებას არავითარი კანონიერი ორღანო არა აქვს თავის საჭიროების გამოსათქმელად, არავითარი კანონიერი ღონე თავის-თავის გამოსარჩლებისა, იქ მაგისთანა დაწესებულება, როგორიც მარშლობაა, დიდი საქმეა. მართალია, იგი წარმომადგენელია მარტო ერთის წოდებისა და არა მთელის გუბერნიის მცხოვრებლებისა, მაგრამ უარაროობას ცალ-უღელი ხარი სჯობიაო, ნათქვამია"[44].

1878 წელს დაამტკიცეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების პროექტი[45]. 1879 წელს

---

[42] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 64—65.
[43] იქვე, გვ. 34.
[44] იქვე, გვ. 111.
[45] საქ. ცია, ფონდი № 416, არქ. № 582.

კი მოხდა თვით საზოგადოების დაარსება. ამავე წელს წერდა ილია: „არა ხალხში, რომელიც კი განათლებულებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენსაში“[46]. საზოგადოების ამოცანად მიაჩნდა არა მარტო წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა, არამედ ხალხის კულტურული დონის ამაღლებელი ყველა ღონისძიების გამოყენება: „სახალხო სამწიგნობროების დაარსება“, „მასწავლებლების გამოზრდა“, ლექციების გამართვა, წიგნების გამოცემა და სხვ.

1879 წლიდან 1886 წლამდე ილია ჭავჭავაძე იყო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1886 წლიდან 1907 წლამდე თავმჯდომარე. საზოგადოებამ დააარსა სკოლები ბათუმში, ქუთაისში, კავკაზში (დღევანდელი ორჯონიკიძე), ახალციხეში, სენაკში, თონეთში, წინარეხში, გომარეთში, ხელთუბანსა და მრავალ ადგილას შექმნა სახალხო ბიბლიოთეკები, წიგნის მაღაზიები; დააფუძნა სიძველეთსაცავი, სადაც დიდძალ ძეგლებს მოუყარა თავი. გამოსცა 150-ზე მეტი სახელწოდების წიგნი და ბროშურა ნახევარ მილიონზე მეტი ტირაჟით და სხვ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით ილია მკაცრად უკიჟინებდა მათ, რომლებიც მოითხოვდნენ: „ხალხს ჯერ კუჭი უნდა გავუძღოთ და მერე წიგნი ვასწავლოთო“. იგი, როგორც დიდი განმანათლებელი, მოითხოვდა ინტელიგენციას დროულად ეზრუნა ხალხის გაჭირვებასა და განათლებაზე: „ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა... ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოთ მნიშვნელობა არა აქვთ რა“. 1883 წელს წინამძღვრიანთ კარში სამეურნეო სკოლის გახსნის დროს წარმოთქმულ თავის ცნობილ სიტყვაში ილია კიდევ უფრო მაღალ შეფასებას აძლევდა ცოდნის შეტანას ხალხში: „ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“[47].

ბუნებრივია, თუ რა სიყვარულით მოეპყრობოდა ილია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას. ამ საზოგადოებამ თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის ვითარებაში დაუფასებელი სამსახური გაუწია ხალხს.

ილიას თაოსნობით მოხდა 80-იან წლებში ქართული თეატრის განახლება: „თუ გიორგი ერისთავმა აღადგინა ძველი ქართული

---

[46] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 30.
[47] იქვე, გვ. 188.

თეატრის ძირები. ილიამ განაახლა და ააყვავა ამ ფესვების რტოთა ლაშქარი. ეს იყო 1879 წელს!“,—წერს პოეტი აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი. თეატრი ილიას მიაჩნდა ეროვნული აღორძინების უძლავრეს კერად.

„დიდი რამ არის-მეთქი სცენა: ძლიევს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ. ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა. ამას გარდა, სცენა იგივე შკოლაა“[48], — წერდა ილია 1879 წელს.

1882 წელს დაწერილ ცნობილ წერილში „კატკოვის პასუხად“ ილიამ სწორედ ამიტომ აღიმაღლა ხმა მთელი სისასტიკით ცნობილი რეაქციონერის კატკოვის წინააღმდეგ, რომელიც ეროვნული აღორძინების ამ ძლიერი კერის ეროვნული თეატრის ჩახშობას შეეცადა.

ილიას ყურადღების ცენტრში იდგა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: საქართველოს ეროვნული მთლიანობის აღდგენა, ქართველი ხალხის ისტორიის, მისი ეროვნული მეობის დაცვა და განმტკიცება, ეროვნული კონსოლიდაცია.

1877 წელს ილია აღფრთოვანებით შეხვდა რუსეთ-ოსმალეთის ომს. ილია არ იყო ომის მოყვარე, მაგრამ ეს ომი თურქეთის მიერ უსამართლოდ მიტაცებული საქართველოს მიწა-წყლის დაბრუნებას ისახავდა მიზნად: „არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ... და ქართველი... დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს“[49]. 1879 წელს კიდევ უფრო აღტაცებული წერდა ილია ნაოცნებარის ნაწილობრივ სინამდვილედ ქცევის გამო: „შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო,—დღეს ჩვენ შემოგვეერთდა“[50].

დიდი ერუდიციით დაწერილ მეცნიერულ-პუბლიცისტური ნაშრომით „აი, ისტორია“ (ქვეყნდებოდა წერილების სერიად) ი. ჭავჭავაძემ დამასაბამებელი პასუხი გასცა «Письмо о Грузии»-ს

---

[48] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 27.
[49] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 312.
[50] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 14.

ავტორს ივ. ჯაბადარს, რომელიც ერის სიბერის რეაქციული „თეორიის" საფუძველზე საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიწასთან გასწორებას შეეცადა. ილია მთელი მეცნიერულ-პუბლიცისტური სიღრმით ასაბუთებს ერის სიბერის „თეორიის" უბადრუკობას. ილიამ ახალი შუქი შეიტანა საქართველოს შორეული ისტორიული წარსულის შესწავლაში.

ილია ჭავჭავაძეს. სრულიად სამართლიანად, ყოველი ერის ღირსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად ისტორიის დაფასება მიაჩნდა: „ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულობას, თვის ვინაობას, თვის თვისებას"[51],—წერდა ილია.

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ საკუთარი ქვეყნის ისტორიის დავიწყებით იწყება ეროვნული გადაგვარებაც. ეროვნული წარსულისადმი ნიჰილიზმს იგი მაწანწალის თვისებად თვლიდა: „არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს—ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს,"—წერდა ილია 1888 წელს წერილში „დავით აღმაშენებელი".

ბუნებრივია, თუ რად აღიმაღლა ხმა 1899 წელს ილია ჭავჭავაძემ მისთვის ნიშანდობლივი შეუპოვრობით პატკანოვის, გოლმსტრემის, ეზოვის, ხუდაბეშოვის, კუტულის და სხვ. წინააღმდეგ, რომლებმაც წმინდა ნაციონალისტურ-შოვინისტური მოსაზრებებით ფალსიფიკაცია მოახდინეს სომეხ-ქართველთა ისტორიული წარსულისა და შეეცადნენ ქართველი ერის დამცირებას. ილია ყველა ერისადმი პატივისცემის მაღალი შეგნებით წერდა: „ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთა სწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგნება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა"[52], მან ჭეშმარიტი მეცნიერული საბუთიანობით აღადგინა ისტორიული სიმართლე და სათანადო

---

[51] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 309.
[52] იქვე, გვ. 418—419.

პატივით დაახასიათა ქართველთა და სომეხთა ღირსშესანიშნავი დამოკიდებულება შორეულ წარსულში: „ჩვენ ჩრდილოეთით ვიარხავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით... დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასევად... მთელი თითქმის შვიდი საუკუნე... შევალიეთ სამხრეთის კარის დეკატას და ვერა გავაწყეთ-რა“[53].

ასე მსჯელობა შეეძლო მხოლოდ ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტ მოღვაწეს, რომელიც ყველა ერისადმი სპეტაკი პატივისცემით იყო გამსჭვალული. ილიასთვის სრულიად უცხო იყო ნაციონალისტური შეზღუდულობა. მის პოლემიკას მეტად მიზანშეწონილი მეცნიერულ-პუბლიცისტური ხასიათი ჰქონდა. იგი განსაკუთრებული სიფრთხილითა და მოწიწებით ეხებოდა მოძმე სომეხ ერს. ქართველთა შეურაცხყოფაში დამნაშავედ აცხადებდა მხოლოდ ერთ მუჭა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ სწავლულთ: „ჩვენ ადრეკ გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა — მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნის“[54].

„ქვათა ღაღადით“ ილიამ თვით ისტორია აამეტყველა. მის გამოქვეყნებამდეც, ერთი ათეული წლით ადრე, 1889 წელს, მხედველობაში ჰქონდა რა სომხური კაპიტალი, სომხური რეაქციული ინტელიგენციის უმართებულო გამოლაშქრებანი ქართველი ხალხის წინააღმდეგ,—ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენ, ქართველები, ავად ვიხსენიებთ ხოლმე მარტო იმ ჯურის სომხებს, რომელნიც წურბელებსავით მოჰკიდებიან აქაურობას, სწოვენ ქვეყანას და რომელთაც ჰკიცხვენ და ავად იხსენიებენ თითონ გონიერნი და პატიოსანნი სომეხნი“[55].

ილია ჭავჭავაძე. ისე როგორც ყოველთვის, 80-იანი წლებიდანაც გულწრფელად ამკვიდრებდა ყველა ერისადმი, კერძოდ რუსი ხალხისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. მხედველობიდან არ რჩებოდა მოწინავე რუსი მოღვაწენი, რომელნიც გულწრფელად მოითხოვდნენ ქართველი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესების დაცვასა და პატივისცემას. 1881 წელს დეკემბრის „შინაურ მიმოხილვაში“ საკითხზე, „თუ ვინა ვართ და რანი ვართ“, ილია წერდა: „რომ არავინ დაგვწამოს მიდგომით ლაპარაკი, ჩვენ

---

[53] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 179.
[54] იქვე, გვ. 418.
[55] იქვე, გვ. 195.

მოვიყვანთ აქ ერთის რუსის მწერალის[56] ნათქვამს ამ საგანზედ: „ჩვენ რუსებმაო,—ამბობს იგი,—არ უნდა დავივიწყოთ თავის-დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთკის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ, უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით მოპოვებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შეეუწყოთ, რამოდენადაც ყოველსფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კაცშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსუბუქოს, და არა იმაში, რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაპოს"[57].

ილიას აზრით, სრულიად სამართლიანად, სხვა ხალხისადმი სიყვარული თვით საკუთარი ხალხის სიყვარულს ემყარება. ამ მხრივ საყურადღებოა ცარიზმის ცენზურაში გაუვლელი სიტყვა, რომელიც ილიას 1899 წლის ოქტომბერში თბილისში წარმოთქვამს მაკარი ჭავჭავაძის ოჯახში იმავე ევგ. მარკოვის საპატივცემულო ბანკეტზე: «Нечего таить, мы несомненно любим нашу родину, но и нечего фальшивить—только любя ее, мы любим и Россию... Эта любовь к родине представляет собою ту плодотворную почву, на которой коренится, растет и крепнет наша привязанность и преданность к России. Эта именно любовь является прочным посредствующим звеном, соединяющим наши помыслы и упования с помыслами и упованиями лучших русских людей... Отнимите эту любовь, и вы не найдете в сердце

---

[56] ილიას დაუსახელებლად მხედველობაში ყავს ევგ. ლვ. მარკოვი (1835—1903), მოღვაწე ლიტერატორი,—ბელეტრისტი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი. ციტატა მოაქვს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე მარკოვის სტატიიდან: „Из Кавказских писем" (ჟურნ. „Русская речь", 1881, ნოემბერი, გვ. 225). მარკოვი ახასიათებს რა სიძველეებს, ეხება სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებსაც, კერძოდ, იგი კიცხავს იმ რუს მოხელეებს, რომლებიც ავიწროვებდნენ კავკასიელებს, ამავე დროს აქებს ერმოლოვს, ვორონცოვს და სხვ.

[57] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 88.

человека другого чувства, на котором можно было бы возвести прочный фундамент братской любви и единения»[58].

სწორედ იმიტომ, რომ ილია თავისთავში აერთებდა სამშობლოსა და მოძმე ხალხებისადმი გულწრფელ სიყვარულს, იგი უსაზღვრო ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც თავისი, ისე სხვა ქვეყნების ჰეშმარიტად პატიოსანი ადამიანების თვალში. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია გამოჩენილი რუსი მეცნიერის მ. კოვალევსკის აზრი ილია ჭავჭავაძის შესახებ. რაც მას 1912 წელს აქვს გამოთქმული: «Нечего напоминающего зоологический национализм наших дней, мы не находим у князя Чавчавадзе. Наоборот, его поэзия вся проникнута идеей любви к людям вообще и в особенности к тем, кто нуждается в нашей поддержке и защите»[59].

ცნობილია, ავრეთვე თუ რა ღრმა პატივისცემა. სიყვარული და მეგობრობა იყო ილიასა და გერმანელ მწერალ არტურ ლაისტს შორის.

ილიასთვის უცხო იყო მკაცრ პატრიოტიზმი. იგი მოღვაწეობის დაწყების დღიდანვე ყველაზე მიუკერძებელი მამხილებელი იყო თვით ქართველი ხალხის ყოვლგვარი ნაკლისა. იგი შეუცდომლად ამჩნევდა ავსაც და კარგსაც ყოველ ერში: «ქვეყანაზედ არ მოიპოვება იმისთანა ერი, რომ ავთან კარგიც არ იყოს მის შორის»[60], — წერდა ილია.

როგორც ადრე, ისე 80-იან წლებში და შემდგომ, ილია, ისე როგორც ყოველი განმანათლებელი, უმეტესად განურჩევლად კლასებისა, მთელი ერის სახელით ლაპარაკობს; ამავე დროს ერის ცნებაში მთავარ კომპონენტად მშრომელებს, გლეხობას აცხადებს; კიდევ მეტი, მაღალ წოდებას ხშირად უპირისპირდება. მაგალითად, 1936 წელს ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს საზოგადოების, კერძოდ, მაღალი წოდების უყურადღებობაზე ქართული ლიტერატურისადმი, მაგრამ ამას იგი სამწუხაროდ არ თვლის: «მაღალის წოდების ხალხი, თუნდა სრულად დაეთხოვოს კიდეც ჩვენს ლიტერატურას, დიდი არაფრისაა. საქმე ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს»[61].

---

[58] დაცულია ი. ჭავჭავაძის ყვარლის სახ. მუზეუმში. იგივე სიტყვა, მცირედენი რედაქციული ცვლილებებით ქართულად, იხ. «ივერია», 1899, 27 ოქტომბერი; «კავკაზი», 1899, № 282, 27, X.

[59] დაცულია იქვე, მიწოდებულია პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ.

[60] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 195.

[61] იქვე. გვ. 160.

ან კიდევ: „საერო სკოლა ეროის შორის და ერისათვის არსებობს. – წერს ილია იანოვსკის საპასუხო წერილში და იქვე განმარტავს. ესეიგი იმუშავლესობისათვის როგელსაც... არც დრო აქვს, არც მოცალეობა, არც შეძლება და. ჩვენდა სამწუხაროდ, არც საჭიროება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის“[62]. აქ მითითებულია „ერის“ სახით გლეხობაზე. უფრო სწორად გაღატაკებულ გლეხობაზე.

ერის ცხებაში ილიას გარკვევით შეაქვს სოციალურ-კლასობრივი გაგება. მისი აზრით, თუ საერო საქმეში ჩინოვანი და მდიდარია გამეთაურებული, მაშინ ერის საქმე დაღუპულად ითვლება: „ვსთქვათ, კანონად დაიდოს, რომ... თუ არ ჩინოვანს, ანუ მდიდარს, არჩევანის ხმა არ უნდა ჰქონდესო,– მაშინ ეროება ცალიერი, ფუყი და ფუჭი სახელი იქნება, **ჩინოვანი და მდიდარი—ერი არ არის.** ერი წრის გარეთ დარჩება“[63].

ისიც მართალია, რომ ერობაში გლეხობას სხვა წოდებათა თანაბარი უფლებანიც. რომ მისცემოდა, მაინც დაიჩაგრებოდა მჭლენებელ წოდებათაგან, ეს გასაგებია, მაგრამ საქმე ისაა, რომ გულით ზრუნავდა ილია გლეხობისათვის.

ილიას და მისი თაობის ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეის რევოლუციურ-დემოკრატიულობა ისაა. რომ წოდებათა „განურჩევლობის“ მიუხედავად. იგი თავისი მახვილით ცარიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული და მთავარ მამოძრავებელ, დასაყრდენ ძალად მშრომელი გლეხობა და მოწინავე ინტელიგენცია იყო მიჩნეული და არა თავადაზნაურობა. აი, რას წერდა ილია 1883 წელს: „შეფერხებით მიდის ჩვენის ხალხის განათლება... ვეღარა მოგვიხერხებია-რა, რომ წერა-კითხვას მაინც ვავრცელებდეთ ხალხში, რომელიც თანდათან ამაღე მიზეზით უფრო და უფრო გეშორდება ჩვენ, განათლებულს საზოგადოებას, აღარ ეჭურება-რა ჩვენი და არც რამ იმედი აქვს ჩვენგან. ან კი როგორ უნდა დაგვიახლოვდეს ჩვენი უმეცრებით გარემოცული ხალხი, უბრალო გლეხობა, — ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“[64].

ეროის სისხლ-ხორცად ილია ჰავჰავაძე მშრომელ გლეხობას თვლიდა. იგი მოითხოვდა რეფორმამდელ იმ უპირატესობათა გაუქ-

---

[62] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 557.
[63] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 89—90.
[64] იქვე, გვ. 184.

მებას, რაც თავადაზნაურობას ჰქონდა მინიჭებული, როგორც პრივილეგიურ წოდებას. ილია გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდა სწავლისკენ გზა გახსნოდა ხალხის უმრავლესობას. იგი მშრომელთა საკეთილდღეოდ ებრძვის წოდებრივ შეზღუდვებს განათლების დარგში. „მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს—აქამომდე მარტო წოდებათა (сословий) განათლების მზრუნველობას მოასწავებდა... სხვა დანარჩენი, ფრიად დიდძალი ხალხიკი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტს ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდამ გამოკლებული იყო... სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა“[65]. იქვე ილია მოითხოვს ხალხის თანასწორობის წახალისებას ყოველგვარ საქმეში: „თანასწორება სწავლის გავრცელებისათვის ხალხში თითონ ხალხმა იტვირთა. ამაში ჩვენ ვხედავთ მომავლისათვის ბევრს სანუგეშოს. დიდი საქმეა, როცა თითონ ხალხი ცდილობს თავისი-თავი გაიტანოს“[66].

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ მთლიანი ერისთვის ბრძოლას და აქედან გამომდინარე წოდებრივი შეთანხმებისაკენ მოწოდებას ილიასთვის ხელი არ შეუშლია კვლავ მშრომელი გლეხობის თავგადებული დამცველიც დარჩენილიყო.

ამ მხრივ საყურადღებოა ილიას თვალსაზრისი ხალხის როლზე ისტორიაში. იგი ისტორიის მატერიალისტურ გაგებას უახლოვდება. მას ყველა კლასი მიაჩნია ისტორიის შემქმნელად: „ვინც უნდა იყოს, გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი. ისტორია ყველას ღვაწლია. საერთოდ მთელი ერის ნამოქმედარია“. მაგრამ უპირატესობას მაინც მშრომელ ხალხს ანიჭებს; ამ მხრივ საინტერესოა მისი ცნობილი პირადი წერილი დავით ერისთავისადმი (1872 წლის ივლისი), „აჩრდილზე“ მუშაობასთან დაკავშირებით: „ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ... შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა?... ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი... მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს... საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“.

---

[65] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 15.
[66] იქვე.

1880 წელს ივიკე მოსაზრება ილიას ახალი გახათებით აქვს წამოყენებული წერილში „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, სადაც პრინციპულად სვამს ნამდვილი მეცნიერული ისტორიის შექმნის საკითხს.

ილიას ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ არ გამორიცხავდა ფეოდალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლას. რაც პირველ ყოვლისა მშრომელი გლეხობის უფლებათა დაცვას ითვალისწინებდა. ხალხის მჩაგვრელი მოხელეების უმსგავსოების მხილების გზით ილია მკაკრად ამხილებდა ცარიზმს სწორედ მშრომელთა კეთილდღეობისათვის. რაც ეროვნულ საქმედ მიაჩნდა.

1879 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია აღშფოთებით წერს ახლად შემოერთებულ აჭარა-ქობულეთში წერილ მოხელეთა უმსგავსოებაზე, რომელნიც ხალხს „კალიასავით მიესია თურმე“.. „როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალხზედ დგება... აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მხრით დაანახვებენ ისინი რუსის მთავრობასა, რუსის მმართველობასა“?[67] ილია მოხელეთა კრიტიკით, ხოლო მთავრობის ერთგვარი „დაცვით“ უფრო შორს უმიზნებს,— ავითარებს ცარიზმის, როგორც უაჩაღური სახელმწიფოებრივი სისტემის აბსოლუტური უვარგისობის რევოლუციურ იდეას. ილია გადაკვრით მსჯელობს ისეთი იდეალური მთავრობის უძლეველობაზე, რომელიც ხალხის სიყვარულს ემყარება, ხოლო ისეთი მთავრობის (ფაქტიურად მეფის მთავრობის) უვარგისობისა და დამსხვრევის გარდუვალობაზე, რომელიც ხალხის ნდობასა და პატივისცემას მოკლებულია: „ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მოქმედ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხი სამედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სა-

[67] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 23.

ხელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს. საცა ესსიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი დამსხვრევა ერთია"[68].

აქ ილია გენიალური პოლიტიკური გონებამახვილობით აყენებს თვითმპყრობელობის რევოლუციური გზით დამხობისა და ნამდვილ ხალხურ საწყისებზე აგებული დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარების აუცილებლობის პრინციპს. ეს იმდენად ნათელია, რომ კომენტარიები ზედმეტია.

1881 წლის დეკემბრის „შინაურ მიმოხილვაში" ილია სპეციალურად ეხება ხალხის (=გლეხობის) მრავალგვარი გადასახადებით, ბეგარებით, ცემა-ტყეპითა და მოტყუებით მოუთმენლად შეევიწროებას. არყის გამოხდაზე ბაჟის გადიდების გამო ილია მთავრობას გლეხობის გაძარცვაში ადებს ხელს: „ჩვენ გაბედვით ვიტყვით, თუ არ მესამედი, მეოთხედი მაინც ძთელის შემოსავლისა, გლეხკაცს ჯიბიდამ ამოაცალეს"[69]. მთელი სიმკაცრით ახასიათებს ილია იმ ექსპლოატაციას, დაჩაგვრა-შეურაცხყოფას, რასაც მეფის მთავრობა იჩენდა ერის (გლეხობის) მიმართ, კერძოდ, უკანონო ბეგარებით: „გაწყალდა ერი გზის ბეგარის უწესოებით. გზის კეთება მეტად მძიმე ბეგარაა თავისთავადაც და ეს უწესოება ხომ ერთი-ორად ამძიმებს... მთელი ჩვენი გლეხკაცობა „ჩინოვნიკების" ნებაზედ არის მიგდებული... ამდენი ვაი-ვაგლახი, ცემა-ტყეპა, ხარჯი, დანაკლისი, რაც გზის ბეგარას მოსდევს გლეხკაცისათვის... უწესოებამ ლამის ერი მოიდნოს"[70].

მართალია, ილია, როგორც განმანათლებელი, მაინც დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხალხის ენის (ქართულის) მცოდნე, განათლებულ და „ზნეობით აღმატებულ" მოხელეთა შერჩევას და სხვ., მაგრამ ამით არ კმაყოფილდებოდა, — ხალხის ნამდვილ ხსნას ცარიზმის მოსპობაში ხედავდა, ამიტომ წერდა იგი: „რასაკვირველია, ამ წამალს (მოხელეთა სათანადო შერჩევას—ა. კ.) იმოდენა მნიშვნე-

---

[68] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. III, 1952, გვ. 23.
[69] იქვე, გვ. 91.
[70] იქვე, გვ. 92.

ლობას არ ვაძლევთ, რომ ამით ყველა ტკივილი მორჩეს. აქ ბევრი სხვა ტკივილიც არის, რომელიც სულ სხვა მიზეზით წარმოდგება და რომელსაც სხვა წამალი უნდა"...[71]

დამახასიათებელია ისიც, რომ აქ ადგილი გამოშვებულია ცენზურის მიერ.

ილია ჭავჭავაძის რევოლუციურ-დემოკრატიულ მიდრეკილებებს ბრწყინვალედ ავლენებს 1885 წლის თებერვლის „შინაური მიმოხილვა". მას მხოლოდ ცენზურის თვალის ასახვევად აქვს ასეთი სათაური გაკეთებული, თორემ შინაური მიმოხილვის მასში არაფერია. ის სტატიადაც არ ჩაითვლება. — უფრო სატირული ფილოსოფიურ-პოლიტიკური ეტიუდია. „მიმოხილვაში" სატირულ მხატვრულ ფორმაში რადიკალურად არის დაგმობილი თვითმპყრობელობა და ისტორიული პესიმიზმი. ამ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს ილიას სოციალურ-პოლიტიკური კონცეფციის გასათვალისწინებლად.

ილია წერს: ადამიანის უბედურება დღემდე ის არის, რომ სიკეთე და ბოროტება ვერ გაურჩევია, ადამიანს ვერ მიუგნია, თუ როგორ მოაწყოს თავისი ცხოვრება. ადამიანმა დღემდე ვერ მოუპოვა პასუხი კითხვას „რატომაო". ეხლახან ერთი გამოჩენილი მწერლის ნაწარმოები წავიკითხე, — მას დიდი ნიჭიც ჰქონია, დიდი სახელიც, დიდი სიმდიდრეც, კარგი ოჯახიც, ჯანმრთელობაც, მაგრამ მაინც ყველაფრის არარაობად მიჩნევამდე მისულა და თვითმკვლელობა გადაუწყვეტია. ეს აზრი განვითარებია იმიტომ, რომ ვერ მიუგნია, თუ რა არის საგანი ცხოვრებისა. უფრო ადრე იგივე კითხვა გულს უღრღნიდა სოლომონ ბრძენსაც, თუმცა მასაც ყველაფერი ჰქონდაო. მწერალი სარკაზმით განაგრძობს ასეთ პესიმიზმზე: მართალია, დიდებულია ცხოვრების რაობის ძიებით გამსჭვალული ადამიანი, მაგრამ „მაქღარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არისო". „ამ დალოცვილს ყველაფერი, რაც კაცის სანატრელია და დამატკბობელი, ხელთა ჰქონია... ამ ყველაფრობას... გული აუსუყებია". მაძღართა ასეთი გულნამცეცობა ილიას სასაცილოდ მიაჩნია მშრომელთა ტანჯვასთან შედარებით: „აბა, პატარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გეკითხონ, ჩვენ, მდაბიოთა... რომელთაც ყველაფერი გვენატრება, რომელნიც ყველაფერს სისხლით, ოფლით, წვითა და დავვით ვშოულობთ, და წილად გვხვდომია იმავე წვითა და დაგვით ნაშოვნ-ნაამაგევი დაეიცვათ და შევირჩინოთ. ჩვენა გეკითხონ და ჩვენ ვეტყვით: რა შეიძლება არის საზრი, საგანი

[71] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 26.

ცხოვრებისა. მაშინ გამოჩნდება,—რა არის ცოდვა, რა არის მადლი". აქ ქვეტექსტით ავტორი პესიმიზმის საპირისპიროდ რევოლუციურ ოპტიმიზმს იცავს: „ჩვენ ამას არავინა გვკითხავს, და თუნდაც იკითხოს ვინმემ, „ვერ შემძლებელ არს მამაკაცი თქმად ამისად", სოლომონ ბრძნისა არ იყოს. შენც სუ! და მეც სუ!... სოლომონ ბრძენს მარტო უკვდავება-ღა ჰქონია სანატრელი, სხვა ყველა ბედს მისთვის მიუნიჭებია. ჩვენ კი „არსებითი პურიც" გვენატრება"[72].

ის, რაც აქ ავტორმა ქვეტექსტში მოაქცია, შენიღბულად გახსნა მომდევნო ნაწილში, სადაც იგი ჰკვეთილი ადამიანების „ერთ სენზე" ლაპარაკობს. ამ „ერთ სენზე" მსჯელობისას იხსნება კვანძი, თუ „რაშიაც არის აზრი... ცხოვრებისა". გონიერ ადამიანს ფიქრის თუ წერის დროს წინ აეტუზება „ერთი რაღაც სულთამხუთავსავით" ღა ხელს უშლის,— აშინებს, იცინის, იღრიჯება: „ღორის ეშვებსავით თავისი სიბერისაგან ფანფალა ღოჯები წამომიყარა და ამოჰვარტლულ ბუხარსავით შავი პირი უფრო დიდად დააღო... ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე. მინამ მამალი იყივლებს".

ეს სულთამხუთავი „ღორის ეშვებსავით... სიბერისაგან ფანფალა ღოჯებით" ცენზურა კი არ არის, თვითმპყრობელობაა, რომლის დამსხვრევაზეც დიდი ილია სტუდენტობის პერიოდიდან მოყოლებული ოცნებობდა. ცენზურის უურადღების ერთგვარი მიდუნებით შეიძლება აიხსნას, რომ ილიამ შესძლო ასე ღრმად რევოლუციური პუბლიცისტური ნარკვევის გაპარება, რომელიც ცარიზმს შიგ გულში სცემდა ლახვარივით: „ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა... როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!"[73]

შეუძლებელია სხვა რამ ვიგულისხმოთ აქ, თუ არა თვითმპყრობელობის დამხობის მოლოდინი. უფრო სწორად, „მამლის ყივილის" მოლოდინში ილია ჰაეჰავაძე გულისხმობდა რევოლუციის მოსალოდნელობას, რომელსაც თვითმპყრობელობა უნდა დაემსხვრია. ცენზურისგან შებოჭილი მწერალი ამაზე მიუთითებს მკითხველს, როცა წერს: „რით დაგისრულოთ სიტყვა არ ვიცი, ჩემი კალამი ჩემს სურვილს ეურჩება. ჩემგან ნაჩვენებს ბა-

---

[72] ი. ჰაეჰავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 215.
[73] იქვე, გვ. 216.

დებში ბილიკთქვენ თითონ გაიგნეთო". დასკვნით წაწილში ცარიზმისადმი სიძულვილისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის, იდეა ხაზგასმულია ეკლეზიასტეს მიხედვით: „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ქამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა. განყრასა თუ შეკრებას. დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას"[74].

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ 60—70-იანი წლების მსგავსად. 80—90-იანი წლებშიც ილია ჭავჭავაძე, ძირითადად რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან უდგება არა მარტო ცარიზმს, არამედ აგრეთვე ევროპის მუშათა მოძრაობას, სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, სოციალიზმისთვის ბრძოლას და სხვ. აქ მრავალთაგან ზოგიერთ მაგალითს დავასახელებთ. ილია ჯერ კიდევ 1886 წელს წერდა: „ეხლა რომ იიგლისში მუშათა ანერევა მოხდა, შესაძლოა ცეცხლსავით მოედოს მთელს ევროპასა, თუ არა უწამლეს რაო"[75]. „არის კიდევ ერთი გამჭრიახი და მხნეობით აღჭურვილი დასი „სოციალ-დემოკრატებისა"...[76] „მმართველობას საფრანგეთისას ყოველთვის ბურჟუაზიის მომხრეობა ეტყობა და ეკონომიური ცვლილება მუშა-კაცთა სასარგებლოდ ბრკოლდება... ესეც-კი საფიქრებელია, რომ ვაი თუ ძაფი მოთმინებისა გაუწყდეს თითონ ერსა და ერთი ასეთი ალიაქოთი ასტეხოს, რომ თაკბედისა ვეღარა გაიგონ-რა,"—წერდა ილია 1895 წელს. მუშათა „ანღრევაში", **„ალიაქოთში"** და მისთანებში ილია გულისხმობს **რევოლუციურ** გამოსვლებს და თვით **რევოლუციას.**

ილიას „ივერია" ხშირად წერს მუშათა მოძრაობაზე. 1886 წლის „ივერიის" საცენზურო ეგზემპლარის (№ 117) ხელმოუწერელ „ნარკვევში" (წერილი გვაფიქრებინებს, რომ ილიასია), რომელიც ელადომირის გუბერნიაში, მოროზოვის ფაბრიკის 11 ათასი მუშის რევოლუციურ გამოსვლებს ეხება, — ცენზურას ამოუღია ადგილი: „მუშების დასამშვიდებლად და არეულობის მოსაპობლად მთავრობამ ჯარი გაგზავნა. არეულობის მოთავენი დაიჭირეს და სამართალში მისცეს". იქვე „აჯანყებული მუშების" ნაცვლად ცენზურას დაუტოვებია „შეშფოთებული მუშების"[77]. წერილის ავტორი აკრიტიკებს «Моск. Ведомости»-ს რეაქციულ პოზი-

---

[74] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1952, გვ. 217.

[75] იქვე, გვ. 463.

[76] იქვე, 481.

[77] „ივერიის" 1886 წლის საცენზურო ეგზემპლარები დაცულია ი. ჭავჭავაძის ყვარლის სახლმუზეუმში; მათზე მიგვითითა მწერალმა პლატონ კეშელავამ.

ციას, რომელიც გამოსვლების მოთავე მუშების დასჯას მოითხოვდა. ამავე დროს ავტორი იცავს «Русский Курьер»-ს, რომელიც ბრალს დებდა ფაბრიკის მეპატრონეს მუშებზე უკანონო ჯარიმების დაწესებისთვის.

იმავე წლის „ივერიის“ (№ 142) „ნარკვევში“ «Русский Курьер»-ის მიხედვით ლაპარაკია რუსი მშრომელების მძიმე ეკონომიურ გაჭირვებაზე. ცენზურას ამოუღია ადგილი: „ამგვარი ყოფა ადრე თუ გვიან, დღესა თუ ხვალ, უბედურს ეკონომიურ განსაცდელს შეგვამთხვევს“.

საგულისხმოა ასეთი გარემოებაც: 1891 წლის „ივერიაში“ (№ 88) მოთავსებულია საკმაოდ საყურადღებო ხელმოუწერელი წერილი ჩერნიშევსკის ცნობილ თანამებრძოლზე ნიკოლოზ ვასილის-ძე შელგუნოვზე. წერილი გვაფიქრებინებს, რომ ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, წერილში ვკითხულობთ: „შელგუნოვისთანა მწერლის დაკარგვა... დიდი დანაკლისია რუსეთის მწერლობისათვის“. „შელგუნოვი ერთად მუშაობდა იმისთანა ბუმბერაზებთან, როგორიც იყვნენ ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, და შემდეგ პისარევი“[78].

90-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძე ცდილობს ჩაწვდეს მარქსიზმის არსს. უღრმავდება მარქსის ნაწერებს — მის მოძღვრებას. წაკითხული აქვს პლეხანოვის მთავარი ნაშრომები და შენიშნული აქვს ზოგი მისი შეცდომა. ილია მარქსისტი არ ყოფილა. მაგრამ თავის მრავალ წერილში საკმაო სიზუსტით შეძლო ნ. ჟორდანიას ცრუ-მარქსისტობის ჩვენება.

ილიამ ბრწყინვალედ განსაზღვრა პირდაპირი დასახელების გარეშე მეცნიერული სოციალიზმის ღირსება: „ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის ის არის, რომ... მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა... ქაცთმოყვარულს მოძღვრებას... მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა. გამრ-

[78] აღნიშნულ წერილზე აგრეთვე მიგვითითა პ. კეშელავამ.

ჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად...“ დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აჭ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს“[79].

ქართველ სამოციანელთა აღიარებული მეთაური ილია ჭავჭავაძეა, მაგრამ რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობას არც ერთი ქართველი 60-იანელი არ იყო მოკლებული, ისინი ნიადაგს ამზადებენ ახალი იდეების დამკვიდრებისათვის საქართველოში; მარქსიზმის აღმოცენების შემდეგაც სამოციანელთა მთავარი წარმომადგენელნი შეგნებულად უპასუხებენ ეპოქის მოთხოვნას. ამის მაჩვენებელია, მეტი რომ არა ვთქვათ, თუ გნებავთ იგივე ადგილი, რომელიც ჩვენ მოვიტანეთ ილიას მიერ 1899 წელს დაწერილი ცნობილი სტატიიდან „მეცხრამეტე საუკუნე“. ამას მოწმობს მისი და მისი თანამებრძოლების აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის და სხვ. მოღვაწეობა, კერძოდ, 1905 წ. რევოლუციის პერიოდში. ეპოქის მიყოლის მაჩვენებელია აგრეთვე ქართული კაპიტალის განვითარებისთვის მხარდაჭერა; ახლა აღარ იცავს ილია თავის ე. წ. „ხმლისა და გუთნის“ თეორიას, არამედ: „ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა,“—წერს 1897 წელს.

არ არის გასაზიარებელი იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც ფიქრობენ, რომ 1893 წელს „ივერიაში“ (№ 20, 22, 23) მოთავსებული სამი მეთაური სტატია „ივერიელის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი ქვეყნის მეთაურად თავადაზნაურობის მიჩნევის შესახებ თითქოს ილიას ეკუთვნოდეს. რომ არაფერი ვთქვათ ამ წერილების პოლიტიკურ მიმართულებაზე, სტილის მიხედვითაც არ დასტურდება მათი ილიასეულობა[80]. თავადაზნაურობა ილიას არასოდეს არ გამოუცხადებია ქვეყნის ხელმძღვანელად. ასეთად მხოლოდ მოწინავე ინტელიგენცია მიაჩნდა. ცარიზმისადმი დამოკიდებულების, ფილოსოფიის, ესთეტიკისა და მთელ რიგ სხვა პრინციპულ საკითხებში 80-იანი წლებიდან სიკვდილამდე ილია ჭავჭავაძე ძირითადად კვლავ 60-იანი წლების რევოლუციური განმანათლებელი რჩება.

აღსანიშნავია, რომ 80-იან წლებშიც, ხალხოსანი მწერლების გა-

---

[79] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, III, 1952, გვ. 6.

[80] „ივერიელის“ ფსევდონიმით სავარაუდოდ წერდა; შეიძლება მას ეკუთვნოდეს აღნიშნული წერილი.

მოსვლის შემდეგაც, ილია განსაკუთრებით თავისი ანტიცარისტული ეროვნული კონცეფციით, გაცილებით მოწინავე პოზიციაზე დგას.

ილია ჭავჭავაძეს, კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეობის პრეტენზიების მქონე ახალი თაობის ერთი ნაწილის უმთავრეს ნაკლად ეროვნული კულტურის ღრმა ცოდნის და მისი დამოუკიდებლად განხილვის უნარის უქონლობა მიაჩნდა. ამიტომ ილია მთელი სერიოზულობით მოითხოვდა ჭეშმარიტად მეცნიერული, ეროვნული ესთეტიკური აზროვნების განვითარებას, რომელიც ეროვნული ხელოვნებისა და ლიტერატურის მიღწევებისა თუ ნაკლის „საკუთარის ჰკუით“ შეფასებაზე იქნებოდა დამყარებული: „ჩვენნი „სწავლულნი, განათლებულნი“, დარვინის თეორიას ზედმიწევნით გაცოდინებენ, ჰეგელის ესტეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავისის ხელის-გულისავით გადაგიშლიან; შექსპირზედ, გეტეზედ, ბაირონზედ და თუნდა ჰომიროსზედაც, რომელნიც,—ჩვენში-კი ითქვას — ათასში ერთს არ წაუკითხავს, თუნდა მთელს უზარმაზარ წიგნებს დასწერენ, და ერთს პაწია ლექსსაც კი ჩვენის რომელისამე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც იგია. ნუ გაიკვირვებთ, რომ ეს ასეა... შექსპირი, გეტე, ბაირონი სხვა მეცნიერთაგან დიდი ხანია გარჩეულია მრავალგვარად... მაშასადამე, ამათზედ ასეთის თუ ისეთის აზრის შედგენა მეტის-მეტად ადვილია... სულ სხვაა, თუ სურვილი დაგეჭრათ ჩვენის მწერლობის თუ მწერლების საკრიტიკოდ. აქ ყველაფერი საკუთარის ჰკუით უნდა ჰხიდოთ... აქ სხვა უნარია საჭირო... ის „სხვა უნარი“ იგია, რასაც თვითმსჯელობას... ეძახიან[81]. „თვითმსჯელობა, თვითმხედველობა გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა... ჩვენს ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვითმსჯელობისა, თვითმხედველობისა, არა აქვს გახსნილი და გადაშლილი“[82].

80-90-900-იან წლებში ილია კიდევ უფრო აღრმავებს თავის კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკას, მატერიალისტურ თვალსაზრისს ხელოვნებაზე.

ილია ბრწყინვალედ აშუქებს ფანტაზიისა და გამონაგონის საკითხს ხელოვნებასა და ლიტერატურაში; საღი ფანტაზია მიაჩნია შემოქმედებითი პროცესის ქვაკუთხედად: ჭეშმარიტი შემოქმედი მხატვრული გამონაგონით ამბობს ცხოვრების სიმართლეს, — ყოველი მხატვრული ქმნილება „მოგონილზეა“ დამყარებული: „მთელი ეგ-

---

[81] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1942, გვ. 113—114.

[82] იქვე. გვ. 115.

რეთ-წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხადჰყოს მართალი"[83].

ილია ჭავჭავაძე ფრიად საყურადღებო მოსაზრებას ავითარებს ფანტაზიის ადგილზე ისტორიულ ჟანრში, კერძოდ, ისტორიულ დრამაში: ისტოოიული ჟანრი ისტორიას ემყარება. მაგრამ იგი არ შეიძლება ჩვეულებრივი მატიანე, ან ქრონიკა იყოს.. ფანტაზია აქცევს ისტორიულ ნაწარმოებს ხელოვნების ჰეშმარიტ ქმნილებად. მაგრამ თვით ფანტაზია ისტორიას უნდა ემყარებოდეს და დაუსახიჩრებლად წარმოსახოს ეპოქა: სიმართლით უნდა ჩანდეს ისტორიის, ეპოქის სული. ილია „მტარვალის" და „ქართველის დედის" მთავარ ნაკლს ისტორიულის მოუცემლობაში ხედავდა. ილია წერდა: „ჩვენ წუნად არა ვსდებთ ავტორებს, რომ დრამის ამბავი, არაკი (ფაბულა) მოგონილია მათ მიერ. დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს. ისტორიული ქრონიკა გვიწეროს. დეე, თუნდ ამბავი. არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზიით შეჰქმნას, ხოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრამის სვლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობელად და დასანახავად"[84].

ასეთივე მეცნიერული სიღრმით აშუქებს ილია ტიპისა და ტიპიურობის პრობლემას. კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკის შესაბამისად ილიას ტიპი ესმის, როგორც ადამიანის განზოგადებული მხატვრული სახე. ამდენად, მდარე მწერლად მიაჩნდა ის, ვინც კერძოთი ზოგად სახეს ვერ ქმნიდა. რუსთაველის, შექსპირის, მოლიერის, გოგოლის. ტოლსტოის და სხვა გამოჩენილი კლასიკოსების მთავარ დამსახურებას ილია, სრულიად სამართლიანად. საზოგადო სახელებად გადაქცეული ზოგადი ტიპების დიდი ხელოვნებით ხატვაში ხედავს: „ზოგადი სახე ადამიანისა, რამოდენადაც ამ შემთხვევაში უფრო წვრილზედ დახურდავებული იქნება, მაგალითებრ, ზოგადი—კაცი რომელისამე ერის კაცად, ერის კაცი რომელისამე თემის კაცად, თემის კაცი რომელისამე გვარეულობის კაცად, გვარეულობის კაცი ოჯახის კაცად, ოჯახის კაცი ივანედ, ფრიდონად და მებრვე სხვა, — იმოდენად შემოქმედობა მწერალისა მაღლიდამ დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერალი ნიჭ-ნაკლებია და დაქვეითებული",[85] — წერდა ილია. 1887 წელს თავის ცნობილ სტატიაში „აკაკი წერეთელი და ვეფხის-

---

[83] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 281.
[84] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, 1941, გვ. 122.
[85] იქვე, გვ. 66.

ტყაოსანი". „ტიპი" უველასაც ჰგავს ზოგადად და არც ერთსაც ცალკე. ამიტომაც „ტიპად" გარდაქმნილი სახე გეცნობათ კიდეც და არც გეცნობათ ერთსა და იმავე დროს"[86], — წერდა ილია ჭავჭავაძე 1886 წელს.

ტიპის პორტრეტად დახურდავებას ილია ეთნოგრაფიულ ჩხირკედელაობას უწოდებს. ამით, ცხადია, ილია არ უარყოფდა ლიტერატურის ნაციონალურ ფორმას — ეროვნულს, კონკრეტულს ზოგად ტიპიურში. ამიც იმით, რომ ეროვნული უფრო „გარეგან" მხარედ მიაჩნდა ტიპისა. ვიდრე შინაგანად. ილია მოითხოვდა, რომ ტიპში ეროვნული არ მიჩნეულიყო ზოგადსაკაცობრიო მონაცემების ვიწრო ეროვნულის ასლის გადაღებად. პირიქით, ტიპში ეროვნული აუვარიალი უნდა იქნეს ზოგადსაკაცობრიომდე: „რამოდენადაც მწერალის შემოქმედობის ძალი სწვდება ამ ზოგად-კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიო. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, **თავისის სამკაულით** აკაზმინებს. **თავის საფერავით** აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას. მაგრამ ეგ მარტო **სამკაულია, ფერია** და არა იგი **შინაგანი ბუნება** ხატისა, რომელიც **ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო**, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება"[87].

ამნაირად ილია ყოველ დიდ მხატვრულ ქმნილებას ზოგადსაკაცობრიო საგანძურის საკუთრებად სთვლიდა: „**ხელოვნებასა** და ერთობ გონების ნაწარმოებსა გვარტომობა არა აქვს. ერთიცა და მეორეც მთელის კაცობრიობისაა"[88].

ასე განსაზღვრავდა ილია ხელოვნების ზოგად თვისებებს: „მეცნიერებას ხელოვნებისას, რომელსაც **ესთეტიკას** ეძახიან, შენიშნული აქვს ზოგიერთი ზოგადი თვისებანი ხელოვნებისა, რომელნიც ყოველს გრძნობაგახსნილს კაცს უნდა ერთნაირად ესიამოვნებოდეს და ურომლისობა კი უნდა უსათუოდ სწყინდეს და უუგემურებდეს გუნებასა"[89].

ხელოვნების თეორიაში სპეციალური გამოკვლევა არ დაუტოვებია ილიას. მაგრამ მისი წერილები და გამონათქვამები ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე მაღალი დონის ესთეტიკოსზე მიგვითითებს, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად სჯის ხელოვნების ურთულეს პრობლემატიკაზე; მაგ., კომიკურსა და ტრაგიკულ-

---

[86] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, III, 1953, გვ. 106.
[87] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, II, 1941, გვ. 62.
[88] იქვე, გვ. 197.
[89] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1953, გვ. 110.

ზე ილია ამბობს. რომ ხელოვანს ძალუძს, როგორც სასაცილოს, ისე სატირალის საფუძვლად აიღოს, როგორც სატირალი, ისე სასაცილო მდგომარეობა: როგორც ერთის, ისე მეორის მიზეზი უნდა იყოს საფუძვლიანი, კანონზომიერი და არა სპეციალური და ხელოვნური, თუ არ გვინდა, რომ „სიცილი... გარდიქმნას ლაზღანდარობად და ტირილი კიდევ უგემურ კნავილად"[90]. „ბუნება ცრემლისა და სიცილისა, ჩვენის ფიქრით, ერთისა და იმავე სათავიდამ მოდის. იგი... მწუხარებისაგანაც მოივლინება და მხიარულებისაგანაც. ამიტომაც ხშირად ცოტაწლა ჰხედავთ იქაც, საცა დიდი სიხარულია და სიცილს იქაც, სადაც დიდი სატირალია... უდიდესი გამოცხადება, უდიდესი ზედმოქმედება ადამიანის გულზედ, თავით-ფეხებამდე ხარდამცემი ძლიერება ცრემლისა და სიცილისა სწორედ მაშინ არის, როცა ერთს მეორის ადგილას ჰხედავთ... აი, ეს ცრემლიანი სიცილი და სიცილიანი ტირილი... უმწვერვალეს სიმაღლეზედ აზიდავს ხოლმე კაცსა". საკუთრივ დრამისა და კომედიის შესახებ მან სახელმძღვანელო ხასიათის შეხედულებანი განავითარა წერილებში: „ახალი დრამების გამო", „ქართული თეატრი" (განსაკუთრებით მეოთხე წერილში), „გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპო" და „სომხის ლიტერატოროები" და სხვ. ილიას ბრწყინვალედ აქვს გადაწყვეტილი დრამატურგიის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორიც არის: „სადრამო განსაცდელის" თუ „სადრამო მდგომარეობის" (=კონფლიქტის), დრამატურგიული ხასიათის გახსნის, კომიკურისა და ტრაგიკულის და სხვა საკითხები, რასაც ზოგადი თეორიული მნიშვნელობაც ენიჭება—ილია ჭავჭავაძე იკვლევს თუ რაშია „მომხიბლავი ძალა და არსებობის მიზეზი ხელოვნებისა საზოგადოდ და სათეატროსი საკუთრივ"[91].

ხელოვნების ძალა ის არის, რომ ინტელექტუალურად, ეთიკურად და ესთეტიკურად გარდაქმნას ადამიანი, განაწყოს კეთილის დასაცავად და ბოროტის დასათრგუნად.

დღესაც ურყევი რჩება ილიას შეხედულება, კერძოდ, უარყოფითი პერსონაჟის ესთეტიკურ ფუნქციაზე. „სისხლის-მსმელი, კაცის-მკვლელი მაკბეტის აფთარი ცოლი ისეთივე მშვენიერებაა ხელოვნების თვალით და ესტეტიურის გრძნობის შეხედულობით, როგორც გულკეთილი, გულწრფელი და კეთილმომქმედი კორდელია. თუმცა ერთი გძულს და მეორე გიყვარს, მაგრამ აქ ძულებაც და სიყვარუ-

[90] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1953, გვ. 120.
[91] იქვე, გვ. 118.

ლიც ერთსა და იმავე საგანზეა მიმართული, ერთსა და იმავე ძარღვს ადამიანის გულისას სძრავს ერთი ბოროტის უარყოფის გზით და მეორე სათნოების დამტკიცებითა"[92].

ილია, როგორც მოაზროვნე, კიდევ უფრო მრავალმხრივი ხდება 80-იანი წლებიდან სიკვდილამდე, ვიდრე იგი იყო 60—70-იან წლებში.

ილიას დიდი წვლილი მიუძღვის 1905 წლის რევოლუციის მომზადების საქმეში თავის შემოქმედებით; ცარიზმის შეურიგებელ მოწინააღმდეგეს სურდა 1905 წლის რევოლუციას პირველ ყოვლისა მეფის მთავრობისათვის დაერტყა; ეს იმასაც ნიშნავს, რომ ილიას მიზანი იყო რევოლუციას ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი მისცემოდა: „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ცისე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ. ამას თხოულობს არამც-თუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლესკაცობისაც საკუთრივ"[93]. მაგრამ ილიას რაკი დაუნახავს, რომ რევოლუცია წმიდა სოციალ-კლასობრივი გზით მიდიოდა, თანაც მარცხს განიცდიდა, 1906 წელს უშედეგოდ უცდია პროგრესისტ ნაციონალ-დემოკრატების პარტიის შექმნა[94]. ამ „პარტიის" პროგრამის მიხედვით საქართველო კვლავ რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად რჩება, მაგრამ ნავარაუდევია ცარიზმის პროგრესული სახელმწიფოებრივი სისტემით შეცვლა, სადაც ყველა ერის, მათ შორის საქართველოს სუვერენული უფლებანი იქნებოდა დაცული; ქართველ ხალხს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა მიეცემოდა: საკონსტატაციო ნაწილში მკაცრად არის დაგმობილი ცარიზმის ასწლიანი ცენტრალისტურ-ბიუროკრატიული რეჟიმი კავკასიასა და საქართველოში, რუსიფიკატორული პოლიტიკა, რაც კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ინტელექტუალური და ეკონომიური ძალების სრულ დამორჩილებას ისახავდა მიზნად.

ცხადია, ამ პარტიის შექმნის ცდაც, სხვა პარტიებთან ილიას გარკვეული კონტაქტი[95], თბილისის ინგლისურ კლუბთან კავშირი[96],

---

[92] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1953, გვ. 119.
[93] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებული, IX, 1928, გვ. 191.
[94] პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე. 1954, გვ. 304—316. საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიას ფონდის მასალები № 454. 455.
[95] საქ. მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტიტუტის ილიას ფონდი № 272, მოსაწვეო ბარათი, რომლითაც 1906 წლის 21 ივნისს, 12 საათზე „ხალხთა თავისუფლების პარტიის" სამდივნო იწვევს ილიას სხდომაზე.
[96] იქვე, ილიას ფონდი № 141, 19/V. თბილისის ინგლისური კლუბი წამოყენებული კანდიდატების ბალატირებაზე იწვევს.

ადგილობრივი უმაღლესი მთავრობის ხელმძღვანელებთან ოფიციალური ეთიკეტის შესატყვისი კეთილშობილური ქცევა, მისი სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევა და იქ მოღვაწეობა და ა. შ. ქართველი ხალხის დემოკრატიული ძალების. ქართველი ერის ბედნიერებისაკენ იყო მიმართული. რასაც იგი გულწრფელად ესწრაფოდა.

1905 წლის რევოლუციის წმინდა კლასობრივმა ხასიათმა ერთგვარად შეაშფოთა ილია, მაგრამ როცა ქართველი თავადაზნაურობის შავი რაზმი შედგა, მან სასტიკად გაილაშქრა მის წინააღმდეგ: „რად გინდათ ეს იაოალი რომ აგისხამთ! ვისთვის ამზადებთ თოფებს? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ“[98]

1905 წელს გენერალ სტაროსელსკის საგურამოში აჯანყებული გლეხების დასასჯელად ჯარი გამოუწვევია. ილიას ეს შეუტყვია და თავისი მოურავისათვის მიუწერია: „მოსე... თუ ვინცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ. ჩვენ თვითონ მოვრიგდებით-თქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ უბრალოდ არ გააფუჭონ“[99].

ილია აღაშფოთა რეაქციის თარეშმა. იგი ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ ფულადი დახმარება გაეწიოს 1906 წელს მეფის დამსჯელი რაზმისაგან გადამწვარ ოზურგეთის 400 წვრილშვილიან ოჯახს. იგი წუხს, რომ შეკრებილი თანხა ძალზე მცირე იყო და თანაც დროზე არ გადაეგზავნა დაზარალებულთ: „მე ძალიან მწყინს მაკვირვებს, რომ ამდენხანს არ გაგზავნეთ დაპირებული ფული, თუ საჭირო იყო მოგონება. ის თანხა, რომელიც ჩვენ გადავდევიო, ისე მცირეა, რომ საქველმოქმედო საზოგადოებამ უნდა იზრუნოს და გამონახოს საშუალება და კიდევ მიაწოდოს დროთი-დრო, თორემ ოთხასს წვრილშვილიან გადამწვარ ოჯახს, აბა, რა დახმარება უნდა

---

[98] „ლიტერატურული საქართველო“, 1936, გვ. 7.

[99] ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, სოხუმი, 1949, გვ. 125—126

გაუწიოს ოთხასმა თუმანმა. თითო თუმანი ოჯახს არ ამშენებს. ეს უნდა ვიცოდეთ"[100], — უთქვამს ილიას საქველმოქმედო საზოგადოების მესვეურებისათვის.

ილია გაცნობია გურულ რევოლუციონერ გლეხს გოგელიას და სიამოვნებით უთქვამს: „აი, ეს გურული, მართალია. სახლკარი გადაუწვეს. მაგრამ მთავრობასთან საბრძოლველად იარაღს არ ყრიან. ნამდვილი რევოლუციონერია"[101].

1906 წლის 8 აპრილს ილია ქართველმა თავადაზნაურობამ აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრად. მაგრამ გაზეთების კორესპონდენტებთან ინტერვიუში იგი თავისთავს აცხადებს მთელი ხალხის წარმომადგენლად: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავად-აზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი, — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს და ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ინტერესების დამცველი ვიქნები. ს ა ე რ თ ო კ ი თ ხ ვ ე ბ ს ა ც შევწირავ ჩემ ღონეს"[102].

როცა თვითმპყრობელურ-მემამულური შავი რეაქცია რევოლუციონერებს კატორღებში გზავნიდა და სახრჩობელებზე ჰკიდებდა, სახელმწიფო საბჭოში ილია ჭავჭავაძე გამოდის სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ, მოითხოვს ამნისტიის კანონის მიღებას და სხვ.

სახელმწიფო საბჭოში ილია მტკიცედ იცავდა ადგილობრივ თვითმართველობას ფართო საკანონმდებლო უფლებებით. ყოველივე ამით აიხსნება, რომ თავადაზნაურობა და მეფის მთავრობა მოტყუვდნენ ანგარიშში: ილიას სახით ისინი ელოდნენ თავის ყურმოჭრილ ლაქიას, მაგრამ არ გაუმართლდათ მოლოდინი. 1907 წელს სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა, მეფის მთავრობის მოსყიდულმა აგენტებმა კრუპენსკიმ და მარკოვმა თავადაზნაურთა არჩევნებზე ხმა აიმაღლეს ილიას წინააღმდეგ: „ჩვენ (თავადაზნაურობამ) ავირჩიეთ ილია ჭავჭავაძე. იმან მთელი თავადაზნაურობა შეგვარცხვინა. ჩვენ შევცდით და ვნანობთ. ეხლა თუ საიმედო კანდიდატს დაგვისახელებთ ისეთს, როგორიც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკია, თუნდაც წერა-კითხვა არ იცოდნენ, დიდი სიამოვნებით ავირჩევთ"[103].

---

[100] ნ. ნ ა კ ა შ ი ძ ე, ილ. ჭავჭავაძის გარშემო, „მნათობი", 1945, № 10, გვ. 114.
[101] იქვე, გვ. 115.
[102] მ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, ახლო წარსულიდან, ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წწ.), ჟურნ. „ჯანათლება", 1908, № 3—4, გვ. 108.
[103] იქვე, გვ. 108—109.

ცხადია, ასე არ აფასებდნენ ილიას მოღვაწეობას სახელოვანი რუსი მეცნიერები. სახელმწიფო საბჭოს წევრი მ. კოვალევსკი, პროფ. ტაგანცევი და სხვ.

სახელმწიფო საბჭოში ილია ხალხის ჭეშმარიტ მსახურად გვევლინება. ამ გარემოებამ დააჩქარა ჟანდარმერიის მიერ ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა. მაგრამ, მეფის მთავრობის რეპრესიები ილიას წინააღმდეგ ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო — „ივერიის“ გამოსვლის დღიდან. თუ უფრო ადრე არა.

მეფის მთავრობა აშკარად ხედავდა „ივერიის“ მებრძოლ ანტიცარისტულ პოზიციას. ეს ნათელია იმ მცირე ცნობების მიხედვითაც კი, რაც დღემდეა გამოვლინებული. მაგალითად, 1886 წელს არ არის დარჩენილი „ივერიის“ თითქმის არც ერთი ეგზემპლარი, რომ იგი დაკუწული არ იყოს ყიზილბაშურად მეფის ცენზურის მიერ. 1892 წელს აკრძალული იყო 16 სტატია, 1894 წელს — 71, 1895 წელს 33. 1896 წელს კი „ივერია“ სულ აკრძალა მთავრობამ რამდენიმე თვით.

1896 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ გაკელმა სპეციალური მიწერილობანი გაგზავნა მთავარმართებელთან და პეტერბურგში „ივერიის“ ასაკრძალავად. 1896 წლის 10 მაისს კავკასიის მთავარმართებლობის საბჭომ გამოიტანა დადგენილება 8 თვით „ივერიის“ გამოცემის შეწყვეტაზე; დადგენილებაში ხაზგასმულია გაზეთის ანტიცარისტული პროპაგანდა: «В газете «Иверия» систематически, в течение нескольких лет ведется вредная пропаганда... против вводимых в крае русских порядков... параллельно в этой газете настойчиво проводится мысль об угнетении грузинского народа, выражающемся, будто-бы, в преследовании грузинского языка в школе и даже в церкви. В виду этого грузины призываются к открытому действию и против русского влияния“. იქვე გადახაზულია მომდევნო ფრაზა: „Даже поступление в высшие учебные заведения рекомендуется грузинам с этой преступной целью“ [104].

შეიძლება მარტო მითითებაც კი ქმაროდეს საარქივო დოკუმენტებზე ჟანდარმთა სამმართველოს მიერ ილიაზე დაწესებული საიდუმლო მეთვალყურეობის შესახებ; ეს დოკუმენტები ეხება უმთავრესად 1884, 1885, 1893, 1894, 1896 და 1905 წლებს. 1884 წ. 13 ივლისის ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტში ვკითხულობთ: «По распоряжению Департамента полиции учрежден негласный надзор

„საისტორიო მოამბე“, 3, 1947, გვ. 246, ცსსა, ფონდი 12, საქმე 2185.

полиции над служащим в Тифлисском дворянском поземельном банке кн. Ильею Григорьевичем Чавчавадзе и сыном коллежского секретаря Игнатием Аписимовичем Иоселиани, как за лицами сомнительной политической благонадежности»[105]. ასეთი „საიდუმლო“ და „სრულიად საიდუმლო“ განკარგულებანი ილიაზე, როგორც „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირზე“, ვაცემულია კიდევ იმავე 1884 წლის 31 ივლისს და 13 სექტემბერს, ილიას ადგილსამყოფელის მინიშნებით[106]. ასეთივე ხასიათისაა თბილისის პოლიცმეისტერის 1885 წლის 3 აპრილის, 11 ივნისისა და 8 ივლისის პატაკები თბილისის გუბერნატორისადმი[107]. 1893 წლის 10 მარტს თბილისის გუბერნატორი უდგენს მიმართვას შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს ილია ჭავჭავაძესა და სხვა პირებზე პოლიციის „აშკარა და საიდუმლო ზედამხედველობის“ დაწესების შესახებ[108].

მეფის მთავრობა ილია ჭავჭავაძეში ხედავდა თავის დიდ მოწინააღმდეგეს. თბილისის ჟანდარმერიის 1894 წლის პირველი მაისის საიდუმლო მოხსენებაში, რომელიც პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტს გაეგზავნა, სემინარიის მოსწავლეთა „ბუნტებთან“ დაკავშირებით, ვკითხულობთ: „დარწმუნებით შეიძლება დავადასტუროთ, რომ **მთავარ ხელმძღვანელად** მიმართულებისა, რომელიც მიზნად ისახავს ნაციონალური მოძრაობის გაღრმავებას, ითვლება თავადი ილია ჭავჭავაძე, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე... თავადი ილია ჭავჭავაძე პატრონია **შესანიშნავი ჭკუისა** და მდგომარეობისა, სარგებლობს **დიდი ავტორიტეტით ქართველობის შორის** საზოგადოდ და **თავისუფალ მოაზროვნეთა შორის** განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დრო და დრო ეწყობა საიდუმლო კრებები, რომლებზედაც იხილავენ სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებს“[109].

1895 წელს ჟანდარმერიას გაუჩხრეკია ილიას ბინა, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები აღმოჩნდა[110].

---

[105] „საისტორიო მოამბე“, 3, 1947, გვ. 212, ცსსა, ფონდი 17.

[106] იქვე, დოკუმენტები, 42, 43.

[107] იქვე, დოკუმენტები, 44, 45, 46.

[108] იქვე, 3, 1947, გვ. 212, ცსსა, ფონდი 17.

[109] დოკუმენტი გამოქვეყნებულია გაზ. „Тифлисский рабочий“, 1937, № 110.

[110] ა. ი ო ვ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძე—დოკუმენტალური მასალები, „საისტორიო მოამბე“, 3, 1947, გვ. 157.

1898 წლის 9 აპრილისთვის დანიშნული ილია ჭავჭავაძის საქმიანი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე, რაც მოწინავე ქართველ ინტელიგენციას უნდა მოეწყო. მეფის მთავრობის ჩარევით ჩაიშალა.

1905 წლის 28 სექტემბერს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი მიმართავს უგზავნის თბილისის ოხრანკის უფროსს ილიაზე დაწესებული ფარული მეთვალყურეობის შესახებ[111].

ქართველი ერის დიდ მოჭირნახულეზე ასე მზადდებოდა მეფის მთავრობის მიერ 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურის ტრაგედია.

1900 წლიდან ილიას დაეტყო ჯანმრთელობის შერყევა. ამავე წელს იგი საექიმოდ წავიდა გერმანიაში, ბერლინში, სადაც ექიმობდა პროფ. ლეიდენთან. 1901 წელს იგი სამკურნალოდ არის პარიზში.

დასავლეთ ევროპას კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ილიაზე, მაგრამ გული მაინც სამშობლოსაკენ მოუწევდა: „ყმაწვილობაში გამომიცდია ნაღველი სამშობლოს მოშორებით, მაგრამ ასე ძლიერ არა, როგორც ეხლა, მოხუცების დროს"[112].

თავის ჯანმრთელობას კვლავ არასაიმედოდ თვლიდა. ახლო პეგობარ არტურ ლაისტისთვის ილიას უთქვამს: „სიბერე უკურნებელი ჰირია".

1907 წლის 30 აგვისტოს მეფის მთავრობის დაქირავებულმა აგენტებმა ვერაგულად მოკლეს ილია წიწამურთან. დიდი მოქალაქის ვერაგ მკვლელებს საკადრისი პასუხი გასცა ხალხმა ილიას დიდი თანამებრძოლის აკაკის პირით:

რა შემცდარი ხარ! თვით ილიასთვის
მაგგვარ სიკვდილში არის სიცოცხლე.

დიდებულად თქვა დიდმა ვაჟა-ფშაველამ: „ილიას მკვლელებს, რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ".

ასე ტრაგიკულად დასრულდა ილია ჭავჭავაძის სიცოცხლე. მან სახელოვნად განვლო თავის სამწერლო და პუბლიცისტური მოღვაწეობის გზა. მის მემკვიდრეობას მარტო ისტორიული მნიშვნელობა როდი ეძლევა, — აქტიურად ესმაურება ჩვენს თანამედროვეობას.

ქართველი ხალხის დიდი მოამაგე უკვდავია ქართველ ხალხთან ერთად.

---

[111] „საისტორიო მოამბე", 3, 1947, ცსსა, ფონდი 12, საქმე 2185, დოკ. 82.
[112] არტ. ლ ა ი ს ტ ი, საქართველოს გული, 1923, გვ. 35.

II. ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ სტილში

ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი უშუალოდ მხატვრული სტილის თავისებურების საკითხთან არის დაკავშირებული. გარკვეული ეპოქის თვით იდეებით მსგავსი შემოქმედნი განსხვავდებიან სტილით: ილიასა და აკაკის შორის მსოფლმხედველობრივი შესატყვისობაა, მაგრამ მათი სტილი სხვადასხვაა.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ სტილში ჩვენ გამოვყოფთ ორ მხარეს: I. სტილის იმ ნიშნებს, რაც ზოგადია, საერთო ეპოქისეულია; ეპოქის დონეზე მდგომი შემოქმედნი მხატვრული სტილის სწორედ ეპოქისეული მონაცემებით ჰგვანან ერთმანეთს. ამდენად, თუ ილია იდგა თავისი ეპოქის დონეზე, მისი სტილის ზოგი ნიშანი უთუოდ უნდა ჰგავდეს მისი ეპოქის მწერლების გოგოლის, მერიმეს, ჰიუგოს, ფლობერის, ტოლსტოის, აკაკის და სხვ. სტილის გარკვეულ ნიშნებს. II. ილია ჭავჭავაძის მხატვრული სტილის მეორე მხარეს, მის ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ას განაპირობებენ მწერლის შინაგანი ბუნება, მისი ფსიქიური კომპლექსი, განათლება, ტალანტი. ეს მონაცემები წარმოქმნიან ილიას სტილის ძირითად თავისებურებებს.

ილიას სტილმა უკვე გასულ საუკუნეში საკმაოდ მრავალმხრივი დახასიათება ჰპოვა ლიტერატურულ კრიტიკაში. მაგრამ ყოველი ეპოქა წარსულის შემოქმედებას ხელახლა აფასებს თუ გადააფასებს. ყოველი ეპოქა წარსულის მემკვიდრეობას თავისი თანამედროვეობის ახალი ესთეტიკური პრინციპებით აშუქებს, ახალი იდეებისა და განწყობილებების ასპექტში განიხილავს, ახალი მეცნიერული საშუალებებით განმარტავს თუ ხსნის. ამდენად ილიას მხატვრული შემოქმედება, მისი სტილი თანამედროვე კრიტიკამ თანამედროვე საშუალებებით უნდა გაარჩიოს.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში ილიამ ახალი, მისი სტილისტური ხერხები, მხატვრული წარმოსახვის ფორმები, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების ფონზე უნდა განვიხილოთ.

როგორი ფსიქოლოგიური მიმართება გამოიჩინა ილიამ წარსულის ლიტერატურული ტრადიციებისა და მემკვიდრეობისადმი?

ილია ჭავჭავაძის დრო ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ ამბოხური განწყობილების, რუს რევოლუციონერ დემოკრატთა, გარიბალდისა და პარიზის კომუნის ხანა იყო. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა და, აგრეთვე, პირადი „მე"-ს აბსოლუტური თავისუფლებისაკენ ლტოლვა, დარღვეულ აწმყოდან დიად მომავალში ნახტომის მოხდენა, ამ ეპოქალური მოვლენების მძაფრად შეგრძნება ქართველმა რომანტიკოსებმა შეამზადეს. ამიტომ მათი ესთეტიკურ-იდეური სამყარო შეუძლებელი იყო უყურადღებოდ დარჩენოდა ილია ჭავჭავაძეს. ქართველი ერი სოციალური და სულიერი განსაცდელის წინაშე იდგა. საქართველოს ისტორიის ასეთ ვითარებაში, გასაგებია თუ წარსულიდან გამოიწვიეს ერის ინტელექტუალური დიდებანი: რუსთაველი, გურამიშვილი, საბა... ისინი ეროვნულ თვითშეგნებას ასაზრდოებდნენ, XIX საუკუნის დიდ ქართულ ლიტერატურასთან ერთად იწყებენ მოქმედებას. ქართველი ხალხის უძვირფასესი საუნჯე „ვეფხისტყაოსანი"— „ეს უძირო პორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა," ილიამ ხალხის ზნეობრივი იდეალის მთავარ სახელმძღვანელოდ გამოაცხადა.

რუსთაველი განაპირობებს ილია ჭავჭავაძის მხატვრულ მრწამსს და ეთიკას, „ვეფხისტყაოსანი" მიჩნეულია აღზრდის მთავარ სახელმძღვანელოდ. მოთხრობა „კაკოს" დადებითი გმირი კაკო „ვეფხისტყაოსნით" წვრთნის თავს. ამავე თხზულებით იზრდება გაბრიელ („გლახის ნაამბობი"). საინტერესოა, რომ ილიას შესაძლებლად მიუჩნევია რევოლუციური სული შეეტანა ავთანდილ-შერმადინობის სოციალური კოდექსის გაგებაში. „უარესს ეგა სჯობია", მაგრამ „იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდად გაქვს და დედამიწა ქალამნადა", — ამბობს მოძღვარი ავთანდილ-შერმადინის ბატონყმობით გაბრაზის აღტაცების გამო.

რუსთაველს ილია მებრძოლი პატრიოტიზმის საქადაგებლადაც მიმართავს. მეფის რუსეთისაკენ პირნაკლევ თერგზე (=საქართველოზე) ილია ირონიით წერს: „პე, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა".ეს სიტყვები კონტექსტთან ისე ლოგიკურადაა შეხამებული, რომ ილიამ ამით თითქმის იგივე თქვა, რასაც მთელი ნაწარმოებით ამბობს. ასეთი მაგალითები რუსთაველის მემკვიდრეობის შესისხლხორცებაზე და ახალ წაკითხვაზე მიგვითითებს.

ისტორიული ვითარება ილიას უკარნახებდა საქართველოს აწ-
ნამდვილისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. აქ მას სატირაჭა
ყველაზე კლასიკურ მაგალითს ქართული ლიტერატურიდან საბა აძ-
ლევდა. მართალია არა იგავ-არაკებით, მაგრამ სწორედ საბასებური
შეუპოვრობით გაჰკილა ილიამ თავისი დროის ცხოვრებაში დანახუ-
ლი „აშმორებული გუბე". საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა"
იმდენად შთამაგონებელი ყოფილა ილიასათვის, რომ მთავარი ად-
გილი დაიკავა ამ შედევრმა მის ცნობილ მხატვრულ-პუბლიცისტურ
ფელეტონში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე" (1896). ილიამ
შემთხვევით არ მისცა ასეთი სათაური თავის ფელეტონს. მან საგან-
გებოდ აღნიშნა: „საბა ორბელიანმა, რომ თავისი ზღაპრები დასწერა,
სიბრძნე სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ უც-
ნაურს სახელს წიგნისა". თავისი პარადოქსულობით და უცნაურო-
ბით ერთმანეთს ჰგვანან სათაურები „სიბრძნე სიცრუისა" და „კაცია-
ადამიანი?!" ილიაზე, ეტყობა, იმთავითვე გაელენას ახდენდა საბას
სტილი. საბას ლაპიდარული თხრობის სტილს შინაგანად იღებს
ილია.

საბა ილიასათვის ახლობელი იყო ახალი ქართული სალიტერა-
ტურო ენის საწყისების, თხრობის მარტივი სტილით. საერთოდ, ენის
სიახლოვით სამეტყველო ქართულთან ილიასათვის უფრო ახლოს
ჩანან საბა და გურამიშვილი, ვიდრე ქართველი რომანტიკოსები. გუ-
რამიშვილის პოეზია, საქართველოს ისტორიული ვითარების ეს
უშუალო გამოძახილი, ამ მხრივაც მონათესავე ხდება ილია ჭავჭავ-
ძისათვის. გურამიშვილის „დიდაქტიკური პოეზია, — წერს ილია, —
პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეციის, ვირგილის ან ჰორაციოს
პოეზია დაუყენეთ პირისპირ". მისი „სარწმუნოებრივი ღაღადება და-
ვით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა აყვანილი" [13].
ილიასა და გურამიშვილს ანათესავებთ „ქართლის ჭირის" მოჭირ-
ნახულობა.

„დავითიანიც" და ილიას თითქმის მთელი შემოქმედება „ქართ-
ლის სიავის" დაუსრულებელი მატიანე არ არის?! „აჩრდილი", „რა
ვაქეთეთ", „ბედნიერი ერი" და სხვ. XIX საუკუნის თავისებური
„ქართლის ჭირი" არ არის? გურამიშვილი ხომ ასე ამბობდა?

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარეა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების.

---

[13] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, 1953, გვ 152—153.

ზუსტად ასეთ დამოკიდებულებას არ იჩენს ილია ჭავჭავაძე „ქართველთ სიავისადმი“?

ჩვენზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს“...

ამავე დროს ილიას ეპიური თუ ლირიული ტონალობა სრულიად ახალ რხევებს გამოსცემს. მისი ფერთა და სმათა გამები ახალი ემოციონალობითაა აღბეჭდილი.

ილიას დიდი სიახლოვე გურამიშვილთან ბუნებრივია და აშკარაა. მაგრამ არა იმდენად მრავალმხრივი, რომ მას ვაჟასავით განეცხადებინა:

შენის ცრემლებით მოეხარშე
ჩემი გრძნობების ფიფაო.

ილიას სიახლოვე გურამიშვილთან ზოგის მხრივ უნებლიეც კი, ერთი მხრივ, ილია ითვალისწინებდა „დავითიანის“ ესთეტიკურ და იდეურ სიმდიდრეს, მეორე მხრივ, ილიასა და გურამიშვილს შორის სიახლოვე თავისთავადაც. უნებლიედაც წარმოიშვებოდა, იმის გამო, რომ ორივენი ისწრაფოდნენ მიეახლოებინათ პოეზიის ენა სამეტყველო ენისათვის.

აწმყოს ესთეტიკური ფენომენი ყოველთვის როდი იღებს სათავეს უახლოეს წარსულში. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, მისი შემოქმედება არსებითად მაინც თავის უახლოეს წარსულს — XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის ტრადიციებს ეფუძნება. ილიასათვის მრავალმნიშვნელოვანი იყო ანტიური ლიტერატურაც; ხოლო რუსთაველთან ერთად მოჰყავს მას ყოველთვის „გულთამხილავი“ შექსპირი. მაგრამ რაგინდ მრავალმხრივი და ღრმა იყოს ილიას დამოკიდებულება წარსულის შემეცნებისადმი. მისი მხატვრული სტილი თავის სათავეს არსებითად მაინც მის უშუალო წარსულში და თანამედროვეობაში იღებს. ილია თავის იდეურ-ესთეტიკური მრწამსით მაინც უახლოესი წარსულის და თანამედროვეობის ორბიტშია მოქცეული. აქ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ რუსთაველი, რომელიც დღესაც უახლოესია.

ეს იმას არ ნიშნავს. რომ ილია წინა თაობის მწერლებს, განსაკუთრებით რომანტიკოსებს ყველაფერში ეთანხმებოდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ რომანტიკოსთა ტრადიცია განმაპირობებელია მასთან არა მარტო გაზიარების, არამედ ამ ტრადიციისადმი დაპირისპირების თვალსაზრისითაც. მაგალითად, ილიასა და გრ. ორბელიანის პატრიოტიზმის იდეების პოეტური გადაწყვეტის შეხვედრის მონაცემები გვაქვს „„სადღეგრძელოსა“ და „საღამო გამოსალმებისა“,

„აჩრდილსა“ და „მგზავრის წერილებს“ შორის. „იარალის“ რემინისცენცია შეინიშნება ილიას ლექსში „მწუხარება“... ამავე დროს, რაოდენადაც ახლობელი იყო ილიასთვის გრ. ორბელიანი, ამდენადვე „უცხოც“ იყო. გრ. ორბელიანი საქართველოს „ჩასვენებული მზის“ („საღამო გამოსალმებისა“), ხოლო ილია ჭავჭავაძე საქართველოს „აღმობრწყინებული მზის“ („აჩრდილი“) მხატვარი იყო.

ილიას პოეტური სულისთვის ყველაზე ახლო ბარათაშვილია. „მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, — წერს ილია ბარათაშვილზე, — ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა, კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“.

„მერანის“ შემოქმედის „საშინელი კივილი გულისა, ის საშინელი სულის კვეთება, ის თავგანწირული გიჟური ლტოლვა და სრბოლა უგზო-უკვლოდ კლდეებსა და ღრეებზედ“, — ქართული პოეტური აზრის საუკეთესო განსხივოსნებად მიაჩნია ილიას, რითაც რომანტიზმის მიუკერძოებელი შეფასება და აღიარება გამოაცხადა.

ბარათაშვილის „მერანის“ ქროლვა ბედის საზღვრის იქით არის თავისებური ამირანულ-პრომეთეული ამბოხება აბსოლუტური თავისუფლების მოსაპოვებლად. ეს თვისება წამყვანია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაშიც („თავისუფლებავ შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი...“). „განდეგილი“ ხომ დაფიქრებაა—შესაძლოა თუ არა, და რამდენად შეჰფერის კაცს თვით საზოგადოებისგანაც იყოს თავისუფალი? ამ საკითხს უარყოფითად უპასუხებს: ბარათაშვილმა („არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“), ბაირონმა („კაენი“), ასევე ილიამ („განდეგილი“). ასეთი დაფიქრების დროს იწყებს ილია ბაირონის „მანფრედისა“ და „კაენის“ თარგმნასაც; ამ მხრივ მოდიან რომანტიკოსები ილიასთან განსაკუთრებით ახლოს. ბაირონის პოემის „დანტეს ჭინასწარმეტყველების“ პრომეთეული მოტივი და იტალიის განთავისუფლების წინასწარმეტყველება, თავისებურად გათვალისწინებული ჩანს ილიას მიერ „აჩრდილში“. ეს იდეა არა ნაკლებ ამაღლებულ რომანტიკულ სტილში წარმოგვიდგინა ქართველმა პოეტმა და ძლიერ თავისებურ და დამოუკიდებელ სტილშიც გადაწყვიტა.

პოეტი მის აწმყო საქართველოში მარტოოდენ დიადი მომავლის გარდუვალობის წანამძღვრებს როდი ხედავდა. ილია ძველი ისრაილის ჭირისუფალიც იყო.

ოხ, სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა...

ბაირონის ეს ლექსი — ებრაელთა გოდება დაკარგული სამშობლოს გამო, შემთხვევით როდი თარგმნა ილიამ.

...მეცა მქონია კარგი მამული!..
...ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

ასე მიბაძა ილიამ თავის თარგმანში ჰაინეს პატრიოტულ ლექსს („მეცა მქონია კარგი მამული!“ — მიბაძვა ჰაინესი).

აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი...

ალ. ჭავჭავაძის ეს პატრიოტული მწუხარება ილიასთვის დაუვიწყარი აღმოჩნდა. „აჩრდილის“ XXIV თავის შეხვედრა „გოგჩასთან“ მოწმობს ილიას პოეზიის მშიდრო კავშირს რომანტიკოსების აზრთან და სტილთან.

წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტერად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება...

რომანტიკოსები ახლოს არიან ილიას სულთან და გულთან (სიახლოვე როდი არის იგივეობა ან თითქმის იგივეობა). ილიასთვის უფრო ახლო იყო „ბედი ქართლისა“, ვიდრე „ქართლის ჭირი“. ეს ბუნებრივიცაა. ბარათაშვილის მიერ აღძრული საფიქრელი საჭირბოროტო რჩება მთელი XIX საუკუნის მანძილზე, „ბედი ქართლისა“ და „აჩრდილის“ თვალსაზრისი ხშირად ხვდება ერთმანეთს, იმდენად, რამდენადაც ეროვნულ სპკითხში XIX საუკუნის ყველა ქართული თაობის ორიენტაცია ერთგვაროვანია ძირითადად. აქ პიონერები რომანტიკოსები არიან. ამ საკითხის გაგების გავრცობისა და სახეცვლილებათა არსი ერთი რჩებოდა თავისი დედააზრით. ილიას შემოქმედება ეროვნული ჩაგვრის ხუნდებისაგან განთავისუფლების მოტივთან ერთად კლასობრივი ჩაგვრის ბორკილების დამსხვრევის მოწოდებასაც შეიცავს. ილიას მრწამსიც საქართველოს ისტორიული ვითარების კარნახითაა ჩამოყალიბებული.

რომანტიკოსთა მსატვრული სტილის ძირითადი თვისების — ეროვნული თვალსაზრისის გაზიარებამ, რომანტიკოსთა სტილის ზოგი სხვა თვისების გაზიარებაც გამოიწვია. „ბედი ქართლისას“ და

„აჩრდილის“ სტილი თავისი ბუნებით არაა დაპირისპირებული. მხოლოდ ის არის, რომ პოეზიის განთავისუფლება ენობრივი ხელოვნურობისაგან, რაც რომანტიკოსებმა დაიწყეს, ილიასთან ბოლომდეა მიყვანილი.

მაგრამ ბარათაშვილის პოეზიაში იყო მრავალი ისეთი თვისება, რომლის განვითარება ან მასზე უფრო მაღლა დადგომა დიდხანს აღარ შეიძლებოდა. ბარათაშვილის სტილის თვალსაჩინო თვისება—გარე სინამდვილის, ეპოქის განწყობილების უკიდურესი სუბიექტური გარდატეხვა, გარდა ამისა— დახვეწილი რომანტიკულობა, დიდი ხნით განუმეორებელი იყო. ბარათაშვილს სიყრმიდანვე არ ასვენებს „იდუმალი ხმა“ და აქეზებს „დაშთოს აქ ამაოება“, „მის იქით“, „ზენაართ სამყოფს“ ეძიოს „სადგური მყუდროებისა“. ღვთაებას შესთხოვს „მოიხილოს ძე შეცთომილი“, არ სურს ბოროტებით აღსავსე სინამდვილეს ემონოს, შეურიგდეს:

თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

ილია ჭავჭავაძის ლირიკულ გმირსაც გააჩნია ეჭვისა და სასოწარკვეთილების ტკივილები. არის მომენტები, როს „კაცთ მაცოცხლებელ“ მზის სხივებს „არ ძალუძს“ მისი „გულის გათბობა“, „დარდის ცრემლად დადნობა“ („ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი“). „ყველა წაერთო“, ნუგეშად „მარტოლა ცრემლნი“ დარჩენია („კაი მას“). „წამერთო ყველა და წარვიდა ბედიც მღიმარი“ („ალაზანს“). „დაბნელდა სული“,—აღმოხდება ილიას. ილიასათვის ზრუნვისა და ყურადღების საგანი თითქმის იგივეა, რაც ბარათაშვილისათვის, მაგრამ ეს ილიასთან უფრო დაკონკრეტებულია, გასაგებულია, ჯამოკვეთილია. „ხმა იდუმალს“ თავისი პირდაპირი სახელი ეწოდა: ხმა ერის წყლულისა, ხმა თანამედროვე კაცობრიობის სატკივრისა, ხმა გარიბალდის ბრძოლებისა, ხმა პარიზის კომუნარებისა, ხმა ბაზალეთის ტბის ტალღებისა... მშობლიური მდინარის ბუტბუტიც დაკონკრეტდა, უფრო ნიშნეული გახდა. ილიას „ალაზანი“ ეტაპური გადასასვლელი ლექსია ბარათაშვილისებრ სტილიდან უფრო სადღეისო, კონკრეტული ამოცანებისათვის შესაფერისი სტილისკენ; მერანის ნაკვალევზე ლექსებში „გაზაფხული“ და „ჩემო კალამო“ მეტი კონკრეტულობაა გამოვლინებული. მერანის მხედარს სურდა ეხილა ის, რაც აჩრდილმა უჩვენა ილიას. ილიასთან ბარათაშვილისებრი ლტოლვანიც ძალიან ხშირად გამოსჭვივის. განსაკუთრებით ეს ითქმის ლირიკაზე და ნაკლებად ეპოსზე. ამავე დროს თვით „აჩრდილშიც“ ლირიკული გმირის აბობოხებას, ქმედობას თან ახლავს კონკრეტულობაც. „აჩრდილი“ ქართული პოეზიის მეორე „მერანია“.

ილია ჭავჭავაძის ლირიკული გმირი თავისი არსებით სრულიად ახალია. იგი ბარათაშვილის ლირიკულმა გმირმა აღძრა სრულიად ახალი სიმაღლისაკენ.

მასების ფსიქიური ატმოსფეროს აღქმამ გენიალური პოეტური ტრანსფორმაცია განიცადა ილიასთან; ახალი სახე მიიღო: ილია პირდაპირ მიუთითებს, რომ მის ხმაში არის ერის, ხალხის ხმა („პოეტი", „ჩემო ყალამო", „მგზავრის წერილები"...),

ილია ამბობდა: „პოეტს ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს". დიდ რეალისტთან, პროზაიკოსთან, ეპიკოსთან და სატირიკოსთან როგორც წესი, თავისთავადაც იგულისხმება არა მარტო ხალხის ფართო მასებზე წერა, არამედ ხალხური მასალის და ენობრივი თავისებურებების გამოყენება. ილიას დამოკიდებულება ხალხის პოეტური საუნჯისადმი ღრმად შემოქმედებითია. ეს იმდენად იმით კი არ მჟღავნდება, რომ „ქაკო ყაჩაღში", „გლახის ნაამბობში" და პოეტის მიერ ლეგენდად წოდებულ „განდეგილში" ფოლკლორული ნაკადი ძლიერ გადამუშავებულია. რაც მთავარია, მთელი ხალხური მასალა მკვეთრად ეპოქისეულ იდეათა და დაფიქრებათა ხორცშესხმას ემსახურება. „ქაკო ყაჩაღსა" და „გლახის ნაამბობში" მწერალი არსენაზე ხალხურ გადმოცემას („ზღაპარს") ეყრდნობა („არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა, ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული, ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა, ის იყო ჩემი გული და სული") და არსენას სახის ლიტერატურულ ვარიანტებს ქმნის.

ხალხური შემოქმედება ილიასათვის იყო არა მარტო მხატვრული გამდიდრების წყარო. ხალხური მეტყველება ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული ენის მთავარი საფუძველია, „როგორც თესლისაგან ნაყოფი სადღეისოდ და ნაყოფისაგან თესლი სახვალიოდ"[114]. სტილისტურ-ფუნქციონალური მიზნით ილია ხშირად მიმართავს ხალხურ ანდაზებს და თქმებს. ხალხური მეტყველების ნაკადი ილიას ლიტერატურული ენის კანონჰომიერებას ექვემდებარება. დიალექტიზმები ზომიერად და მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაშია გამოყენებული.

ილიას ეს მრავალმხრივი ენობრივი და იდეურ-თემატიკური კავშირი ხალხთან რეალიზმის გაბატონების გამოვლინებაა.

ილიას რეალიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით გიორგ ერისთავსა და ზურაბ ანტონოვს. ისინი სოციალურ და საყოფაცხოვრებო თემატიკაზე მუშაობის რეალისტურ ტრადიცი-

---

[114] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953, გვ. 210.

ას ნერგავენ; გვიჩვენებენ ფეოდალიზმის რღვევისა და ვაჭრული ბურჟუაზიის ცხოვრებაში შემოჭრის საწყისებს. ილია ჭავჭავაძეს და ეხმარა ქართველი თავადაზნაურობის მამხილებელი ერისთავ-ანტონოვის სატირის „პირწვეტიანი ეკალი“ (ილიას. ლ. არდაზიანსა დ. ჭონქაძეს მხატვრულ პროზაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უხდებათ მუშაობა. ილიას ლ. არდაზიანის მბოლოდ „სალაყბო ფურცლები“ უსწრებს წინ). ისტორიული ვითარება ბატონყმობის ლიკვიდაციას ითხოვდა და ილია მათზე უფრო ღრმად და ფართოდ შეიჭრა სინამდვილეში. ილია ზუსტად დროის მოთხოვნას მისდევს, ბატონყმობის მხილება ბოლომდი მიჰყავს. თავისი მხატვრული სტილისათვის ნიშანდობლივად ილიას მომარჯვებული აქვს როგორც სატირული, ისე არასატირული მახვილი, როგორც ეპიური, ისე ლირიკული ჟანრი, პოეზია და პროზა. და ეს ხდება ძისი შემოქმედების მიღწევების პირველ ეტაპზევე, სწორედ მაშინ, როცა შერყეული ბატონყმური სისტემა გადაუდებელ თავდასხმას საჭიროებდა.

გ. ერისთავი იმ დოსტაქარს ჰგავს, რომელიც მთავარ სატკივარს სულ ვერ ან ნაწილობრივ ამჩნევს და ჩარევას ვერ ბედავს, ან არ ესმის ასეთი ჩარევის მნიშვნელობა. ილია ჭავჭავაძე კი იმ ქირურგს შეიძლება შევადაროთ, რომელიც მომაკვდინებელ წყლულს სწრაფად ამჩნევს და დროულ და გაბედულ ჩარევასაც მიმართავს.

„კაცია ადამიანის“ ავტორი რეალიზმისა და სიცილის ხელოვნების უფრო მაღალ საფეხურს ქმნის. ამ მხრივ ილია საბას და გოგოლის ტიპის დიდ ხელოვანთა გვერდით დგება.

როგორც სულხან-საბა ორბელიანმა ბოლომდე დაუნდობლად გაკილა საზოგადოებაში არსებული მანკიერებანი, როგორც გოგოლი სარკაზმითა და სიძულვილით აღიარსო მკვდარი სულების ჩინოვნიკურ-თავადაზნაურული სინამდვილის სიბილწის მიმართ, ასე ილიაც ბოლომდე გმობს და კიცხავს სოციალური უკუღმართობის, ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის, ადამიანობის. კაცობის შელახვის ყოველგვარ წყაროს და გამოვლინებას. ილია ჭავჭავაძეს ბავშვობიდანვე ენერგებოდა და უმტკიცდებოდა სიძულვილი მეფის რუსეთისადმი. რომელიც ქართველ ერს ჩაგრავდა. ამავე დროს მას უმტკიცდებოდა სიყვარული და პატივისცემა მოწინავე რუსული ინტელიგენციისადმი, რუსი ხალხისადმი, რომელიც ყოველთვის ებრძოდა თვითმპყრობელობას. ილიასათვის სიძულვილისა და სიყვარულის დიდი სკოლა თვით ცხოვრება იყო.

სიძულვილი ჩაგვრის, მანკიერების, სიცრუის ყოველგვარი წყაროსადმი ის მთავარი ბერკეტია, რომელიც წარმართავს ილია ჭავჭავაძის რევოლუციურ-დემოკრატიულ პათოსს. მეფის რუსეთისადმი

სიძულვილი მძლავრადაა გამოსატული „მგზავრის წერილებში". ყურადღების ღირსია ერთი გარემოებაც: ემიგრაციული რუსეთი ლერმონტოვმა ასეთი სიტყვებით დაგმო: „მშვიდობით, დაუბანელო რუსეთო" (Прощай, немытая Россия). ილიაც ამავე რეაქციულ ძალას უპირისპირდება, რომლის სიბილწესაც მკვეთრ ფერებში წარმოადგენს: რუსის პირდაუბანელ და თავდაუვარცხნელ, სქელკისერა „იამშჩიკს," მის ბრიყვ სახეს, იმის ოყრაყულ შესახედაობას, მიდუნ-მოდუნებულ ზლაზვნას, უადამიანო და პირუტყვულ მიხვრა-მოხვრას, ძროხის თვალებს, მრისხანე შემობღვერას. ეს იამშჩიკი მეფის რუსეთის სიმბოლური სახეა.

ამავე დროს „მწირის" თარგმნისას ილიამ არ მიუტევა თავის საყვარელ პოეტს ხოტბა დამპყრობელი ხიშტისა, რომლის მადიდებელი სტრიქონები ამავე ხიშტის დაცინვით შეცვალა:

მას აქეთ, რაცა კუთხეკა ღეთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს.

მეფის რუსეთისადმი სიძულვილი ასეთივე მძაფრი ფორმითაა გამოხატული ლელო ღუნიას რომანტიკულ სახეში. ამითვეა გაჟღენთილი „აჩრდილი" და „ქართველის დედა". ეს ზიზღი იმდენად ღრმაა, რომ მას თავი უჩენია იქაც კი, სადაც ეს თითქოს სულ არ გახსენებია მწერალს.

რუსეთის ცარიზმისადმი ასეთი დაპირისპირება იყო რუსი ხალხისა და მისი მოწინავე ინტელიგენციისადმი სოლიდარობა. ეს მოჩანს აგრეთვე ილიას მიერ სახელოვანი რუსი პოეტების თარგმანში, ეპიგრაფებად გამოყენებაში და სხვ. თანაგრძნობით იხსენიებს ხოლმე ილია საუკეთესო რუს მწერლებს. მოთხრობა „ქაჯოში" დიამბეკის პორტრეტის ხატვისას ილია წერს: „ტუჩები კრილოვის მელასავით..."

ილიას რევოლუციური დემოკრატიზმი მუშავდება უწინარეს ყოვლისა თვით საქართველოს ისტორიული ვითარებისა და ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების ზემოქმედებით. მაგრამ მისი რევოლუციურ-დემოკრატიული მრწამსის ჩამოყალიბება დაკავშირებულია რუსულ ლიტერატურასა და მოწინავე აზრთან. ეს

ბუნებრივიცაა: იმ დროს ეს მოწინავე იდეები იყო მაცოცხლებელი, ბრძოლისუნარიანი.

მხედველობაში ქონდა რა რუსული მოწინავე მწერლობისა და იდეების დადებითი გავლენა 60-70-იანი წლების ქართველი პროგრესული ინტელიგენციის ჩამოყალიბებაზე, ილია აღნიშნავდა, რომ სარგებლობა ამ ზემოქმედებამ იმას მოუტანა, ვინც მას ბრმად არ მიჰყვა და „კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა“ ყოველი აზრი.

საერთოდ, ეროვნული თუ მსოფლიო ლიტერატურის ნოვატორულ ათვისებაში ილია გულისხმობდა ამ ტრადიციების ეროვნული და ინდივიდუალიზებული სახით განვითარებას. ნაციონალური ხასიათების მოცემას მოითხოვდა და ამას თვლიდა მწერლის ერთერთ უძირითადეს ღირსებად. თავის პირველ სტატიაში კოზლოვის „შეშლილის“ უმთავრეს ნაკლად ნაციონალური ხასიათის უქონლობა მიიჩნია: „ეგ რაღაც ურუსო რუსია, კოზლოვის ფანტაზიის შვილი, და არა რუსის ცხოვრებისა“.

შექსპირთან ხასიათების გენიალურ ხელოვნებას ხედავს ილია: „აბა შექსპირის ოფელია აიღეთ, ან კოროლი ლირი და გაშინჯეთ! იქ, თუმცა შექსპირი არ ამბობს, რომ ჭკვიდამ შეშლილები არიანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ შესაბრალებელს შეშლილ ადამიანის სულის მდგომარეობას“. ხასიათების ხელოვანია დანახული გოგოლშიაც.

თვით ილიაც, როგორც მხატვარი, ხასიათების შემოქმედია. ილია წერს: „ტრახაძე... გოგოლის ბობჩინსკის ცოტად ჰგვანდა, და უფრო ეგვანებოდა, რო ქართული კოლორიტი არ ჰქონოდაო“, ე. ი. მსგავსი ხასიათები ყველგან ზოგადია, მაგრამ ადგილობრივი გარემოთია შეფერილი. ამ გზით ილია ისწრაფვის ასახოს საქართველოს ცხოვრება, გარემოს სულით გამსჭვალოს ხასიათი. „ჩვენცა გვყვანან ქართველი ბობჩინსკები და დობჩინსკები, ჩიჩიკოვები, საბაკევიჩები და სხვანი,—წერს ილია,— მაგრამ ამათ სუყველას ქართველის სუნი უდის!“.

ილიას სიძულვილი საზოგადოებრივი მანკიერებისადმი როგორც ცარიზმზე, ისე ქართული სინამდვილის აღმავლობის შემაფერხებელ დამყაყებულ გუბეზეც ვრცელდება. „როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჰუპუსაცა... ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან“. ეს აზრი გამართლებულია ილიას თხზულებებში: „კაცია ადამიანი?!“. „მგზაკ-

რის წერილები". „გლახის ნაამბობი", „კაკო ყაჩაღი", „სარჩობელა-ზედ", „ოთარაანთ ქვრივი"...

ილია ჭავჭავაძემ დაიწუნა ცაგარლის დრამები „მტარვალი" და „ქართვლის დედა" ხასიათების დაუსაბუთებელი შელამაზების გამო: „არც „მტარვალი". არც „ქართვლის დედა". წერს ილია,—არც ერთი იმისთანას სახეს ადამიანისას თუ ცხოვრებისას, არ გვიხატავს, რომ მნახველმა სთქვას: აი, ამ დროს რა შესძლებია, რა კაცები შეუქმნია". ამ პრინციპის ძალით „მგზავრის წერილების" პროლოგში ილიამ სამართლიანად დაგმო ისეთი მწერლები და მხატვრები, რომლებიც შეფის რუსეთს საამო ფერებში ხატავდნენ. ილიამ მიუღებლად გამოაცხადა ყალბი პატრიოტიზმი: „И дым отечества нам сладок и приятен". ამ ორივე მაგალითს რეალიზმიდან გადახვევის უარყოფა აერთიანებს.

ბრანდესი რენანის შესახებ წერდა: „მიუხედავად რენანის ჰორიზონტის სიფართოვისა, იგი თავის ლიტერატურულ სიმპათია-ანტიპათიებში ავლინებს არა მცირედ ნაწილს ნაციონალური შეზღუდულობისა". ილია შორს დგას ნაციონალური შეზღუდულობისაგან. „ბუნება ადამიანისა, წერს ილია,— ქართველია თუ გარმიანელი — ავ-კარგიანობით არის საესე და ქვეყანაზე არ არი იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში".

მწერლობის ღრმა გაგებისა და სინამდვილისადმი რეალისტური დამოკიდებულების გამო ილიამ ქართული ცხოვრების მართალი სურათები შექმნა: თვით ქართველების როგორც მკაცრად უარყოფითი, ასევე უაღრესად დადებითი ტიპები. ორი პოლუსია ლუარსაბ თათქარიძე და ოთარაანთ ქვრივი: პირველი ადამიანური დაკნინებისა, ხოლო მეორე ადამიანური ღირსებისა ქართულ გარემოში.

ქართულ კრიტიკაში გამოთქმულია აზრი, რომ ილიას მოძღვარი („გლახის ნაამბობი") ჰგავს ვ. ჰიუგოს მოძღვარს („განკიცხულნი"). მაგრამ ამ აზრში არის რაღაც გადაჭარბება და სიზუსტის ნაკლებობა. „გლახის ნაამბობის" მოძღვარს თვით ქართულ სინამდვილეში გააჩნდა პროტოტიპი: პროგრესულად მოაზროვნე გაბრიელ ეპისკოპოსი, ილიას სოფლის მოძღვარი—მასწავლებელი. უფრო საგულისხმოა არა ის, რომ ილიამ შექმნა უთუოდ ჰიუგოს მოძღვრის მსგავსი პერსონაჟი, არამედ ის, თუ რატომ შექმნა ილიამ ასეთი პერსონაჟი. ასეთი ხასიათი უწინარეს ყოვლისა თვით ილიას ჰუმანისტური და დემოკრატიული იდეალებიდან გამომდინარეობს. ილიას მოძღვრის საზოგადოებრიობა, ჰუმანობა არის ის, რასაც ილია მთელი თავისი

ძოღვაწეობით გაცილებით ადრეც ჰქადაგებდა. ასეთია ილიას მრწამსი ლექსებში: „კაცო, გიყვარდეს!“ (1858), „ლოცვა-მამაო ჩვენო“ („შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული...“, 1858). „როდემდის“ (1858). „ქართლის დედას“ („აღზარდე შვილი:.. შთააკონებდე კაცთა სიყვარულს“. 1858) და ა. შ. ილიას ჰუმანისტური კრედოს გამომხატველი წერილიც „ზოგიერთი რამ“ (1866-1876) ერთობისა და მოყვასის სიყვარულის მოწოდებაა. მოძღვრის სახითაც ეს გამოხატა ილიამ. ილიას მნიშვნელოვანი სტატიები „საქართველოს მოამბეზედ“ და „ზოგიერთი რამ“ გამოთქვამენ იმასვე, რასაც „გლახის ნაამბობში“ ილიას მოძღვარი გამოთქვამს. „ეფხისტყაოსანზე“ საუბრისას მოძღვარი გაბროს ეუბნება: „კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშევარს. გულის სიკეთეს, ხიდაც გასდებს“. და შემდეგ რუსთაველის სიტყვებიც მოაქვს: „უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. წერილშიც „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ამბობს: ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მისცენ“ და რუსთაველის იმავე სიტყვებით ამთავრებს („ხამს მოყვასი მოყვასისთვის, სიცოცხლისა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“). გარდა ამისა, ამავე დასახელებულ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ და მოძღვრის სიტყვებში პეტრესადმი ერთნაირი აზრებია გამოთქმული ცოდნასა და მეცნიერებაზე.

ილიას მოძღვარი ქართული სინამდვილიდან მომდინარეობს.

ილიას მიერ შექმნილ ტიპებში მაშინვე იცნობა გარკვეული ეპოქისა და სოციალური წრის ქართველი, ქართველში კი „კაცად კაცი“. ოთარაანთ ქვრივის სოციალური ექვივალენტი რეფორმის შემდეგდროინდელი ქართული სოფლის გლეხის გამრჯე ქალია. იგი ძლიერ ცხოვრებისეულია იმის გამო, რომ დახატულია არა მარტო როგორც ქართველი გამრჯე გლეხის ქალი, არამედ როგორც ქალი. ადამიანი. მას მხოლოდ გლეხისათვის ნიშანდობლივი თვისებანი როდი გააჩნია. იგი ქალის. დედის ზოგადადამიანური თვისებებითაა აღბეჭდილი. ოთარაანთ ქვრივის, ლუარსაბ თათქარიძის ფსიქოლოგიის გახსნისას „გლეხურში“ თუ „თავადურში“ უმნიშვნელოვანესი ზოგადკაცობრიული (და არა „ზეკლასობრივი“) თვისებებიც არის გამოვლინებული. „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ქმნიან“,—წერდა ილია.

ილია არ სცნობდა ნაციონალურ-ეთნოგრაფიულ ჩხირკედელაობას, რომ „ზოგადი კაცის", ტიპის ნაცვლად (რომელშიც ნაციონალურიც არის). არ მიგვეღო კერძო პორტრეტი „პეტრესი თუ ივანესი". ამით ილია იქით ამბობდა უპირველებდა ყურადღებას, რომ ტიპში ეროვნული მომენტი არ გადაქცეულიყო ზოგადსაკაცობრიო მონაცემების დავიწყებად. „რამოდენადაც მწერალის შემოქმედობის ძალი სწვდება ამ ზოგად-კაცობის ტიპსა,—წერს ილია,—იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება"[115].

ადამიანს ილია უდგება უპირველეს ყოვლისა როგორც ფსიქოლოგი მხატვარი, რომელსაც „არაფერი ადამიანური არ ეუცხოვება"— მისთვის ჭუჭყიანი და დაუბანელი ლამაზისეულიც, მომხიბლავი მწუემსი ქალიშვილიც, ზარმაცი და დონდლო ლუარსაბი და გამრჯე ოთარაანთ ქვრივიც ერთნაირად საინტერესოა ხელოვნების თვალსაზრისით. როგორც მხატვარს მას უპირველეს ყოვლისა ადამიანი აინტერესებს,— მისი სულის გახსნა, ადამიანის ცხოვრება, რასაც თან ახლავს ნაციონალური თუ კლასობრივი კოლორიტიც, როგორც ადამიანის განუყრელი ატრიბუტი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ფორმაციაში. ილია ჭავჭავაძე ფართო იდეური მხატვარია „კაცად-კაცებისა". ეს ასეა მის „არა საეტაპო" ნაწარმოებებშიც. („სცენები", „სარჩობელაზედ" და სხვ.).

ილია ჭავჭავაძის მხატვრული სტილი განუყრელ კავშირშია მის თანამედროვეობასთან. მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნული, რუსული და დასავლეთ ევროპის მწერლობის იმ ტრადიციებთან, რომელნიც შეეფერებოდნენ მის მწერლურ ბუნებას და იმ დროის საქართველოს ცხოვრების მხატვრულ ხორცშესხმას. ილია ჭავჭავაძე ახლოსაა სხვადახვა დროის მრავალ დიდ ხელოვანთან, მრავალ ტრადიციასთან, ინარჩუნებს რა ამავე დროს დიდ თვითმყოფადობას, ვინაიდან დიდი შემოქმედება არ შეიძლება შეედაროს ბაღს, სადაც აკლიმატიზებულია სხვადასხვა ჯიშის მცენარეები. ზღვები და ოკე-

---

[115] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ. 62.

ანეებიც შენაკადი მდინარეებით იკვებებიან. გეოგრაფიულ რუკაზე ზუსტად აღნიშნავენ მდინარეებს, რომლებიც ზღვებსა და ოკეანეებს უერთდებიან, მაგრამ მეტად ძნელია ამ მდინარეთა კვალის პოვნაც კი იმ ზღვებსა და ოკეანეებში,—თითქოს გამქრალანო! „მოთქვამენ“ კიდეც დიდი თუ პატარა მდინარენი, რომლებსაც ზღვები და ოკეანეები „ნთქავენ“ და მათ „სახსენებელს სპობენ“,—ასე „მოთქვამს“ ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“. დიდი შემოქმედნიც ასე შეიწუხრაენ დიდ ტრადიციებს, რომელნიც ახალ სახეს იღებენ. გარდა ამისა, რაგინდ დიდი იყოს ეს ტრადიციები და მათი ათვისების ხასიათი, მარტო მათი ათვისებით არ განისაზღვრება ამა თუ იმ შემოქმედის მხატვრული ფენომენი. ზღვები და ოკეანეები არ იკვებებიან მარტო მათში შემაეალი მდინარეებით, არამედ თვით საკუთარი ტაფობიდან ამომდინარე წყლებითა და ნაკადებითაც... ასეა დიდი შემოქმედიც: შინაგანი შემოქმედებითი აქტივობა, სულიერი კომპლექსი, ტალანტი და ერუდიციაც წარმართავს მის მხატვრულ სტილს, არსებითად გარდაქმნის სხვათაგან ათვისებულ ტრადიციებს—„სტილი უველა სტილის დავიწყებაა“ (რენარი).

III. ილიას ლირიკული სიახლენი

რამდენიმე ჟანრში თანაბარი ან თითქმის თანაბარი სიძლიერე უთუოდ შემოქმედის სულიერი სამყაროს სიმდიდრეს მოწმობს, და უფრო მეტად კი იმას, რომ იგი ეპოქის მოთხოვნილებით შობილი ხელოვანია და ამდენად ეროვნულიც; ასეთი შემოქმედია ილია ჭავჭავაძე. იგი თანაბარ თუ თითქმის თანაბარ პოტენციას იჩენს მხატვრულ პროზაში, პოეტურ ეპოსში, პოეტურ დრამაში, ლირიკაში. იმის გამო, რომ ლირიკა მწერლის „სულის გასაღებია", საზრიანია ილიას ლირიკა მეტი დაკვირვების საგანი გახდეს. მით უმეტეს, რომ ლირიკაში, ქართული ხასიათის ამ „ეროვნულ ჟანრში", ი. ჭავჭავაძეს თავის უშუალო წარსულში,—რომ არაფერი ვთქვათ კლასიკურ წარსულზე,—დიდი წინამორბედები დახვდა; და ამ ფონზე უფრო მკვეთრად ჩანს მისი ლირიკის თავისებურებანი და სიახლენი, რაც ილიას დამსახურება თუ კუთვნილებაა, და რომელთა შედეგობრივი მნიშვნელობა ქართული პოეზიისა თუ ლიტერატურისათვის ეგზომ დიდია.

ი. ჭავჭავაძის ლირიკის ბუნების გასაგებად და მის შესაფასებლად, წინამორბედთა და თანამედროვეთა ლირიკის შუქზე, უპირველესად ყოვლისა ყურადღებას იქცევს ილიას შემოქმედებითი განვითარებისათვის მრავლისმეტყველი, ფრიად საგულისხმო ადრინდელი ლექსი „ყვარლის მთებს". იგი ილიას ლირიკის ისეთიეე გასაღებია, როგორც ბარათაშვილისათვის „შემოღამება მთაწმინდაზედ": „ყვარლის მთების" შემდგომ თავისებურ გაშლას წარმოადგენს ილიას არა მარტო ლირიკა, არამედ მისი შემოქმედების ყველა ჟანრი; ამ ლექსის მთავარი პათოსია ის, რასაც ილიას მთელი შემოქმედება ეფუძნება:

1. ღრმა პატრიოტიზმი:

> სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ თაესა,
> მაგრამ..,
> თქვენ ჩემთან იელით განუყრელად, ვით ჩემი გული...

2, ამაღლებულისკენ, იდეურისკენ ლტოლვა:

> როს სიდიადე თქვენი მგერიდა კანკალს, ერეანტელს...
> ...მე თრთოლვით ვეკვრეტდი ლაქვარდ ცაზე თქვენსა სიმაღლეს...

3. უმოძრაობისა და უმოქმედობის გმობა,—შეუპოვარი მოქმედების, ტიტანური რკინის,—თავისუფლების დაუოკებელი წყურვილი, თვით ბუნების დაუდგრომლობაზე ყურადღების გამახვილება:

> იქ მე ენატრობდი...
> ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა....
> ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა...

ასე დაიბადა ქართულ პოეზიაში მთის არწივის ვაჟა-ფშაველას უახლოესი წინამორბედი.

4. არა ქრისტიანული მორალი, არამედ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა („ვალი ამ წუთისოფლის"), რაც ერთგვარ კეთილშობილურ ნერვულ დაძაბულობასაც ანიჭებს მის ლირიკას. ეს პასუხისმგებლობა შემდგომ ილიამ უფრო გამოკვეთილად ჩამოაყალიბა, როგორც მცნება პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ვალი", მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაგებით არაერთგზის ჩნდება შემდეგში ილიას სხვა ლექსებშიც: „თქვან, აღასრულა მან თვისი ვალი" („დაე, თუნდ მიწაკვდე", 1885); „აქ არის, დედავ, შენი მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალი!" („ქართვლის დედას", 1858) და პოემებში. მოვალეობის ცნებას ილია ქრისტიანული მოყვასისადმი სიყვარულის დოქტრინითაც განმარტავს, მაგრამ ახალი—ერთობის ფართო ჰუმანისტური გაგებით: „აქ არის, დედავ, შენი მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალი! აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,—შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას" („ქართვლის დედას"). აქედან ჩანს ვალის,—საზოგადოებრივი ალტრუიზმის ილიასეული მაღალი გაგება, რაც ქრისტიანული ვალის ახალ გავრცობილ შინაარსში გამოიცა; ვალის საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ ცნებად დაზუსტება ი. ჭავჭავაძესა და საერთოდ მის თაობას ეკუთვნის საქართველოში. იყვნენ თაობები, რომლებთანაც ვალის მცნება ხან წინ წამოიწევდა და ხან- მოდუნდებოდა. XIX საუკუნეში ქართულ ლირიკაში ბარათაშვილთან გვაქვს უკვე მოყვასისადმი სიყვარულის პირდაპირი განცხადება: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაიელის..." „ღმერთი მზღვევლია ვალისა",—ამბობდა რუსთაველი.

5. სასაუბრო მეტყველება. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია დებულება, რომ ყველა რევოლუცია პოეზიაში, თუ მწერლობაში საზოგადოდ, უნდა იყოს დაბრუნება სასაუბრო მეტყველებისაკენ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან ამის კარგი ნიმუში „ყვარლის მთებსაც“ არის.

ლექსით „ყვარლის მთებს“ ილიას შემოქმედებას თან დაჰყვა ლირიზმისაგან თავის დაღწევის და ამდენად ეპიურობისკენ ლტოლვა, აზრის პრიმატი („გუთნის დედა“, „ქართველის დედას“, „ლოცვა—მამაო ჩვენო“, „ლოცვა—ოდეს დემონი“, „ელეგია“. „მესმის, მესმის“...); ლირიკაში „პოეტი მხოლოდ თავის გრძნობას ხატავს, თავის გულის მოძრაობას და აღბეჭდილებას. გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს,... იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძვნია... ჩვენში მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა... იწყებდნენ მოთხრობით და ბოლოს მაინც ლირიკისაკენ გადაუხვევდნენ ხოლმე,“—წერს ილია.

ასე მრავალმხრივია „ყვარლის მთებს“. ამ მხრივ საინტერესოა ამ ფართო ჰორიზონტების ლექსის კომპარატიული პარალელი რობერტ ბერნსის პატრიოტულ ლექსთან „გული მთებისკენ მიიწევს“. შოტლანდიელ პოეტსაც ქართველი პოეტივით აწუხებდა სამშობლოს დაშორება და მას ერთგულებას ეფიცებოდა:

სადაც არ უნდა წავიდე
უცხო ქვეყნების კარად,
თან მდევს მაღალი ქედების
მე სიყვარული მარად[116].

ილიაც ხომ ამასვე ამბობს, ოღონდ მასთან გაძლიერებულია პოეტური მედიტაცია.

მშვიდობით, ჩემნო...
უცხოეთიდამ კელავ მოვაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა...
და დაჰიწყებსცა სიყვარულით ფეთქვასა გელი...

ეს მთავარი მაგისტრალია, რაშიც ერთმანეთს ხვდებიან ჭავჭავაძე და ბერნსი, და შეიძლება ასე შეხვდნენ ერთმანეთს ყველა ჩაკრული ხალხის ღირსეული პოეტები. მაგრამ ყოველ სახალხო მგოსანს, ჰეშმარიტ შემოქმედს თავისი ხასიათი, ტალანტი, ინდივიდუ-

[116] ინგლისურიდან თარგმნა გ. გაჩეჩილაძემ.

ალობა გააჩნია, ამიტომ მონათესავე ლექსებს შორის სხვაობაც დიდია. თუ ბერნსი მთელ ლექსში მცირე ნიუანსით იმასვე იმეორებს, რაც ზემომოყვანილ სტროფშია, „უვარლის მთებს" მრავალმხრივი შინაარსი გააჩნია, რაც აგრეთვე დიდ შემოქმედებით პოტენციალზე მეტყველებს.

ილია მთებს, საქართველოს რელიეფის ამ განუყრელ აქსესუარს, მეგობრებად მიიჩნევს: „რა რიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის!.." და აქ ბუნებრივია ბარათაშვილი გავიხსენოთ: „გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!", „რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!" („შემოღამება მთაწმინდაზედ"). არც ბარათაშვილი, არც ილია ყოფილა ისეთი პოეტი, რომელთაც „ბუნების მგოსნის" ტიტულს ანიჭებენ კრიტიკოსები, როგორიც არიან, ვთქვათ, უორდსვორთი ან ვაჟა-ფშაველა. ამიტომ გარკვეულ ფარგლებში შეიძლება ითქვას, რომ თუ ბარათაშვილის მთასთან, ბუნებასთან მეგობრობა და ერთიანობა, მთაში „გულდახურულთა" მეგობრის ხილვა, „ამაო და ფუჭი ცხოვრებისადმი" რომანტიკოსთათვის ნიშნეული დაპირისპირება და სანაცვლოდ ბუნებასთან სრული სულიერი ჰარმონიის ძებნა იყო, ილიას ასეთი სახის ჰარმონია დარღვეულია („თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს, როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს"); ყოველ შემთხვევაში, ილიასთან წინ წამოწეულია ბუნება—ამბოხი, ბუნება არა სიმბოლო ჰარმონიისა, არამედ მოძრაობის,—გრიგალთა, მეხთა საუფლო. თუ ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა" დამშვიდებული იყო რაიმე კონკრეტული ამბოხების სულისკვეთებისაგან, რომ შეიძლება შეიცვალოს საყალალო სინამდვილე; „ბაზალეთის ტბაში" მითითებულია გმირის აკვანი, რომელმაც ახალი ერა უნდა შექმნას; ამდენად შეიძლება ითქვას, ახალ ისტორიულ ვითარებაში, როცა მრავალი რამ გამოიკვეთა და განათდა, ი. ჭავჭავაძემ უკვე რომანტიკოსთაგან წამოყენებული ფენომენები ახალი თვალსაზრისით გააშუქა, ახალი ინტერპრეტაციით წარმოადგინა, მათში ახალი სხივი შეიტანა, უფრო კონკრეტული გახადა.

ყოველი შემოქმედის ცხოვრებაში რომელიმე წლები უფრო განსაკუთრებული აღმოჩნდება, ვიდრე სხვები: ასეთია ილიასთვის 1857—61 წლები; ეს არის მისი ერუდიციის გაფართოების, მისი ჯაბუკობის, პირველი რომანტიკული გატაცების და რევოლუციური იდეებით შეიარაღების ხანა; საქართველოდან პეტერბურგის ახალ გარემოში მოხვედრის, პირველი შემოქმედებითი მიღწევების წლები. მისი პოეტური და მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების დროს

ემთხვევა ევროპის ზოგი ერის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, ბატონყმობის გაუქმების აქტი. ჩერნიშევსკის დევნა, რევოლუციური სტუდენტობის მღელვარებანი. „სოვრემენიკი", „კოლოკოლი"... ცარიზმის უღელი მძიმედ აწვებს საქართველოს, ჯერ ბატონყმობის ბორკილთაგანაც არ განთავისუფლებულა,— სძინავს საქართველოს. ასეთ მწვავე, რთულ და დაძაბულ ვითარებაში ყალიბდებოდა ილიას შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი სახე. ამ წლებში შექმნა ილიამ „ქართველის დედას", „ელეგია", „ხმა გულისა" და სხვა ლექსები, იპოვნა თავისი თავი მხატვრულ პროზაში, პოეტურ ეპოსსა და პოეტურ დრამაში. თვით შემდეგი წლების იდეურ-თემატიკური და სტილური ხაზი მოჩანს აღნიშნულ წლებში: ამ წლების მისი ლირიკული შემოქმედება უფრო ფართო და მრავალმხრივიც კი არის.

ილია ჭავჭავაძის ლირიკა არ არის ე. წ. „გენერდითი მოვლენა", არამედ შინაარსითაც და ფორმითაც ქართული ლირიკის განვითარების ახალი საფეხურია: აკაკი კარგად მომწიფებული ლირიკული ტალანტი იყო, როცა (1865 წ.) იგი ილიას, როგორც ლირიკოსს განსაკუთრებულ შეფასებას აძლევდა. ალმანახ „ჩოხგურს" (1864 წ.), რომელშიც ნ. ბარათაშვილის, ილიას და სხვა პოეტების გარდა აკაკის ლექსებიც იყო შეტანილი, აკაკი ისტორიულ წიგნად თვლიდა, რადგან ეს „არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და ჰკვნესის ქართველების კვნესით... მიზეზიც ამისი არიან ორი პირველი მწერალთაგანი, როგორც ღირსებით, ისე რიცხვითაც: თ. ნ. ბარათაშვილი და თ. ი. ჭავჭავაძე... ერთგვარად დაუვიწყრები არიან, ეთის განუწყვეტლის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ: ერთის უმეორესოდ გაგება ძნელიაო ერთის სიტყვით, ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა"[117].

ასეთი განცხადება აკაკის თავდაბლობით არ მოსვლია, არა, აკაკი კარგად ხედავდა, რომ ილია ამ დროისათვის საკმაოდ დასრულებული პროფილის ლირიკოსი პოეტი იყო, ვიდრე თუნდაც თვით აკაკი, რომლის ლირიკული ტალანტის განსაკუთრებული აყვავება 80-90-იან და შემდგომ წლებს ეკუთვნის. აკაკიმ ილიაში ბარათაშვილის უშეალო სულიერი მემკვიდრე დაინახა: „ერთის განუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები" არიან, „ერთის უმეორესოდ გაგება ძნელიაო". მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აკაკიმ საკითხში ერთგვარი გაუგებრობაც შეიტანა ნებსით თუ უნებლიედ: გვეტყვიან, ბარათაშვილის

---

[117] „ცისკარი", 1865, № 9, თ. ა. წერეთელი, რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის" შესახებ.

გვერდით როგორ მოათავსა „ილია ჭავჭავაძე, ჭაბანწყვეტით ლექსების მწერალი. რომლის ლექსებშიაც არც სულის განმაცხოველებელი პოეზია იპოვება და არც სასმენელის დამტკბობი გარმონია ისმისო[118]. მართლაც. ეს შეეძლო ეთქვა აკაკის, რომლის მთელი ლირიკა სწორედ ჰარმონიაა. მაგრამ არც რომ სულ უამისობაა ილიასთან. და ჰარმონია როდი წარმოადგენს ყოველი ლირიკის უნივერსალურ საზომს. აკაკი ილიას პოეტობაზე ხელის აღებასაც ურჩევდა, რაკი დარწმუნებული იყო, რომ ილია მხატვრული პროზითაც დიდ შედევრს აღწევდა: „უმჯობესი არ არის და მისთვისაც უკეთესი და უადვილესი. რომ ის. რასაც ლექსით გვეუბნება, პოეზით გვითხრას?... კიდეც დაგვიმტკიცა ეს თავისი პროზით. სადაც ძალას არ ატანდა თავის ნიჭს და თავის გზაზედ იდგა... ჩემის აზრით მისი „ქაქია-ადამიანი" და „გლახის ნაამბობი" ობოლ მარგალიტათ ოჩებიან ჩვენს ლიტერატურაში[119].

მახვილი მიგნება იყო აკაკის მიერ საუკუნის ორი დიდი მოვლენის, ბარათაშვილის და ილიას ერთმანეთთან დაკავშირება; ამით აკაკიმ დიდი ქართული ლიტერატურული ტრადიციის უწყვეტლობა აღიარა. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც. რომ აკაკი ილიას ბარათაშვილის გვერდითაც აყენებს და ამავე დროს იწუნებს კიდეც მის პოეტურ ნიჭს; ეს წინააღმდეგობა (დაახლოებით მსგავს წინააღმდეგობაში ჩავარდა აკაკი შემდეგში ვაჟას მიმართაც, რომელიც „მარგალიტების მთესველადაც" მიიჩნია, მაგრამ ენა დაუწუნა). აკაკი არა აზრებს. არამედ „ხელოვნებას" უწუნებს ილიას. ოამდენადმე სალექსო ტექნიკასაც („შემარცვლა უსწორ-მასწორია და რიხმაც.... არსად ჩანს..."); მაგრამ ამ მხრივ უცოდველობას არა მარტო ილია, ვერც აკაკი და ვერც სხვა მათი თანამედროვე ვერ დაიკვეხნის: სალექსო ტექნიკაზე საგანგებო, სათუთი ზრუნვა არ იჩენს თავს; ლექსის ტექნიკით XIX საუკუნის (განსაკუთრებით მეორე ნახევრის) ქართველი პოეტები სავსებით ვერ ჩანან მოწოდების სიმაღლეზე; რეალისტებთან ამის მთავარი მიზეზია იდეურობისათვის განსაკუთრებული ზრუნვა, ლექსის ყველა სხვა ფენომენის უკიდურესი დაქ-

---

[118] „ცისკარი", 1866, № 9, თ. ა. წერეთელი, რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის" შესახებ.

[119] იქვე.

ვემდებარება აზრისადმი; ამ მხრივ გამონაკლისი არც ილიას ლექსია.

ილიას ლექსში ზოგჯერ დარღვეულია გრამატიკული ნორმები, ზოგჯერ მეტრი, რიტმი და რითმა. ამ მხრივ დარღვევაცაა და არც ისე გაუმართლებელია ერთსა და იმავე ლექსში ერთმანეთის გვერდით „ხმას“ და „ხმასა“, მაგ., „იმ ხმას საკვირველს, იმ ხმასა გრძნეულს“ („ხმა გულისა“). გამართლებულია ეს დარღვევა იმდენად, რამდენადაც განმეორებისას „ხმას“, „ხმასა“ არა მარტო მეტრს ავსებს, არამედ ნიუანსსაც ქმნის, როგორც ყოველი სახის დისონანსი ლექსში, რაც თავისებურ რიტმულ და ჰარმონიულ შეგრძნებასაც იწვევს; ასე იძენს უფლებამოსილებას თითქმის ყველა ის სალექსო დარღვევა, რასაც ნებსით თუ უნებლიედ ზოგჯერ უშვებს ილია; ისეთ უკიდურეს შემთხვევაშიც კი, როცა მოთხრობითის ფორმად „შენმა“-ს ნაცვლად გამოყენებულია „შენ“, თითქმის არ აღიქმება დარღვევად:

ან შენ გიქმა რა იცოდა...

(„გახსოვს, ტურფავ“)

ისიც მართალია, რომ ილიას ლექსს არ გააჩნია ის სიმსუბუქე და მუსიკალობა, რაც აკაკის ლექსს, რასაც თავისი ახსნა აქვს: თუ აკაკიმ ხალხური სასიმღერო ლექსი უმაღლეს ლირიკულ ფორმად აქცია, ილია მეტწილად ლიტერატურულ ტრადიციას დაემყარა. ილიას ლექსიც არ გამორიცხავს ხალხურ საწყისებს, მაგრამ იგი უმთავრესად ქართველ რომანტიკოსთა ლექსის განვითარებაა. უბრალოდ ამის მაჩვენებელია თვით ტექსტუალური შეხვედრები, რემინისცენციები და სხვ. ამდენად ილიას ლექსსაც გააჩნია გარკვეული სახის მუსიკალობა (სახეების, მეტრის, რიტმის თუ ინტონაციის თვალსაზრისით), მაგრამ მას შედარებით ლიტერატურული ტრადიციისა და „არისტოკრატიზმის“ ელფერი აზის.

საგულისხმოა, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსის ილიასეული აღქმა შეიცავს მისი მუსიკალობის ხაზგასმასაც:

მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან მეჯლისში მოჰფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ჰლაღობს, ჰხარობს,
გამღერებს და ამღერდება.

(„ალექსანდრე ჭავჭავაძე“)

ეს მუსიკალობის თეორიულ გაგებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ მუსიკალობა ილიას პოეტური მუზის უშუალო თვისებაც გახლავთ, მუსიკობს პოეტის სული:

თურმე ჩემს გულში ნაზი ბულბული
სტეენდა სიყვარულს გაგიყებული.

(„ხმა გულისა")

ილიას ლირიკაში ხაზგასმულიც კი არის პოეტური შეგრძნების მუსიკალობასთან, ჰანგებთან, ხმებთან განუყრელობა:

ციურნი ხმები —
ეგ საკვირველები,
როს მომესმიან,...
და ნელს სიხარულს
მიგალობებენ..
მეც ქვეყნის ხმითა,
ხმით ცოდვილითა,
მათ ვაძლევ ბანსა, —
და მშვიდობასა, —
აღტაცებასა
პგრძნობს ჩემი გული....

(„ციურნი ხმები")[120]

მუსიკა, სიმღერა რაოდენ მნიშვნელოვანია ილიას პოეტური ბუნებისათვის, ამას კიდევ მეტად ცხადყოფს ლექსი „როცა წუხილი" (1860):

როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო,
კაცთან არ ვილტვი მის განქარვებად,
მყის თაეის-თავად ღაღი, უბრალო,
სიმღერა მორბის ნუგეშ-საცემად.
და იმ სიმღერას ჩემს წყურვილს ვანდობ.
ის ჩემებრ არის სევდით ბურვალი.
მის მწუხარ ხმებში ჩემს გულის ხმას ვსცნობ
და მეცე მიყვარს ჩემი წუხილი.

ასეთი შინაგანი კავშირი სულიერ განწყობილებასა და სიმღერას შორის თვალსაჩინოა ბარათაშვილთან („ღამე ყაბახზედ", „თავადის ქ... ძის ასულს ეკ... ნას", „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი", „ჩონგურს"), რაც უახლოესი და უძლიერესი პოეტური ტრადიცია იყო ილიასათვის:

ჰოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

(„ჩონგურს")

---

[120] ი. ჭავჭავაძე ერთ ფრაგმენტშიც წერს: ლირიკას „მუსიკის და პოეზიის შუა ადგილი უკირავს."

ილიას პოეზიაში ანალოგიური დაკავშირებაა სულიერ მდგომარეობასა და სიმღერას შორის:

ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ჭარი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ილიას სტილი პოეზიაში არსებითად დინჯი და დარბაისლურია, რაც რამდენადმე სიკისკასის და სიმსუბუქნაკლებობაა, მაგრამ ილიას სტილს დიდი ზემოქმედების ძალა შესწევს; ხდება კი ხშირად, რომ თავდაჭერილი სტილი სიცხოველეს მოკლებულია. მაშ რამ „გადაარჩინა“ ილიას პოეზია? ილიასთან ენა, ინტონაცია და მთელი ენობრივი ფენომენი (გრამატიკული ფორმებიდან გადახრებიც კი) აზრის. სათქმელის სიზუსტეს ექვემდებარება. აზრს მისდევს სიტყვიერი მასალა. სტილი ლირიკაში და საერთოდ ლიტერატურაში მაშინაა განწირული, უსიცოცხლო და მკვდარი, როცა იგი მარტოოდენ ფორმალურ მიზანს ემსახურება ან როცა მარტოოდენ მუსიკალობას ეწირება; ასეთი გადახრისაგან თავისუფალია ილიას მთელი ლირიკა. ილიას პოეზიაში აზრის პრიმატი ძალიან გამოკვეთილად არა. მაგრამ საკმაოდ ნათლად შენიშნა აკაკიმ: „თუ ჭავჭავაძის ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება... ჩვენ კიდებთ ჭკვიან აზრებს და ამას კიდეცაც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში“.

ეპოქის ორი დიდი მწერალი აკაკი და ილია ერთ დიდ მიზანს ემსახურებოდა: მათ დროს საქართველოში ადგილი არ ჰქონია ესთეტიკურად დაპირისპირებულ ლიტერატურულ მოვლენებს. თუ ასეთად არ მივიჩნევთ ე. წ. სამი სტილის თეოფილასთან ბრძოლას: მის უმეტეს ერთია ილიასა და აკაკის ესთეტიკური მრწამსი, მაგრამ შეფერადებულია მათი შინაგანი სულიერი კომპლექსის თავისებურებებით და სხვა ინდივიდუალური ფაქტორებით, რაც შედეგობრივად განსხვავებულ პოეტურ მოვლენებს შობს; კერძოდ, ილიას ლირიკის მნიშვნელოვანი სხვაობანი დიდად უნდა იყოს განპირობებული მისი რომანტიკოს ბარათაშვილთან მჭიდრო კავშირითა და ნათესაობით; ილიას ბარათაშვილთან აახლოვებს და ანათესავებს სულიერი, მაღალი თავდაჭერილობა, ინტელიგენტური ტაქტი; ილიას დრამატული თხზულების ტოლი პატარა ლირიკული შედევრი „ლოცვა“ („ოდეს დემონი...“) თავისი სულიერი მედიტაციით, ვედრების ლოცვის სახით გადაწყვეტით უტოლდება ნ. ბარათაშვილის ლექსს „ჩემი ლოცვა“; როცა ილიამ „ლოცვა“ დაწერა. იგი 20-21

წლის ჭაბუკი იყო: მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების სათავესთან გულში ამოიჭრა, ვალმოხდილი ყოფილიყო სამშობლოს წინაშე; თავის ამ სანუკვარი მიზნის განხორციელებას ღმერთს შესთხოვდა: ამარიდეო მაცდურების დემონურ ფიალას; ხოლო თუ ფიალა იგი ღმერთს მის გამოსაცდელად დაუნიშნავს, მაშინ პოეტი სტოიკურ მზადყოფნას გამოოქვამდა. აღსრულებულიყო ნება ღვთისა:

ოდეს დემონი ურწმუნოების,
უკუ-თქმისა და მაცდუროების
საწამლავით თუის სავსეს თასს მაცდურს
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს,—
ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, —
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს.
და უკეთუ არს შესაძლებელი,
მე გამაძლიერეთ იგი საბრძოლი.
მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,
რათა გამოცდა მით ჰკონდეს ჩემს სულს,
განაჭრენ შენ ხშირთან სურვილი ჩემნი
და იყავნ ნება. უფალო, შენი!

ეს ფსალმუნივით სულიერი სიწმინდის მაუწყებელი ლექსი — ლექსი ლოცვა და აღსარება — გამორიცხავს ილიას პოეზიაში რაიმე პოზას, ხელოვნურობას. გულწრფელობა გასდევს ილიას მთელ პოეზიას; და ამითაც ხაზი ესმება ერთხელ კიდევ მის მსგავსებას ან ნათესაობას (და არა იგივეობას!) რომანტიკოსებთან, რაც არც ამაღლებს რეალისტ პოეტს და, რა თქმა უნდა, არც ამცირებს, არამედ მოვლენის ერთ-ერთ ახსნას წარმოადგენს.

ბარათაშვილისათვის მწარე დაფიქრების, სულიერი ტანჯვის წუთებში „ჩვენი დანიშნულების მიუწვდომლობის" შეგნება ფუჭსა და ამაოს ხდის სინამდვილეს. პოეტი ტრაგიკულად განიცდის იმას, რომ იდეალური მიუწვდომელია! პოეტი კი მერანული ქვეთებით სწორედ იდეალურისკენ, სიწმინდისკენ, ჰარმონიულისკენ ისწრაფვის; ფიქრები სინათლე — სილაჟვარდისკენ ილტვიან, მაგრამ იქამდე ვერ აღწევენ. ტრაგიზმიც აქ არის: ეს მთელი ფილოსოფიაა — მეტად ღრმა ქვეტექსტი. მის ლირიკაში ერთადაა წარმოდგენილი კლასიკური სიმარტივე (და არა უბრალოება), ღრმა ქვეტექსტი და მხატვრული აბსტრაქცია. ისეთ თითქოსდა ჩვეულებრივ ლექსშიც კი, როგორიცაა „საყურე", თავს იჩენს ბარათაშვილის პოეზიის „არამიწიურობა": ჩვეულებრივი ნივთი საყურე განსაკუთრებული გამხდარა. თითქოს გასულიერებულა და თავის ირგვლივ მიუწვდომლობის გარემო შეუქმნია; ლექსში „შევიშრობ ცრემლსა" სატრფო პოეტისათვის სიმბოლო თუ განსახიერებაა რაღაც ზეადამიანუ-

რი სიწმინდისა; იგი მისი სალოცველია,—პოეტი მზადაა გული დაიფერფლოს საკმეველივით სატრფოს გულისთვის. აქ არის ღრმა, კლასიკური სიმარტივის ყალიბებით ჩამოსხმული განცდის—გრძნობებისა და ემოციის რომანტიკული აბსტრაქცია. ბარათაშვილისთვის ნიშნეული ეს თვისება ილიასთან სულ გამორიცხული არ არის, მაგ., „ციურნი ხმები“ (1859), როგორც სათაური, ისევე ლექსის განწყობილება რომანტიკულისკენ ქროლვაა (მასში რამდენადმე რომანტიკული პოეზიის გავლენაც იგრძნობა):

ციურნი ხმები, —
ეგ საკვირველები,
როს მომესმიან,
მსწრაფლ მომითხრობენ
საიდამ სრბიან
და სად სცხოვრობენ,
და ნელს სისარულს
მიგალობებენ...

მაგრამ ამ შემთხვევაში პოეტური ქვეტექსტი გახსნილია პოეტის მიერვე, თვით პოეტი განასხვავებს ციურ ხმებს და ამქვეყნიურს, აბსტრაქტულს და კონკრეტულს, მიწიერს:

მეც ქვეყნის ხმითა,
ხმით ცოდვილითა
მათ ვაძლევ ბანსა...[121]

ბარათაშვილთან მსგავსების მიუხედავად, ილიას ლირიკაში სათქმელი, როგორც წესი, რეალისტურად არის დაკონკრეტებული,—ილია მიწიერია. სხვაობის ამ ფარგლებში, ბარათაშვილის და ილიას სიყვარული რომანტიკულად იდეალიზებულია, გამოცხადებულია ყოფიერების ბუნებრივ კანონად,—ეს იყო ანტითეზა სინამდვილის მანკიერების მიმართ: ამ მხრივ დამახასიათებელია ბარათაშვილის „შევიშრობ ცრემლსა“ (1844) და ილიას „მაშინ დაკუსტკბები სრულის სამოთხით“ (1859). რა თქმა უნდა, ამ ლექსებში გამოვლენილი სიყვარულის მაღალი უნივერსალური გაგება ამავე დროს არის გაგრძელება სიყვარულის, როგორც წმინდა გრძნობის ტრადიციული ქართული გაგებისა, რომელიც სათავეს რუსთაველის ჰუმანიზმთან იღებს: „სიყვარული აღგვამაღლებს“, „სიყვარული

[121] ჩვენი შენიშვნისტო კრიტიკოსი ანტ. ფურცელაძე ამ ლექსზე დაცინვითაც კი წერდა: „რა ხმებია უფ. ჭავჭავაძე?... ეგ რომელი ციდამ არის: მეშვიდე ციდამ, თუ მეცხრე ციდამ... ნეტავი თქვენს ღირსებას!... აი, ბატონო, წარმომადგენელი „საქართველოს მოამბის“ მიმართულებისა“ („ცისკარი“, 1863, № 7, ქრონიკა ბეჭა, „ქართული ლიტერატურა“).

გზად და ხიდად",—მცნება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გასდევს ქართულ ცხოვრებას, მწერლობას. არც ბარათაშვილის, არც ილიას სიყვარულის მიმართ ჯერ არ გაჩენილა სკეფსისი, რომელმაც ლერმონტოვს ათქმევინა:

Любить, но кого же,
На время, не стоит труда,
А вечно любить невозможно.

პირიქით, მაშინაც კი, როცა სატრფოს ორგულობით გულდაწვარი პოეტი ნ. ბარათაშვილი წერილში გრიგოლ ორბელიანისადმი (1843 წ.) იგონებს ლერმონტოვის ზემომოყვანილ ლექსიდან სტრიქონებს: „И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды", უგზავნის მას ლექსს „სულო ბოროტო"-ს, რომელშიც არ ჩანს სკეფსისი სიყვარულის მიმართ; აქ უფრო სამდურავია უბედო სიყვარულის გამო და დაფიქრება წუთისოფლის გაუტანლობაზე; საერთოდ მას სწამს, რომ სიყვარული არ ჩნდება იქ, სადაც „ცვალებადი გრძნობაა", რადგან სიყვარული მაღალი სულის კუთვნილებაა:

თვით უკდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კაშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა.
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!
(„რად ჰყვედრი კაცსა,"...)

სიყვარულზე „უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!" (ბარათაშვილი); ეს არის ერთგულება თუ შენარჩუნება სიყვარულის ძველი ქართული, ჰუმანისტური მაღალი გაგებისა, რომლისგანაც არც ილიას გადაუხვევია:

მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით,
როს. ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე.
...ვით. მაგ შენს ნარნარს გულის-ცემასა.
ვით ლოცვის ბგერას, ლმობით ვისმენდე.
და ცოდვილთ ფიქრთა ზედ-მოსევასა
შენის სიწმინდით ვიგერიებდე

1858 წლის 26 ოქტომბერს (ავტოგრაფის მიხედვით) ილიას დაუწერია ორი სატრფიალო ლექსი: „ვიხილე სატრფო" და „ერთხელ ჯდა ჩემთან ლამაზი ქალი"; პირველში სატრფოსაგან შორს მყოფი პოეტი და სატრფო ცრემლს ღვრიან და ბედს ემდურიან, მაგრამ მოვიდა სხვა დღე, სატრფომ უღალატა თავის მიჯნურს: „ხელთ ეპყრა სხვა ტურფა ვარდი". რის გამოც პოეტი ნაღვლობს:

„და მე კი მაინც ცრემლი მცვიოდა“: მეორე ლექსით „მოღრუბლულ“ პოეტს კეკელა ქალი ურჩევს გაერთოს. - „შეხედე მზესა“. მაგრამ ყოველივე ამაოა,– პასუხობს პოეტი:

არ ძალუძს ჩემის გულის გათბობა,
არც ჩემის დიდის ცრემლად დადნობა

ამ ორ ლექსს შორის თითქოს წინააღმდეგობაა. ორი საპირისპირო კონცეფციაა. მაგრამ სხვა დასკვნა გამომდინარეობს: სიყვარული სიყვარულია. იგი ღირსია ცრემლის და დაფიქრებისა. უბედო სიყვარულის დარდს ვერ გააქრობს კეკელა ქალი. სიყვარულის გაღვთაებრივება ილიასთანაც შენარჩუნებულია. ამიტომ იგი თავის ლექსს „ჩემო მკვლელო“ (1860). წარუმძღვარებს რა ეპიგრაფად სულთა ნათესაობაში ლერმონტოვის დაეჭვების გამომხატველ სტრიქონს: «Да вряд ли есть родство души», ამ სკეფსისს თავისი დოქტრინით უპირისპირდება:

ეხლა კი მწამს, რომ ჰქონია
თვისტომობა სულთან სულსა.

სიყვარული პოეტის გაგებით ღრმად ადამიანური მოვლენაა, ამიტომაც საბრალოა სიყვარულში გამტყუნებული ადამიანი: ჩრდილოელმა ასულმა განირიდა ჭაბუკი პოეტის წმინდა გრძნობა და გაწირა „სამარტოოდ“ მისი გული („ჩ... სას“, 1860). ლექსში „გაზაფხულის ტურფავ“ (1860) წმინდა და კეთილშობილური მგზნებარე სიყვარულის ამბავი სევდას შეიცავს სწორედ იმის გამო, რომ სიყვარული წარსულს ჩაბარდა.

ამრიგად, ილიასთან ერთგვარად წარმოდგენილია სიყვარულის მაღალი რომანტიკული გაგება, მაგრამ იგი აღარაა დაკავშირებული ფილოსოფიურად უკვდავებისა და მშვენიერების რომანტიკულ კონცეფციასთან.

ილია მრავალი ძაფით არის დაკავშირებული ქართველ რომანტიკოსებთან, მათგან ამოდის, მათ ემყარება, მაგრამ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს ყოველთვის და ყველაფერში, როგორც დიდი ხელოვანი. ილიასთვის თავისი ეპოქა აღმავალი ეპოქაა; ილია პოზიტიური ფსიქო-ისტორიული დეტერმინანტებით აღბეჭდილი ეპოქის ხელოვანია. ილია ჭავჭავაძე კონკრეტულად ხედავდა ქართველი ხალხის აღორძინების ძალებს; ამიტომ ასეთ ეპოქაში გავლენები მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა, მათ არ შეუძლიათ წამყვანი ან გადამწყვეტი და ახალი ფუნქცია შეასრულონ; ასეთ ეპოქაში ძა-

რითადი მოკარნახე თვით ცხოვრების დიალექტიკა და პოეტის რადი მეა.

რომანტიკულია ბარათაშვილის შეგრძნებაც, წარმოსახვაც: პისი ლირიკის იდუმალი ხილვანი პოეტური განცდის დიდ ძალას შეიცავენ და მომხიბლავად მოქმედებენ, სამყაროს რეალობის იდეალების ყურის გდება თვით პოეტისთვისაც გაუსაკუთრებულობას იძენს:

ვისი სმა არის ეს საკვირველი?
რად აქეს გულს ესე ჩემი ნაღველი?
რა ვსცან პირველად წუთისოფელი.
...მას აქეთ სმა რამ თან სდევს ყოველთა
...ანგელოზი ხარ. მფარველი ჩემი.
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი?
...როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა.
ვინ მსჯეს ამ სოფლად ჩემი წილობა?...

(„ხმა იდუმალი")

ამ იდუმალ წარმოსახვათა საყოფია „ვეპრე ტაძარი", „მერანი"... ილია იშვიათად თუ გამოაცლენს ხამყაროს იდუმალ ჰვრეტას; მისი მონაცემები შეინიშნება ილიას „ლოცვა"-ს სახელწოდების ორ ლექსში, განსაკუთრებით ლექსში „სიზმარი". ამ ლექსით პოეტს ქვეცნობიერის მირაჟულ წარმოსახვათა სამყაროში შეუყავართ:

ტიალ სიერცეში ოხრად ვნახე ბნელი უფსკრული.
ჯოჯოხეთისა სიწყვდიადით ღრმად გადაკრული
...და ღვთის რისხვისა ხმისა მძაფრი და ყრუ გრიალი
...„წყეულიმც იყავ. წყეულიმცა!" ამის მოსმენა.—
მეგონა დემონთ აღშფოთველთა ღრინად ეყოფათ.
...მზე. მთვარე. ზეცა. დედამიწა საშინ გრიალით
უგზო-უკელოდა წანწალებდნენ ტრიალით მალით.
აქ მთვარე მზესა — იმ სისხლის ტბას მიაწყდებოდა
და მზიდამ თითქო სისხლი სიღრმეს ღვარად სდიოდა...

ეს არც ბარათაშვილია, არც ილია,—ეს „მოხეტიალე დენის" გამოჩენას ჰგავს,—აქ დანტეს, ან მილტონის მიერ დაბატული ჯოჯოხეთიც გაგვახსენდება, და საერთოდ ილიასთვის მოულოდნელი სტილი, მისთვის არანიშანდობლივი სატანიზმი, თვით უკიდურესი მწუხარე-

დროსაც:

სული მიგუბდა, გული ჩაეხვა ტკივილით. ტანჯვით,
თითქოს ჩემს გვამსა ზედ-გადესხა ნათი მდუღარე,
ძარღვნი სკდებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით,
ტკინი მეწოდა, გესლი მწვეთდა თვალთაგან მწარე.
(„მწუხარება")

ან მაშინ როცა წერდა:

დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში.
(„დაბნელდა სული", 1860)

ამავე ლექსში თავისი ძალის რწმენით წერდა:

დიდხანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას,

ილიას ლირიკას თან დაჰყვა საწუთროს არა ირეალური, არამედ მკვეთრად რეალური, ამქვეყნიური ხილვა; ეს გამჟღავნებულია მის პირველსავე ლექსში „ყვარლის მთებს". ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე „ხმა სამარიდამ",—იგი ბარათაშვილის „ხმა იდუმალის" თავისებური გამოძახილია. ილიასაც თითქოს „არაამქვეყნიური"—„იმიერ სოფლის" ხმა მოესმის—„ხმა სამარიდამ"; მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, სატირის გასაძლიერებლად. და არა მარტო აქ, როცა ანტიხალხური პირის (დიამბეგის) ბოროტ სახეს ხატავს, როცა თვით თემა მოითხოვს რეალისტურ ფერებს, არამედ ილია მიწიერია ძირითადად რომანტიკოსთა თემატიკის—დემონის სახის გააზრების დროსაც: დემონი მისთვის საერთოდ არა ირეალური იდუმალი ბოროტი სულია, არამედ კონკრეტული ცხოვრების სიბრძნის, „ურწმუნოების" „უკუ-თქმისა და მაცდუროების" გამოცხადებაცაა. შეიძლება ითქვას, რომ ესაა რომანტიკოსთაგან შეთვისებული სახე,—სიმბოლო, ცხოვრებისეულზე მორგებული, რომელსაც დღეს თუ დემონი ჰქვია, ხვალ შეიძლება გაიძვერა დიამბეგი, „ცარი"—ხალხის უბოროტესი მტერი, მტარვალი და მისთ. ჰქვიოდეს; ეს ბუნებრივია, რადგან ილიას ლირიკაში თანდათან, შინაგანად ინდივიდუალისტურ ტკივილთა ადგილს მთლიანად ყოველდღიური, ყოფითი,—საზოგადოებრივი ხასიათის ტკივილები იჭერს.

სიჭაბუკის ლირიკაში, თუ შეიძლება ასე ეწოდოს ილიას 1857-1861 წლების ლირიკას, მაინც იყო მომენტები, როცა პოეტი თავის-

თავთან რჩებოდა, საქვეყნო ხმას თითქოს ნაკლებ ამჩნევდა და „ზეკვეყნიურ“ ფიქრებს ეძლეოდა. როდის, რა შემთხვევაში იჩენდა პოეტი მეტ მიწიერებას?—როცა მეტ გარკვეულობას გრძნობდა საზოგადოებრივ მოვლენებში, ან მათ მეტად აღუტაცებია, აღუშფოთებია, დაუფიქრებია იგი.

უაღრესად მიწიერ მიზანს ისახავს ბარათაშვილის ლირიკული გმირის თავგანწირვა: „ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“ („მერანი“). ბარათაშვილისთვისაც და ილიასთვისაც ერთია უკმაყოფილების საფუძველი, პირველიც და მეორეც სინამდვილით—„ბედითაა“ უკმაყოფილო, მაგრამ ამ უკმაყოფილებას სამოციანელი დემოკრატი პოეტი მეტად პრაქტიკული ამოცანების წამოყენების ფორმით გამოხატავს, ვიდრე რომელიმე რომანტიკოსი.

როცა ახალი ეპოქის დადგომამ ნათელი გახადა, რომ რომანტიკული დარდი აღარ კმაროდა, ერის გადასარჩენად გარდუვალი იყო საზოგადოებრივ ტკივილებზე პირდაპირი გამოხმაურება პოეზიის ტრიბუნიდან, ილია აღარ ამბობს: „არარა აქვს რა ჩემს გულს იმედად“ („მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“), ან „მითხარით რისთვის ჩემ თავთანა მსურს უფრო და უფრო დავრჩე ხშირ-ხშირაც“ („მითხარით რისთვის“). თითქოს შეწყვიტა პოეტმა „გულთან ლაპარაკი“, და მთელი ერის ასამოქმედებლად ლოზუნგივით გადმოისროლა ცნობილი სტრიქონები:

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

პოეტს მიაჩნია, რომ საქართველომ დაჰკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ მას ტანჯავს ბატონყმური უღელი, ხალხის სახსნელად საჭიროა თვით ხალხის გამოფხიზლება, რაც პოეზიის მებრძოლ ფორმებს მოითხოვდა; ასე იქმნება „ჩემი თარიარალი“, „ნანა“, „ელეგია“, „მესმის, მესმის“, „რა ვაკეთოთ“, „ბედნიერი ერი“. „პასუხის პასუხი“, „გუთნის დედა“, „მუშა“, ლირიკული პოემა „აჩრდილი“, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მამხილებელი პოლიტიკური ლირიკა.

ეროვნული თავისუფლების სულითაა აღსავსე ქართული რომანტიზმი, გაცილებით ადრე გრ. ორბელიანმა დიდების შარავანდედით შემოსა ეროვნული გმირი, რომელიც დამპყრობელს—„ჩრდილოეთის ვეშაპს“ მოსპობდა:

ვინ აღჩნდეს გმირი.
რომ მის ძლიერი

ბედს დაძინებულს ხმა აღაღვინდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დაასცემდეს?

გრ. ორბელიანმა სასახელოდ დასახა დამპყრობელთა მახვილით მოსპობა.—შეაჩვენა მონობას შეგუებულნი:

მისი სახელი კიცხვითა მ..რადის იხსენებოდეს.
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ პგრძნობდეს
...მტერსა ხანჯალზედ აღგებულს ვინცა სიამით არ პკვრეტდეს.

სამოციანელებმა პატრიოტიზმის კიდეგანი გააფართოვეს. მათთვის ნიშანდობლივია ფართო დემოკრატიზმი, მეტი პოლიტიკური გარკვეულობა, თანადროულობა. ილია, აკაკი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე რუსეთის ცარიზმში ხედავენ არა მარტო დამპყრობელს, არამედ აგრეთვე თვით რუსი ხალხის მტერს, რითაც ისინი რუსი რეოლუციონერი დემოკრატების მხარდამხარ დგანან. ისეთ ეროვნულგამათავისუფლებელ სიმღერაში, როგორიცაა „ჩემი თარიარალა", პოეტი ქართველთა შეკავშირებას და ცარიზმისადმი დარტყმას მოითხოვს. ეს არგუმენტირებულია ცარიზმის არა მარტო როგორც დამპყრობლის, არამედ აგრეთვე როგორც ადამიანთა მოდგმის დამღუპველ ფეტიშის დამხობის მოტივითაც:

...მონება კაცთ არ შეშვენის,
ქრისტეა ამის მოწამე.
ცარმა რა ერთხელ ინება
მორჭმულ კაცის დამონება.
თვის სხეული კერპად დასვა.
სული ეშმაკთ მიანება.

ილიას პატრიოტულ ლექსებში მკვეთრადაა მინიშნებული ადრესატი, აუდიტორია, და იგი არის მთელი ქართველი ერი და ზოგჯერ აგრეთვე ამიერკავკასიის ერები.—პოეტი ფართო დემოკრატიული წრეების ტრიბუნია; ამავე დროს მაღალმხატვრულ ლექსებში ერისადმი მიმართვები ლოზუნგიეით პირდაპირი არაა. მაგ. ქართველი ლირიკის შედევრში „ელეგია". ჯერ კიდევ 1832 წელს წერდა გრ. ორბელიანი: „ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე. ისმენდ ვაებას!" („ე.

იველიავ!"), მაგრამ ეროვნული სიტლანჭისადმი--ძილისადმი შეურიგებლობის დრამატიზმით აღსავსე სურათი. რასაც „ელეგია" ხატავს, გაცილებით ღრმა და ყოვლისმომცველია.

ბუნების სურათის წარმოსახვა ზოგჯერ მიზანია, მავრამ ჯაცილებით ძლიერია მისი შთაბეჭდილება. როცა იგი არის საშუალება დიდი სულიერი, ინტელექტუალური განცდის, სათქმელის გამოხატვისა. ასეთი მძაფრი განცდის, სულიერი ტკივილის გამომხატველია ილიას სიტყვები: „როსღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება" („ელეგია") .„ელეგია-ს" ძალა და მისი სიდიადე ისაა, რომ—„როსღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?!", უსაზღვრო სულიერი ტანჯვის ამოძახილია: იგი არაა შიშველი ლოზუნგი. არამედ მხატვრული ლოგიკით დასაბუთებული აზრია. ამიტომ უაღრესად დიდია ილიას ამ სტრიქონის მხატვრულ-ფსიქოლოგიური ზეგავლენის კოეფიციენტი. ღამის ის კოშმარული წყვდიადი, რომელიც საქართველოს მთებს დასწოლია, ის საყოველთაო ძილი, რომელსაც მთებიც კი მისცემიან, „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!"—იმდენად მძაფრია, რომ ეს შეგუბებული ატმოსფერო ლოგიკურად მოითხოვს განმუხტვას: „და მთების ჩრდილი კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება..." „ელეგოის" ასეთი სურათიდან კანონზომიერად გაისმის ამ ლექსის დასკვნა:

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?

ამდენად „ელეგია" ერთ მთლიან სიმფონიას წარმოადგენს, როგორც პუშკინის «На холмах Грузии» და გოეთეს „მგზაერის სიმღერა" („Wanderers Nacht lied")[122]. თავის ლექსში გოეთე იძლევა დამშვიდებული და დამცხრალი ბუნების სურათს:

...ხმა არსით ისმის...
არა რა იძვრის...
არც გზაზე მტვერი. არც ხის ფოთოლი!
ჰფშვენენ სიმშვიდით
ცა ვარსკვლავებით,
ქვეყანა ტკბილად მოსვენებული!

---

[122] გოეთეს ამ ლექსის თარგმანი, რომელიც ლერმონტოვისეული თარგმანის მიხედვითაა შესრულებული, ეკუთვნის გრ. ორბელიანს.

ბუნების ამ ღამეული სურათიდან შთამბეჭდავად გაისმის, მის-გან ჰარმონიულად გამომდინარეობს გოეთეს მოწოდება საყოველ-თაო დაცხრომისაკენ—„გულს მშვიდობით შენც განისვენებ"; ასე-თივე კლასიკური ჰარმონიული მხატვრული ლოგიკით ხასიათდება ეპოქისეული შეძახილი: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავ-დები?", რომელიც ბუნებრივად ამთავრებს გაზაფხულის ბუნების საყოველთაო აყვავების სურათს:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჰყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები,...

„ელეგია", „გაზაფხული" ლირიკის შედევრებია. მათშიც იგრძ-ნობა, რომ პოეტს დაცემული ერის ფეხზე წამოყენება უტვირთია, დასნეულებული ერის მესიად, შემწედ მოვლინებულა.

საყურადღებოა „ელეგიის", ამ სულაც არა ტრადიციული ლექსის ტრადიციული სათაური. ელეგიურმა ლექსმა ჯერ კიდევ ახალ ევროპულ პოეზიაში დაჰკარგა თავისი ადრინდელი ფუნქცია. საკუთ-რივ ილიას „ელეგია" არატრადიციულია იმდენად, რამდენადაც ამ სა-თაურით ქართველ პოეტებს არც მანამდე, არც ილიას დროს და არც შემდეგ ლექსები არ უწერიათ. ამავე დროს თავისი შინაარსით ელეგიურია აღორძინების ხანის „საწუთროს სამდურავის" მთელი ლირიკა. ელეგიურობა-სევდიანობა ლექსში იმდენად დამკვიდრდა, რომ ხშირად მოდურად „ნაღვლიანობენ", მაგ., ე. წ. გარდამავალი ხა-ნის პოეტები. მაგრამ სწორედ ტრადიციული გაგებით პირადულ-კამერულია ელეგიური ლექსის სევდა. ელეგიურია, მაგრამ არა ტრა-დიციული გაგებით, რომანტიკოსების თითქმის მთელი ლირიკა,— არაიშვიათად მას ღრმა ფილოსოფიური წანამძღვრები უძევს სა-ფუძვლად.

ილიამ ქართული პოეზიისათვის ამ ერთგვარად უცხო და ეგზო-ტიური სათაურით „ელეგია" უცილოდ გახაზა ის დიდი ეროვნული და სოციალური სევდა, რაც ამ ლექსით სურდა ეთქვა და დიდებუ-ლად არის მიღწეული: ლექსში ერთმანეთს ენასკვება პირადი და ეროვნული მწუხარება. „ელეგია" სიმბოლური ეპოპეაა.

ლექსი „დაკარგული ედემი" ერის გამოღვიძების აპოლოგიაა, მასში „ელეგიის" ვარიაციაც მოჩანს. მაგრამ აქ სხვა პოეტური სა-შუალებაა, ეზოპეს ენით თხრობაა მომარჯვებული: არის ედემი, წარმ-

ტაცი მხარე, სადაც ისე ტკბილი არაა ძილი, როგორც გამოღვიძება, სადაც ბუნების სილაღე, თავისუფლება უხმო ყველერებით დასცინის მორჩილებას, მონებას. ამ ედემში მშვენიერ ხალხს დაუკარგავს „თვისი ედემი",—სამშობლო საქართველო (მერე ხომ ვლადიმერ მაიაკოვსკიმაც ედემი საქართველოს შეადარა).

ილიას ლირიკა საქართველოს განახლების,—გაღვიძებული ადამიანის ლირიკაა. ილიამ და აკაკიმ პირველად დაამკვიდრეს ქართულ ლირიკაში ფართო საზოგადოებრივი სატირა; მათ სატირა ქართული ლირიკის საპატიო მკვიდრად აქციეს; ამის ბრწყინვალე ნიმუშებია. კერძოდ, ილიას „რა ვაკეთეთ", „ბედნიერი ერი", „გამოცანები", „პასუხის პასუხი", რომელნიც ეპოქალურ დოკუმენტებად იქცნენ. მათი შინაარსი და დაწერის ისტორია ერთხელ კიდევ ნათელყოფს, რომ ილია ჭავჭავაძემ პოეზია და ეპოქალური ბრძოლები ერთმანეთს გადააკვანძა. ილიამ პოეზიაში მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვა საზოგადოებრივი ბრალდების, გულისწყრომის, მრისხანების ტონს.

ანდრე შენიე ამბობდა—რევოლუცია აჭრობს პოეზიის ხანძარს; ამ სტრიქონების გამართლება, მათში ჭეშმარიტების დანახვა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ პოეზიის ხანძრის „ჩაქრობად" მივიჩნევდით ლირიკისათვის ზოგჯერ მეტი პრაქტიკულ-უტილიტარისტული ამოცანების დაკისრებას; ილიამ სწორედ მთელი კურსით შემოაბრუნა ქართული ლირიკა ცხოვრებისაკენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მწერლობის საბრძოლო იარაღად ქცევაში დიდია ი. ჭავჭავაძის დამსახურება: ეს იყო რომანტიკოსთაგან მკვეთრი დაშორება და ახალი გზით სვლა.

ქართულ ლირიკაში სოციალური საკითხის, ან „მოქალაქური გულისტკივილის" პიონერი ალ. ჭავჭავაძეა; ამ საკითხის ნამდვილი ამინდი კი თერგდალეულებმა მოიყვანეს. ეროვნული სატკივარის ტრადიციულ გაგებას ილიამ და აკაკიმ მშრომელთა საკითხი დაუკავშირეს, გამოავლინეს ამ საკითხის ახალი გაგება. მათთან მშრომელთა მდგომარეობის განცდა განპირობებულია არა იმდენად ლიტერატურული ტრადიციით ან გავლენით, არამედ დიდი საზოგადოებრივი ძვრებით, ერის აღორძინების იმ დიდი პროგრამით, რაც მათ ფართო სოციოლოგიური განათლებით შეიმუშავეს. სოციალური საკითხი მნიშვნელოვანია გ. ერისთავისთვის. არდაზიან-ჭონქაძისთვის, მაგრამ ილიასთვის სოციალური საკითხიც ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთანაა დაკავშირებული, ეროვნულ-საკაცობრიო პრობლემის ასპექტშია წარმოდგენილი. მაგ. „კაცია-ადამიანში" შრომის ღირსების გამოცხადებულია როგორც სოციალურ (ეს ჭონქაძესთანაც

იყო), ისე ეროვნულ და საკაცობრიო (ეს ახალი პოზიციაა) უბედურებად. ასეა ეს ილიას ლირიკაში, „აჩრდილში“ და ა. შ. სოციალურისა და პირადულის. „კაცობის გულის დუღილის“ ფართო გააზრების გამო „გუთნის დედა“ ჰეროიკულ-ელეგიურ პოლიფონიური ხარალის ყეფერადობას და ინტონაციას აღწევს; იგი დაკავშირებულია მიწასთან და ზეცასთან. როგორც ყოველი დიდი ეროვნული ქმნილება ანტიური ხანიდან დღემდე: მასში პროტესტი და ოპტიმიზმი ისმის! ისმის არა მარტო სიტყვიერ მასალაში. არამედ „ურმულთან“ და „მრავალყამიერთან“ მოხათესავე ინტონაციაშიც:

ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბაე. მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
...ძეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენ პირუტყვი ხარ და მე პიტყველი?!
ეგ. ჩვენი ლაბაე. ნუ შეგშურდება...
რად მინდა ამალი, თეთრც იყოს ცხვრილი,
თუ სიმართლისთვის დაძრილებდება?
...მაშ. რა გაღონებს?.. გასწი ჭაპანსა
და ჯაიტანე პოლოს...

მართალია, არა სამრეწველო ქალაქისა და მუშა პროლეტარის, მაგრამ სწორედ ახლად გაჩენილ ქალაქური ცხოვრების კოლორიტი მოაქვს ლექსს „მუშა“; ქართულ ლირიკაში თითქმის პირველად ჟღაისმის „შუა ბაზარი“. მუშა. „დიდკაცის დროშკა“. „რუსული ფარაჯა“, „პირუტყვსავით ზიდვით“ ნაშოვნი ლუკმა, გასამრჯელოს „ფასის დაკლება“, „კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა“... ეს მთელი პოლიტიკური ეკონომიაა საგაზეთო ლირიკის ენაზე გადათქმული: ერთ მხარეზეა მჩაგვრელთა სამყარო - „დიდკაცობა“ და მეორეზე „მუხთალი ბედისაგან“ სოფლიდან ქალაქში გადმოტყორცნილი უმწეო მუშა: იგი განწირულია „უღმრთო შრომისა“ და ტანჯვისათვის:

ვინ შეგიბრალებს?.. აგერ მოჰქრის დიდკაცის დროშკა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდეგნელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა,—და, როგორც კოკა,
შენ—კერძო ღვთისა—არ დაგინდო დასამსხვრეველად...

ილიას საზოგადოდ ადამიანის ძალის ღრმად სწამს და იცი ხედავს, რომ ამ უმწეო მუშის „დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!“ ქართული პოლიტიკური ლირიკის მიღწევად რჩება ილიას

ლექსი, რომლითაც პარიზის კომუნის დამარცხება მთელი მსოფლიოს „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა" ტრაგედიად გამოაცხადა.

როგორც ვხედავთ, ილიას აწუხებს არა უშუალოდ პირადული ტკივილები, არამედ მთელი ხალხისა: დაცემული საქართველოს წყლულია მისი წყლული.—მისი ძალაც ერისადმი და მთელი კაცობრიობისადმი „უყოლად მხსნელ სიყვარულშია". მწერლის მთავარი ვალია „გულებს უნთებდეს კაცთა". ილია თავის თაობასთან ერთად რომანტიკოსთაგან განსხვავებულ ხალხურობის გაგებას აყალიბებს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში პოეტის დანიშნულების მაღალი მოქალაქეობრიობის დამკვიდრებაში დიდია ილიას წვლილი.

პოეტი ილიას გაგებით არა მარტო კარგი მოქალაქე—უნივერსალური ადამიანი უნდა იყოს. ილიას ლირიკული გმირი ეროვნებისათვის, და ამდენად მთელი კაცობრიობისათვის მებრძოლი სრულყოფილი ადამიანია. პოეტი აშკარად ეპაექრება თუ უპირისპირდება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას. ათეიზმი საერთოდ ილიას მთელი შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი, თავისთავადაც რომ იგულისხმება, ისეთი თვისებაა. ილიას ლირიკული გმირი მწარე ირონიით ლაპარაკობს ჰუმანიზმის გაყალბების გამო:

კაცო, გიკვირდეს!
კათ შთამომძახეს,
როს მათ დამბადეს.
ცველგან ეგ სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა
და ქვეყნად ჩემს სელას
სცემდა წმინდ ნათელს.
მისთვისც გეტყვი ძმას:
შენცა გიკვირდეს!...

ადამიანის უნივერსალობის პრობლემის დაყენება (ამ პრობლემის ორი თავისებური გადაწყვეტაა ქართულ ლიტერატურაში — „განდეგილი" და „გველის მჭამელი") დიდი ლიტერატურის კვალში დგომას ნიშნავს; ეს პრობლემა წარმართავს ლექსს „ლოცვა—ოდეს დემონი ურწმუნოების". გვიანდელ წლებში, როცა ამ თემას დაუბრუნდა „განდეგილში", პოეტმა მთელი გენიალობით გვიჩვენა მწერის ადამიანური უნივერსალობის ყალბ გზაზე დგომა: ხალხისაგან განდგომა და ღვთაებისადმი ერთგულება ადამიანური უნივერსალობის განწირული გზა აღმოჩნდა.

მაშ, როგორ ესმის XIX საუკუნის დიდ პოეტს ადამიანურობის, მოქალაქეობრივი სრულყოფილების პრობლემა? მისი ლირიკული გმირი „უსულდგმულო ცხოვრებას" გმობს, ისე როგორც ჰაინე გმობდა გერმანელი ბურჟუას ფილისტერობას. მისი ლირიკა დიდი საქმეებისკენ მოწოდებაა, თავისი თაობის პოეტებისაგან, თვით აკაკისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ფორმით; შემთხვევით არ ჩნდება ილიასთან ასეთი გამოთქმა: „უსულდგმულო ცხოვრება" და ლექსი ამ თემაზე:

უსულდგმულო ცხოვრება
ცის ნიშად ნუ გგონია,
იგი ჭ.წის ყოფილა —
რასაც ბოლო ჰქონია!
ცხოვრებას აცისკროვნებს
სული. საქმით შეტკბილი,...

უსულდგმულო ცხოვრებას გმობდნენ რომანტიკოსებიც; თუმც განწირული, მაგრამ ამაო არ იყო მათი სულისკვეთება. ამიტომაც უყვარს ილიას რომანტიკოსები. „მგზავრის წერილებში" უსულდგმულო ყოფის, მეშჩანობის დამარღვეველი დევ-გმირული ხმა ესმის ილიას გრ. ორბელიანის სტრიქონებიდან:

თეოგი რბის, თერგი ღრიალებს,
ალდეში ბანს უყენებიან.

ასევე „დაუდგრომელ დროთ ბრუნვასთან" მებრძოლი პოეტიც პოვა ილიამ ალ. ჭავჭავაძეში:

...შეჰკვნესს შავ-ბედს ქვეყნისასა.
ქვეყნისათვის ანატირა;
ხან დაჰყურებს ნაღვლიანად.
დაფიქრებით გოგრის ტბასა
და ელდურის მწკრივის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...

„ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი", ადამიანური სრულყოფის იდეალი ილიამ ბარათაშვილში დაინახა, მისი ნაადრევი სიკვდილი ეროვნულ უბედურებად გამოაცხადა:

...მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!

საზოგადოდ ადამიანის ძიება, მაღალი მორალური საწყისი ილიას შემოქმედების არა შემთხვევით ნაწილს, არამედ ერთ-ერთ

მთავარ პათოსს წარმოადგენს:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
...რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,..

ეროვნულ ნიადაგზე, მშობლიურ ქვეყანაში ადამიანის ძიება მტანჯველ ფიქრს წარმოადგენდა პოეტისათვის. ასე გაჩნდა ულმობელი ბრალდება საზოგადო უკაცურობაზე „კაცია-ადამიანი?!" ეს შემოქმედებითი წვა განპირობებული იყო ილიას მხარდაგებით პოეტის მოქალაქეობრივ დანიშნულებაზე. ლექსები „პოეტი", „ჩემო კალამო" და სხვანი ხაზს უსვამენ, რომ პოეტი არ არის ერის რიგითი წევრი; პოეტი ერის პირმშოა („მე... ერი მზრდის"), მაგრამ მისი განსაკუთრებული მსახური („რომ წარვუძღვე წინა ერსა"). ილია გარკვევით გამოყოფს პოეტს მასისაგან, რადგან მას სწამს, რომ მასები ყოველთვის ძლიერ იდეურ ხელმძღვანელში. თავიანთზე მაღლა მდგომ პიროვნებაში ეძებენ იდეალს. ილია პოეტს განაცალკევებს არა „წმინდა ხელოვნებისათვის", არამედ თვით ხალხის თვალში პოეტის ავტორიტეტის გასაზრდელად. ამიტომ ალაპარაკებს ილია პოეტს ღვთაებასთან („ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ...") და ანიჭებს წინასწარმეტყველების უნარს. ეს ათეიზმისაგან გადახვევა არ არის, არამედ მხატვრული ხერხია, საშუალებაა აზრის გასაძლიერებლად გამოყენებული (დაახლოებით ისე, როგორც მხატვრული საშუალება იყო შექსპირისათვის ანაქრონიზმი: „იულიუს კეისარში" საათი რეკავს. ამით შექსპირი ისტორიულ ამბავს თანამედროვეობასთან აკავშირებს). ხალხის წინამძღოლი პოეტის მიზანია ხალხს ცრემლი მოსწმინდოს, ბედნიერება მოუტანოს. პოეტი თვით ბრძენისაგანაც განსხვავებულს ამბობს:

Гармонии стиха божественныя тайны
Не думай разгадать по книгам мудрецов.

(А. Майков)

„ეგ სიტყვები პოეტისა ძალიან მართალნი არიან", — წერს ილია[123], ამრიგად, ქართული პოეზია ილიას სახით ღვთაების მოშველიებითაც მაღალი სულისა და იდეების უნივერსალურ ადამიანზე გველაპარაკება, ასეთი ადამიანის წმინდა ვალია კეთილშობილური საქმით აღნიშნოს თავისი დრო.

[123] ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1941, II, გვ. 32.

საინტერესოა ილიას დაუმთავრებელი პოემის „ირაკლის", ათეისტური სული. მასში პოეტის მრწამსს გამოხატავს მთავარი გმირი ირაკლი. იგი ბაირონის კაენივით ბრძოლას უცხადებს უზენაესს (აღსანიშნავია, რომ „ირაკლი" ეკუთვნის 1860 წელს, ამავე წელს უთარგმნია ილიას პატარა ნაწყვეტი „კაენისა"):

ირაკლი: სჩანს უკედაება არ უნდოდა შენს ღმერთს ჩვენთვისა.
მამა: მაგას ნუ ამბობ, შვილო! შვილო! ნუ გმობ უფალსა!
ირაკლი: არც მილოცნია ის ჩემ დღეში და ვერც ვგმობ მასა.
...შენ, ვინცა შეჰქმენ მირიადნი ესე ქვეყნები,
...ყველგანა გხედავ და ვერ გხედავ მხოლოდღა ჩემში...
თუ შენ გიყვარვართ, რაღად ითხოვ ჩვენგან ლოცვასა,...
შენ დესპოტი ხარ! გიყვარს ხვეწნა და თაყვანება,
მაგრამ მათ ირგვლივ შენი სიბრძნე ხუ ელოდება.

ილიას ლირიკის გარეშე წარმოუდგენელია ქართული პოეზიის საუნჯე; მასში პოეტთან ერთად საქართველო სუნთქავს; მასში, როგორც ფოკუსში მოცემულია პოეტისა და მისი ეპოქის ფსიქიური ატმოსფერო. ილიას ლირიკა გვეხმარება უფრო ღრმად შევიგრძნოთ XIX საუკუნის საქართველო, იმ დროის იდეები, სულისკვეთება და ხელოვნება: ეს ილიას ლირიკის სიდიადეა. ილია, როგორც მოქმედი, თითქოს ხელმძღვანელობდა გოეთეს სიტყვებით: „აღივსე გონება ეპოქის იდეებით და საქმე მზადაა". მართლაც, ამის გარეშე წარმოუდგენელია ხელოვნების გასხივოსნება. და შესძლო ეს ილიამ იმის გამო, რომ ლირიკა მისი სტიქიაა, მისი შინაგანი ძოთხოვნილება, შინაგანი ბუნება. როგორც გოგოლმა სატირულ პროზულ ნაწარმოებში „მკვდარი სულები" შექმნა დამოუკიდებლადაც ძლიერი ცნობილი ლირიკული წიაღსვლა „ტროიკა", ასე ილიაც თავის არალირიკულ ნაწარმოებებში ჰქმნის სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობის ლირიკულ ნაწარმოებთ; ასეთია მაგ. „მგზავრის წერილების" ლირიკული პასაჟები: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას...", „ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა...", „ოთხი წელიწადი იყო..." „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი...", „ვაი, რა ცარიელია ეს ქვეყანა უადამიანოდ...", „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ..." „მგზავრის წერილები" მდიდარია საზოგადოდ ლირიკული შენადნობით, მაგრამ მთლიანად ნაწარმოები მაინც ეპიურ საყრდენს უჭირავს. წმინდა ლირიკული ინტერლუდიაა „გლახის ნაამბობის" შესა-

ვალი. ლირიულ-ეპიკური საშენი მასალაა გამოყენებული „აჩრდილ-ში“. აქ სიმღერა სიმღერას ენაცვლება მშობლიური ქვეყნის დიდებასა თუ მის გადაშენებაზე; და ასე იქმნება ერთი მთლიანი სიმფონია ერის წარსულსა. აწმყოსა და მომავალზე. ტაძრის ფრესკული მოხატულობაც ერთი მთლიანია საზოგადოდ, მაგრამ. მასში ამ ან იმ დროს ყოველი დეტალი თუ ნახატი თავისებურად იპყრობს ყურადღებას. „აჩრდილში“ ასეთია თავი „დედავ ღვთისაო“. თვითმყოფადი ლირიკული შედევრი ქართველი ერის აღორძინებაზე „უეცარი“ ქალით წარმოთქმული:

დედაე ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
...პოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღენისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..

ამ ბრწყინვალე ეპილოგით, წარსულსა და მომავალზე მოამბე წინასწარმეტყველი აჩრდილის მონუმენტური სახით, ილიას ლირიკა აწმყოდან ხმას აწვდენს წარსულსა და მომავალს; პოეზიის, ლირიკის ასეთი გაგება დამახასიათებელია XIX საუკუნის დიდი პოეტებისათვის: „რა არის პოეზია?—წარსულის (a Former World) და მომავლის გრძნობა“ (ბარიონი).

IV. ილია ჭავჭავაძე—ახალი ქართული მხატვრული პროზის ფუძემდებელი

ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელია. მან ქართული მწერლობის გზის გამკვლევი ტრადიციები შექმნა მხატვრული ლიტერატურის თითქმის ყოველ ჟანრში.

უდიდესია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართულ მხატვრულ პროზაში.

XIX საუკუნეში ქართველი ერის სულიერი ცხოვრება ძირითადად ლიტერატურაში პოულობს უმაღლეს გამოხატულებას.

რომანტიკოსებმა მხატვრული ლიტერატურის ასპარეზი თითქმის მხოლოდ პოეზიას დაუთმეს.

ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ქართული მწერლობის არა მარტო ენობრივი, იდეური და ჟანრობრივი განახლებაც მოახდინეს. მათ ქართული ლიტერატურა იდეურ-მხატვრული და ჟანრობრივი მრავალმხრივობის ფართო გზაზე გამოიყვანეს. ეს არის მათი დიდი დამსახურება.

ილია არის თანამედროვე ტიპის ქართული პროზის კლასიკური ტრადიციების ფუძემდებელი. ახალი აღორძინების მაუწყებელი იყო ქართულ მხატვრულ პროზაში ილიას ცნობილი ბელეტრისტული ქმნილებანი „კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „მგზავრის წერილები“, „სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქვრივი“. მათ ღირსებას ის კი არ განსაზღვრავს, რომ ისინი მხატვრული პროზის ჟანრს ეკუთვნიან, არამედ ის, რომ იდეალისა და ფორმის შესაბამისობის განსახიერებას წარმოადგენენ: „რა ჟანრშიაც უნდა იყოს დაწერილი თხზულება,—წერს ბალზაკი,—იგი დარჩება ადამიანთა მეხსიერებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექვემდებარება იდეალისა და ფორმის კანონებს“[124].

ერთმანეთის პარალელურად იქმნებიან ქართული სოციალური პროზის ნიმუშები „კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „სურამის ციხე“, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. მაგრამ ქართულ

[124] О. Бальзак. Этюд о Бейле, М., 1956, გვ. 5.

მხატერულ პროზას დიდი ხელოვნების მზეობა და ძალა თავის თანამედროვეთა შორის ყველაზე ძლიერად ილიამ მიანიჭა, ახალი დიდი აუდიტორია მოუპოვა. მხატერულ პროზას ისეთი აქტორიტეტი შესძინა ილიამ, რომ მისი თანამეღროვე სახელოვანი პოეტები არ ჯერდებიან პოეზიას და პროზაშიც მუშაობენ. ილიამ როგორც პროზაიკოსმა მნიშვნელოვნად განაპირობა ნიჭიერ ქართველ პროზაიკოსთა მთელი წყების გამოსვლა 70-80-იან და 90-იან წლებში.

ილია ჭავჭავაძე საგულისხმოდ დაახასიათა მისმა თანამედროვე კრიტიკოსმა მ. ნასიძემ: „ილია ჭავჭავაძე, როგორც ბელეტრისტი, ავიდა ხელოვნების იმ სიმაღლეზედ, რომელზედაც იდგნენ პირველი მისი მასწავლებლები: გოგოლი, ტურგენევი, ნეკრასოვი, პუშკინი, ლერმონტოვი. არც ერთს მათგანს ჭავჭავაძემ არ მიჰბაძა და თვალებახვეული არ გაჰყვა, მაგრამ ყოველის მათგანის კარგი კი მიიღო და განახორციელა ქართულ ნიადაგზედ. იუმორი მისი ნაწერებისა... მოგაგონებენ ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლს. ჰუმანიზმი და სოციალური მისწრაფებანი მისის ნაწერებისა გაგახსენებენ დაუვიწყარს ნეკრასოვს. ის ალერსი და სიყვარული, რომლითაც ეპყრობა ჭავჭავაძე ყოველ თავის გმირს, პოეტური გარემოცულობა გმირებისა გაგონებენ ტურგენევს. თ. ი. ჭავჭავაძე ბელეტრისტი მომხიბლავია მკითხველისა: ავიწყებს მას თავის თავს, გაიტაცებს მის ფიქრს, გონებას იმ სფეროში, იმ ცხოვრებაში, რომელსაც ის ხატავს«[125].

ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძის ბელეტრისტული ხელოვნების შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს. იგი გვიხსნის არა მხოლოდ ილიას მხატერული პროზის უმნიშვნელოვანეს თვისებებს. ამავე დროს აგრეთვე წარმოდგენას იძლევა გამოჩენილი პროზაიკოსის ეპოქის ლიტერატურის მრავალ მნიშვნელოვან მხარეზე.

1. ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის ენა და სტილი

სალიტერატურო ენის საკითხში ი. ჭავჭავაძე განმაახლებელია და არა დამწყები. XIX საუკუნის 60-იან წლებში მან აღადგინა და განამტკიცა ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება, სამეტყველო ენასთან სიახლოვე, რაც ასი წლის წინ ანტონ ცაგარელიანის გაკვლეული შეწყდა. „ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების გზა,—წერს არნ. ჩიქობავა. მეთვრამეტე

---

[125] მ. ნასიძე. თ. ილია ჭავჭავაძე—ბიოგრაფია და ეიისი მოღვაწეობა, 1910, გვ. 41.

ტე საუკუნის მესამოცე წლებში გაწყდა. ეს დაკავშირებულია ანტონ კათალიკოსისა (ანტონ პირველისა) და მისი სკოლის მოღვაწეობასთან. ამ სკოლის ხელში იყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში—მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე"[126]. ქართული სალიტერატურო ენის განახლებაში ილიას, მის უახლოეს წინამორბედთა და თანამებრძოლთა დამსახურება უდიდესია. ილიამ ახალი ქართული ლიტერატურული ენის შემოქმედებითი მოძარაგების, საუკეთესო მხატვრული ნიმუშები დაუტოვა თაობებს.

ენისათვის ბრძოლა ილიამ საერთო ეროვნულ საქმედ გამოაცხადა: „ენა საღვთო რამ არის,—წერს ილია,—საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს".

რა მიმართულებით წარიმართა ბრძოლა არქაისტების წინააღმდეგ?—ილია აზრისა და ენის შესაბამისობას მოითხოვდა: „სადაც აზრი არ არი,—წერდა ილია,—იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია... აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას".

მაღალი სტილის ენას დასცინა ილიამ „კაცია-ადამიანში".. მოსე გრძელაძის წერილში ლუარსაბისადმი ვკითხულობთ: „ჩემო აღმატებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო:. „თუმცა დიდათ ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღავსე ნეტარითა სიძოობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დაინახა ისევ გაზაფხული მუხთალისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ" და ა. შ. ამ გაზვიადებულ, უაზრო სტილში გმირის სოციალურ დაკნინებასაც უსვამს ხაზს მწერალი. ეს ტრადიცია გ. ერისთავიდან მოდის ქართულ მწერლობაში.

ილია აზრის ნათლად გადმოცემისათვის. ენის თანამედროვეობისათვის ზრუნავდა. ეს გამომდინარეობდა არა მარტოოდენ მისი თეორიული თვალსაზრისიდან, მთავარი წარმმართველი იყო შინაგანი მხატვრული მოთხოვნილება: ხალხის საჭირბოროტო საკითხების დამუშავება პროზაში კიდევ მეტად ითხოვდა ხალხისათვის გასაგებ თანადროულ ენას. გაპოეტურებული და გახელოვნურებული ენა ანაქრონიზმი იქნებოდა მკვეთრად თანადროული რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთების ხორცშესასხამად. აზრის სიზუსტისაკენ მისწრაფება ილიას კანონზომიერად უკარნახებდა და-

---

[126] არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 200.

ეგმო სამი სტილის თეორიის ხელოვნური დაბრკოლებანი და შემოქმედებით მუშაობაში გამოეყენებინა მთელი ერის სიცოცხლისუნარიანი სიტყვიერი მასალა და გრამატიკული შესაძლებლობანი. აზრის სიზუსტისადმი ილიას მიდრეკილება ეჭვს არ იწვევს. აზრობრივ-ენობრივი სიზუსტე და სინათლე ილიას არა მარტო პროზას, არამედ მთელი მისი შემოქმედების და XIX საუკუნის მეორე ნახევრის საუკეთესო ქართველ მწერალთა განუყრელ თვისებად დარჩა.

ამ მხრივ საინტერესოა ილიას მხატვრულ ნაწარმოებთა ჩამოყალიბების მაჩვენებელი შავები. „კაცია-ადამიანის“ ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „თავი და კისერი ასეთი ჰქონდა, რომ ოფლის მაგიერ ჭონი დასდიოდა თითქმის“, რაც დედანში ირონიის გამაძლიერებელი შედარება-ეპითეტებითაა შეცვლილი: „დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მსრებში ჩაუძვრენიაო“. შავში არაფერია ნათქვამი ლუარსაბის ლოყებზე, დედანში კი გაჩრილი მოკლე და ზუსტი ფრაზა: „წითელი, თურაშაული ვაშლსავით ხაშხაში ლოყები“. შავში წერია: „სამკეცად ჰქონდა ნიკაპქვეშ ჩამოსული ღაბაბი“. ეს აღგილი დედანში შეცვლილია მეტაფორით, რომელიც ლუარსაბის პიროვნებას მეტად სასაცილოს ხდის: „სამკეცად ჩამოსული ტრფიალების ალერგანები თაფუკი ღაბაბი“. არ დაუმატყოფილებია მწერალი ერთის შეხედვით საკმაოდ ზუსტ ფრაზას: „თვალები დიდრონი, დაწითლებულნი, ბევრის, რასაკვირველია, ძილისაგან და არა შრომისაგან, არაფერს კაცს არ ამბობდნენ თავის პატრონზედ“. დედანში ეს მწერალს შეუცვლია უფრო მოკლე, მაგრამ ზუსტი ვაჭიოკმით: „დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო“.

დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის მუშაობას მხატვრული ნაწარმოების ენაზე. „ნაშდევილი სილამაზე ენისა...,— წერს გორკი,— იქმნება სიზუსტით, სიცხადით, სიტყვების მჭლერადობით, რომლებიც აფორმებენ სურათებს... სიტყვების, მათი აზრის მიხედვით შეხამებას... შეუძლია სანიმუშოდ გააფორმოს ავტორის აზრები... გამოძერწოს ადამიანთა ცოცხალი სახეები, იმდენად დამარწმუნებლად, რომ მკითხველმა დაინახოს ავტორის მიერ ასახული. ლიტერატორი... არა მარტო წერს კალმით, არამედ ხატავს სიტყვებით,... ცდილობს დახატოს ადამიანები შეუწყვეტელ... მოქმედებაში, ერთმანეთს შორის დაუსრულებელ წინააღმდეგობაში. კლასთა ბრძოლაში“.

ოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდა ილია გამოთქმის სიზუსტის მხატვრული საშუალებისათვის, ეს მეღავნდება მის ცნობილ კამათში თავისი ლექსის „გაუაფხულის“ გამო; ახალგაზრდა ილიამ ენის ღრმა ცოდნა გამოიჩინა. როცა „ობოლი ვაზის“ შესახებ განაცხადა: „ობოლი ვაზი“ კი, უკაცრავად არ ვიყო, თავის ალაგს კარგად არის. თქვენ რომ „შინდამ კარში ფეხი გამოგედგათ“, გაიგებდით, რომ ხმაობენ: „ობოლი მარვალიტი, ობოლი ხე, ობოლი შტო“.

გმირის ხასიათის ზუსტად, რეალისტურად დასახატავად ილია განსაკუთრებით ოსტატურად იყენებს პერსონაჟის ენის ინდივიდუალიზების ხერხს. ეს ის რეალისტური ხერხია, რომელსაც შექსპირის ჰამლეტი მსაბიობებს ურჩევდა: „მოქმედება სიტყვას შეუფერე და სიტყვა მოქმედებას“. ილიას თითქმის ყოველ პერსონაჟს, პროზაში და თავისებურად პოემებშიც, ხასიათისა და ვითარების შესატყვისი ენა გააჩნია. „გენიალობა ის არის,— აღნიშნავს ბალზაკი,—რომ ყოველ სიტუაციაში აღმოცენდებოდეს სიტყვა, რომელშიც გამოვლინდებოდა პერსონაჟის ხასიათი, და არა იმაში, რომ პერსონაჟს თავს მოვახვიოთ ერთადერთი ფრაზა, ყველა სიტუაციაში უცვლელი“[127] ამ მხრივ ილია გაბრწყინებულად და საგანგებოდ მუშაობს. იმდენად ლოგიკურად გამომდინარეობს მოქმედებიდან სწერლის პერსონაჟების სიტყვები, რეპლიკები. რომ მათში პერსონაჟის ხასიათიც კლინდება. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ლუარსაბი, რომელიც ვერ ახერხებს თავისი მეტყველებიდან აკვიატებული გამოთქმის „დალახვრა ღმერთმა“-ს ამოგდებას: თელეთის ხატმა „საიდამ სად მოგვიკითხა! დიდება სახელსა უფლისასა!“—ამბობს დარეჯანი. „დალახვრა ღმერთმა! საიდამ სად მოგვიკითხა“. — უპასუხებს ლუარსაბი. „—ხატზედ „დალახვრას“ როგორ ამბობ?“, — ეუბნება დარეჯანი. მაგრამ თავის პასუხში ლუარსაბი უნებლიედ კვლავ იმეორებს იმავე დაჩვეულ გამოთქმას: „ღმერთო, ხუ მიწყენ, ღმერთო, ნუ მიწყენ!.. აი დალახვრა ღმერთმა. დაჩვეული რომ ვარ, ისე თავის-თავად ითქმის ხოლმე, ღმერთო, ნუ მიწყენ!“ აქ სწორალი მოფიქრებულად უსვამს ხაზს ლუარსაბის მეტყველების ნიუანსს, როგორც გმირის ხასიათის კარგად შენების მნიშვნელოვან ხერხს, რაც ლიტერატურულ ენას ბუნებრივობას ანიჭებს.

გმირთა ხასიათების ტიპიზაციისათვის ენის ინდივიდუალური ნიუანსების ხაზგასმის კლასიკურ ნიმუშებს იძლევიან დასავლეთ

---

[127] О. Бальзак. Собр. соч., М., 1955, т. 15. გვ. 291.

ევრო ისა და რუსეთის კრიტიკული რეალიზმის დიდი წარმომად-
გენლები. გმირის ხასიათის გამოსავლინებლად პიროვნულია ილიას
ყოველი ნოველის პერსონაჟის ენა. გადაგვარებული ოფიცრის
(„მგზავრის წერილები“) ლაპარაკში საგანგებოდაა გამახვილებული
ყურადღება გმირის ფუქსავატურ გამოთქმებზე: „მე იმედი
მაქვს, რომ ეს სამოვარი ამ სტოლზედ თქვენთვის სდგას“. „მე
იმედი მაქვს, რომ... მითავაზებთ“, „აბა, მაშ თქვენ ჩაი დაას-
ხით, და მერე მოვყვეთ სამეცნიერო ლაპარაკს. თუმცა
თქვენთვის ძნელი იქნება სამეცნიერო ლაპარაკის ვა-
გება. მაგრამ მე შიგა-და-შიგ სამეცნიერო სიტყვებს მდა-
ბიურად გითარგმნით და ამ რიგად სამეცნი-
ერო ლაპარაკის გაგების გაგიადვილებთ“, „თქვენი
ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვთქვათ... ესე იგი მდა-
ბიურის ენით რომ ვთქვა, გაუნათლებელია“. „რაო, ოცი-
ოდეო!... ო, ო, ეგ დიდის საქმეა... ამ მუჭა ხალ-
ხში და ოცი გენერალი!... ეგ, ბატონო, დიდი ცრ[illegible]ცია გქონი-
ათ... იქნება თქვენ, მეცნიერების ენით ვთქვა... ესე
იგი მდაბიურის ენით რომ ვთქვა... ანუ [illegible] მდაბი-
ურად რომ ვთქვათ, ანუ ამაზედ უფრო მდა[illegible]ურად რომ
ვთქვა“... ამ ამოჩემებულ გამოთქმებში იხატება გმირის როგორც
მეტყველების, ისე ხასიათის თავისებურება. მწერალი კრიტიკულად
უცქერის გმირის აზროვნებასაც, ენასაც; უყურადღებოდ არ ტოვებს
მანკიერ ნიუანსებს.

ილიას მხატვრულ პროზაში გმირების ენის დიფერენცირება
კანონზომიერ მხატვრულ ფაქტს წარმოადგენს. დიფერენცირებუ-
ლია ილიას მოთხრობების თითქმის ყოველი გმირის ენა. ოთარაანთ
ქვრივის მეტყველებაში მაინდივიდუალიზებელ როლს ასრულებს
მარჯვე გამოთქმა „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა,
სხვა არაფერი“, რითაც ილიამ სიმკვეთრე შესძინა ოთარაანთ ქვრი-
ვის ხასიათს.

ილიას ნოველაში ზოგჯერ მეტყველების ინდივიდუალიზება
ხასიათის გახსნის მთავარი საშუალებაა. ამ გზითაა ჩამოყალიბებული
გლახა ჭრიაშვილის სახე („გლეხთა განთავისუფლების პირველ-
დროების სცენები“). იგი ამბავს ყოველთვის ხელახლა იწყებს და
მაინც დაუმთავრებელი რჩება. „მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვი-
ლი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ. პაპა-ჩემი აზნაური გახლებიათ
ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“; შემდეგ
ისევ თავიდან: „მენა? ეს მინდა, შენი ჭირიმე, რომ პაპა-ჩემი აზნა-

ური გხლებიათ ნუგზარ ერისთვის დროსაო... სისხლის წვიმების დროსაო"; ოდნავ განსხვავებით ისევ ხელახლა იწყებს გლახა ჭრიაშვილი: „ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე, სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგებსენებათ. სოფელი არავის მოუჭამია... აი, ამიტომაც მინდა თავიდან დავიწყო. ისე სჯობია, თავიდამვე დალაგებით მოგახსენო: პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ — ეს დიდიხნის ამბავი გახლავს—ნუგზარ ერისთვის დროსაო, თუ გაგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო...".

თუმცა რამდენადმე სქემატურობის ელფერი გადაჰკრავს არჩილს („ოთარაანთ ქვრივი"). მაგრამ თუ რამ სიცოცხლე გააჩნია მას, ისევ მისი მეტყველების თავისებურებების გამო: მის საუბარს მწიგნობრული იერი გადაჰკრავს. რაც ამავე დროს სალხურ ენასთანაც ახლოსაა. ამით გამოიკვეთება მისი როგორც ინტელიგენტის და ამავე დროს ხალხთან ახლოს მდგომი პიროვნების ხასიათი. მისი დამახასიათებელი გამოთქმებია: „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა", „ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია", „გული მადლია და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს", „თავისთავთან მოციქული საპირო არ არის. მოციქული სხვასთან უნდა". „ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია". „მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-ღა ჰცხვება"... შეუძლებელია არჩილის მსჯელობის ფორმამ, ფრაზამ, მეტყველებამ არ მიიპყროს ყურადღება. ამის გარეშე „ხიდს გალმა" სამყარო შეუნიშნავი დარჩებოდა და მოთხრობაც ბევრს დაკარგავდა. ამ მხრივ ნაკლებად უზრუნველია მწერალს კესოზე, ამიტომ იგი ამითაც ფერმკრთალდება.

ენა ურთიერთშესაბამისობაშია პერსონაჟის მთლიან ხასიათთან და ამ ხასიათის სხვადასხვა გამოვლინებებთან სხვადასხვა ვითარებაში. გმირის მეტყველება და განწყობილება ურთიერთჰარმონიას ექვემდებარება. ესაა გამიზნული ფსიქოლოგიური დიფერენცირება გმირის ენისა—გმირის მეტყველების და განწყობილების შეფარდება: აღელვება, მწუხარება, სიხარული, საქმიანი ლაპარაკი და სხვ. შესატყვისი მეტყველებით არის გადმოცემული. გლახას („გლახის ნაამბობი") მეტყველების ის ფორმა, რასაც მწერალი იყენებს მისი მძიმე ხვედრის მოსასმენად, გამართლებულია ფსიქოლოგიურად: „გეზიზღები განა, შე კაი კაცო!—მკითხა დაგვემილის ხმით, მაგრამ მე ის ხმა გამკიცხავ ხმად მეჩვენა... მართალი ბძანდები.—განაგრძელა იმ უბედურმა, თითქო მე შევეცოდეო, ჩემს დასამშვიდებლად,—მართალი ბძანდები! ცოცხალს კაცს მატლი მეხვევა!.. თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი, შენი რა საკვირველია!.. ამოდენა დედამიწის

ჯურგზედ დამტირებელი არა მყავს. სიკვდილსაც ისე დავავიწყდი, როგორც კაცსა: ველი და არ მოდის. ისიც კაცსავით კეთილი ყოფილა: როცა გიჭირს, მაშინ გემალება. ნუ მოვა ...მე უფალმა იმოდენა ღონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარებამდიმ მივიტან. ეს კია, რომ სადაური სადა ვკვდები!..“

გმირის მეტყველების ეს ფორმა მის მძიმე სულიერ მდგომარეობას მკვეთრად წარმოგვიდგენს. მკითხველის ინტერესს ამითაც ზრდის გმირის თავგადასავლისადმი.

მომავალი ბედნიერების სიხარულსა და ნაღველს, რომელიც თან ერთვის ჩაფერფლილი ბედნიერების მოგონებას, კარგად გადმოსცემს გაბროს სიტყვები: „ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც გახარებული მე იმ ღამეს შინ წამოველ. რაღა მინდოდა? ერთი ნატვრა მქონდა, ისიც ასე უცბად ამისრულდა. შინ რომ მოვდიოდი, მე მეგონა ის კაშკაში მთვარე, ის მბრწყინავი ვარსკვლავები ჩემს ბედს შეჰნატრიან-მეთქი“.

მდგომარეობის შესაფერისად პერსონაჟი შეიძლება „სტიქიურადაც“ ამეტყველდეს, მაგრამ ეს უფრო გაცნობიერებული მოვლენაა მწერლისათვის; ეს რეალიზმმა მოიტანა.

ცხოვრების რეალისტურ ასახვას თან მოჰყვება დიალექტიზმების და ჟარგონიზმების გამოვლინებაც პერსონაჟის მეტყველებაში. ქართულ ლიტერატურაში გიორგი ერისთავთან ენობრივი ვულგარობის დაცინვა გადაპარბებულია. ობიექტურად თითქმის წაქეზებულიც.

ილიას ესმოდა, რომ დიალექტიზმების და ჟარგონების ამა თუ იმ მოსაზრებით ფართოდ გამოყენება ნაწარმოებში, თუნდაც მათზე ირონიზებისთვის, ზიანს მოუტანდა ქართულ ლიტერატურულ ენას, თვით ნაწარმოებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ გმირების მეტყველების თავისებურების მოცემისას ილია დიდ ზომიერებას იცავდა. თავადაზნაურობის თუ გლეხთა წარმომადგენლების მეტყველებაც არ გამოირჩევა საგანგებოდ გამოკვეთილი მაღალი თუ დაბალი ჟარგონით. ეს გარემოება, ერთი მხრივ, იმითაც აიხსნება, რომ ეს გმირები წარმომადგენლები არიან ქართლ-კახური დიალექტისა, რომელიც საფუძვლად დაედო ახალი ქართული საერთო ეროვნული ენის განვითარებას. გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძე გამოდიოდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა და განმტკიცების ინტერესებიდან: „სხვისა არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“,—წერდა ილია.

დამახასიათებელია, რომ დიალექტიზმებში გადაბარბება არ არის თვით გლახა ჭრიაშვილის ენაშიც: ალამაზად კი დაიწყო და რომ არ მათავებინებენ! ჰო, იმას მოგახსენებდი: ის საყდარი სულ არ იქნება ხუთის წლით ჩემზედ წინ აშენებული, დიდი ხნისა რად ვიქნები? მაგრამ მაგარი ესაა, რომ მაინც-და-მაინც ჩემ წილს წყალს კიდონაც ჩაუვლია. მენა ბევრი, ბევრი, ძალიან ბევრი რომ ვთქვა—ერთი ჩუთიოდ წელიწადი იქნება კიდონ ვიცოცხლო, ეხლა ხუთი არ იყოს, შვიდი იყოს, შვიდი არ იყოს, ათი იყოს, სიტყვაა. ჯაფამ ძალიან გამტეხა, აი. შენი ჭირიმე. თოვლივით კი გამათეთრა და—ღმერთმა ასე თქვენც გაგათეთროთ".

გლახა ჭრიაშვილის ამ გრძელ სიტყვაში აშკარა დიალექტიზმებია „კიდონაც", „კიდონ", „მენა". მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ილია გვერდს უვლიდა გმირის ცოცხალი (და არა კუთხური) მეტყველების გამომზეურებას? არა, და ამის მაგალითს თვით მოტანილი ნაწყვეტი იძლევა. დიდ მწერალს ზომიერად შემოჰქონდა დიალექტიზმები მხატვრული ნიუანსისათვის. ხალხური იერის შესაქმნელად. მაგრამ ამას ილია აღწევს ძირითადად არა დიალექტიზმებით. არამედ ისეთი გამოთქმებით, რაც უშუალოდ ხალხის ცოცხალი მეტყველებიდან მოდის, თვით გმირის ხასიათიდან. და არსებითად არ ეწინააღმდეგებიან სამწერლო ენის ბუნებას. ჭრიაშვილის ლაპარაკში რამდენიმე კუთხური სიტყვაა მხოლოდ, რაც მის ჩამორჩენილობაზე მიგვითითებს; თვით ფრაზა გრამატიკულად, მთლიანად აღებული ლიტერატურულია. იგი გამოირჩევა ხალხური სილაღით, სიცხადით და სიმარტივით, თავისუფალია წიგნურობისაგან. მის სიტყვებში სალიტერატურო ენის კანონებისთვის შეუფერებელი თითქმის არაფერია; ამავე დროს გმირის მეტყველების ინდივიდუალობის მაჩვენებელიც არის. აქ საქმე გვაქვს არა გამონაკლისთან. ილია კანონზომიერად იძლევა ყოველი გმირის ცოცხალ მეტყველებას, რაც გმირის ხასიათის ნიშანდობლივ მხარესაც გვიჩვენებს საერთო ეროვნული ენის განვითარებისაგან გადაუხვევლად.

ოთარაანთ ქვრივი ხალხის შვილია, გლეხის ქალია. მისი მეტყველება აღბეჭდილია სწორედ მისი ხასიათის შესატყვისი ენობრივი „მოქცევით" თუ იერით, და ეს მიღწეულია დიალექტიზმების გამოყენების გარეშე, მისი მეტყველების ინდივიდუალურ ელფერშიც მთელი ძალით ჟღერს ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე და სინატიფე. ქართული ენაწყლიანობა, მაგალითად: „—ტკბილი სიტყვა რა არისო!—იტყოდა ხოლმე:—ამ გამწარებულს წუთისოფელში... ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი... ძილს მო!-

გვრის. ის კი არ იციან, თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა". ოთა-რაანთ ქვრივის ამ სიტყვებში არც ერთი დიალექტიზმი არ არის, მაგრამ ნამდვილი ხალხის ენა ყღერს და ლიტერატურული ენის ნიშნებიცაა.

ილიას შემოქმედებაში, როგორც გამონაკლისი, დიალექტიზმების ზუსტად დაცვას ვხვდებით „მგზავრის წერილებში", მოხევის მეტყველების სახით. რეალიზმი არ მოითხოვდა გმირის ენის თითქმის ფოტოგრაფიულ გადაღებას. მოხევის ენა არც სულ გადაუმუშავებელია, მაგრამ საკმაოდ სარკისებურადაც არის გადაღებული, ვიდრე რომელიმე სხვა პერსონაჟი მისი შემოქმედებიდან. მოხევე თავის მოხევურით უპასუხებს იმ საერთო პოლიტიკურ ამოცანებს, რაც ერის ხმა იყო. „მგზავრის წერილებით" მწერალმა რელიეფურად გამოხატა თავისი საპროგრამო აზრი. ეროვნული თავისუფლების იდეა მოხევის პირითაა გამოთქმული. ეს ნაკარნახევი იყო ეროვნული რომანტიკითაც: ისტორიული სიმართლის ხმა ხალხის წიაღიდან ისმოდა. მწერალმა სულაც არ დაინახა საჭიროდ მოხევე მწყემსი ქალიშვილის („განდეგილი") მოხევურად ამეტყველება, პირიქით, მწყემსი ქალი ქალურობის, ცხოვრებისეული მშვენიერების განსახიერება უნდა ყოფილიყო, და კიდეც არის ასეთი. მისი მოხევეობა და მწყემსობა გამოიწვია ლეგენდის ლოკალმა და ამის მოხევური მეტყველებითაც ხაზგასმა არ იქნებოდა ლოგიკური.

„მგზავრის წერილებში" დიალოგი მოხევესთან იმასაც მოწმობს, რაოდენ გაზრდილია დიალოგის სტილისტურ-ფუნქციონალური ძალა,—დიალოგი არა მარტო სიუჟეტურ ქარგას ემსახურება.

ილია ძლიერად აგებს დიალოგებს. ისინი გამოირჩევიან ბუნებრივობით. დიალოგებში იხსნება გმირთა ბუნება-განწყობილება. „მგზავრის წერილებში" ოფიცერთან დიალოგი მწერალს საშუალებას აძლევს მთელი სიცხადით დაბატოს მეფის არმიის ქარაფშუტა ოფიცრის სახე.

მოხეველთან დიალოგში ილია მთელ თავის სამოქმედო პროგრამას იძლევა.

დიდად ამაღლებს „კაცია-ადამიანის" ღირსებას ნატიფი სელოვნებით აგებული დიალოგები ბუზების თელაზე, ჩიხირთმასა და ბოზბაშზე...

ძირითადად კლასიკურად აგებულ დიალოგებზეა დამყარებული ლუარსაბისა და დარეჯანის სახეთა სრულყოფილება.

დიალოგით არის გადმოცემული „ოთარაანთ ქვრივში“, ერთი მხრივ, თავადაზნაურობის განკიცხვისა და, მეორე მხრივ, გლეხკაცობის სიდიადის აზრი. კესოს შეკითხვაზე, თავადებიცა და გლეხებიც „ერთნაირად მკვდარნი ვართ. შენის სიტყვითო“,—არჩილი გლეხობის გადიდებელი სიტყვებით პასუხობს: „ეგრეა, მაგრამ შენის ცოცხალი ნახევარი გაეიწყვება, რომელიც შერჩენილი გვაქვს... ჩვენ რაცა ვართ. გაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი... ისინი ჩაკირულნი არიან. ჩვენ—დონდლონი. დუნენი.... იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვი“.

ილია ჭავჭავაძის, როგორც მოთხრობების, ისე პოემების თემატიკა. სიუჟეტი, კომპოზიცია და მხატვრული ენა ნიშნავდა მხატვრული თხრობის ახალი ტრადიციის დამკვიდრებას ქართულ ლიტერატურაში. ქართული კრიტიკული რეალიზმის დამამკვიდრებელს უ რალო გულწრფელი თხრობის ტრადიცია შემოაქვს. ესაა არა შიშველი ტენდენციურობა, არამედ ასახულის გულწრფელად მოწონება ან დაწუნება. ილიასთან არაა ობიექტივისტური ფაქტოლოგია. ქართულ პროზაში ყველაზე ძლიერად პირველი ილია ემყარება მხატვრულ ანალიზს, რაც ავტორისეულ რემარკებშიც იჩენს თავს.

მოვლენის, ხასიათის ანალიზისაკენ სწრაფვით აიხსნება, რომ დიალოგში მითითებულია არა მარტო ის, თუ ვინ ლაპარაკობს, ილია რემარკებით გმირის ხასიათის სხვადასხვა მხარეზე ზოგჯერ მეტს ამბობს, ვიდრე თვით დიალოგით. მაგალითად ავიღოთ რემარკები დიალოგებით განთქმული „კაცია-ადამიანიდან“: „უთხრა ლუარსაბმა თავის ცოლსა, მაგრამ ისე კი, რომ გაშტერებული თვალი მკითხავისათვის არ მოუშორებია“, „ამბობდა მართლა შეშინებული დარეჯანი“. „მიუგო შიშისაგან ფერმიხდილმა! დარეჯანმა,“ „მშვიდად დაუმატა მკითხავმა“, „ჰყეიროდა ოთახში ზარდაცემული ლუარსაბი“, „აქეთ კიდევ დარეჯანი კანკალმა აიტანა და ტუჩები გაულურჯდა“...

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ავტორის მოკლე მაინდივიდუალიზებელი რემარკები ზრდის დიალოგის ფუნქციას, გადამწყვეტ როლს თამაშობს გმირების ხასიათის. გახსნაში. ასეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე „მგზავრის წერილებში“ ოფიცერთან და მოხევესთან დიალოგში: „თქვა და ტუჩები აიპრუწა“, „მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაცა“, „ვუპასუხე კი და სიცილი მომივიდა“, „წარმოსთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა“, „ჩაიცინა მოხევემ“.

რამდენი დაცინვაც არის ლუარსაბ-დარეჯანისა და ოფიცრებისადმი მიმართულ რემარკებში, იმდენივე თანაგრძნობის სითბო იგრძნობა რემარკებში დადებითი გმირების მოხეიის, ოთარაანთ ქვრივის და სხვ. მიმართ.

მკვეთრად ააშკარავებს მწერალი ირონიას, მოწონებას, აღტაცებას... არა მარტო დიალოგების დამაკავშირებელი რემარკებით, არამედ პერსონაჟების სამოქმედო გარემოს, მათი ხასიათის, ვინაობის, გარეგნობის აღწერებში: მათ დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება გააჩნიათ. ეპიკურ თხრობაში ეს ავტორისეულ ნაწგასმულ ინტონაციაზე. თხრობის მნიშვნელოვან სიახლეზე, ილიას პროზის ერთ-ერთ თავისებურებაზე მიგვითითებს. ილია ხშირად ეთ ფარავს ირონიას. ან აღტაცებას: „თუ საგანს აიღებ უგრძნობლად, გულგრილად. თუ არ განიცდი მას, ის უთუოდ წარმოდგება ერთი საშინელი სინამდვილით, სინათლით გაუცისკროვნებელი,... ყველფერში აზრდაფარული“ (გოგოლი)[128].

„კაცია-ადამიანში“, ცოცხლდება რა სინამდვილე, ამავე დროს ვლინდება ავტორის მიმართებაც დახატული მოვლენისადმი: „ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი კი ხარ. როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ... რომ არც კი იცი რა იყო სანატრელი ძველს დროში?“, „მოკვდა ლუარსაბიცა, ისე როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რამეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ“, „უმანკოებით მიუგო მანკიერმა სუტ-კნეინამ“, „სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული“ და სხვ.

ცხადად მოჩანს სიმპათია დადებითი გმირებისადმი, მაგ., „გლახის ნაამბობში“ აშკარად არის გამოხატული ავტორის თანაგრძნობა გაბროსადმი: „ის უბედური... ძალიან გაჭედილი სჩანდა დაუნდობელ ცხოვრებისაგან... საზიზღარი სანახაობა ჰქონდა, მინდა ვთქვა, საცოდავიცა. მაგრამ ამის თვალების სიამაყეს ვერ ეკადრებ მაგას“.

გმირები ისე არიან დახასიათებული, როგორც ცხოვრების გამოცდილებით კარგად ნაცნობი ადამიანები. ავტორისეული პოზიცია ყოველ მხატვრულ დეტალში ვლინდება. გულთბილია მწერლის ყოველი სიტყვა ოთარაანთ ქვრივის მიმართ: „ბოსტანში მუშაობა ისე უყვარდა, რომ სხვის ხელს არ მიაკარებდა“, „სახლში რომ შესულიყავით, ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე და

[128] Н. В. Гоголь, Портрет, Соч., изд. АН СССР, т. III, 1938, გვ. 88.

დაგვიღ-დაწმენდილობა იქაურობისა“,, „შვილის მოვლას ხომ ზედ შეალია თავისი უმაწვილ-ქალობა“.

ასეთივე თვისება იჩენს თავს მოთხრობაში „სარჩობელაზედ“: „ბევრს რაღაცაებს მოსთქვამდა გულში ჩ ვ ე ნ ი უსაქმო პეტრე“, „ამ ფიქრებში გართული მიბარბაცებდა ჩ ვ ე ნ ი პეტრე“, „მართლა-და ჩ ვ ე ნ ი ბებერი პეტრე რა შუაში ტნდა იყოს...“

ასეთი რემარკები გვაახლოებს ნაწარმოების გმირებთან, პეიზაჟებთან,—ნაწარმოების იდეასთან.

ილიას მხატვრული პროზის თვალსაჩინო თვისებაა თხრობის ე კ ო ნ ო მ ი ა, რაც სიუჟეტურ-კომპოზიციურ შეკუმშულობაში, სტილის ლაპიდარობაში ვლინდება.

„მგზავრის წერილებში“ ეპოქის მოწინავე იდეების კერას — რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში გატარებული ოთხი წლის განსაკუთრებულობას ხაზი აქვს გასმული. მაგრამ ამ ოთხი წლის მნიშვნელობის აღსანიშნავად გამოყენებულია არა ვრცელი ან გაჭიანურებული მოგონებები სტუდენტობაზე, არამედ სულ რამდენიმე ფრაზა, ისეთი შეკუმშული სტილი, როგორზეც ჰემინგუეი წერს: „აისბერგის მოძრაობის სიდიადე ის არის, რომ მისი მხოლოდ ერთი მერვედია წყლის ზედაპირზე“.

„კაცია-ადამიანში“ რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხითაა მოცემული მოურავის დათოს სახე. ლაკონურადაა მიღწეული ჩვენება პატარა ბიჭისა, რომელიც ძაღლის ბედს შენატრის. ლაპიდარულია სხვა გმირების—ლუარსაბის, დარეჯანის ხატვის გზაც, მაგრამ მათზე შედარებით მეტია ლაპარაკი იმდენად, რამდენადაც ისინი მთავარი გმირები არიან.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ გმირების ვინაობა ზედმიწევნით მოკლედაა ბოცემული, დიდი ნაწილი მათი ხასიათისა ქვეტექსტით იგულისხმება. მოთხრობის მთავარი გმირის პეტრეს შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი გულკეთილი გლეხია, რომელიც გულუბრყვილობის გამო პატარა ბიჭებმა გაქურდეს. მეორედ მწყრალი მას გვახვედრებს ერთ-ერთი ქურდი ბიჭის (უფროსი ძმა) ჩამოხრჩობისას და აქაც ძლიერ მოკლედ და საგანგებოდ ჩერდება მასზე.

ლაპიდარული თხრობის სტილის მაგალითებს ილიას მხატვრული პროზა უხვად იძლევა.

ილიას თხრობის თავისებურებაა. ისიც, რომ მას ახასიათებს გმირის გარეგნობის აღწერის ფუნქციონალობის გაზრდა, მისი დაკავშირება ხასიათის გახსნასთან. დაუმთავრებელ მოთხრობაში

„დიამბეგობა“, რომელიც ილიას მხატვრული პროზის ადრეულ ეტაპს განეკუთვნება, დიამბეგის გარეგნობის საძულველად მოცემა ემსახურება მისი სულიერი სიმდაბლის გამოხატვასაც. „სახეს ჰქონდა ფერი დასცვენდა, ცხადი ნიშანი, რომ თავის სიცოცხლეში ბევრი ნერწყვი უყლაპავს; თვალები საოცრად სწრაფნი და წვრილნი“.

გმირის გარეგნობა ილიას მიაჩნია გმირის სულის სარკედ. გმირის გარეგნობაში გმირის ხასიათის გახსნას კარგად იძლევა პოეთხრობა „სარჩობელაზედ“. აქ ძმებზე მწერალი წერს: „უფროსის სახე არ იყო ძალიან მარილიანი: იმისი... ჩქარ-ჩქარა თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული.. მეორე, უმცროსი... უფრო მარილიანი იყო“.

გმირის გარეგნობაზე ყურადღების გამახვილებას განსაკუთრებული ადგილი უკავია „კაცია-ადამიანში“. სატირულადაა აღწერილი ლუარსაბის, დარეჯანის, ლამაზისეულის გარეგნობის დეტალები; მათ დონე და გარეგნობაში მათი დონდლო ხასიათიც მოჩანს.

საყურადღებოა, რომ „გლახის ნაამბობში“ ავტორი შედარებით მკვეთრად იძლევა დათიკოს გარეგნობას და მიმზიდველი სახითაც გვიხატავს: „ყველაფერში კაი ყმაწვილი კაცი იყო: მშვენიერის სინახაობისა.... გიჟმაჟი და ვაჟკაცი...“ მაგრამ აქ უარყოფითი გმირის კარგი გარეგნობის მოცემა მიზნად ისახავს ბატონყმობის ნეგატიურობის ხაზგასმას: ლამაზი თავადიშვილიც სულმდაბალია: „ყველაფერით ძალიან ლამაზი და მოხდენილი იყო, მაგრამ... ნამუსგაქნილება... ქვეყანა წამურტლა“. ეს თავისებურად ეხმაურება სტრიქონებს: „...თავადის-შვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს?!“ („კაკო ყაჩაღი“).

შედარებით მცირე ადგილს უთმობს ილია დადებითი გმირის გარეგნობის ფერწერას; იქ სადაც ისედაც ცხადია გმირის ხასიათის სილამაზე, თითქოს ზედმეტი გამხდარა გმირის გარეგნობაზე ლაპარაკი, ან მეტად მოკლედაა ნათქვამი. მაგ., თამროს შესახებ გაბრო ამბობს: პეპიას „ჯეირანივით ლამაზი გოგო ჰყავდა... გოგო იყო, შეხი ჰირიმე, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა“; სხარტად ახასიათებს მწერალი მოხევეს, ოთარაანთ ქვრივს.

„მგზავრის წერილებში“ ავტორი მუქად იძლევა „იამშჩიკის“ გარეგნობას. მის პორტრეტში ხასიათიც მოჩანს, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მწერალი ამავე დროს ასევე სატირულ პლანში დახატული ოფიცრის გარეგნობას: „იმისი სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოებით იცნობდა“,—მოკლედ წერს მწერალი, მაგრამ გზადაგზა კვლავ ჩერდება მის ჟესტსა და სახის გრიმასებზე.

მოთხრობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარემოს აღწერებს: „კაცია-ადამიანში“ ეზოს, სახლ-კარის, საოჯახო მოწყობილობის დაწვრილებით აღწერაში მკითხველი ხედავს არსებით თვისებებს გმირებისას. რომლებიც სიუჟეტურ განვითარებაში შემდეგ ჩნდებიან. მწერალი. როგორც კი ამთავრებს აღწერას ლუარსაბის კარ-მიდამოსი. რომელიც მისი პატრონის სულიერ სიღატაკეზე მიგვითითებს. უმატებს: „ეტყობა, რომ ქართველია“. გულისხმობს რა ქართველ ბატონს. მოთხრობის სიუჟეტურ-კომპოზიციური განვითარების შემდგომი გაშლა გვიჩვენებს, რომ ასეთი კარ-მიდამოს პატრონი სხვა თვისებების მქონე ადამიანი არ შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე ლუარსაბ თათქარიძეა; გარემო სიუჟეტურ მთლიანობას ქმნის გმირის ხასიათთან. რომელსაც ამქვეყნიური საქმიანობის არაფერი გაეგება.

გმირის ხასიათთან სიუჟეტურ მთლიანობაშია მოცემული ეზოს. სახლის. ოჯახის ნივთების აღწერა „ოთარაანთ ქვრივიც“. მაგრამ იმის კონტრასტულად, რაც „კაცია-ადამიანშია“. „ოთარაანთ ქვრივის“ გარემოს აღწერა ნათელყოფს ოთარაანთ ქვრივის გამჭრიახობას. სიფაქიზეს. მის ჰუმანურებზე ნათქვამია: „ძალზედ დაწვრილ-დარეცხილი, მხიარულად გადმოიცქირებიან მაღლიდამ, თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი დ პატრონი ასჩენიათ.“

ილიასათვის უცხო არაა ალეგორია-მეტაფორები, მაგრამ ის შანდობლივი არ არის ალეგორიულ-მეტაფორული სტილი: მეტაფორები. ალეგორიები, შედარებები, ეპითეტები და მისთ. აღებულია თვით გმირების სამოქმედო გარემოდან; მათ საფუძვლად მწერალი არ იყენებს ისეთ რამეს, რაც მკითხველს სხვა სამყაროში გადაიყვანს. მისი სტილი მკვეთრად კონკრეტულ-რეალისტურია. ილიას მხატვრულ პროზაში ცხოვრების მოვლენათა მხატვრული ასახვის სიზუსტე მიღწეულია ყოველი სიტყვიერი მონაცემის ღრმა იდეურ-მხატვრული გააზრებით.

დიდი რეალისტი მწერალი გამოდის საერთო ეროვნული ენის განვითარების კანონზომიერებიდან და თავს არიდებს ისეთი სიტყვებისა და გამოთქმების შემოტანას, რაც ხელს შეუშლიდა ლიტერატურული ენის განვითარებას. ენობრივი მასალის შერჩევის დროს ილია გამოდის არა მარტო ნაწარმოების შინაარსიდან, არამედ საერთო სახალხო ენის კანონებიდანაც; ილიამ დიდად განაპირობა ქართული ენის შემდგომი განვითარება.

ილიასთვის უცხოა მანერული სტილიზება. აზრის დაბნელება. „აზრი და მხოლოდ აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“.

მისთვის მიუღებელია ენის გაუბრალოებაც, პრიმიტიული „გახალხურება“.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის ენა ქართული ენობრივი კულტურის ბრწყინვალე ნიმუშია. „ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ. ნიჭიერი მწერალიც ამისთვის არის სასარგებლო ენისათვის. რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს“ (ილია).

2. ტიპისა და ტიპიურობის საკითხი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ პროზაში

ილიას ენისა და სტილის, როგორც სინამდვილის მხატვრული შემეცნების საშუალების ანალიზი, მწერლის რეალიზმის შეფასებაც არის. ლიტერატურათმცოდნეობისათვის მწერლის ენა საყურადღებოა, როგორც მხატვრული განსახიერების საშუალება. ლიტერატურის კრიტიკოსს სხვა მიზნით მწერლის ენა არც შეიძლება აინტერესებდეს. ენის გრამატიკულ-ლინგვისტური მონაცემები ენათმეცნიერების საქმეა. მხატვრული ნაწარმოების საშენი მასალაც და იარაღიც ენაა; ენის ფუნქცია მხატვრულ პროზაში ორი მიმართულებით იჩენს თავს: როგორც პერსონაჟის ინდივიდუალიზების ერთ-ერთი (ზოგჯერ ძირითადი) საშუალება და როგორც ნაწარმოების ყველა მონაცემის გამაერთიანებელი საშუალება. როგორც პერსონაჟის ენის თავისებურებაში, ისე ავტორის ენაში, თავს იჩენს თვით მწერლის სტილი, მწერლის ენის ინდივიდუალობა, ნაციონალური ენის სიმდიდრისა და მრავალმხრიობის გამოვლენის ნიჭი და უნარი,—მწერლის მხატვრული ენის კულტურის დონე. მწერლის ენა, სხვა დარგის სპეციალისტების ენისაგან განსხვავებით, აღჭურვილი უნდა იყოს მხატვრული განსახიერების მძლავრი თვისებებით. ამით მხატვრული ნაწარმოებიც და მისი ენაც კლასიკურობას იძენს; ეს ნიშნავს, რომ ენასთან შესაბამისობაშია თემა, იდეა, ხასიათები. სიუჟეტი, კომპოზიცია; თხზულების ყველა ეს კომპონენტი ენით ისხამს ხორცს, მაგრამ მათი თავისთავადობა იმასაც მოწმობს, რომ თვით ენა ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, და არა ერთადერთი; ენა ცხოვრების, ხასიათების ხატვის მთავარი საშუალებაა და არა თვითმიზანი.

მწერალი, თუ ენის სიზუსტეზე, ენის მიმზიდველობაზე არ ზრუნავს, მარცხს განიცდის. მაგრამ ის ვინც მწერალი არაა მოწოდებით, მას ენა ვერ აქცევს მწერლად. ენა კი არ ქმნის ლიტერატურას, ლიტერატურა იყენებს ენას. ენის სხვადასხვა მხარის გამოვლინე-

ბის დიდი შესაძლებლობა გააჩნია რეალისტურ მიმართულებას. იმის გამო, რომ ივი ან.ლოს სწავლობს ადამიანთა საზოგადოების, კლასების, წრეების, ჯგუფების ყოველ წვრილმანს. ცხოვრების ნიუანსებზე დაკვირვებას რეალისტი მწერალი ობიექტურად ენობრივ ნიუანსებზე დაკვირვებამდიც მიჰყავს. იგი უკვირდება ადამიანთა ცხოვრების ყოველ დეტალს და მათ შორის, რა თქმა უნდა, ენობრივ თავისებურებებსაც,—ისწრაფვის სხვა საშუალებათა შორის ენაც გამოიყენოს ხასიათების ტიპიზების და ინდივიდუალიზების ხეობად.

ილიას მხატვრულ პროზაში მთელი ენობრივი საშუალებანი, უპირველეს ყოვლისა, ხასიათების, ტიპების შექმნისაკენაა მიმართული, და რეალიზმიც ხომ ხასიათების ხელოვნებაა.

ილია ჭავჭავაძე ისეთ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც თაობათა ყურადღებას იპყრობენ საზოგადო სახელებად ქცეული ტიპების ხატვის ხელოვნებით,—აზრებისა და მისწრაფებების უშკნობი სიცხოველით.

მწერლის ღირსება, უპირველეს ყოვლისა, მის მიერ ასახული ცხოვრების.. სიმართლითა და ტიპიურობით განისაზღვრება. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი მწერალი ღრმად იკვლევს ცხოვრებაში და მის მხატვრულ განზოგადებას იძლევა. დიდი შემოქმედი ცხოვრების ფაქტებიდან იღებს იმას, რაც არსებითია ეპოქის ცხოვრების ძირითადი მდინარებისათვის. რეალისტი ხელოვანი ნატურალისტურ ან „შეთხზულ" ცხოვრებას კი არ გვაწვდის, არამედ განზოგადებულ ნამდვილს,— ქმნის ცოცხალ ხასიათებს—ტიპებს.

შემოქმედი ფანტაზიას ემყარება,—სინამდვილის განსახიერების რთულ პროცესს. („ადამიანის) ჭკუის მიდგომა ცალკეული ნივთებისადმი, მისი ტვიფარის (ცნების) გადაღება არ არის უბრალო, უშუალო, სარკისებრ მკვდრული აქტი, არამედ რთული, გაორებული, მიხვეულ-მოხვეული აქტია, რომელიც შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის გაფრენის შესაძლებლობას" (ლენინი)[129]. „ხელოვნების ძალა.... მოგონების ძალაა" (ჩერნიშევსკი)[130]. მაგრამ ფანტაზია მაშინ ამართლებს თავს, „როდესაც რაიმე კავშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის" (პისარევი). შემოქმედმა ცხოვრების ფაქტ.

---

[129] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ლიტერატურის შესახებ, 1945, გვ. 5.

[130] ნ. გ. ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1945, გვ. 402.

მშვენიერებაც და სიმახინჯეც უნდა აქციოს ხელოვნების მშვენიერებად.

რეალიზმი გულისხმობს იმის დასრულებულად მოცემასაც, რაც ახლა იბადება, მაგრამ ზრდის გარკვეული შესაძლებლობანი გააჩნია; თუ მანამდე გამონაკლისს წარმოადგენდა, ცხოვრების განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაბატონებულ მოვლენად იქცევა. ამიტომ ტიპიურად მიიჩნევა არა მარტო იმის გამოხატულება ხელოვნებაში, რაც ყველაზე გავრცელებულია ცხოვრებაში, არამედ ისიც, რაც ჯერ კიდევ არ ქცეულა საყოველთაო მოვლენად, მაგრამ ისტორიული აუცილებლობით ასეთად იქცევა; რაც უფრო დიდი რეალისტია მწერალი, მით უფრო ღრმად ჩაწვდება იგი ცხოვრების განვითარების არსს და ეპოქის ტენდენციებს. მწერალმა „დეკ. თუნდ ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზიით შექმნას, ხოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს“,—წერდა ილია ა. ცაგარლის მისამართით[131].

კრიტიკული რეალიზმის პრინციპია სინამდვილის ანალიზის საფუძველზე ტიპიური ხასიათების შექმნა. „ჩემი შესედულებით, რეალიზმი გულისხმობს, გარდა დეტალების სიმართლით გადმოცემისა, ტიპიურ ვითარებაში ტიპიური ხასიათების სწორ რეპროდუქციას“[132] (ფ. ენგელსი). რეალისტის შემოქმედებითი ძალა თავს იჩენს ინდივიდუალიზებულ ხასიათებსა და ტიპებში. ტიპი ცხოვრების კანონზომიერი განვითარების მხატვრული განზოგადების მაღალი ფორმაა. რეალისტი მწერალი დიდია იმდენად, რამდენადაც უფრო ინდივიდუალიზებულ პერსონაჟებს, ტიპებსა და ტიპიურ ხასიათებს იძლევა. ენგელსი მინა კაუცკის წერდა: „ხასიათები თქვენთვის ჩვეული მკვეთრი ინდივიდუალიზაციით არის გამოკვეთილი; თვითეული პირი ტიპს წარმოადგენს, მაგრამ ამასთანავე გარკვეულ ინდივიდუალურ ადამიანსაც“[133]. ტიპი კი არ უნდა იყოს რაღაც საშუალო, არამედ კონკრეტული ინდივიდის სახე უნდა იყოს. ხოლო ინდივიდი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ვინმეს სახე, არამედ ტიპიც უნდა იყოს. ბალზაკი წერს: „ეტიუდებში ზნე-ჩვეულებაზე“ შეჯამებულია ტიპიზებული ინდივიდუალობანი. „ფილოსოფიურ ეტიუდებში“ — ინდივიდუალიზებული ტიპები. მე ყველას მივეცი სიცოცხლეს: ტიპს, ინდივიდუალობას, ინდივიდს ტიპიურობას“[134].

---

[131] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 122.
[132] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1949, გვ. 446.
[133] იქვე, გვ. 434.
[134] О. Бальзак, Собрание сочинений, М., 1955, т. 15, გვ. 368.

ბელინსკი აკრიტიკებდა მარლინსკის არატიპიური ხასიათების გამო. ამავე დროს ბელინსკი ადიდებდა ბალზაკსა და გოგოლს, რომელთა ყოველი ხასიათი ტიპს წარმოადგენს, ხოლო ყოველი ტიპი ხასიათს: მარლინსკისთან კი „მოთხრობების ყველა გმირი ერთ კალაპოტშია მოქცეული და ერთმანეთისაგან მხოლოდ სახელებით განსხვავდებიან... იგი თავის თავს იმეორებს ყოველ ახალ ნაწარმოებში.“ „შეხედეთ ბალზაკს, ამ კაცმა ძალიან ბევრი დაწერა, და მიუხედავათ ამისა, აბა თუ იპოვნით მის მოთხრობებში თუნდაც ერთ ხასიათს, თუნდაც ერთ პირს, რომელიც რამდენადმე წააგავდეს მეორეს? ო, ეს არის მიუწვდომელი ხელოვნება ხასიათების ასახვისა მათი ინდივიდუალობის მთელი ელფერით“[135]. ეს შემოქმედებითი ნაკლი თითქმის ყოველ ხალხოსან მწერალს გააჩნია. მათ ნაწარმოებებში დახვავებულია ფაქტები, მაგრამ ნაკლებია მათი მხატვრული განზოგადება. ხალხოსანი მწერლების გმირები მართლაც „მხოლოდ სახელებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“: იშვიათი გამონაკლისების გარდა, ვერ აღწევენ გმირი ხასიათად, ტიპად აქციონ.

რეალისტი მწერალი მეცნიერივით სწავლობს ცხოვრებას, მაგრამ მეცნიერისაგან განსხვავებით, განცდილ-შეთვისებულს ადამიანურ თავგადასავალთა ფორმით გვაწვდის. რეალისტი მწერალი უშუალოდ ცხოვრებიდან ამოდის: ასე ესმის თვით ი. ჭავჭავაძეს „მეოთხმეტის ფილოსოფია“: „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან... მეცნიერება და ხელოვნება...—ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურობენ: აზრის მოძრაობას;... და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედობენ და გამოსთქვამენ“.

ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს დიდ სოციალურ მოვლენებთან—ბატონყმობის და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, კაპიტალიზმის წარმოშობასთან, საქართველოს იდეური აღმავლობის პროცესთან—ქართული, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ტრადიციებთან. ილია თავისი შემოქმედებით ქართული კრიტიკული რეალიზმის დამამკვიდრებლად გვევლინება; მან ეს მიმდინარეობა ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანა და განამტკიცა. იგი კრიტიკული რეალიზმის თეორიულ დასაბუთებასაც იძლევა.

---

[135] В. Белинский, т. II, 1941, გვ. 43.

კრიტიკული რეალიზმი საზოგადოების ავადმყოფურ მხარეებს ააშკარავებს. ილიაც განსაკუთრებულ ძალას იჩენს უარყოფითი ტიპების ხატვაში. იმთავითვე ცნობილი გახდა წარმავალი საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი ილიასეული ხასიათები და ტიპები: ლუარსაბ თათქარიძე, დარეჯანი, დავითი, ელისაბედი, მოსე გრძელაძე. სუტკნეინა, ლამაზისეული, დათიკო, ოფიცერი. „იამშჩიკი"

ლუარსაბ თათქარიძე დიდი ხელოვნებით დახატული მებატონის ტიპია. ბატონყმობისათვის დამახასიათებელი ტიპიურობითაა მოცემული ლუარსაბის ყოველი მოქმედება, ფიქრი, გრძნობა, მისწრაფება... ხელშესახებად მოჩანს ლუარსაბის აგდებული დამოკიდებულება სწავლა-განათლებისადმი, უხეშობა ყმებისადმი, უჯუ-რადღებობა და უსულგულობა თვით საკუთარი მეურნეობისადმი, სიზარმაცე და სიტლანქე, მისი მოჯარბებული მადა, შვილის განებივრების სასაცილოდ აჩემებული სურვილი, ცრუმორწმუნეობა...

ლუარსაბის არც ერთი თვისება არ იმსახურებს მოწონებას. – იგი ფიზიკურ და სულიერ გადაგვარებამდე მისული ადამიანის სახეა. იგი არაა მარტო უქნარა მებატონის ტიპი, არამედ ზოგადი სახეა ადმიანური უმოქმედობისა, ზედმეტობისა, არარაობისა.

ლუარსაბის ორეულია დარეჯანი. მასში ჩვენ ვხედავთ ლუარსაბის თითქმის ყველა თვისებას—„ფერი-ფერსაო"—ამბობს ავტორი ლუარსაბსა და დარეჯანზე. თითქოს ერთი და იგივეც არ არიან: დარეჯანი ლუარსაბის „მეორე ნახევარია". იგი ბატონყმური ყოფის „ქალბატონის" ცოცხალი სახეა.

ბატონყმური სინამდვილის ლპობის სურათის „შემავსებელი" სახეებია დავითი, ელისაბედი, მოსე გრძელაძე, ლამაზისეული... ამავე დროს ისინი მწერლის მიერ იმდენად ინდივიდუალიზებულია, რომ მკვეთრადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ სხვაობას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ ისინი ერთი კლასის, ერთი წრის, ერთი ეპოქის წარმომადგენლები არიან. რეალისტი მწერალი ამჩნევს იმ „მე"-ს, რომელიც ყოველ ადამიანს გააჩნია. ყველა მებატონე შეიძლება დავინახოთ ლუარსაბ თათქარიძეში. მაგრამ ყველა ლუარსაბ თათქარიძე არ ყოფილა. ერთი და იგივე საზოგადოებრივი ურთიერთობა ბადებს ლუარსაბსაც და დათიკოსაც. დავითსაც და მოსე გრძელაძესაც. ერთისა და იმავე კლასის წიაღიდან. იმის გამო, რომ მოთხრობის ჟანრი შედარებით მცირე მოცულობისაა, დავითის, ელისაბედის, მოსე გრძელაძის („კაცია-ადამიანი?!"). დათიკოს („გლახის ნაამბობი"), ოფიცრის („მგზავრის წერილები") ცხოვრება დაწერილებით არაა მოთხრობილი, მაგრამ ისინი მაინც დასრულ-

ბულ ხასიათებად წარმოდგებიან. მებატონეა დავითიც, მაგრამ ილია მისი ცხოვრების ისეთ ღეტალებზე ჩერდება, როგორიცაა მისი ქლესაობა და ცბიერება; ამით ეს სახეც ცოცხლდება.

ხასიათის ეს მხარე უფრო მუქადაა გამოვლინებული მოსე გრძელაძესა და სუტ-კნეინაში. ისინი შეუძლო აზნაურთა ტიპიური ხასიათებია. მათ ცბიერ ოინებზე, მატყუარობაზე დაუმყარებიათ თავისი არსებობა. მათი ყოფა თავადაზნაურული ყოფის რღვევისა და დაკნინების გამოხატულებაა.

ფართოდაა მოცემული დათიკოს თავგადასავალი („გლახის ნაამბობი"), მაგრამ მისი ხასიათის მხოლოდ ერთ მხარეს აქცევს მწერალი მეტ ყურადღებას: ზნეობრივ გადაგვარებას; ეს ყმებისადმი ვერაგობა-თავაშვებულობაში იხატება. ლუარსაბი თუ მომაკვდავი ფეოდალური ყოფის წარმომადგენელია, ტლანქი და უმოქმედო, დათიკო ტიპიური ხასიათია იმ მებატონე-ფეოდალისა, რომელიც უბრძოლველად არ თმობს თავის პოზიციებს. ჩანს, რომ კაპიტალიზმი ჯერ არ მომძლავრებულა, ჯერ კიდევ საესებით არ გამოკვლია ფეოდალიზმს ეკონომიური ნიადაგი. ამიტომ ეს ხასიათი შემდგომ ხანებშიც იჩენს თავს გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის, ლალიონის... შემოქმედებაში.

ილიას რეალისტურ შემოქმედებაში შესამჩნევია არა მარტო მომაკვდავი ყოფის წარმომადგენლები, არამედ მისი დროის ახალი ადამიანებიც, რომელნიც ძველ, მიმავალ სინამდვილეს ცვლიდნენ,— ახალი ტიპები; ილია თავისი დროის დადებითი გმირების მხატვარიცაა, ეს გმირები ჯან-ღონით აღსავსე ადამიანებია, რომელნიც ცხოვრების გარდაქმნისათვის საბრძოლველად გვიწვევენ. ორი მოწინააღმდეგე პოლუსია ლუარსაბი-დათიკო და გაბრო, პეპია, თამრო, ოთარაანთ ქვრივი... პირველნი კვდომისა და უმოქმედობის, ხოლო მეორენი სიცოცხლისა და ბრძოლის სამყაროს მესვეურნი.

კრიტიკული რეალიზმის დიდ წარმომადგენელთაგან მხოლოდ ერთეულებმა მოგვცეს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ტიპები. ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის შეჯახების, ძველის ნგრევისა და ახლის დაბადების ეპოქა უარყოფით ადამიანთა სახეების მდიდარ მასალას აძლევდა მწერლებს; მაგრამ იგივე ეპოქა დადებითი თვისებების მქონე ადამიანებითაც მდიდარი იყო. ხალხის მოწინავე ძალების რწმენით აიხსნება, რომ ქართველი რეალისტი დადებით გმირებსაც ძლიერად ხატავს.

რომანტიზმის წარმომადგენლები იდეალური „მომავლის ად-
მიანებს“ ხატავდნენ. კრიტიკული რეალიზმი ცოცხალ პრაქტიკას
ემყარება.

ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარებაზე გავლენას
ახდენს საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ეროვნ-
ულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირში. ეს
ფაქტორები ქართული კრიტიკული რეალიზმის დიდ წარმომადგენ-
ლებს, მათ შორის, პირველ ყოვლისა, ილიას ხელს უწყობს დიდი
შემოქმედებითი სიცხოველით დაგვიხატოს არა მარტო ცხოვრების
მომაკვდავი ძალები, არამედ მზარდი ძალებიც, რომლებიც ცხოვ-
რების შემდგომი კანონზომიერი განვითარების შედეგად უფრო
ფართო სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ილია პირველი მწე-
რალია, რომლის შემოქმედებაშიც ფართო გამოხატულება ჰპოვა ია-
ქართველოს გლეხური რევოლუციური მოძრაობის მიერ წამოყენე-
ბულმა სახალხო გმირმა არსენამ. აქ აღსანიშნავია მისი „გლახის ნა-
ამბობი“ და პოემა „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის
ცხოვრებიდამ“. გაბროს, კაკოს და ზაქროს სახეები არსენას სახითაა
შთაგონებული მთლიანად ილიას თითქმის მთელი შემოქმედებისათ-
ვის ნიშანდობლივია ზაქროს სიტყვები:

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯაერი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.
ეგრეთ გონება ხალისიანი,
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილღიანი
და არსენობა მენატრებოდა.

საკითხის არსს არ ცვლის ის, რომ კოხტა აფხაზი წერს: „კაკო
გახლდათ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე გაუხარაშვილი“, რომე-
ლიც ერთხელ ილიასაც დახვედრია მტრულად, მაგრამ ერთმანეთს
მეგობრულად დაშორებიან; ან ის, რომ აღნიშნული ეპიზოდის შეჯ-
დეგ ილიამ ლირიკული სტრიქონები უძღვნა კაკოს:

ნიავო, ჩემო ნიავო,
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა,
მსტვინავო, ჩემო მსტვინავო,
შენ უალერსე კაკოსა!

გადმოცემანი ლეგენდარულ არსენაზე ილიას საშუალებას აძლევდა შეექმნა გაბროს, კაკოსა და ზაქროს მონუმენტური სახეები.

ილიას დადებითი გმირები ძირითადად გლეხთა წრეს ეკუთვნიან,—მწერალი გლეხობას სახავს მაღალი ადამიანური თვისებებით შემკულს. თვით მოძღვარიც გლეხობის მეგობრად დახატა. ილია გვიჩვენებს, რომ გლეხებში ჩქეფდა ჯანსაღი ცხოვრება. საიდანაც უნდა დაწყებულიყო ნამდვილი ეროვნული აღორძინება.

გაბრო მებრძოლი გლეხის ტიპია. მისი ცხოვრება, ხასიათის თვისებები არსენას მხატვრული განზოგადებაა ძირითადად. მისი განათლებულობა, მებრძოლი ხასიათი, გლეხური სამართლიანობა, საარაკო გმირობა, სიყვარულის ძლიერი გრძნობა ის თვისებებია, რითაც ცნობილია გლეხური სახალხო გმირი არსენა. ზაქროს ნაამბობში ბევრია ნიშნეული არსენას ცხოვრებიდან: „გამივარდა ყაჩაღობის ხმა...“; როცა გაბრო სომეხ ვაჭარს ძარცვავს, ახსენდება ცნობილი სიტყვები „არსენას ლექსიდან“: „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსო“ (დამახასიათებელია, რომ გაბროს მიერ სომეხი ვაჭრის გაძარცვის ეპიზოდი ალ. ყაზბეგმა თითქმის უცვლელად გაიმეორა პიესაში „არსენა“). თუ რამდენად ფართოდ ყოფილა ცნობილი არსენას სახელი და რაოდენ დიდ თემად ქცეულა 60-იანი წლების მოღვაწეებში, ამას ნათელყოფს ილიას „გლახის ნაამბობის“ და „კაკო ყაჩაღის“ გამოქვეყნების შემდეგ, აკაკი წერეთლის მიერ პიესა „არსენას“ (1865) შექმნაც.

გაბრო გლეხის ზოგადი ტიპიც არის და კერძოობითიც. როგორც კერძოობითი სახე, იგი მხატვრულად განზოგადებული ორეულია ისტორიული სახალხო გმირის არსენასი, თავისი სუსტი (უპერსპექტივობა, არსებითად ქრისტიანული მორალის დაცვა...) და ძლიერი მხარეებით. არსენასებური გმირები ერთეულების სახით წამოაყენა ცხოვრებამ და ამ ერთეულთა ტიპიური განსახიერებაა გაბრო. ამდენად არის მასში ზოგადი და კერძო გლეხური თვისებანი შეერთებული.

ახალი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურისათვის მომაკვდავი ყოფის გამომხატველი ტიპების ლუარსაბ-დარეჯანის შექმნა. გაბრო კი ახალი ტიპი იყო თვით ჩვენი მაშინდელი ცხოვრებისა და ლიტერატურისათვის. როგორც გლეხობის გამოღვიძების მაჯვენებელი.

ბევრს არას გვეუბნება მწერალი პეპიაზე („გლახის ნაამბობის“), მაგრამ ინდივიდუალიზება არ აკლია მას; მის სახეში მწერალმა ტიპიზებულად გამოხატა ფართო გლეხური მასების მებატონეებისადმი

უნდობლობისა და პროტესტის განწყობილებანი. იგი ზიზღითა და ეჭვის თვალით უყურებს პირველად გაბროს, როგორც მებატონის შინაკაცს: „შენის ბატონის პატრონს რა საქმე უნდა გქონდეს, თუ არ სულის წასაწყმედი“.

ილია გაბროსა და თამროს ტრფიალების მაგალითზე ქართულ ლიტერატურაში თითქმის პირველად გვიჩვენებს საღი რეალისტის ტაქტით სიყვარულის ამაღლებულ გრძნობას გლეხებში; მაგრამ ხალასი დემოკრატიზმი სანტიმენტალიზმადაც იქნა გაგებული.

სანტიმენტალისტური იდეალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ჩვენში 60-იან წლებში დაიწყო, 70-იან წლებშიც გრძელდება შეუფერავი რეალიზმის სახელით, განსაკუთრებით ჩერნიშევსკის სტატიის—„ახალს ხომ არ მოასწავებს?“—შემდეგ; მაგრამ ერთგვარი გაუგებრობაც მოხდა: ქართულ მწერლობაში გლეხების იდეალიზაციის პირველ უარმყოფელს, თვით ილიას შეუტიეს. „ღვთის წინაშე,—ირონიით წერდა ალ. ცაგარელი,—თვითონ მოძღვარიც კი (ი. ჭავჭავაძე) არ არის თავისუფალი თავის თხზულებებში ..ბიბიერ გულჩვილობისა და გულმტკივნეულობისაგან“, ამას ეტყვიან სენტიმენტალური ანუ ჩვენ ენაზედ ასე ვთქვათ „ცინგლიანობით პოეზიას“, რომელიც ყოველ წუთში ქვითინებს, ფრანგების მჭადაგუბელსავით“[136].

ისტორიულად გამართლებული იყო „ცინგლიანობითი“ მწერლობის, ცხოვრების შეფერვის წინააღმდეგ გალაშქრება. უდავოდ საკგებლობა მოჰკონდა ნ. ნიკოლაძის შესანიშნავ წერილს „გლახის ხაამბობზე იგი გზას უღობავდა ცხოვრების შემლამაზებელი მწერლობის ფეხმოკიდებას საქართველოში. ნიკოლაძე გმობს „პეიზანურ“ მწერლობას. „ასეთი მწერლობის გაცნობისას,—წერს ნიკოლაძე,—მკითხველი ძირითადი, სიმპატიან გრძნობდა გლეხ-კაცობისადმი, მაგრამ ის იყვარებდა არა ნამდვილ გლეხ-კაცობას; ცოცხალ გლეხს კი არა, იდეალური გლეხის „პეიზანების“ სურათს... და როცა შემდეგში ცხოვრება იმას ხალხთან აახლოვებდა... მის წინ „პეიზანების“ და იდეალური გლეხების მაგიერ ნამდვილი გლეხკაცი დადგებოდა, მისი ნაკლულოვანობებით, მისი უგუნურებით და ცხოვრებით გაფუჭებული.... ის ვეღარ ცნობდა თავის „საყვარელი გლეხკაცის“ სურათს, ის ფიქრობდა—ეს წამხდარი, უსინდისო, ბინძური და უგრძნობელი ქმნილებაა და არა გლეხკაციო, ის იზიზღებდა იმას...“: „გლახის ნაამბობში“,—წერს ნიკოლაძე,—ჩვენს წინ

---

[136] ალ. ცაგარელი, ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში, („დროება“, 1870).

ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზაგამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გაელენა აქვს, რომელსაც მიბაძვა თავიდამ ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი, სხვისი ენით ლაპარაკობს«[137].

უნდა შევნიშნოთ, რომ „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილის გამოქვეყნებისას ილია ახალგაზრდა კი იყო, მაგრამ სწორედ ამ დროს ვამოდის მისი ხელიდან „კაცია-ადამიანიც“, რომელიც „ახალგაზრდულ“ ნაწარმოებად არ მიიჩნია ნიკოლაძემ; მაშ, რატომ მაინც „კაცია-ადამიანს“ და მაინც „გლახის ნაამბობი“ (და ნაწილობრივ „კაკო ყაჩაღი“) წარმოადგენს „ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზაგამოურჩეველი“ მწერლის ნაწარმოებს? მით უმეტეს, რომ ამ მოთხრობის მეორე ნაწილი 70-იანი წლების დასაწყისში დაასრულა ილიამ, იმ დროს, როცა ილია არც ისე ახალგაზრდაა, ცხოვრებისა და მწერლობის შედარებით მეტი გამოცდილება აქვს? „გლახის ნაამბობს“ ილია ახალგაზრდობით კი არ წერს, არამედ მასში სხვა მხარეს გვიჩვენებს იმავე ცხოვრებისას, რაც მას „კაცია-ადამიანშიც“ აქვს დასატული.

თუ „კაცია-ადამიანში“ მოცემულია ისეთი გაუთლელი გლეხი ქალის სახე, როგორიცაა ლამაზისეული, ეს გასაგებია; ასეთი იყო გლეხობის საკმაო ნაწილი. ბუნებრივია ისეთი „ცხოვრებით გაფუჭებული“ გლეხის სახეც, როგორც გიტოა („გლახის ნაამბობი“), რომელიც თავის ბატონს ხელს უწყობს ყმა ქალების გაუპატიურებაში. ნიკოლაძის სამართლიანი თქმით, ეს მაშინდელი გლეხობის „შეუფერავი სურათია“, მაგრამ გაბროს შეფასებაში ნიკოლაძე ცდება. მისი აზრით გაბრო არა ცხოვრებისეული, არამედ მწერლის მიერ შეთხზული გლეხის სახეა. ნიკოლაძის საყვედური ამ ნაწილში დაუსაბუთებელი იყო; რადგან ცხოვრება იძლეოდა გაბრიელისებურად „შეფერილ“, შეგნებულ და განსწავლულ გლეხებსაც, რომლებიც მებატონეებს ხოცავდნენ და ზოგჯერ გლეხთა მასებსაც ამხედრებდნენ ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ასეთები იყვნენ თუნდაც გაუხარაშვილი, არსენა და მრავალი სხვა. გაბრო არსენას მიმსგავსებული სახეა და არა „ცხოვრებით გაფუჭებული“ გლეხებისა. ნიკოლაძეს ეს მომენტი გათვალისწინებული არა აქვს. სხვა საკითხია, თუ გიტოები და ლამაზისეულები ილიას არ გამოუყვანია მთავარ მოქმედ პირებად „გლახის ნაამბობში“. ილიამ წინ წამოსწია გაბრო, პეპია და თამრო. კონფლიქტს ცხოვრებაში ხომ თამროსებ-

[137] კრებული, 1873, № 5 — 6, სკანდელი, „გლახის ნაამბობზე“.

რი სპეტაკები და ლამაზები და გაბროსებრი ვაჟკაცები ცხოვე-
ლებდნენ და არა ლამაზისეულები.

გაბროები და თამროები იმ დროისათვის გამონაკლისები, მაგ-
რამ ცხოვრების შვილები არიან.

ნიკოლაძე „გლახის ნაამბობში" ეძებდა „შეუფერავ სურათს"
ხეპრე, გაუთლელი გლეხობისას. ამ მოთხრობაში ასეთი სურათი
ნაწილობრივ ჩანს. ნიკოლაძის აზრით, გაბრიელისთანა „შელამა-
ზებული" სახეები გლეხებისა საშუალებას არ იძლეოდა გლეხობის
ცხოვრების ნამდვილი სურათის წარმოდგენისას. ნიკო ნიკოლაძე
ერთგვარ რომანტიკულ შეფერადებას ხედავს „გლახის ნაამბობის"
ტიპაჟში. მისი აზრით, რომელიც ამ საკითხზე ჩერნიშევსკის კონცეფ-
ციას ეხმაურება,—რეალისტმა მწერალმა ყოველგვარი შელამაზების
გარეშე უნდა აჩვენოს ულმობელი სინამდვილე. ჩვენის ფიქრით,
ილია ჭავჭავაძე „გლახის ნაამბობში" მიზნად ისახავდა ეჩვენებინა
ქართველი გლეხობის არა მხოლოდ ერთი მხარე — მისი დაბეჩავება
ბატონყმობისაგან, არამედ დაეხატა გლეხობის მაღალი ზნეობრივი
სახე, ეჩვენებინა მისი ადამიანური ღირსებანი მჩაგვრელ კლასებთან
კონტრასტულ დაპირისპირებაში. ამაზე იგი სწორედ „გლახის ნაამ-
ბობის" პირველი ნაწილის გამოქვეყნების დღეებში წერდა თავის
მომავალ მეუღლეს: „ჩემი არსება ისეა აგებული, რომ ამ უბრალო
გულზვიადობას მოკლებულ მოკვდავებში ყოველთვის ნაკლები ჰპო-
ვია და მეტი სალი აზრი მეგულება, ვიდრე ზოგიერთ ბატონში, რომ-
ლის შთამომავლობით კეთილშობილური სისხლი გულზვიადობას
შეუდედებია"[138].

„გლახის ნაამბობით" ილია დაახლოებით ისეთსავე მიზანს ისა-
ხავდა, როგორსაც თუნდაც „არსენას ლექსის" შემქმნელი ხალხი.

„გლახის ნაამბობში" ჩაქსოვილია გლეხური რევოლუციურ-
ჰუმანისტური პათოსი, ამ მოთხრობის მთავარი გმირის არსენასებუ-
რობა.

ნიკო ნიკოლაძემ მაინც აღიარა, რომ „გლახის ნაამბობი"
არაა სქემატური ნაწარმოები და აღნიშნა ამ მოთხრობის „ხე-
ლოვნების ბევრი მარგალიტი", ზოგი მათგანი საგანგებოდ ამოწერა
კიდეც და თან დასძინა: „ერთის სიტყვით, ძალით თუ არ შეეკავები
თავი, ამისთანა ჩინებული თვლების ამოწერა ას-ასობით მოუკურ-
დება".

---

[138] „ივერია", 1961, № 3. ილია ჭავჭავაძის წერილები ოლღასადმი,
პავლე ინგოროყვას პუბლიკაცია კიით, 48-ე წერილი.

„გლახის ნაამბობის“ „სანტიმენტალიზმს“ ილია სხვა გაგებას აძლევდა. 1863 წლის 15 მარტს, როცა „საქართველოს მოამბეში“ ახალი გამოქვეყნებული იყო მოთხრობის ძირითადი ნაწილი, ილია თავის მომავალ მეუღლეს ოლღას ხაზგასმით წერს მოთხრობის მაღალ ღირსებებზე: „დიახ, ჩემო მეგობარო, ცხოვრება მაშინ ნიშნავს სითბოსა და სინათლეს, როცა მასში გონების გარდა გრძნობაც ამეტყველდება. ჩემ პირველ ჟურნალში, მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“, ეს აზრი შესანიშნავად გადმოსცა ჯუმბერიძემ: ჰკვა გზას გაგინათებსო, გული კი გაგათბობსო[139]. ამ აზრის მთელი მშვენება ახლაღა გავიგე, იგი მეტად სწორი და სამართლიანია[140].

ამიტომ ილიამ სამართლიანად არ მოისურვა მოთხრობის შეცვლა ნიკოლაძის შენიშვნის მიხედვით, რის გამოც 1873 წლის 18 იანვარს კიდეც წერდა მას: „გლახის ნაამბობის“ გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილა, ისე გადაბეჭდეთ. დეე, მაგ პირშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდა-პირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს“[141].

ილიას დემოკრატიულმა მიდრეკილებამ მკვეთრად იჩინა თავი „მგზავრის წერილებში“. თხზულების ეროვნული იდეის მატარებელი ღელთ ღუნია გლეხია: იგი კრთი ათასთაგანია. მის პიროვნებაში გამოკვეთილად. ტიპიურადაა „შეგროვილი“ ეროვნული გრძნობის ცეცხლის „თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს“. სწორედ ამ „ნაპერწკალს“ იყენებს მწერალი თავისი „ქვეყნის გაცივებულის გულის გასათბობლად“.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ხელოვნებით შექმნილი უარყოფითი ტიპი იყო ლუარსაბ თათქარიძე და დადებითი გმირი კი ოთარაანთ ქვრივი. ეს ორი ტიპი ქართული კრიტიკული რეალიზმის მწვერვალებია.

ოთარაანთ ქვრივი არაა ზუსტად ისეთი ტიპი, „რომელიც ერთია და ათასსა ჰგავს“. მაგრამ მას'ში ამავე დროს ამ „ათასის“ ტიპიური თვისებებიცაა გახზოგადებული; ამ ტიპში გამოსჭვივის ოვით მწერლის პიროვნების ხასიათის ტონებიც, იმ გაგებით, როგორითაც გუსტავ ფლობერი ამბობდა: „მადამ ბოვარი — ეს მე ვარ“.

---

[139] „გლახის ნაამბობში“ ეს ადგილი „ჰკვა გზას გაგინათებსო, გული კი გაგათბობსო“ იკითხება ასე: „გონება—გზას გაგინათლებს, გული—გაგითბობს“.

[140] „ცისკარი“, 1961, № 3, ილია ჭავჭავაძის წერილები, პავლე ინგოროყვას პუბლიკაციით.

[141] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, წერილები, ი. ბოცვაძის პუბლიკაცია, 1949, გვ. 52.

ამგვარი აზრი გამოთქმული აქვთ ილიას თანამედროვეებსაც, კერძოდ, კიტა აბაშიძეს. უფრო საგულისხმოა ამ მხრივ თვით ილიას ძიერ 1887 წელს თავისი მეუღლისადმი გაგზავნილი წერილი: „...ღმერთს ჩემთვის ალერსის ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ ალერსიანი სიტყვა უნდა ვუთხრა ვისმეს, მე თვითონ ვწითლდები. გაწითლებას კიდევ გაეუძლებდი, სწორედ სულიერად ვიტანჯები ხოლმე. ასე მგონია ხოლმე, რომ გული გავიპატიურე, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის. იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღე-მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში“. იმწუმებს რა მოტანილ წერილს, გამოჩენილი მკვლევარი პაველ ინგოროყვა სამართლიანად წერს: „თანამედროვენი, როგორც ჩანს, არა სცდებოდნენ, როდესაც ოთარაანთ ქვრივში ილიას ორეულს ნახულობდნენ, მაგრამ ამავე დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს ისიც, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ მოცემულია არა მხოლოდ გენიოსი ადამიანის ავტოპორტრეტი, არამედ პირველ რიგში აქ ზოგადი მნიშვნელობის ხაკიონალური ტიპია ასახული. ოთარაანთ ქვრივი წარმოადგენს ბრძოლაში გაკაჟებული ქართველი ხალხის სახეს. ოთარაანთ ქვრივი არის შვილი ხალხისა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე არსებობისათვის ბრძოლაში გამოიმუშავა შეუდრეკელი სული და ბრძოლის უნარი“[142].

აქვე გვსურს დაეუმატოთ, რომ ასეთსავე ხასიათს ამჟღავნებდა ილია ახალგაზრდობაშიც. „მე არ მიყვარს დაშაქრული... სიტყვები,... გრძნობებზე ლაპარაკი... ეს მხოლოდ რომანებში იციან, ისიც ფრანგული უაღრეს მოსულელო რომანებში...“,—წერდა ილია ოლღას 1863 წელს.. „არიან ქვეყნად ისეთი არსებანი, რომელნიც... მოითხოვენ ღამაზ-ლამაზ სიტყვებს. საბედნიეროდ ჩვენ არცერთს არ გვიყვარს ასეთი რამ... ლამაზი სიტყვა გრძნობისათვის ფერუმარილია“,—წერდა ილია იმავე წელს ოლღას.

ოთარაანთ ქვრივი ნაციონალური ტიპია, მაგრამ იგი საკაცობრიო ტიპიც არის. მის ეროვნულ ხასიათ-თვისებებში ზოგადადამიანური ხასიათ-თვისებებიც არის გამოხატული და ამაშია ილია ჭავჭავაძის გენიალობა. „ოთარაანთ ქვრივი“ შედეგია ილიას დროის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო სულიერი ატმოსფეროსი. „შეცოქმედებითი ლიტერატურული გენია,—წერს მეითიუ არნოლდი,—თავს იჩენს უბრალოდ არა ახალ იდეათა შექმნით,—ეს უფრო ფი-

---

[142] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, 1950, გვ. 599.

ლოსოფიის ამოცანაა. ლიტერატურული გენიის მთავარი ამოცანა სინთეზი და გადმოცემა, და არა ანალიზი და აღმოჩენა; იგი უნდა განიმსჭვალოს იმ გარკვეული გონებრივი და სულიერი ატმოსფერით, იდეათა იმ გარკვეული წყობით, რომელნიც მას გარს ერტყმიან..."[143]

დადებითი გმირების გლეხთა წრიდან მოცემა კანონზომიერად ახასიათებს ილიას. მოთხრობაში „სარჩობელაზედ" მაღალი სულიერი თვისებების მატარებელი ადამიანია გლეხი (პეტრე).

გიორგი („ოთარაანთ ქვრივი") მემამულეებისადმი შემრიგებლობით ხასიათდება. ამიტომ ხომ არ არის იგი არატიპიური ხასიათი? „ჩვენს რევოლუციაში,—წერს ლენინი,—გლეხობის მცირე ნაწილი მართლაც იბრძოდა და ამ მიზნისათვის რამდენადმე კიდეკ ირაზმებოდა, და სულ მცირე ნაწილი იარაღს ჰკიდებდა ხელს თავისი მტრების გასაჟლეტად... გლეხობის უმეტესი ნაწილი ტიროდა და ლოცულობდა, რეზონიორობდა და ოცნებობდა, თხოვნებს წერდა და „შუაკაცებს" გზავნიდა... და ხელში უვარდებოდა იმ უპრინციპო, მლიქვნელ, ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, რომლებიც... მორიგებას ცდილობდნენ, შერიგებას ჰპირდებოდნენ..."[144] გაბრო, კაკო, ზაქრო... გლეხობის ამ მცირე ნაწილის წარმომადგენლები არიან, ხოლო გიორგი, პეტრე, დათო... უმოქმედო და არამებრძოლ გლეხობას განასახიერებენ, რომლებშიც არის ანარეკლი „პატრიარქალური სოფლის უსიათობისა და „მეურნე გლეხის" ბეჩავი ლაჩრობისა" (ლენინი)[145]. ამ გაგებით, ამდენად არის გიორგის შემარიგებლური სახეც ტიპიური.

შემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყების დღიდანვე ილია მოითხოვს და დიდ ყურადღებას ანიჭებს მხატვრული ლიტერატურის ეროვნულობას,-—„ერის წყლული" გამოაცხადა მწერლის მთავარი ზრუნვის საგნად: კოზლოვის „შეშლილი" არ მიაჩნია ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებად, მასში ეროვნული — რუსული ხასიათის უქონლობის გამო: „ეგ რაღაც ურუსო რუსია, კოზლოვის ფანტაზიის შვილი, და არა რუსის ცხოვრებისა". ილია რეალიზმის, ტიპიურობის აუცილებელ პირობად თვლიდა ხასიათის ეროვნულობას. „როვიზორისა" და „მკვდარი სულების" გმირების მსგავს ადამიანებს ილია საქართველოს სინამდვილეშიც ხედავდა, მაგრამ აღნიშნავდა

---

[143] Мэтью Арнольд, Задачи современной критики, М., 1913, გვ. 12.

[144] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XV, 1950, გვ. 242 — 243.

[145] იქვე.

მათ ქართულ ეროვნულ ელფერს. ტრახანეზე („კაკო") ილია წერს: „გოგოლის ბობჩინსკის ცოტად ჰგავდა, და უფრო ეგვანებოდა, რო ქართული კოლორიტი არა ჰქონოდა". თავისი ქვეყნის ცხოვრებაში ილია პოულობს ბობჩინსკ-დობჩინსკებს, ჩიჩიკოვებსა და საბაკევიჩებს, მაგრამ სწორედ ქართული ელფერით. საქართველოს ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი თვისებებით, მათ „სუყველას ქართული სუნი უდის".

ილია ტიპის ეროვნულობას იმიტომ იცავს თეორიულადაც, რომ ამას მხატვრული პრაქტიკა უკარნახებს. „კაცია-ადამიანის" და მისი წინასიტყვაობის ვარიანტების შედარება ნათელყოფს, რომ ილია ისწრაფოდა მხატვრულ სახეებში გამომეზეურებინა ეროვნულ სინამდვილეში დანახული ცხოვრების მყრალი გუბე. ილია ისწრაფვის დახატოს ცხოვრებისეულობით აღსავსე ღრმად ადამიანური ხასიათები. ლუარსაბ თათქარიძისა და ოთარაანთ ქვრივის ხასიათებში ეროვნული ელფერით, თავისებურებებით მოცემული ადამიანური თვისებები მოჩანს. ეს იძრძნობა ამ პერსონაჟთა მეტყველებასა და ჩაცმულობაში, მთელ მათ ყოფა-ცხოვრებაში. თათქარიძეობა დამკვიდრდა ფიზიკური და სულიერი ლპობის სიმბოლოდ.

ილიას, გოგოლის, გონჩაროვის გმირები თვითმყოფადნი არიან, როგორც ცოცხალი, ინდივიდუალური ხასიათები, მაგრამ ამავე დროს მათ შორის არის მსგავსება, რომელსაც წარმოქმნის მსგავსი სულიერი ატმოსფერო; რომ ეს გმირები ერთი ეპოქისა და კლასების პირმშონი არიან თავისი განთქმული უსაქმურობით, სიზარმაცითა და დაუოკებელი მადით, ცრუმორწმუნეობით, დახავსებული ფეოდალური ყოფის უცვლელობის რწმენით.

ლუარსაბი ტიპიური სახეა ბატონისა და არა მარტო ბატონისა. ამავე დროს იგი ქართველი თავადია. არა მარტო გვარით, წარმოშობით... იგი ცოცხალი ლეშის ზოგადი ტიპიც არის. მასში სინთეზურადაა შერწყმული ზოგადკაცობრიული და ეროვნული არა როგორც სქემაში, არამედ როგორც ცოცხალ ადამიანში.

ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც პროზის ხელოვანისათვის, იმდენად ნიშანდობლივია ცოცხალი ხასიათები, რომ ისინი სტიქიურადაც იბადებიან იქაც, სადაც ეს თითქოს მოულოდნელია. „მგზავრის წერილებში" ავტორის მიერ შემთხვევით გზაში გაცნობილი ადამიანებიც ტიპებისა და ხასიათების დონემდე არიან აყვანილნი. ხასიათებს ქმნის ილია არა მარტო შედარებით დიდ მოთხრობებში; მეტად საინტერესოა მინიატურული სამ-ოთხგვერდიანი მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი"; მას ბავშვობის მოგონების ხასი-

ათი აქვს: ავტორი აცოცხლებს მშობლების, პატარა და-ძმებისა და პა-მის ნაამბობის ისტორიულ სახეებს: თუ როგორ ემზადებიან დედ-მა ახალ[illegible]ლის წინა ღამეს, რა სიხარულით ფუსფუსებენ ბავშვები და დაძინების წინ რა გულისყურით უსმენენ მამის ნაამბობს. ამ მოკლე მოთხრობაში ერთბაშად იღვიძებს ისტორია: აი, ერთმანეთის პირისპირ ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარებია, მტრის ერთმა მხედარმა გამოწვევით რამდენიმე ქართველი იმსხვერპლა; და აი, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, რომელმაც ელვისებური სისწრაფით დაამარცხა გათამამებული ყიზილბაში. და, აქ გაცოცხლებულია არა მარტო წარსული, არამედ ის რომანტიკული სევდაც, რაც თან ახლავს ბავშვობის საუკეთესო წუთების გახსენებას ხანდაზმულობის წლებში.

ცხადია, ილიას ხასიათების ხელოვნება რაიმე სტიქიური მოვლენა არ არის, არამედ რეალისტი მწერლის სერიოზულ „შავ" მუშაობას ემყარება. ილიას შემოქმედებითი საქმის გაცნობიდან ჩანს, რომ მწერალი არ ადგენდა თავისი მოთხრობების გმირების ისტორიას, კონსპექტს თუ ანკეტურ ჩანაწერებს..., მაგრამ დაახლოებით ამდაგვარი მუშაობა კი უწარმოებია. ილიას უბის წიგნაკი ადასტურებს, რომ მწერალს საგანგებოდ უმუშავია მოხევის პატუყველების დაზუსტებაზე. გარდა ამისა, „კაკოს" და „კაცია-ადამიანის" წინასიტყვაობის ვარიანტები ცხადყოფენ, რომ ლუარსაბის, დარეჯანის, დათიკოს, გაბროს, გიტოს, პეპიას სახეებმა მნიშვნელოვანი წინასწარი ლაბორატორიული დამუშავება განიცადეს. ვიდრე მზის სინათლეს იხილავდნენ; მოსინჯული და ნაკვლევია მათი ხასიათების მთავარი ნიუანსები. საგულისხმოა, მაგ., რომ „კაკოში" ავტორი კაკოს (გაბროს) მოსალოდნელ რომანტიკულობაზე საგანგებოდ მიუთითებს: „კაკო გამოვიდა რომანტიკული კაცი, როგორც იხილავთ თავის დროზედ".

ილია იძლევა ისტორიულად განპირობებულ ხასიათებს, ცოცხალ ადამიანთა სახეებს, თვით ცხოვრებისაგან წამოყენებულ ტიპებს და არა თავის სურვილისამებრ შემუშავებულ სქემებს. ილიას ხასიათებს ცხოვრებისეულობა იმდენად ემჩნევა, რომ ეს არა მხოლოდ მთავარ, „მეორე" და „მესამე" ხარისხოვან გმირებშიც იგრძნობა. ილია ამთავრებს არა მარტო წინა პლანს, საკმაოდ ხატავს უკანა პლანში მდგომ გმირებსაც; ისიც მართალია, რომ „უკანა პლანის" გმირებს სიუჟეტურ-კომპოზიციური განვითარების არა მაგისტრალი, არამედ პერიფერია უჭირავთ, მაგრამ ასეთია მათი ადგილი თვით ის[illegible]ოფაში, რომელსაც მწერალი ასახავს და ამ გზით აღწევს მათ ცხოვრებისეულობას. ავტორი დიალოგშიც არ აბამს, მაგ., იმ პატარა

ბიჭს, რომელიც სამოვარს უბერავს და ძაღლის ბედს შენატრის. მაგრამ სწორედ ასე, ამ გზით, ამ ნიუანსით ხდება მისი გაცოცხლება.

ამ მხრივ სხვაგვარ ინტერესს იწვევს ისეთი სახე, რომელიც არც ცხოვრების და არც სიუჟეტის მაგისტრალს არ განეკუთვნება, მაგრამ მთავარ გმირზე არა ნაკლებ რელიეფურად წარმოდგება, ბევრს გვეუბნება ასახულ ცხოვრებაზე. ასეთია, პირველ ყოველისა, ილიას ეპიზოდურ პერსონაჟთაგან სოსია მეწისქვილე; რამდენჯერმე მობეტალურად ჩნდება იგი მოთხრობაში, მაგრამ ყოველი მისი გამოჩენა ეპიზოდური როლის შემსრულებელი დიდი მსახიობის გამოსელას ჰგავს: წამით ხედავ და უსმენ მას და სამუდამოდ კი გამახსოვრდება. სრული სიმწვავით განიცდება მისი ბედი თუ უბედობა, არა ნაკლებ ტრაგიკული პიროვნებაა იგი, ვიდრე ოთარაანთ ქვრივი.

„კაცია-ადამიანის" და „ოთარაანთ ქვრივის" ავტორი ახალ სიტუაციას ამბობს არა მხოლოდ მთავარ, არამედ ეპიზოდურ გმირთა სახეებითაც. კერძოდ „ოთარაანთ ქვრივში" ხასიათების ხელოვანი შესამჩნევს ხდის ისეთ „შეუმჩნეველ" გმირსაც კი, როგორიც არის გლეხი პეტრე, რომელსაც გიორგი საბედისწეროდ შეეშველა ზვინის დადგმაში; კეთილ მეცხვარეებს, რომლებმაც გიორგის საფლავზე მიყუდებული ოთარაანთ ქვრივის სიკვდილის ამბავი ჩაუტანეს სოფელს; დიდმა მხატვარმა დაუვიწყარი გახადა ქვრივის ერთგული ძაღლიც, რომელიც კვალდაკვალ მისდევს პატრონს სასაფლაომდე და მანამ არ ტოვებს, ვიდრე სოფელი არ მოდის.

და თუ ილია აღწევს, ეპიზოდურ გმირსაც მიანიჭოს სიცოცხლე, ეს თვით ცხოვრების ტიპიურისა და ინდივიდუალურის შემჩნევის მახვილი თვალით, ასახვის ძლიერი უნარით აიხსნება; ილია, როგორც შეშმარიტი მხატვარი, მზამზარეულად არაფერს იღებს ცხოვრებიდან, არამედ რთულ მუშაობას ატარებს, რომ ხასიათები ადამიანური სიცოცხლით ცოცხლობდნენ, ჰქონდეთ ადამიანური ქცევა, ჩვეულება, ლაპარაკის კილო,—გაჩნდეთ სული იმ ერისა და დროისა, რომელსაც ეკუთვნიან.

3. ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურებანი

ილიას მხატვრული პროზის თვისებაა არა ე. წ. „მომჯადოებელი" სიუჟეტები, არამედ ცხოვრებაში ღრმად შეპრა; მის ესთეტიკურ მრწამსში არ შედის მსუბუქი გრძნობების დამატკბობელი, მოშაქრული მოთხრობების წერა. „მკითხველო ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის, არც სიყვარულის ეშმაკობა, არც

კაცის-კვლა. არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთი სიტყვით—რაც აშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა—ის აქ არაფერი არ არის".—წერს ილია „კაცია-ადამიანში".

ილიას ძალა რეალისტური მეთოდის ინდივიდუალურ მომარჯვებაშია. მისთვის ცხოვრება ძირია, სოლო ხელოვნება და ლიტერატურა მასზე ამოსული ხე.

მისი თითოეული მოთხრობა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურებებით ხასიათდება.

გამოხატვის საშუალებათა ღირსება ძირითადად ცხოვრებისადმი მხატვრული დამოკიდებით ხასიათდება. ნაწარმოების სიუჟეტურ დაძაბულობას სინამდვილე განაპირობებს და არა მწერლის სურვილი. მაგალითად, „კაცია-ადამიანის" სიუჟეტურ-კომპოზიციური კომპონენტები განსხვავდება ილიას სხვა მოთხრობებისაგან; უკონფლიქტოდ თვით ცხოვრებაც არ მიიმართება და „კაცია-ადამიანიც" არ არის მოკლებული მის გამოხატვას, მაგრამ ამ კონფლიქტების გამოვლინება მასში დუნეა, მაშინ როცა უფრო მძაფრ კონფლიქტებს ემყარება „გლახის ნაამბობი", „სარჩობელაზედ", „ოთარაანთ ქვრივი"... ვაუ რით აიხსნება „კაცია-ადამიანის" სიუჟეტურ-კომპოზიციური კომპონენტების ნაკლები სიმძაფრე? მოდუნებული („დამყაყებული"") იყო თვით სინამდვილის ის სფერო („გუბე"), რომელიც ამ მოთხრობაში აისახა. ლუარსაბ-დარეჯანის ცხოვრების შინაარსი ორი რამ გამოდარა: სმა-ჭამა და ფიქრი მემკვიდრის გაჩენაზე; სხვა საზრუნავი მათ არ გააჩნიათ. რაკი ესოდენ ვიწრო და ტლანქია მათი ერთფეროვანი ყოფა, ასეთი გარემოცვის ამსახველ ნაწარმოებს შეუძლებელია მძაფრი სიუჟეტი და კომპოზიცია ჰქონდეს. მოთხრობისათვის ნიშნეულია მოქმედების, სიტუაციების ნელი განვითარება—ძილი, „ჯონების ვარჯიში", ოცნება სხვადასხვა კერძზე, ბუზების თვლა. ამ მაძღარი და კმაყოფილი ადამიანების ცხოვრების მძაფრ დრამატულ ვითარებაში ჩვენება რეალიზმის ღალატი იქნებოდა. ლუარსაბ-დარეჯანების ცხოვრება სინამდვილეშიც არ ატარებდა მძაფრად დაძაბულ დრამატულ ხასიათს. ერთადერთი დაძაბულობის მომენტი ასეთი ადამიანების ცხოვრებაში შეიძლებოდა გადაქცეულიყო მალარი ცხოვრების, ბატონყმობის მოსპობის შიში. მაგრამ ისეთ უვიკ და გულუბრყვილო მემამულეს, როგორიც ლუარსაბ თათქარიძე იყო, ეს ვერ შეაშფოთებდა, ვიდრე ხელსა და ხელს შუა არ გამოეცლებოდა ყველაფერი: მას გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ ყმებს

დაარწმუნებს ბატონყმობის ურყევ ხასიათში; მისთვის უფრო „შემაშფოთებელი“ ხდება ეპვი მემკვიდრის გაუჩენლობაზე. აქედან წარმოიშობა მისთვის შედარებით ყველაზე მძაფრი სიტუაცია მის ცხოვრებაში,—ლუარსაბის სიზმრის სცენა, ნაწარმოების კულმინაცია. მაგრამ დრამატიზმი აქაც შენელებულია: სიზმარსაც და გამოფხიზლებასაც თან ახლავს კომიზმი. არც კვანძის გახსნა ატარებს მძაფრ ხასიათს: ექიმბაშის წამლისაგან დარეჯანის „ფეხების გაჭიმვა“ ან ლუარსაბის გარდაცვალება კალმახით უზომოდ გაძღომის გამო.

თვით მწერალიც გრძნობდა, რომ „კაცია-ადამიანის“ სიუჟეტურ-კომპოზიციური კომპონენტების თავისებურება, „მოქმედების შენელებულობა“,—მასში ასახული ცხოვრების თავისებურებით აიხსნება; „მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა?“, „ღარ გაათავებ?— მკითხავს მოწყენილი, ან იქნებ გაჯავრებული მკითხველი“. მწერლის, როგორც რეალისტის, გამარჯვება ისაა, რომ მთელ ნაწარმოებში სტილისტურ-ფუნქციონალური დანიშნულებისაა ისე დუნე. ტლანქი, მთვლემარე ფონი, მეორე პლანი, რომელიც გასდევს მთელ ნაწარმოებს; ეს ხელს უწყობს ხავსმოდებული ცხოვრების ტიპიურად ჩვენებას.

„კაცია-ადამიანის“ სიუჟეტურ-კომპოზიციურ „მოშვებულობაზე“ თითქმის სიტყვასიტყვით შეიძლება გავიმეოროთ დობროლუბოვის სიტყვები ობლომოვზე (გონჩაროვის „ობლომოვი“): „ობლომოვის სიზარმაცე და აპატია არის მოქმედების ერთადერთი ზამბარა მთელ მის ისტორიაში, თითქოს შეიძლებოდა ამის გაჭიმვა ოთხ ნაწილში. ეს თემა რომ სხვა ავტორს შეხვედროდა, იგი მას სულ სხვანაირად გააკეთებდა. დაწერდა... მსუბუქს, გამართობელს, შეეხმაურდა სასიამოვნო ფარსს, სასაცილოდ აიღებდა თავის ზარმაც გმირს, მოგხიბლავდათ ოლგათი და შტოლცით, და სულ ამით დაამთავრებდა. მოთხრობა არაფრით არ იქნებოდა მოსაწყენი, თუმცა არ ექნებოდა არავითარი მხატვრული მნიშვნელობაც. გონჩაროვი საქმეს სხვანაირად მიუდგა. მას არ სურდა უკან დაეხია მოვლენისაგან, რაზედაც ერთხელვე მიაპყრო თავისი თვალთახედვის ისარი... მას სურდა მიეღწია იმისთვის, რომ შემთხვევითი სახე... ექცია ტიპად... ამიტომ ყოველივე, რაც ობლომოვს ეხებოდა, მისთვის არ იყო ცარიელი და უმნიშვნელო საქანი. იგი ყველაფერს სიყვარულით მოეპყრო, ყველაფერი დაწვრილებით და მკვეთრად ასახა... ეს, თუ გნებავთ, ენებას აყენებს მოქმედების სისწრაფეს, ღლის უსულგულო მკითხველს, მომთხოვნს, რომ ძლიერი განცდებით გაარღონ. მაგრამ,

მიუხედავად ამისა, გონჩაროვის ტალანტში სწორედ ესაა უძვირფასესი თვისება, რომელიც მას შველის მხატვრულ ასახვაში"[146].

რა თქმა უნდა, „ობლომოვი" და „კაცია-ადამიანი?!" სავსებით ერთგვაროვანი ნაწარმოები როდია. გონჩაროვს მიზანში ამოღებული ჰყავს უმოქმედო, მოშვებული ფეოდალური ინტელიგენცია. ამიტომაც უწოდა დობროლუბოვმა „ობლომოვს" „დროის მანიშნებელი" („Признаение времени"). გონჩაროვმა სატირულად გაამახვილა XIX საუკუნის 50-იანი წლების რუსეთის „ზედმეტი ადამიანის" ნიშნები, დახატა იგი, როგორც უქნარა და პროგრესის დამაბრკოლებელი, რითაც ამ ტიპს შარავანდედი მოხსნა. ილიას კი უშუალოდ პატრიარქალური სოფლის მეპატრონე გამოჰყავს დიდების კვარცხლბეკიდან.

ქვეტექსტის, მეორე პლანის მხატვრული ძალის მომარჯვება თანამედროვე პროზის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, რაც, როგორც ახლის საწყისი, XIX საუკუნის პროზაშიც იჩენს თავს. ჩეხოვს მოთხრობაში „ბედნიერება" (იგი ჩეხოვს თავის საუკეთესო მოთხრობად მიაჩნდა) ნაირგვარები აქვს უსაქმო და მოთენთილი ჯარებრძ: „მოხუცი იწვა გულდაღმა" და „უყურებდა ცას", რომელსაც „ვარსკვლავები თვლემდნენ", „ცხვრებს ეძინათ", „მძინარ, გაყუჩებულ ჰაერში მონოტონური ზუზუნი იდგა..." ფაქტების ეს აღმნუსხველი ფრაზები წარმოქმნიან ატმოსფეროს, დახატულ მოვლენათა ისეთ ფონს, რომ ეს მონოტონურობა გადასულია ბუნებაში კ, პოზებშიც, პერსონაჟთა მოქმედებაშიც, ყველაფერი უმოძრაობას მოუცავს: „მან ჩუმად მოსწია თამბაქო...", „ხდება ხოლმე, თქვა მან; ჯერ კიდევ უნაგირზე იდგა და არ იძვროდა..." ფაქტების ჩვენება ისეა წარმართული, რომ წარმოიქმნება მეორე პლანი, ატმოსფერო, რომელიც მეტად საგრძნობი ხდება, ლოგიკურად იბადება დასკვნა: ყოველივე ეს შეუძლებელია კიდევ გაგრძელდეს, ყოველივე ეს ბუნებრიობის დარღვევაა, დამყაყებული გუბეა, ეს ატმოსფერო უნდა განიმუხტოს და სიცოცხლე, მოძრაობა უნდა ვაპეფდეს.

ასევე მონოტონური, მთვლემარე და დამყაყებულია „კაცია-ადამიანის" ატმოსფერო. აქ არაფერია სიცოცხლისუნარიანი, ყოველივე რღვევისა და გადაშენების გზაზე დგას: „სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე", „საბძელი იყო სასაცილო, ისე სულელურად ჩაფიქრებული", ჭიშკარი „საცოდავად დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს უუნწსა", „ლუარსაბი, პირაღმა წევს, აბოლებს

---

[146] Н. А. Добролюбов, Избр. соч., М., 1944, გვ. 77.

ჩიბუხს". „ძაღლი წევს,.. მიწაში ცხვირჩაყოფილი და ქანცმიწყვეტილსავით თვალებდახუჭული", „ეს საძაგელი სურათი საძაგელს მიწისა", „წირპლიანი და დაუვარცხნელი გოგო", რომელსაც „ლაჰაზისეულს ეძახდა... ჯულ-ხელ-დაკრებილი დაჰყურებდა ბალან-გაცვენილ ხალიჩასა" (ჩეხოვის მოთხრობისაგან განსხვავებით, „კაცია-ადამიანში" ხშირია მოვლენის აღწერის შემაჯამებელი დასკვნები: „ეტყობა, რომ ქაოთველია"...). ნაწარმოების ერთფეროვან, უქრავ გარემოცვაში განწირულობა იგრძნობა, რომელიც შინაგანი ლოგიკით განმუხტვას მოითხოვს. ამიტომ ამბობს ილია: „მე მიყვარს და გათენდება თუ არა,—ეგ ღმერთმა იცის"[147].

ილიას სხვა მოთხრობები მძაფრი დრამატიზმით აღსავსე სოციალურ კონფლიქტებს ემყარება. „გლახის ნაამბობში" ძმებსავით შეთვისებული ყმა და ბატონი ერთმანეთის დაუნდობელი მტრები ხდებიან. „კაცია-ადამიანშიც" არიან დაპირისპირებულნი—ყმა (დაოო) და ბატონი (ლუარსაბი): ყმა სასაცილოდ იღებს თავის ბატონს. ამხელს ბატონყმობის უსამართლობას, მაგრამ გონებაჩლუნგი ბატონი ამას ვერც კი ხვდება, დათო ბატონის „მეგობრად" რჩება, სოციალური კონფლიქტი „მორიგებულია", თუმცა აშკარად იგრძნობა თანქარიშობის განწირულობა. „გლახის ნაამბობში" რღვევის დაჩქარების მანიშნებელია ბატონყმობის ბოროტებაში ცხოვრების გაჭოცდილებით დარწმუნებული ყმა-გლეხობის წარმომადგენელი (ვაბროო), რომელიც ბატონთან არა შეგუებას, არამედ შეუპოვარ დაპირისპირებას (იარაღით ბრძოლას და ანგარიშის გასწორებას) ამჯობინებს: მონა სპობს მონათმფლობელს. სამართლიანობამ გაიმარჯვა. მაგრამ ეს უსამართლობაზე სიმართლის ზეიმის კერძო შემთხვევაა. უსამართლობის სისტემა ჯერ კიდევ არ იყო დამარცხებული, ამიტომ ბუნებრივია, თუ გმირობის ჩამდენს (გაბროს) არ აცდა მწარე ხვედრი, მარტოობაში სიკვდილი.

ექსპოზიციაშივე ჩანს „გლახის ნაამბობის" დაძაბული კულმინაციის და კვანძის გახსნის ჩანასახი: პირუტყვზე მეტად უბედურია ადამიანი—„ყოველ კაცის ნაფესურსა ერთი მუჭა კაციასვე სისხლი შეუშვრია". ექსპოზიციის ამგვარი გააზრების გამოძახილია კულმინაციისა და კვანძის გახსნაში გაბროსა და დათიკოს სამკვდრო-სასი-

---

147 საყურადღებოა, რომ ილია შემდგომაც უბრუნდება ცხოვრების განახლების — „მამლის ყივილის" აზრს. მაგ., 1885 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში" ილია წერს: „არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა... მე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!.." უფრო ადრე, 1881 წელს დეკემბრის „შინაური მიმოხილვაში" ილია ჯაბას განახლების პასიურ მოლოდინს,— „ლოდინი ხსნილსაც დაადაბძს..."

ცოცხლო დაპირისპირება, გაბოროს მიერ დათიკოს მოკვლა. ექსპოზიციის ერთგვარ დასკვნას იძლევა მოთხრობის ფინალიც: „სახარების" მორალის საპირისპიროდ გაბოო შენდობილია კაცის კვლისთვისაც.

შედარებით ნელა, მაგრამ ფსიქოლოგიურად დაქაბული დრამატიზმით ვითარდება მოქმედება „ოთარაანთ ქვრივში". აქ მოქმედების სწრაფად განვითარების მთავარ შემაყოვნებელ ზამბარას წარმოადგენს ის, რომ ნაწარმოების გმირთა სულიერი სამყარო, მიდრეკილებანი წინააღმდეგობაში, კონფლიქტშია ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობასთან, „ჩატეხილ ხიდთან", რომელიც დაბრკოლებაა როგორც ოთარაანთ ქვრივის, ისე არჩილის წრისათვის. ყოველივე ამას მოქმედება მატერიალური პლანიდან ფსიქოლოგიურ პლანში გადააქვს, რაც დრამატიზმს ამძაფრებს და მოქმედების განვითარებას აყოვნებს. კესოსა და გიორგის, ოთარაანთ ქვრივსა და სოსიას შორის იშვიათია კონფლიქტი მოქმედებაში, ეს კონფლიქტი უფრო ფსიქოლოგიურ პლანში, მათ სულიერ სამყაროშია გადატანილი. აქედანაა ნაწარმოების „შინაგანი" მონოლოგები, სულიერ და გონებრივ ვითარებათა (და არა ჩადენილ მოქმედებათა) განსჯანი, ფიქრებანი.

ჭაბუკ გლეხს შეუყვარდა თავადის ასული, მაგრამ ვერ უმხელს თავის გრძნობას. ქალი ვაეში კარგ ახალგაზრდას ხედავს, სხვა არაფერი; ასე ყოვნდება და იძაბება მოქმედება. ასევე ვითარდება დედის ხასიათიც. შვილის გრძნობა დროებით გამოცანად რჩება დედასათვის: ვერ გაუგია შვილის დანაღლელიანების და თავადთან მოჯამაგირედ დადგომის განზრახვის მიზეზი. და როცა დედა გუმანით ხვდება შვილის გასაჭირს, გაურკვეველ საგონებელში ვარდება. იკვრება დრამატიზმით აღსავსე კვანძი, რაც უფრო სქემატიზმის შემთხვევაში შეიძლებოდა სიუჟეტურად შერიგებით დასრულებულიყო. და სწორედ აქაა იმის მიზეზი, რომ მოთხრობის დრამატიზმი ტრაგიკულ სიმაღლემდე ადის. მთავარი ის კი არაა, რომ გიორგიმ სიყვარული ვერ გაუმხილა კესოს, არამედ ის რომ, გამხელის შემთხვევაშიც მისი სიყვარული განწირული იყო: „ჩატეხილი ხიდი" გადაულახავი დაბრკოლებაა. ყველანი—ოთარაანთ ქვრივი, არჩილი, გიორგი, კესო. სოსია მეწისქვილე ისწრაფვიან აბსოლუტურისაკენ და აწყდებიან შეუძლებელს; ესაა გარდუვალობის სიმბოლიკის ძალა, როგორც „აბესალომ და ეთერში" მურმანია გადაულახავი დაბრკოლების სიმბოლო, ის ეკალი, რომელიც ვარდსა და იას შორის დგება. „ოთარაანთ ქვრივში" „ჩატეხილი ხიდია" განწირულების წყარო.

როგორია ილიას ჩანაფიქრის სიუჟეტურ-კომპოზიციური ხორცშესხმა?

სქემატიზმის გარკვეული ანაბეჭდი არის „გლახის ნაამბობში", მაგრამ „კაცია-ადამიანში" და „ოთარაანთ ქვრიეში" ილია მთლიანად ამსხვრევს ტრადიციულ სიუჟეტსა და კომპოზიციას.

„ოთარაანთ ქვრივი" აშენებულია არა ტრადიციული სახის სიუჟეტზე, არა ინტრიგის ეფექტზე, არამედ სინამდვილის, ადამიანის ახალ გაგებაზე ხელოვნებაში. ილიამ ყურადღების საგნად აქცია უბრალო ადამიანი, მაგრამ უბრალო ადამიანის ხვედრი კი არაა მთავარი, არამედ ამ გზით სინამდვილის, აწმყოსა და მომავლისადმი ახალი დამოკიდებულების გამოვლინება. „ოთარაანთ ქვრივით" მოჩანს სინამდვილისადმი ისეთი მიმართება, როცა შემაწუხებელია ის, რაც მტკივნეულია ეთიკურ პლანში. ესაა სურვილი თავი დააღწიოს ისეთ სინამდვილეს, რომელიც სულიერ დისონანსს წარმოქმნის. ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სიკვდილი, კესოსა და არჩილის ლტოლვა მომავლისაკენ („დასაწყისი განთიადისა") არის სწრაფვა ისეთი სინამდვილისაკენ, რომელიც თავისუფალი იქნება სულიერი განხეთქილებისაგან, „ჩატეხილი ხიდისაგან". გიორგისა და ოთარაანთ ქვრივის სიკვდილი არის იმის სიმბოლო, რომ ამ აწმყოში საფუძველი აქვს გამოცლილი აბსოლუტურისა და იდეალურის არსებობას. ამ სინამდვილით „ოთარაანთ ქვრივში" უკმაყოფილონი არიან როგორც დაბალი, ისე მაღალი წრის ადამიანები.

ოთარაანთ ქვრივს არ მოსწონს მის ირგვლივ არსებული ცხოვრების ტიპი. იგი უკეთესს მოითხოვს. ახალი ტიპია არჩილიც, რომლისთვისაც გაცნობიერებულია ოთარაანთ ქვრივის იდეალი, რაც ჰარმონიულობისაკენ სწრაფვის თავისებური ფორმაა. არჩილი მომავლის ცხოვრების ნიმუშს ხედავს არა თავის, არამედ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სამყაროში, ხალხში. მაგრამ ტრაგიკულია ის, რომ სინამდვილე, „ჩატეხილი ხიდი" ეწინააღმდეგება ჰარმონიულობას, რომელიც არა მაინცდამაინც მაღალი და დაბალი წოდების მეგობრობას, არამედ იდეალურ ადამიანურ ურთიერთობებს გულისხმობს. ჩანაფიქრის ამ სიახლემ და თავისებურებამ განაპირობა ტრადიციული სიუჟეტურ-კომპოზიციური ქარგის უკუგდება.

ილია ახალი ფუნქციით იყენებს სიუჟეტის ტრადიციულ ელემენტებსაც —დიალოგს, პეიზაჟს, ავტორისეულ შენიშვნებს, ზრდის „შინაგანი" მონოლოგისა და მხატვრული დეტალის სტილისტურ-ფუნქციონალურ ფუნქციას.

ამ სიახლეთა გამო კრიტიკა მოთხრობას გამოსვლისთანავე სხვადასხვაგვარად შეხვდა; ერთმა კრიტიკოსმა „ნაწყვეტად", ხარვეზებ-

ან და შესავსებ ნაწარმოებად გამოაცხადა. მ. ხელთუფლიშვილი წერდა: „ოთარაანთ ქვრივი“ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე, თითქო იგი იყოს ერთი რომელიმე ნაწყვეტი უფრო დიდის ქმნილებისა, და არა ცალკე დამთავრებული მოთხრობა... ავტორი არ გეიხსნის სად ისწავლა კესომ, რა განათლების პატრონი იყო, როგორ შეუყვარდა გიორგის კესო...“[118]

ყველა მწერალი როდი თავსდება სავსებით გარკვეული მიმართულების ფარგლებში. „ოთარაანთ ქვრივის“ შემოქმედს თვითმნიშნად არ გაუხდია თვით საკუთარი ცხატვრული მეთოდი. „ოთარაანთ ქვრივი“ არაა მოთხრობის ნეოულებრივი ტიპი. აქ ილია ქაქაკაძეზე შეიძლება გავიმეოროთ ილია ერენბურგის სიტყვები სტენდალზე, რომელსაც ზოგი ლიტერატურული კანონების დარღვევას საყვედურობდა: „ის რეალისტია, რამდენადაც რეალისტურია ყოველი დიდი ხელოვნება.—„ჰამლეტიც“, „დონ-კიხოტიც“, „ფაუსტიც“. ის რომანტიკოსია. რამდენადაც ასახავს რა რეალობას, ხშირად ცვლის პროპორციებს, ხედავს სიმაღლეებს, იხედება უფსკრულებში, სწყურია სულიერი სრულყოფილება („Le sublime“); მაგრამ ეს არაა კანონი ლიტერატურული სკოლის, არამედ ფრთებია, შთაგონებაა (არიან ლიტერატურათმცოდნენი, რომელთაც ძალიან სურთ გაანაწილონ ყველა მწერალი სვეტებში და მიაკერონ იარლიკი. სტენდალი მათ უსიამოვნებას აყენებს, რადგან ეკუთვნოდა რომანტიკულ სკოლას და შექმნა რეალისტური რომანი“[119].

„ოთარაანთ ქვრივი“ უსვევს მოთხრობის ზოგ კანონს და ისე იძლევა არსებული სინამდვილის სურათს, რომ მისგან ლოგიკურად ვამომდინარეობს აზრი არა მარტო იმაზე, რაც არის დღეს, არამედ ის აზრიც თუ რა არ უნდა იყოს დღეს და რა უნდა იყოს ხვალ. ამდენად ეს რეალისტური მოთხრობა რომანტიკულიცაა, რომელშიც არის იდეალი—დარღვეული ჰარმონიულობის, მთლიანობის აღდგენისა; როცა ცხოვრებამ „მშვენიერი სულის“ „ცოცხალი ხატი“ წამოაყენა, თვითვე დაამსხვრია. ჰარმონიულობა იდეალია, რომელსაც ასპარეზი აქვს იმდენად არა არსებულ სინამდვილეში, არამედ ადამიანის სულიერ სამყაროს წყურია იგი; ამიტომ მოთხრობის სიუჟეტის არსებითი ნაწილი „შინაგანი“ მონოლოგებითაა წარმოდგენილი. თავებში „ჯავრი დედისა“, „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სათქმელი თითქმის მთლიანად მათ იდუმალ ფიქრებში

---

[118] „იერია“, 1888, № 58, მიხ. ხელთუფლიშვილი, რამდენიმე შენიშვნა შესახებ „ოთარაანთ ქვრივისა“.

[119] И. Эренбург, „Французские тетради“, М., 1959, გვ. 129.

მიიმართება. დედაშვილობის კითხვას ფიქრმიცემული ებრძვის ოთარაანთ ქვრივი („ორი თვალი"). სიყვარულით ზაფრანაცემობის ნიადაგზე მოთხრობაში გაჩნდა ცალმხრივი დიალოგი,—კესოს შეკითხვებს გიორგი მხოლოდ გულში პასუხობს („განა თითონ კი იცოდა?"). გაუმხელელი გრძნობა გულში სიყვარულის ლოცვას ბადებს („კაცია და გუნება"). ლოგინად ჩავარდნილ დედას გონებაში „ეძახის" მცირე ხნის წინად გარდაცვლილი შვილი („ეძახის"). ცხადია, შინაგანი მონოლოგები როდია დედაშვილის ხასიათების გამოვლინების ერთადერთი საშუალება. მწერლის სათქმელი ფორმულირებული სახით გამოვლენილია არჩილისა და კესოს დიალოგებში. „ოთარაანთ ქვრივის" სიუჟეტურ ქსოვილში საკმაოდ თავისებური ფუნქცია აქვს დაკისრებული გიორგის. იგი ერთგვარი „სასინჯი ქვაა", რომლითაც ერთხელ კიდევ უნდა შემოწმებულიყო კლასთა შორის დაახლოების შესაძლებლობა. ამდენად „ოთარაანთ ქვრივში" გიორგის ხასიათით პრინციპულადაა დასმული დიდი ლიტერატურის „ადამიანი-გამოცანის"--- ადამიანის შინაგანი საიდუმლოების გაცნობის პრობლემა. „გიორგი, როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისეც იმათთვის გამოცანა იყო",—აცხადებს მწერალი. ცხადია, არსებითად ასეთივე გამოცანაა ოთარაანთ ქვრივი და შეიძლება უფრო რთული და თავისებური გამოცანაც.

ყოველივე ამის გამო, საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ „ოთარაანთ ქვრივი" მეტია ჩვეულებრივ მოთხრობაზე,—განსაკუთრებულად რთული სიუჟეტისა და ხასიათების შემცველი; მოთხრობის პერსონაჟები გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი პერსონაჟები, ვიდრე თუნდაც ილიასავე სხვა მოთხრობათა ხასიათები.

უფრო ჩვეულებრივი ხასიათისაა ილიას მცირე მოცულობის ნოველა „სარჩობელაზედ"; მასში თავი იჩინა მწერლის იურიდიულმა განათლების გამოძახილმაც. მწერალს დასმული აქვს დანაშაულისა და სასჯელის საკითხი; მოთხრობიდან გამომდინარეობს ის აზრი, რომ ვიდრე საზოგადოებას, სახელმწიფოს არ მოუსპია დანაშაულობათა გამომწვევი მიზეზები, დანაშაულის ჩამდენი პიროვნება არაა დამნაშავე; დამნაშავეა თვით საზოგადოება, სახელმწიფო. ამიტომ ადამიანის სიკვდილით დასჯა ბოროტებაა, ამ გზით დანაშაული არ აღიკვეთება. ამ თემის სიუჟეტურ-კომპოზიციური გადაწყვეტის ორიგინალური მოდუსია მოძებნილი ამ მოთხრობაში. დანაშაულის ამბავი დაახლოებით ქრონიკის სტილშია გადმოცემული. ვინაიდან მწერალს სურს ფართო განზოგადება მისცეს ამ კერძო ამბავს და დამნაშავედ გამოაცხადოს ყველა დამსჯელი, უდანაშაულო დამსწრეც კი; ავტორი მიმართავს მეტად ექსპრესიულ მხატვრულ ხერხს:

კანონით დასჯილის წინაშე დამნაშავედ გამოჰყავს უპატიოსნესი კაცი, სრულიად უდანაშაულო, რომელსაც ისიც კი არ უნდა დაიჯეროს, რომ შეიძლება ადამიანი სახელმწიფომ სიკვდილით დასაჯოს: „რაკი უნდა იყოს ღვთის კერძო ადამიანია, კატა ხომ არ არის“. მას იმდენად არ სჯერა კანონით ადამიანის სიკვდილით დასჯის შესაძლებლობის, რომ სირცხვილით ვერავის უმხელს, არ დამკითხონო. ჩამოსრჩობის ადგილზე მისვლამდე, იქ ყოფნის დროს, უკან დაბრუნებისას, ალბათ ორ საათზე მეტს, ამ პატიოსან გლეხს თავის ეკვზე გულში აჭმევებს მწერალი: ხომ არ ვცდები,—ფიქრობს გლეხი,—მართლა კაცი ჩამოაღრჩევეს, თუ ფიტულიო; ჩამოსრჩობას დაასწრო და მაინც ეკვში დასტოვა, ვიდრე ჩამოხრჩობილის ძმის წერილიდან არ შეიტყო საქმის ნამდვილი ვითარება. და მკითხველს სჯერა, რომ ეს სწორედ ასე იქნებოდა სინამდვილეში,—მხატვრულ გამონაგონს სრულ სიმართლედ იღებს. და ეს ალბათ ასე იქნება საუკუნეთა მანძილზეც; ეს ხელოვნების ძალაზე მეტყველებს. მკითხველს სჯერა ტოლსტოისა, რომელიც ერთ თავის მოთხრობაში ამტკიცებს, რომ „ადამიანს უნდა მხოლოდ სამი არშინი მიწა“; მკითხველი ერწმუნება ჩეხოვსაც, რომელმაც ტოლსტოის აღნიშნულ მოთხრობას მიაწერა: „არა ადამიანს, არამედ ცხედარს. ადამიანს უნდა მთელი დედამიწა“. ილიაც იმდენად გულწრფელად ალაპარაკებს პეტრეს გულში ადამიანის სიკვდილით დასჯის შეუძლებლობაზე, რომ მკითხველს სჯერა ილიასი: მართლაც, რატომ უნდა დაისაჯოს სიკვდილით ადამიანი, „კატა ხომ არ არი“, ადამიანს ხომ „მთელი დედამიწა უნდა“. ხომ აჯობებს, ისე მოეწყოს ცხოვრება, რომ ადამიანმა არაფერი დააშავოს და სიკვდილით დასჯაც არ იყოს საჭირო? მწერალი, როგორც ილიც ამას გეუბნება, მხოლოდ ნდობას იმსახურებს, შეუძლებელია მას არ ერწმუნო, ამიტომაც გწამს მისი. მრავალგზის გამოყენებული შინაგანი მონოლოგის მხატვრული ხერხიც აქ ამით იძენს განსაკუთრებულ ძალას. თავის პატარა მოთხრობის უპრეტენზიო გმირის შინაგანი მონოლოგით ილიამ სახელი გაუტეხა ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონს. მაგრამ ილიასთვის თვითმიზანი არაა მხატვრული ფორმა, მთავარია ცხოვრების გარდასახვა; ილია არ დაკმაყოფილდა „შინაგანი“ მონოლოგის მხატვრული ხერხის თავისთავად ოსტატურად მომარჯვებით. ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონის ბოლომდე გაშიშვლებისათვის ილიამ სხვა მხატვრული ხერხიც მოიშველია: ეფექტურადაა გამოყენებული წერილის ცნობილი ხერხი, რაც განპირობებულია სიკვდილით დასჯის კანონის დაგმობის პრინციპულად განსხვავებული პოზიციით. პეტრეს პროტესტი თავისი ხასიათით არ განსხვავდება საქციელისაგან,

იმ იაპონელი ფულის გამსესხებლისა, რომელიც პროტესტის ნიშნად ჩუმად თავს იკლავს მოვალის სახლის კართან, რომ ამით „დატანჯოს უსინდისო“ მოვალე, რომელმაც ფული შეირჩინა. პეტრეს შინაგანი მონოლოგი ობიექტურად ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მიმართული პასიური პროტესტის ფილოსოფიაა.

სულ სხვაა უმცროსი ძმის წერილი: იგი გამოჭნილი დამნაშავის საბოლოო სიტყვაა, რომელიც იურიდიულადაც დასაბუთებულია და თავისი უკიდურესი ფორმითაც უარყოფს ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონს. მასში ცხოვრების ფსკერის ადამიანების არსებული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ აბობხების, თავისთავად სამართლიანი, უსაშინელესი გაბოროტების ხმა ისმის. თვით კანონით მსჯავრდადებული ღვთის სამსჯავროში იწვევს მთელს ქვეყანას: „ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: ...განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი... იქ ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი... იქ სამართალი არ გაბრუნდება“.

ხასიათების თავისებური სიუჟეტური გახსნის ძიებით „სარჩობელაზედ“ „კრენკებილს“ გვაგონებს. „კრენკებილის“ ავტორიც კანონის უკანონობის მთელ არსს განსხვავებული მხატვრული საშუალებებით ხსნის. ქართული მხატვრული პროზის განმაახლებელი სიუჟეტურ-კომპოზიციური სიახლისაკენ კანონზომიერად მიდიოდა. ცხოვრებისა და ხელოვნების დიდი მოწოდებით აიხსნება, რომ ისეთი უპრეტენზიო ნაწარმოებიც კი, როგორიცაა „მგზავრის წერილები“, თითქოს სრულიად უნებურად, „პრეტენზიულიც“ გამოვიდა,—გაცილებით მეტი, ვიდრე ეს მოგზაურობის შთაბეჭდილებათა თხზულებას მოეთხოვება.

„მგზავრის წერილებს“ განსაკუთრებული ადგილიც კი უჭირავს ილიას მხატვრულ პროზაში (გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებმა“ მხოლოდ ბეჭდურად დაასწრო „მგზავრის წერილებს“); არა მხოლოდ სათაურის, ქვესათაურის („ვლადიკავკასიდამ თბილისამდე“) მისედვითაც იგი მოგზაურობითი თხზულებაა. მოგზაურობათა ქრონიკები ბევრი იწერება და იწერებოდა დასავლეთ ევროპაში, რუსეთსა და საქართველოშიც. „მგზავრის წერილებს“ მოგზაურობითი ჟანრის საკმაო მონაცემებიც გააჩნია: სათაური, გზად რამდენიმე სადგურის (ვლადიკავკასის, ლარსის, სტეფანწმინდის) დასახელება, საგანგებო ყურადღება გზის ბუნებაზე (მყინვარზე, თერგზე). შემთხვევით შეხვედრილ „იამშჩაჯზე“, ფრანგზე, რუს ოფიცერზე, სამების მონასტერზე, მოხეველზე. მაგრამ თხზულება მთლიანად იმდენად მოგზაურის შთაბეჭდილებათა გადმოცემის პლანში არ მო-

მართება; მთავარი ფართო ფილოსოფიური და ეროვნული კონცეფციის გადმოშლაა. შემთხვევითი არაა, რომ ამ ნაწარმოებში ილია, განსაკუთრებით სამებაზე ჩერდება. მაშინ როცა ყაზბეგიდან თბილისამდე კიდევ რამდენი შესანიშნავი ისტორიული ძეგლია; ილიას მათთვის თითქოს არც შეუხედავს. და ეს გასაგებია: სამება უწინდელი თავისუფალი საქართველოს ბრწყინვალეშეტყველი გახსენებაა. ავტორის მხატვრული ჩანაფიქრით ეროვნული თვალსაზრისი აქ უნდა გამოთქმულიყო და კიდეც გამოითქვა.

„მგზავრის წერილებს" ჩვეულებრივი გაგებით არ გააჩნია სიუჟეტი. მაგრამ სიუჟეტიან ნაწარმოებზე არანაკლებად იძლევა იგი ცოცხალ ხასიათებს, რაც ამ ნაწარმოებს მოავალ მოგზაურობითს თხზულებაზე მაღლა აყენებს.

ამრიგად, „მგზავრის წერილები" ყურადღებას იქცევს არა მოგზაურის შთაბეჭდილებებით, არამედ მხატვრული ასახვის ძალით.— მოგზაურის შთაბეჭდილებების საბაბით გამოთქმულ ფართო იდეალებითა და აზრებით.

ილიას მხატვრული პროზის სიუჟეტურ-კომპოზიციურ ქსოვილში საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს პეიზაჟი. პეიზაჟი მხატვრული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად აქციეს რომანტიკოსებმა, ვიდრე ეს იყო მანამდელ ლიტერატურაში. ბუნება რომანტიკოსებთან მეორე ადამიანური სამყაროა, პოეტის სულის ნაწილი, ძისი ნეგატიური, თანაზიარი; ქართველ რომანტიკოსთაგან „საღამო გამოსალმებისა", „შემოღამება მთაწმინდაზე". „ჩინარი" ამის საუკეთესო ნიმუშებია. რომანტიკოსები წარმტაცი ლანდშაფტებით გამოხატავენ თავის მაღალ მისწრაფებებს ცხოვრებაზე: ამ ტრადიციას ავითარებს ქართული კრიტიკული რეალიზმი. რომანტიკოსებზე არა ნაკლებ გვაყვარებს ბუნებას ილია. მაგრამ აღარ ამაყოფილდება ბუნების რომანტიკული ხედვით; მასთან პეიზაჟი ასრულებს იდეურ ფუნქციას იძენს. პეიზაჟი მოიცავს „მგზავრის წერილების" საკმაოდ დიდ ნაწილს და გადაქცეულია ადამიანის ცხოვრებაზე ავტორის სხვადასხვა შეხედულების გამოთქმის საშუალებად. პეიზაჟი „მგზავრის წერილების" ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია. ასეთია მასში გასხვავებით თერგი და მყინვარი. ორივე ესენი სახე-სიმბოლოა. ილია ამ თავისი ბრძოლისა და მოქმედების ფილოსოფია თერგის სახეში მოათავსა,—„თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა".

პეიზაჟს ილია ხშირად იყენებს ფართო საზოგადოებრივი იდეალების გადმოსაცემად. ილიას პროზაში პეიზაჟს არსად არა აქვს უბრალო ფონის, ლანდშაფტის მნიშვნელობა. მაგალითად, „თათრაანთ ქვრივის" ზემოთის ბუნების დეკორატიული სურათი მხოლოდ

მთაგარი გმირის სულიერ დრამაზე ამახვილებს ყურადღებას: ლოგ-
ნად ჩავარდნილ ოთარაანთ ქვრივს მკაცრი ზამთრის ღამეში აღვი-
ძებს უდროოდ გარდაცვლილი შვილის ძახილი. ეს ხდება შვილის
დაბადების დღეს; სნეული დედა ლოგინიდან დგება, იმარჯვებს ჯოხს
და ძალაგამოცლილი მილასლასებს შვილის საფლავისკენ. მწერალი
არ ივიწყებს მკაცრი ზამთრის ღამის სურათის ხატვას: „მოვიდა ხან-
თარი და მოიტანა თოვლი. სწორედ შობის ღამეს... თოვლი რომ გა-
დიღო... ყინვამ მოუჭირა: აცივდა, აყინდა..."

„კაცია-ადამიანში" ცხოვრების მთელმარე სურათის კონტრას-
ტის გასაძლიერებლად, ილია ურთავს ბუნების სურათსაც: „ეს სა-
ძაგელი სურათი საძაგელის მიწისა, სასაცილოდ ახამებდა ამ დი-
დებულ სამხრეთის ცასა, მის... ციაგსა კამარასა, რომელზედაც სარ-
ტუელსავით მიიგრიხებოდა... მთების ლაჟვარდი გრეხილი".

ილიას მხატვრულ პროზას არ ახლავს სიუჟეტურ-კომპოზიცი-
ური ზედმეტობანი: ზედმეტი და უმნიშვნელო პერსონაჟები, ეპი-
ზოდები, დიალოგები, მონოლოგები, აღწერები...

ილია ჭავჭავაძეს თავისებურად აქვს გამოყენებული ჯა-
საიდუმლოება-მოულოდნელობის მხატვრული ხერხი, რასაც ჰეტ-
ნაკლებად ყოველი პროზაიკოსი თუ დრამატურგი მიმართავს. ჭარ-
თულ პროზაში მას ფართოდ იყენებენ აკაკი და უაზბეგი. მაგ., აკაკი
იმდენს ატრიალებს ადიდებულ არაგვში ბაში-აჩუკს თავისი ცხე-
ნით, რომ ყველას დაღუპული ჰგონია იგი, მაგრამ მოულოდნელად
გამოჩნდება,—თითქოს გაცოცხლდაო. ზღაპრებიდან მომდინარე
ეს ხერხი, ზღაპრულ ეფექტსაც ქმნის. აკაკის და უაზბეგის ეს
ხერხი უმთავრესად რომანტიკული ფუნქციით აქვთ გამოყენე-
ბული; აქედანაა ძირითადად ის ემოციონალობა და რომანტიკული
წარმტაცობა, რაც აკაკის „ბაში-აჩუკს", „სამგვარ სიყვარულს", „ეშ-
მაკებს" და უაზბეგის რომანებსა და მოთხრობებს ახლავს; ასევე
ილიას „გლახის ნაამბობს". სხვა მოთხრობებში ილია უფრო ნაკლე-
ბად მიმართავს ამ ხერხს, განსაკუთრებით „ოთარაანთ ქვრივში", და
სადაც მიმართავს არა მკითხველის მოჯადოებისათვის, არამედ თვით
მოვლენის შინაგანი არსის ღრმა გახსნისათვის. მაგ., ის, რომ აბდუ-
შაჰილს მარცხენა ფეხზე ექვსი თითი აღმოაჩნდა, მოვლენის არსზე
ბევრს არაფერს გვეუბნება. მაგრამ შვილის ცხედართან მყოფ
ოთარაანთ ქვრივის ოთახში, კუთხეში მიმალული სოსია მეწისქვილე
ხმამაღლა ატირებამ რომ გაამჟღავნა, ეს მეორე მოთხრობას უდრის.
მოულოდნელობა-გასაიდუმლების მხატვრულ ხერხს ილია, როგორც
წესი, ეპიკურ ტონში იყენებს.

ილიას დამოუკიდებელი მხატვრული თვალსაზრისი მჟღავნდება მისი მოთხრობების დასაწყისისა და დამთავრების თავისებურებაშიც. ილია მოთხრობებს მარტივად იწყებს, არ ესწრაფვის ორიგინალობას, თუმცა შედეგი ყოველთვის საგულისხმოა. ილია ისე იწყებს მოთხრობებს, როგორც შემთხვევით რაიმე თემაზე საუბრის წამოწყებასაც შეიძლება მოჰყვეს: „დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც მე წინა-ღამეს ჩამოვხტი...“—ასე იწყება „მგზავრის წერილები“. „ოთარაანთ ქვრივის“ დასაწყისის თავისებურება ის არის, რომ ავტორი პირველ ფრაზაშივე ამახვილებს ყურადღებას მოთხრობის მთავარ გმირზე, რაც სათაურშიაც ჩანს: „იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი“.

მოთხრობის დასაწყისის თავისებურებასთან დაკავშირებულია სიუჟეტის საწყისის თავისებურების საკითხიც. საგულისხმოა, რომ ილიასთან სიუჟეტის განვითარების დასაწყისშივეა გამოკვეთილი მთავარი იდეა. მაგ., „მგზავრის წერილების“ დასაწყისშივე ირკვევა ნაწარმოების მთავარი იდეა—ეროვნული თავისუფლების აზრი. ასევე „კაცია-ადამიანის“ დასაწყისშივე ვეცნობით ბატონყმური წყობილების დრომოჭმულობის იდეას. „გლახის ნაამბობის“ პირველი სტრიქონებიდანვე ვგებულობთ, რომ ცხოვრებაში უსამართლობა სუფევდა. „ოთარაანთ ქვრივის“ პროლოგშივე ელინდება ყოველგვარი ჩაგვრისა და მლიქვნელობისადმი შეურიგებლობის აზრი. მართო მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ვეცნობით მთავარ იდეას სიუჟეტის განვითარების კულმინაციურ ნაწილში.

ძირითადად ერთი ტიპისაა ილიას მოთხრობების დაბოლოებანიც, მაგრამ დასაწყისთან შედარებით მნიშვნელოვან თავისებურებათა შემცველი: მოთხრობებს ილია რაიმე დამაფიქრებელი, ცხოვრების რომელიმე მოვლენისადმი თავისი დამოკიდებულების მანიშნებელი აზრით ამთავრებს: „მიგისვლი, ჩემო მოხევეე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი...“ ასეთი დაბოლოებით მწერალი თითქოს მეორე ახალ მოთხრობას ბადებს მკითხველის შემეცნებაში,—ცხოვრებაში სამოქმედოდ იწვევს მკითხველს.

„მე მიყივლია და გათენდება თუ არა,—ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არ ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდისაც იქნებოდა!“—წერს ილია „კაცია-ადამიანის“ ბოლოს. ცხადია, ასეთი დაბოლოებით ხაზი ესმება ნაწარმოების მთავარ მიზანდასახულობას.

ეპოქის ცხოვრების მოუწყობლობაზე და უსამართლობაზე ღრმაფიქრებლად გაისმის „ოთარაანთ ქვრივის“ დასასრულში მწერლის სიტყვები სოსია მეწისქვილის ამონაკვნესის საპასუხოდ ნათქვამი: „მართლა, რომ ცოდოა!... მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო? ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“. ასეთ შემაჯამებელ დასკვნებს ზოგი მწერალი სულ არ მიმართავს; ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს ილიას მხატვრული პროზის მონუმენტურობაში, ხატვას მაღალ ხელოვნებაში?! მაგრამ ხომ იშვიათი გამონაკლისია ისეთი მოღვაწე, როგორიც ილია იყო, რომელიც თანაბრად ძლიერი მხატვარიც და პუბლიცისტიც იყო; გასაგებია თუ ილიას მოთხრობები ბოლოვდება მახვილი პუბლიცისტური სენტენციებით, სადაც მკვეთრად ჩანს ავტორის პოზიცია.

ილიას მხატვრული პროზის სიუჟეტი და კომპოზიცია სიცოცხლისუნარიანი სიახლით ხასიათდება, რითაც ცხოველმყოფელ ვაკლენას ახდენს ქართული მხატვრული პროზის მთელ შემდგომ განვითარებაზე,—მიგვითითებს ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებულ აღგილზე ქართული მხატვრული პროზის ისტორიაში.

4. ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის ჟანრობრივი თავისებურებანი

მხატვრული პროზის ჟანრობრივი ფორმებიდან რომანი არ შეუქმნია ილია ჭავჭავაძეს; მხატვრულ პროზაში ილია მოთხრობასა და მხატვრულ ნარკვევს მიმართავს.

ქართული რეალისტური მოთხრობის შექმნაში ილიას ღირსების თაობას ყამირი ნიადაგი არ დახვედრიათ. მათ წინ უსწრებს ქართული ხალხური ზღაპარი, სასულიერო მოთხრობა-ამბავი, სულხან ორბელიანის იგავ-არაკული ჟანრის კლასიკური პროზა; რა თქმა უნდა, ქ მნიშვნელოვანი ფაქტორია დასავლეთ ევროპისა და რუსეთის რეალისტური მოთხრობის ტრადიციებიც.

თვით ცნება „მოთხრობა“ ქართულ პროზაში ერთბაშად არ გაჩენილა. ივანე ჯავახიშვილის ცნობით ტერმინი „თხრობა“ პირველად ბასილის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (X) გვხვდება, ხოლო ეფრემ მცირესთან (XI საუკუნე)—„მოთხრობა“. რაც სამწერლიერო ამბის აღწერა-გადმოცემას გულისხმობდა[150].

---

[150] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო წერლობა. 1945, გვ. 58.

ძველ ქართულ მწერლობაში „თხრობა", „მოთხრობა", „ამბავი" და მისთ. ძირითადად შეთხზული ან ნამდვილი ამბის გადმოცემას ნიშნავდა. განსაკუთრებით „მოთხრობა" სდებოდა ლიტერატურის სწორედ იმ ჟანრის აღმნიშვნელ ტერმინად, რასაც დღეს მოთხრობა ეწოდება. საგულისხმოა, რომ საბას თავის ლექსიკონში მოხსენებული აქვს „მოთხრობათა მწერალი— რაც ესმას აღუწერდეს". მხატვრული მოთხრობის აღმნიშვნელი ტერმინი ნათლად არ ჩანს XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მაგ., 1819 წლის „საქართველოს კავზეთში" (№№12, 13, 19) გვაქვს „მოთხრობა ქალის მარიამისა", ხოლო მე-14 ნომერში იმავე ნაწარმოების სათაური ასეა წარმოდგენილი: „კვლავ ამბავი მარიამისა". ასე რომ, აქ გაიგივებულია „მოთხრობა" და „ამბავი". იმავე წელს აღნიშნულ გაზეთში გამოქვეყნებულია აგრეთვე: „მოხუცებული—მოთხრობა თხზულებათაგან პალოლე ბოუნისათა" (№№ 21, 23). იქვე დაბეჭდილია ანეკდოტისებრი ნაწარმოები, რომლებსაც სათაურად აქვს „მოთხრობა" (№ 26) და სხვ.

1832 წლის „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათაში" (№ I-ში) დაბეჭდილია გ. ერისთავის პოემა, რომელსაც სათაურად აქვს „ოსური მოთხრობა". რევაზ ერისთავის ქოსლოვის „შეშლილის" თარგმანს ჟურნ. „ცისკარში" (1860, № 10) აწერია „რუსული მოთხრობა". ასე რომ, ლექსად დაწერილი ნაწარმოებებიც (პოემები) და მოთხრობად მისაჩნევი ნაწარმოებებიც „მოთხრობად" იხსენიებოდა. მაგ., ჟურნ. „ცისკარში" (1852, № 5) დაბეჭდილია „ქაჯი" და მარლინსკის „ამალათ ბეგი" (№ 7), რომელთაც მოთხრობები ეწოდება. ამის გარდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში გამოყენებულია ტერმინი „ნამდვილი მოთხრობა", რომელიც განსაკუთრებით მაშინ ისმარებოდა, როცა სურდათ მიეთითებინათ, რომ მოთხრობა ნამდვილად მომხდარ ამბავზეა აგებული. მაგ., „ნამდვილ მოთხრობად" იწოდება ჟურნ. „ცისკარში" „ავაზაკი ხოზე" (1863, № 10), აკაკის „ეშმაკები" (1868, № 7) და სხვ. ამავე დროს, დღეს მოთხრობებად მიჩნეული ჩვენ კლასიკოსთა ნაწარმოებები იბეჭდებოდა ისეც, რომ არც „მოთხრობა" ეწერა მათ, არც „ამბავი" და არც „ნამდვილი მოთხრობა".

XIX საუკუნეში, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, ტერმინოლოგია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ნაკლებ გარკვეული იყო. 60-იანი წლებიდან თუმც ქართულ ენაზე არ შექმნილა ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოები, იმ ხანიდან ქართველი მოღვაწეები კარგად იცნობენ ლიტერატურათმცოდნეობისა და ესთე-

ტიკის საკითხებს. მაგ., ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ ნაწილი და „კაცია-ადამიანი?!“ დაიბეჭდა 1863 წლის „საქართველოს მოამბეში“, და ისინი არავითარი ტერმინით არაა აღნიშნული, „მოთხრობაა“ თუ სხვა რამ. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ამოვიკითხოთ, თუ როგორ ესმოდა ილიას რეალისტური მოთხრობა. საკმარისია მივუთითოთ „კაცია-ადამიანზე“; მასში სხვადასხვა ადგილას ვკითხულობთ: „ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა“. სხვა ადგილას ილია წერს, რომ მის მოთხრობაში არაა ის „რაც ამშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა“; იქვე ამბობს ავტორი „მკითხველის გასართველად არ ვწერ ამ უხეირო მოთხრობასა“. მოთხრობის ბოლოს ილია წერს: „ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე თუ გინდა მთქმელი ვიქნები“.

ილიას ზემომოტანილი სიტყვები იმის მაჩვენებელია, რომ მოთხრობის ფუნქცია ძირითადად არ განსხვავდება მხატვრული ლიტერატურის სხვა ჟანრის ფუნქციისაგან; რომ ილიას მოთხრობის დანიშნულებად ცხოვრების სიმართლის ტიპიურად თქმა მიაჩნდა.

„გლახის ნაამბობის“ ერთგვარი ჟანრობრივი თავისებურება ის არის, რომ მწერალმა თხრობა მასში იმ გმირს გადასცა, რომელიც მის მისწრაფებებს გამოხატავს.

„კაცია-ადამიანის“ ძირითადი ჟანრობრივი თავისებურებაა მისი სატირულობა: ხასიათები, მოქმედება, ლაპარაკი, გემოვნება, გმირთა სამოქმედო გარემო — ჰიპერბოლიზებულ დამცინავ პათოსს ექვემდებარება.

ჟანრობრივად მეტ ინტერესს იწვევს „მგზავრის წერილები“; როგორც სათაურიდანაც ჩანს, ეს ნაწარმოები გარეგნულად მოგზაურობითი ჟანრის ნაწარმოებად წარმოგვიდგება. მაგრამ, როგორც ეს წინა თავშიც აღვნიშნეთ, „მგზავრის წერილებში“ იმდენად დასრულებული ხასიათებია მოცემული ოფიცრისა და მოხევის სახით, თვით მწერალი ისე ნათლად მოჩანს, როგორც ლირიკულად გახსნილი, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის დასრულებული ხასიათი, რომ ილიას ეს ნაწარმოები არ შეიძლება მიეკუთვნოს ჩვეულებრივ მოგზაურობით ჟანრს.

ილიას „მგზავრის წერილები“ მოგზაურობაა იმდენად, რამდენადაც მოგზაურობას ეხება, მაგრამ მოგზაურობის ფარგლებს ცილდება თავისი მიზანდასახულებითა და აგებულებით. ამ ნაწარმოებით მწერალს სრულიადაც არ აქვს მიზნად თავისი მოგზაურობის ლირსშესანიშნაობანი და განცდები აგვიწეროს, როგორც ეს ერთი შეხედ-

ვით შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს. იგი ჩვეულებრივი მხატვრული ნაწარმოებია მოგზაურობის ფორმით მოცემული, რომელიც ფაბულიანი ნაწარმოებისაგან უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ ერთ გარკვეულ ფაბულაზე არაა დამყარებული, არ გააჩნია მკვეთრად გამოხატული სიუჟეტური კომპონენტები. აქ სიუჟეტი არაა გამოყენებული ხასიათის გახსნის საშუალებად, მაგრამ ეს მონაცემიც არის მასში, რამდენადაც ორი დასრულებული ხასიათი არის გამოყვეთილი მასში. — მესამე თვით მწერლის სახეა.

სიუჟეტური და არასიუჟეტური მონაცემები, ნამდვილად მომხდარი ამბების მხატვრულ ხარისხში აყვანა და მაღალი პოეტური ლირიკული გრადაციები „მგზავრის წერილებს" კლასიკური მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ნ ა რ კ ვ ე ვ ი ს ტიპის ნაწარმოებად წარმოგვიდგენს.

ჩვეულებრივი მხატვრული ნაწარმოები მხატვრულ გამონაგონს ემყარება. მხატვრულ ნარკვევში მხატვრულ გამონაგონს შედარებით ნაკლები ადგილი უკავია, მაგრამ ისიც არის, რომ მხატვრული გამონაგონის გარეშე მხატვრული ნარკვევი მშრალ საგაზეთო ფელეტონად იქცევა. მხატვრულ ნარკვევში ცხოვრების გმირმა თავისი თავიც უნდა იცნოს და ცოტა მასზე მეტიც,—ცოცხალი ხასიათი ფართო მნიშვნელობით: მხატვრული წარმოსახვა რომ არ ჰქონდეს ნარკვევის შემქმნელს, მაშინ ნარკვევი მხატვრული ნაწარმოები არ იქნებოდა. ამ მხრივ ილია ჭავჭავაძე საკმაო თავისუფლებას აძლევს თავს უთუოდ სადმე ნამდვილად შეხვედრილი „იამშჩიკის", გუშაგისა და ოფიცრის დახატვაში, რომელთა ნამდვილ ვინაობას იგი არ გვისახელებს; აქ დიდი ადგილი უკავია მხატვრულ გამონაგონს. გაიბოტნელი ლელთ ღუნია მწერალს შეიძლება ნამდვილი მისამართითაც ჰყავდეს დასახელებული, მაგრამ არანატერალისტურად გადაღებული.

XIX საუკუნე ქართული მხატვრული პროზისათვის მოთხრობის საუკუნე იყო: ილია ჭავჭავაძე, როგორც ბელეტრისტი, ჟანრსაც და ტერმინსაც „მოთხრობა" ამკვიდრებს. ეს ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ალ. ყაზბეგმა თავის რომანებს მოთხრობები უწოდა; მოთხრობებად ცვნეს ისინი კიტა აბაშიძემ და ალ. ხახანაშვილმა.

გარკვეულ ჟანრობრივ თავისებურებას შეიცავს „ოთარაანთ ქვრივი". მის სიუჟეტურ-კომპოზიციურ კონსტრუქციას განსაკუთრებულ ფორმას აძლევს მრავალსათაურიანობა, რაც ნაწარმოების საერთო მიზანდასახულებას უპასუხებს. თითოეული სათაური ისეთი იდეურ-თემატიკური სიმახვილითაა აღბეჭდილი, რომ ნაწარმოების

შემეცნებითი მნიშვნელობა ამით საგრძნობლად იზრდება[151]. ვფიქრობთ, რომ წარმოვიდგინოთ ეს მოთხრობა ამ სათაურების გარეშე, მისი მხატვრული ღირებულება რაღაცით საგრძნობლად შემცირდებოდა. მრავალსართულიანობის ტრადიცია ქართული ლიტერატურისათვის უცხო არაა, მაგრამ „ოთარაანთ ქვრივში“ იგი ახალ ასპექტშია მოცემული. სათაურებში ხაზგასმულია მწერლის იდეური მიზანდასახულობა,—ასეთია სათაურები: „რას მიქვიან ტკბილი ტყვა?!“, „ორი თვალი“, „ჩატეხილი ხიდი“, „დასაწყისი განთიადისა“... ქართულმა მხატვრულმა პროზამ ჯერჯერობით ვერ მოგვცა ამ მნიშვნელოვანი ტრადიციის გაცოცხლების ცდა.

„ოთარაანთ ქვრივი“ გვიჩვენებს თუ რამდენად ტევადია ამ მოთხრობის ჟანრი რომანთან ერთად, რამდენად გრანდიოზული ეპოქალური მნიშვნელობის სოციალ-პოლიტიკური პრობლემები და ცხოვრების მრავალმხრივი მღინარება შეიძლება აისახოს მოთხრობაში კლასიკური მონუმენტურობით.

ის იდეურ-თემატიკური და სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურებანი, რაც ილიას ყოველ მოთხრობას გააჩნია, იმის მაჩვენებელია, რომ „გლახის ნაამბობიდან“ „ოთარაანთ ქვრივამდე“ ილიამ შემოქმედებითი აღმავლობისა და განვითარების დიდი გზა განვლო. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს „ოთარაანთ ქვრივში“ მოჩანდეს მხოლოდ „დასრულებული“ სტილისა და „ჩამოყალიბებული“ პოეტური ხედვის მწერალი, ხოლო ამ მხრივ რაიმე აკლდეს „კაცია-ადამიანსა“ და „მგზავრის წერილებს“, როგორც უფრო აღრინდელ ნაწარმოებებს.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის ნიმუშები იდეურ-თემატიკურად სოციალურ პროზის ნიმუშებია, ვგულისხმობთ რა სოციალური მოტივების კატეგორიაში ეროვნულ მოტივსაც; მისი მხატვრული პროზის მთავარ ჟანრობრივ ფორმად სოციალური მოთხრობა უნდა მივიჩნიოთ; კიდევ მეტი, ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული სოციალური მოთხრობის ფაქტიური დამფუძნებელია; ილია ჭავჭავაძე გვევლინება მხატვრული ნარკვევის ჟანრობრივი ფორმის დამკვიდრებლადაც ქართული მხატვრული პროზის ისტორიაში.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მწერალი, ღრმად წვდებოდა თავისი ეპოქის სულსა და გულს.

ილია ჭავჭავაძე არის ახალი ქართული მხატვრული პროზის დიდი დამფუძნებელი; მისგან იწყება ქართული მხატვრული პროზის ტრადიციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაკადი; მასზედ იზრდებოდნენ მწერალთა თაობები; ეს ტრადიციები მრავალმხრივ საგულისხმო მნიშვნელობას ინარჩუნებს ჩვენს ეპოქაშიც.

---

[151] მ. ხელოვნებაშვილი ხედავდა თვლიდა „ოთარაანთ ქვრივში“ თავების სათაურებს.

V. ილიას სატირა

„განა ყველა სიცილი საგანია
ხელოვნებისა!“

ილია

ქართული სატირის ყველაზე სანიმუშო ტრადიციებიდან, საბას შემდეგ, უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ილია ჭავჭავაძე. თუმცა სატირული ხასიათი არ ჰქონია მთელ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას: ამ მხრივ ილიამ ისეთივე როლი შეასრულა საქართველოში, როგორც გოგოლმა თუ შჩედრინმა რუსეთში.

კულტურულ კაცობრიობასთან ერთად იბადება ხელოვნება და ლიტერატურა, რასაც თან ახლავს სატირა და ჰუმორი. სატირა მიზნად ისახავს შეცვალოს ან მოსპოს იგი, რაც რეგრესულია. ამიტომ სატირა მთელი ძალით გვევლინება ე. წ. „გარდატეხის ეპოქებში“. იგი შემართული მახვილია ერთმანეთისადმი მტრულად დარაზმული ბანაკებისათვის. სატირას ყოველთვის აქვს ასპარეზი, რადგან ყოველთვის იბადება ახალი და რაღაც ძველდება. მეტად თუ ნაკლებად, ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის იყო, არის და იქნება ბრძოლა ძველსა და ახალს შორის; ეს განვითარების კანონია. ამიტომ სატირასაც ექნება თავისი სამოქმედო ასპარეზი, როგორც მოძველებულისადმი ბრძოლის დაპირისპირების მახვილ საშუალებას.

სატირის განუყრელი თანამგზავრია ჰუმორიც, რადგან ორივე სიცილს,—სიცილის ძალას ემყარება. ყოველთვის, მრისხანე სატირული სიცილის შემთხვევაშიც იქნება ისეთი რამ, რაზედაც ხელოვანი მშვიდად, „ლმობიერად“ გაიღიმებს იმისადმიც, რისადმიც შინაგანად შეურიგებელია; სატირაში ჰუმორული საბოლოო ჯამში სატირულ პათოსს ექვემდებარება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატირად არ შეიძლება მივიჩნიოთ ყოველგვარი უარყოფითი დახასიათება,—უარყოფითი ტიპების დახატვა; ეს არასატირული გზითაც ხორციელდება. სხვა მაგალითებს რომ არ მივმართოთ, ილია უარყოფით პერსონაჟებს გვაძლევს არასატირული ნაწარმოებებითაც („გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“...). სატირაში მთავარია მძაფრი დაცინვა; უმისოდ ეს იქნება ჰაერი უჰაეროდ; საქმე ის არის თუ რას დასცინი, რა ძალით, რა მიზნით, რა იდეური პოზიციებიდან: ცილისწამება ან უაზრო ბალაგა-

ნური სიცილი შეცოქმედება არაა; იგი არც სატირაა, არც ჰუმორი. ჰეშმარიტი სატირა უეჭველად ულმობელია, მაგრამ ეს მაშინ, თუ დაცინვის ობიექტი ნამდვილად იმსახურებს ამას: «Если смеяться, так уж лучше смеяться сильно и над тем, что действительно достойно осмеяния всеобщего»,—წერს გოგოლი[158].

თუ მწერალი შედარებით „წვრილმანი ნაკლოვანებებით" და მსუბუქი დაცინვით იფარგლება, მიიღებს მსუბუქ, მხიარულ თხზულებას,—საქმე გვექნება ჰუმორთან. ამდენად, ერთმანეთისაგან ვა და გავარჩიოთ ჰეშმარიტი სატირა და ჰუმორი. სიცილის პათოსის ძალით შეუძლებელია ერთი კატეგორიის ნაწარმოებებად მივიჩნიოთ, თავისი კომედიურობის მიუხედავათ, ვთქვათ, მოლიერის „ტარტიუფი" და „პრანჭია ქალები". პირველი სატირას ემყარება, ხოლო მეორე ჰუმორს, თუმცა „ტარტიუფი" არ არის მოლებული ჰუმორს და „პრანჭია ქალები" სატირას. ეს იმას ნიშნავს, რომ სატირას მოქმედების თავისი სფერო აქვს და ჰუმორს თავისი, თუმცა მათ შორის არც გაუვალი ზღვარია. ჰუმორისტული ნაწარმოები ადამიანის შედარებით „წვრილმან", მეორეხარისხოვან ნაკლოვანებებს დასცინის, რაც ღირს დაცინვად, მაგრამ ადამიანთა საზოგადოების, ან ადამიანის მომაკვდინებელ ნაკლს არ წარმოადგენს. ამდენად დიდია ჰუმორისტული ნაწარმოების სოციალური ფუნქცია, რადგან საზოგადოებას თავისი გაჯანსაღებისათვის ესაჭიროება „წვრილმან ნაკლოვანებათა" დაცინვაც,—„მხიარული სიცილი", რა მელიც, ცხადია, მარტო დაცინებას არ ისახავს მიზნად. სულ სხვაა სატირულ ნაწარმოებთა დანიშნულება: სატირაც სიცილია, მაგრამ მრისხანე, ულმობელი სიცილია. მის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოების წინსვლის მეტად შემაფერხებელი მოვლენები, კლასები, პარტიები, ჯგუფები და ცალკეული ადამიანები, რომელნიც იოლად არ თმობენ თავის დრომოჭმულ პოზიციებს და გადამწყვეტ შეტევას საჭიროებენ ადამიანთა საზოგადოების პროგრესული ძალების საკეთილდღეოდ.

სატირა, ისე როგორც ჰუმორი, სინამდვილის მხატვრული შემეცნების სპეციფიკური გზაა; მათი საფუძველი ცხოვრების სასაცილო ფენომენია —კონტრასტი ფორმასა და შინაარსს შორის—სავნის მეტი თუ ნაკლები შეუფერებლობა თავისი დანიშნულებისადმი; როცა ეს კონტრასტი ზენიტშია, მაშინ თავს იჩენს სატირა და არა ჰუმორი. ამ დროს ჰუმორისადმი მიმართვა, ჩიტებზე სანადირო თოფით ლომებზე და აფთრებზე ნადირობას ემსგავსებოდა: ერთი და

---

[158] Н. В. Гоголь о литературе, Гослитиздат, М., 1952, გვ. 229.

იგივე მოვლენა ხელოვნებაში არ შეიძლება სატირის ობიექტიც იყოს და ჰუმორისაც; ჰუმორი საზოგადოების შედარებით ნაკლებ მტკივნეულ მოვლენებს დასცინის, ან ახალ ძალებს ახალისებს, საამო სიცილის ატმოსფეროს ქმნის.

სატირა მწვავე დაცინვითი ტიპიზაციის სპეციფიკურ საშუალებებს ემყარება--ირონიას, სარკაზმს, გროტესკს, კარიკატურას... მისთვის ხიბლახდობლივი განსაკუთრებული სიმკვეთრით აშიშვლებს სოციალურ კონფლიქტებს; სპეციფიკურია მისი ზემოქმედების ფუნქციაც: გაცინებს და კიდეც გაზიზღებს. ჰუმორის მთავარი მიზანი ჯანსაღი გამხიარულება და გართობაა, მაშინ როცა სატირის სიცილში მთავარია ეთიკურ-დიდაქტიკური და პოლიტიკური მომენტი.

1. ილიას სატირის გენეზისი

ქართული სატირა და ჰუმორი თავის საზოგადოებრივ მამხილებელ ძალას უმთავრესად აღორძინების ხანიდან იწყებს. ფეოდალური ურთიერთობის სატირული მხილება სულხან-საბა ორბელიანიდან მოდის. მეტად ძლიერია ი. ბაგრატიონის „ხუმარსწავლის“ სატირაც. რად ღირს მარტო ობიექტურად მთელი წიგნის ანტიფეოდალური ტენდენციის გამომხატველი ირონიული წამოძახილი: „ო, ჩემს თავს! ამ ქვეყანაში პირუტყვთ უფრო პატივი ჰსდებიათ პირმეტყველზედ“. ფეოდალური წყობილების აშკარა მხილების მიუხედავად, სულხან ორბელიანის და შემდეგ ი. ბაგრატიონის სატირულ პათოსს ერთგვარად არბილებს არსებული ურთიერთობის ხელუხლებლობის აზრიდან გამომდინარე დიდაქტიკა. სოციალური დაქვეითების დანაშაულის მთელი სიმძიმე, მაგ., იოანე ბაგრატიონს გადატანილი აქვს არა სახელმწიფოებრივ სისტემაზე, არამედ ზნეობრივ მომენტზე— მოხელეების სიცუდეზე: „სულ ცუდის მოხელეებისაგან არის ქვეყანა ნაკლულოვანებაში“.

გ. ერისთავი, მოლაყბე-თუმანიშვილი და მოლაყბე-არდაზიანი საგრძნობლად დასცინიან თავადაზნაურობას, ჩარჩ-ვაჭრებს, მექრთამე მოხელეებსა და ქარაფშუტულ ბიუროკრატიულ ინტელიგენციას. მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე გ. ერისთავისა და მოლაყბე-თუმანიშვილის სატირას. მაგრამ ახალი ქართული სატირა ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით 60-იან წლებში იქმნება; წინამორბედებმა მისი ჩამოყალიბება მოამზადეს მხოლოდ. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და გიორგი წერეთელმა ქართული სატირის საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა შეიძლებითად აითვისეს და სრულიად ახალი ყაიდის სატირა დაამკვიდრეს; პირველ ყოვლისა

ეს ეხება ილიას. როცა ქართული სატირის ისტორიულ განვითარებაზე ვლაპარაკობთ, ამ მომენტის დავიწყება შეცდომაა. ილიას ნოვატორობა არ არის ბატონყმობის, ჩარჩ-ვაჭრების თუ ბიუროკრატიულ მოხელეთა დამნდობი დაცინვა. რომ არაფერი ვთქვათ იონე ბაგრატიონზე, ეს როლი საკმაოდ დიდი შემოქმედებითი ტაქტით შეასრულეს გ. ერისთავმა, ზ. ანტონოვმა, მოლაყბე-თუმანიშვილმა, მოლაყბე-არდაზიანმა; ილიას წინამორბედთა დამსახურებაში შედის საზოგადოებრივი უხამსობის სასაცილოდ ქცევა.

ილიამაც განსაკუთრებით სატირული ნაწარმოებებით ამცნო ქვეყანას ახალი ტიპის რეალიზმის—კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება—განმტკიცება ქართულ ლიტერატურაში.

ქართველი სამოციანელები არ შეჩერდნენ ე. წ. „ადრინდელი“ თუ „ნაადრევი რეალიზმისა“ და მისი სატირის საფეხურზე, არამედ რეალიზმი და თვით სატირა გაღრმავეს და გააფართოვეს. ყოველივე ეს სინამდვილეში, ცხოვრებაში „მთელი ფრონტით“ შეჭრასა და კრიტიკის ცეცხლის გაძლიერება-გამახვილებაში, პოლიტიკურ გამიზნულებაში გამოვლინდა მთელი სისრულით. ეს იყო კრიტიკა მრავალმხრივი, სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ხალხური ამბოხების გამომხატველი: იგი ასეთი გახდა უწინარეს ყოვლისა იმ კოლონიური და კლასობრივი ჩაგვრის გამწვავების შედეგად, რითაც, კერძოდ, ქართველი ერის ცხოვრება ხასიათდებოდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან.

მხატვრული მეთოდის მეტად მნიშვნელოვანი სიახლე—კრიტიკული რეალიზმი, მომაკვდავი ყოფის გამოხატვის მაღალი ოსტატობა, იდეურობა წარმართავს ილიას სატირული ტიპიზაციის ჯანსაღ ორიგინალობასა და ნოვატორობას.

ი. ბაგრატიონს, გ. ერისთავს, ზ. ანტონოვს, მოლაყბე-თუმანიშვილს, მოლაყბე-არდაზიანს, ჰონქაძეს ძირითადად ზნეობრივ-ეთიკური, ადამიანთა ცალკეული ნაკლოვანებები ჰქონდათ მიზანში ამოღებული თავისი სატირით, და ამაზე შორს ისინი ვერ წავიდნენ ვერც სუბიექტურად, ვერც ობიექტურად. ილია ჭავჭავაძე კი ამავე დროს პოლიტიკურ მომენტს, უშუალოდ ბატონყმურ-თვითმპყრობელურ სისტემას უმიზნებს ყველა კონკრეტული მაგალითით, სუბიექტურადაც და ობიექტურადაც. აქ ძირითადად სატირის განვითარების ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საფეხურზეა ლაპარაკი: რუსეთში გოგოლამდელი, ხოლო საქართველოში ილიამდელი სატირა თავისი პათოსით სახელმწიფოებრივ სისტემას არსებითად ურიგდება, ხოლო, ილიას სატირა (ისე როგორც მაგალითად შჩედრინისა) გამო-

ხატვის ფორმითაც და პოლიტიკური ტენდენციითაც არსებული წყობის აბსოლუტურ განადგურებას ისახავს მიზნად.

მნიშვნელოვანია ერისთავის სატირა, ასევე „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ და „ტფილისის ტროტუარებზე მოგზაურობის“ ავტორისა: დიდი სატირიკოსია აკაკი წერეთელი: მეტად მნიშვნელოვანია გ. წერეთლის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. მაკრამ ილიას სიცილის ძალა და დიაპაზონი გაცილებით დიდია; მისთვის ნიშანდობლივია პოლიტიკური გამიზნულობა, რაც გამოხატვის მაღალ ხელოვნებას ემყარება. უეჭველად მართალი იყო კიტა აბაშიძე. რომელიც წერდა: „ილია ჭავჭავაძის სატირას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში, რადგან საზოგადო ხასიათისაა, მთლად მთელის ერის ძირითად ნაკლულევანებათ ეხება... ასეთი ღრმა სიძულვილი ქართველი ერის ნაკლულევანებებისა... არც ერთს ჩვენს მწერალს არ გადმოუნთხევია“. ილია მიმართავს „სატირას, რომელიც დაუნდობლადა ჰკიცხავს და მიწასთან ასწორებს ყოველს, რომელსაც დაუმახინჯებია და შეურცხვენია წმინდა სახელი ადამიანისა“[150].

ილია იმ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როცა ქართული ლიტერატურის ისტორიას თან ახლდა ახალი ტიპის მწერლების გამოსვლა და მწერლის დანიშნულების სრულიად ახალი გაგების დამკვიდრება. ამ ახალი გაგების მიხედვით მწერალს მოეთხოვებოდა მაღალი პოლიტიკური შეგნება. არ კმარა ტალანტი და სტიქიური, ე. წ. ობიექტური მიგნება, შემოქმედი ამავე დროს უნდა ერკვეოდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარების კანონზომიერებაში, ეპოქის მოწინავე თვალსაზრისზე უნდა იდგეს და აქტიურად უნდა ერეოდეს ეპოქის სინამდვილეში; მარტო ტალანტი საკმარისი არაა. დღესაც. სუბიექტური ესთეტიკის „შეგნებულ“ თუ შეუგნებელ მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ მწერალი დიდ შედეგს აღწევს არა მსოფლმხედველობრივი გარკვეულობით, არამედ აბსტრაქტული გულწრფელობით, ინტუიციით, „უშუალო განცდებით“, ინსტინქტებით. დიდად ჩამორჩებოდა ეპოქის მოთხოვნილებებს გოგოლის მსოფლმხედველობა; ამის მიზეზი იყო მისი დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების შედარებით დაბალი დონე. თავისი პოლიტიკური რწმენით გოგოლი არსებული ფეოდალურ-თვითმპყრობელური სისტემის შეურყევლობის პრინციპიდან ამოდიოდა. იგი სიმახინჯეთა გასწორებას ისახავდა მიზნად, თუმცა თავისი მძლავრი სატირული პათოსით

[150] კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, გვ. 176, 231.

ობიექტურად გაბატონებული სისტემის დამანგრეველად გვევლინებოდა. ამით აიხსნება, რომ „რუსული სიცილის მეფე" გოგოლი აპტაცების ნაცვლად სასოწარკვეთილებას მიეცა, როცა გაიგო რომ „რევიზორი" და „მკვდარი სულები" არ მოეწონა იმპერატორს! გოგოლი ამის გამო ძლიერ ნერვიულობდა, რადგან დაკანონებული ურთიერთობის დაცინვა სულაც არ იყო მისი მიზანი, არ შედიოდა მის განზრახვაში: „რევიზორი იყო პირველი ჩემი ნაწარმოები, საზოგადოებაზე კეთილი გავლენის მოსახდენად ჩაფიქრებული, რაც, თუმცაღა, არ გამომივიდა: კომედიაში საგანთა დაკანონებული წესრიგის და მთავრობის ფორმის დაცინვის სურვილს ხედავდნენ. მაშინ როცა ჩემი განზრახვა იყო სასაცილოდ ამეგდო მხოლოდ ზოგიერთ პირთა მიერ გადაბერვება ბუნებრივი და დაკანონებული წესრიგისაგან"[154].—წერდა გოგოლი; ეს ბოდიშს ჰგავს.

ილიას და გოგოლის თვალსაზრისი ამ მხრივ არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა მხატვრულ პრაქტიკაში ორივეენი მთელ სახელმწიფოებრივ სისტემას ჰკიცხავენ. თუ გოგოლს „ზოგიერთი პირები" ჰყავდა მხედველობაში, ილიას პირიქით: „ეს კარგად იცოდნენ, ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჰირზედა ვწერთ".—წერდა ილია „კაცია-ადამიანის" წინასიტყვაობაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამით გოგოლის დამსახურება მცირდებოდეს: მას ფეოდალურ-თვითმპყრობელური სისტემა სახელმწიფოებრივი წყობილების იდეალად მიაჩნდა, მაგრამ ამ თავისი სუბიექტური განზრახვის მიუხედავად, გენიალური სატირის ცეცხლით მან ობიექტურად უფრო დიდი როლი შეასრულა რუსეთის ფეოდალურ-თვითმპყრობელური სისტემის სატირული დისკრედიტაციის საქმეში, ვიდრე თითქმის მთელმა რუსულმა მწერლობამ გოგოლამდე: ეს შესძლო სატირიკოსმა გოგოლმა, რადგან ასეთი მწერლები იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენენ.

ეყრდნობა რა სატირის თვალსაჩინო მონაპოვრებს, და მათ შორის გოგოლის სატირულ ტრადიციებს, ილია წინ მიდის, იგი შეგნებულად გვევლინება იმის ულმობელ მტრად, რასაც გოგოლი გაუცნობიერებლად ანგრევდა. გოგოლი ხასიათდებოდა „ცრემლმორეული სიცილით"; ილია აღჭურვილი იყო მებრძოლი ოპტიმიზმით. ილია რევოლუციურ-დემოკრატიული გამიზნულობით ესხმოდა თავს თვითმპყრობელურ-კაპიტალისტურ სისტემას. ილია განსაკუთრებული ინტერესით და გულისყურით ეკიდება გოგოლის სატირას, მაგ-

[154] Н. В. Гоголь в русской критике, М., 1953, გვ. 571 — 572.

რამ სოციალურ-პოლიტიკური გამიზნულობით, მიზანდასახულობით ილია მარცხნივ, დამოუკიდებელი გზით მიდის.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისის რუსეთზე დობროლუბოვი წერდა:

Не льстивый бард. не громкий лирик,
Не оды сладеньких певцов.
А вдохновенный злой сатирик —
Паток правдивых горьких слов —
Нужны России.

სწორედ ასეთი „ავი სატირის", „მწარე სიტყვათა ნიაღვრის" დიღი შემოქმედი ესაჭიროებოდა ქართველ ხალხს და მოევლინა კიდეც ილიას, აკაკის და მათი თაობის სახით.

კრიტიკული რეალიზმის აღმოცენებამდე ქართულ სატირას ჰქონია ანტისახელმწიფოებრივი ტენდენცია, და ზოგჯერ მეფეთა და მაღალი კლასების მოწონებასაც იმსახურებდა. კრიტიკული რეალიზმის სატირა, ისე როგორც თვით კრიტიკული რეალიზმი, ფეოდალურ-თვითმპყრობელური, ან კაპიტალისტური წყობილების კრიტიკას იძლევა. ამ კრიტიკას აშკარად დამანგრეველი ხასიათი აქვს. კრიტიკული რეალიზმის სატირა თავისი მრისხანე ბუნებით, რაც ცხოვრებაში ღრმად შეჭრით არის განპირობებული, ამ მიზანს აღწევს მაშინაც, შედის თუ არა ეს მწერლის განზრახვაში. ეს ეხება განსაკუთრებით ისეთი ტიპის სატირიკოსებს, როგორიც იყო გოგოლი: „გოგოლი თავის საუკეთესო ქმნილებებში თუმცა ძლიერ ახლოს მივიდა ხალხურ თვალსაზრისთან, მაგრამ მიუხედავად, მხატერული ალღოთი" (დობროლუბოვი); ილიას ტიპის სატირიკოსები კი ხალხურ თვალსაზრისს გამოხატავენ სუბიექტუოადაც და ობიექტურადაც.

კრიტიკული რეალიზმის სატირა ხალხის სახელით ებრძოლა გაბატონებულ სისტემას, ამსხვრევდა არსებულ სახელმწიფოებრივ სისტემას კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის პათოსით. შემთხვევითი არ იყო, რომ ილიამ თავისი პოეტური მრწამსი ასე ჩამოაყალიბა:

არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გაეხმეზავნა ქვეყნად ცამა.

ილია როგორც „ტკბილი", ისე მწარე ხმების შემოქმედი იყო და როგორც ერთით, ისე მეორით პროგრესულ ძალებს აშხნევებდა, ხოლო ცხოვრების შემაფერხებელთ თავზარსა სცემდა.

60—70-იანი წლების საქართველოში მშრომელი ხალხის ინტერესების ჭეშმარიტ დამცველად მხოლოდ ის თაობა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.) გამოდის, რომელმაც გაიარა მოწინავე რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების სკოლა და ინდივიდუალურად მოიმარჯვა საზოგადოდ დიდი ლიტერატურული ტრადიციები.

ილია ჭავჭავაძე 60-იან წლებშივე ჭეშმარიტ სახალხო მწერლად მოგვევლინა. იგი ერის კეთილდღეობისათვის იბრძვის. მან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. მას ეჭვი არ ეპარებოდა სალხისადმი თავის სიყვარულში, ამიტომ მას არ აშინებდა ხალხის მტრების მძაფრი მხილება, ყოველგვარი სოციალური ბოროტების მწის სინათლეზე გამოტანა; ასე უნდა გავიგოთ მისი სტრიქონები:

> ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვიტინოთ ხალხში
> ბოროტთ საკლავად,—მათ სულთ-ხდომის ვეყუროთ.

თავისი ლექსით „ქართვლის დედას" (1858) ილიამ მკვეთრად ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ დაბადების პროცესში მყოფი ახალი თაობის იდეალები.

„ბელინსკის ტომებით დაიარაღებული" დაბრუნდა რუსეთიდან ილია და მას კინაღამ ნამდვილი აუტოდაფე მოუწყვეს ძველი თაობის მოღვაწეებმა, ე. წ. „მამებმა", მაგრამ ილია კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით განეწყო ძველების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისათვის; ამ ბრძოლას ილია აწარმოებდა როგორც სატირით, ისე უსატიროდ, როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური სიტყვით.

2. ილიას პირველი სატირული ცდები. პუბლიცისტური სატირა

ილიას პირველ სატირულ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს დაუმთავრებელი მოთხრობა „დიამბეგობა", რაც თვით ავტორს 1857 წლის დეკემბრით აქვს დათარიღებული. მაგრამ ამ მოთხრობამ, როგორც ჩანს, ილია ვერ დააკმაყოფილა, მიატოვა და ამ თემაზე დაწერა შინაარსით საკმაოდ ძლიერი თავისი პირველი სატირული ლექსი „ხმა სამარიდამ" (1857 წლის 27 დეკ.); თავის „კაცობას" სამარიდან ამბობს დიამბეგი. ეს ლექსი პარტია მოულოდნელია, მაგრამ ერთიცაა: ილიამ უკუღმართები ამ ქვეყნიდან ჯოჯოხეთში გაისტუმრა.

მეტი ოთხმის ლექსზე „ჩემი თარიარალი". ამ სატირული ლექსით პოეტმა დაცინვის საგნად გაიხადა უკვე არა დაბალი კატეგო-

რიის მოხელე. არამედ თვითმპყრობელური სისტემის მეთაური, თვით იმპერატორი. გესლიანი დაცინვის მიზნით. პოეტი „ცარ"-იმპერატორის მიმართ იყენებს ისეთ სარკასტულ მეტაფორას, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ეზოს ბავშვსაც ეთქმება: „ვერ შეგვაშინებს" „რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს" ამავე დროის ლექსებიდან ყურადღებას იქცევს ადრეთვე სატირული ლექსი „გავსწორდეთ ბედო" (1859). ეს ლექსი კარგად ახასიათებს თავის თავისადმი მოთხოვნ პოეტს. რომელიც არარაობა არა მარტო სხვას, თავის თავსაც არ აპატიებს. ეს ლექსი სატირულ-ჰეროისტული ლექსის საუმაოდ კარგი ნიმუშია ფორმითაც და შინაარსითაც. მასში ჩანს მისი ავტორის დიდი სატირული ნიჭი და ერუდიცია:

კა. ჩემო ბედო! ჩვე l ქალში
სულ შენ ნიადაგ

ბაკო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი, გავსწოროდეთ, ნუ წვიმაც ება.

მაგრამ თანამიმდევრობის მისღწევით ილიამ პირველად მძლავრი ყურადღება მიიპყრო არა იმდენად თავისი მხტვრული ნაწარმოებებით, არამედ მკაფიო სატირული ტალანტით აღბეჭდილი, რეაოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციების მქონე პუბლიცისტური წერილებით. ილიას როგორც მწერლის, სატირიკოსის თავისებურება ის არის, რომ მისი ყურადღების მთავარი საგანია დიდი სოციალური მოვლენები. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი პირველივე პუბლიცისტური წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის" თარგმანზედა" („ცისკარი", 1861). წერილის სატირული პათოსის ცეცხლი თავზარდამცემი აღმოჩნდა „ცისკრის" ძველი თაობის იმ მწერლებისათვის, რომელნიც გუნდრუკს უკმევდნენ არსებულ წყობილებას.

მთავარი სატირული ხერხები, რომელთაც წარმმართველი ადგილი დაიკავეს ილიას თითქმის მთელ სატირულ მემკვიდრეობაში, ეს არის იმთავითვე პოლიტიკურად გამახვილებული ირონია და ნაწილობრივ სარკაზმი. ირონიული იყო პირველივე წერილის სათაურის პირველი ნაწილი—„ორიოდე სიტყვა", რაც ნამდვილად „ცისკრის" მთელი 4 — 5 წლის დრომოჭმული მოღვაწეობის დამასამარებელ დაცინვას გამოხატავდა. წერილის პირველივე ფრაზა სანტიმენტალისტი კოზლოვის ირონიული დისკრედიტაციით იწყება, კითხვის ქვეშ არის დაყენებული მისი პოეტობა: „როცა გაგვახსენდება კაზლოვი და მისი პოეზია, თუკი არის პოეზია მის ნაძალადევ... ლექსებში...", „კაზლოვის... ნიჭი იმ ყრმა მონადირეების შვილდია,

რომელიც ტოროლის და ჩიტის შეტს ვერას განგმირავს...“ სარკასტულად დასცინის ილია კარამზინის სანტიმენტალისტურ სკოლასაც: „კაზლოვი შეიქმნა... კარამზინის... მტირალ და ღრეჩია აშუღადა...“ არც შეიძლებოდა ილია სხვაგვარად მოქცეულიყო, როცა „ცისკარი“ უდღეური სანტიმენტალიზმით ერთობოდა და ისეთ მწერლებს ივიწყებდა, როგორიცაა ბაირონი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი.

კოზლოვზე უფრო მკაცრად მიუდგა ილია „შეშლილის“ ქართულად მთარგმნელს; თარგმანი კი სარკასტულად შეადარა ინკვიზიტორი ჯალათების მახვილს, რომლითაც წარმართებს სჯიდნენ: „ჩვენ გულდაჯერებით უწინასწარმეტყველებთ თავად ერისთავს, რომ დრო მოვა, როცა მის თარგმანის ლექსებითა დასჯიან წარმართთა“. ულმობელი დაცინვა გამოკრთის ყოველ სიტყვაში: „ნამეტნავად ნაზ აგებულების ქალს მოარიდეთ ეგ თარგმანი, თორემ ჭლექად ჩავარდება...“

ძველი თაობისათვის ეს წერილი სრულიად უჩვეულო და მოულოდნელი სატირული თავდასხმა იყო. ერთბაშად შეიძრა ფეოდალურ იდილიას შეგუებული მწერლების წრე. ახალს, სიცოცხლის უნარის მქონე აზრებს სქოლასტიციზმის დაცვა ამჯობინეს. რევაზ ერისთავმა ილიას სატირა „ლანძღვით ოხუნჯობად“ და „ზაფრიანობად“ ჩათვალა. რ. ერისთავის სიტყვებში დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობის დამცველი ძველი თაობის გმინვა გაისმა: „რომელს გაზდილს კაცს ეკადრება იმ გვარათ ილანძღებოდეს, ან ოხუნჯობდეს?... ივიწყებს... წინაპართაგან ნაანდერძავს—ზდილობას, ვაი, დარბაისელთ ამოწყვეტას!“ („ცისკარი“, 1861, № 5, გვ. 85); მიუხედავად ამისა, რ. ერისთავმა ერთგვარად მაინც იგრძნო და აღიარა ილიას სატირის საზოგადოებრივი ღირებულება და უსურვა მისი „ენიანი ენა და მეხის კალამი“ სხვებსაც შეხებოდა, მაგრამ „კეთილ სინდისიანად“, ე. ი. უმტკივნეულოდ, რაც ცხადია. ილიას მიზანს ვერ პასუხობდა. გ. ბარათოვი შეეცადა თვით ილიას მხატვრული ნაწარმოებების განქიქებასაც და ილიას ცოდვად ჩაუთვალა ის, რაც მისი ღირსებაა,—მასში ბელინსკის ტიპის მოღვაწე დაიწუნა: „ხელში იპყრო ფარის მაგივრათ ბელინსკის ტომები... და ესრეთ დაიარაღებული, გამოილაშქრა საქართველოში“ („ცისკარი“, 1861, № 5, გვ. 163).

ილიას „ორიოდე სიტყვა“ ქართული პუბლიცისტური პამფლეტის უბრწყინვალესი ნიმუშია; შეიძლება ითქვას ასეთი ჟანრის პირველი ნიმუშია ქართულ მწერლობაში.

ბასრ სამართლიან დაცინვას შეიცავდა ილიას მეორე სტატიაც. ილიამ მწერლის სახელის ამაო მაძიებლებად გამოაცხადა მოწინააღმდეგენი და გესლიანი სარკაზმით წერდა მათი მისამართით: „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც ააღებინე; ვისაც მართალი სიტყვა... თავის დღეში არ გაუგია, იმას მართლის თქმით გული აუმღვრიე“ („ცისკარი“, 1861, № 6, გვ. 181). ამ შემთხვევაშიც „მამები“ ილიას პუბლიცისტურმა სატირულმა შემოტევამ დააფრთხო, რაკი ილია უკან არ იხევდა და მთელი პრინციპულობით მიდიოდა იერიშზე. ამ სტატიას რედაქციამ თითქმის მთელი სტატია დაურთო სქოლიოს სახით, რომელშიც კვლავაა ამოღებული ნიშანში ილიას სწორედ სატირული პოლიტიკური გამიზნულობა, სატირული პუბლიცისტიზმი: „ჭავჭავაძე ბელინსკის ჰბაძავს და ბელინსკობა ჩვენში არ გამოდგება...“, „ბელინსკი ყოველთვის ილანძღებოდა...“ („ცისკარი“, 1861, № 6, გვ. 183). „ბელინსკის ყოველს სიტყვაში პსჩანს...“, „თქვენი მაგალითი და ავტორიტეტი ბელინსკი...“ (იქვე, გვ. 184; 191).

„ცისკრის რედაქცია შეაშფოთა ილიას სატირის „სტუდენტურმა“, ე. ი. რევოლუციურმა ხასიათმა, პოლიტიკურმა გამიზნულობამ. რედაქცია გაფრთხილებასაც კი იძლეოდა, რომ „ცუდად შეესმინა“, „სხვა ჩვენი მემამულენი“ ბელინსკისებრ „სტუდენტურ“ გამოსკლებს (იქვე. გვ. 185).

ილიას სატირულ-პუბლიცისტური წერილების მთავარი მიზანი ძველი რეაქციული თაობის მწერლების იდეურ-მხატვრული უბადრუკობის მხილება იყო; ეს მისია ბრწყინვალედ იქნა შესრულებული. ამ მიზანს ემსახურება სატირულ პრინციპზე აგებული ილიას ფელეტონი „სხარტულაც“ („საქართველოს მოამბე“, 1863, № 7). იგი „ცისკრის“ რედაქტორსა და მის თანამშრომელს (იგულისხმება ან. ფურცელაძე) „შინაური საუბრის“ ფორმით დასცინის. მთელი ეს ირონიული „საუბარი“ ფარდას ხდის „ცისკრის“ გათიშულობას ხალხისაგან.

„სხარტულაში“ „ცისკრის“ წესის ამგებად არის მომარჯვებული სატირისათვის ესოდენ აუცილებელი გადაჭარბება. „ცისკრის“ რედაქტორის სიმღერა ალ. ჭავჭავაძის „ვაჰ, დრონი, დრონის“ ფორმით საბოლოოდ უსვამს ხაზს ამ ჟურნალის დრომოჭმულობას (რა თქმა უნდა, თაობათა შორის გამწვავებული ბრძოლის წუთებში დაწიწყებული იყო „ცისკრის“ ზოგი დამსახურება, რაც ისტორიულად უცილოდ გააჩნდა ამ ჟურნალს).

ეი „ცისკრის“ დრონი, ნაქებნი მტკბარად,
წარელტვენენ, გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად,
...მე ხალხს ქარწმუნებ ყოველ წელს რომა,
ახალ გზაზეცა ვაღგები მყარად,
...აბა ვინ მე და ვინ ახალი გზა,
შენგან არ მიკეირს: გჯერა ნეტა რად?

ილია არა მარტო დიდი მწერალია, იგი დიდი პუბლიცისტიც არის და ეს მისი ძლიერი სატირული პათოსით აიხსნება. ილია თანაბრად თუ თითქმის თანაბრად ძლიერია ორივე შემთხვევაში.

70-იან წლებში სატირული მონაცემებით ილიას ერთი წერილი იქცევს ყურადღებას, ეს არის „ზოგიერთი რამ“. ამ წერილით ილია თავს ესხმის ქართველ ბიუროკრატიულ თავადაზნაურობას ეროვნული ნიჰილიზმის გამო. ამ მიზნით ავტორს გამოყენებული აქვს სარკასტულ-ირონიული ღაპირისპირებანი, რაც მთელი ერის გამოფხიზლებისკენაა მიმართული. მაგ.: „საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გაგვაცეთ, მამული დანებვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივეცვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დაუმატეთ“.

წერილში „კატკოვის პასუხად“ (1882, 23 ოქტ., „დროება“) ილიას გამოყენებული აქვს მრისხანე პოლიტიკური სარკაზმი. იგი დაუნდობლად ესხმის თავს რეაქციონერ მაბეზღარა „ლიტერატორთა“ რაზეც: „ეს ოციოდ წელიწადია, რაც ბეზღობამ ენა ამოიდგა რუსეთში ბ-ნის კატკოვის და მის კამპანიის წყალობითა და მხნეობითა“. კატკოვს და მის „მოსკოვსკიე ვედომოსტს“ ილია ყოველგვარი რეაქციული სიბინძურის საგუბარად აცხადებს: „რაც კი უწმინდურება მოგუბდება ხოლმე მის დამჭაობების უწმინდურეს გულში, სულ ერთიანად სანაპირო ქვეყნებიდან მიედინება ბ-ნ კატკოვისაკენ და შესაფერის სურნელებით გროვდება იმ თავახდილ და პირმოხეულ აუზში, რომელსაც „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ ჰქვიან“.

არ ცდებოდა ილია ჭავჭავაძე. ლენინი კატკოვს უწოდებდა „თვითმპყრობელობის ერთგულ მოდარაჯე ჭოფაკს“[155]. „კატკოვი ცოფებსა ჰყრის“[156],—წერს ლენინი კატკოვზე. „მოსკოვსკიე ვედომოსტზე“ ლენინი შენიშნავს: „ეს გაზეთი ყოველთვის მეფაბრიკეებს იცავს და ყველაფერში მუშებს ამტყუნებს“[157].

---

[155] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი. ტ. V, 1949, გვ. 681.
[156] იქვე.
[157] იქვე, ტ. II, გვ. 29.

„კატკოვის პასუხად“ — ეს იყოს განსაკუთრებული პოლიტიკური სატირული სიმახვილით დაწერილი პუბლიცისტური პამფლეტი.

წერილში „მითამ და ახალის რაზმის კაცი“ ანუ ორი ფელეტონი“ (1883), სათაურშივეა მოცემული სატირულ-ჰუმორისტული განჭიქება ცრუახალთაობისა, რომელიც „გამოდგამს ფიცს თუ არა სალიტერატურო ასპარეზზედ. ყველაზედ უწინარეს ამას დაიძახებს ხოლმე: ვინც ჩემზედ წინ იყავით, ძველნი ხართ, ჩვენ კი ახალნიო... თქვენ... დროს უკან ჩამორჩითო და თუ გინდათო „ბოლოზედ ჩასჭიდეთ ხელიო“. „ჩამომეცალენით და გენიოსად მიცანითო“ და ა.შ. ასეთი „ახალთაობა“ ილიას ნაცარქექიას აგონებს.

სატირას, მეტ-ნაკლებად, ილიას ყოველ პუბლიცისტურ წერილში შეუღწევია, განსაკუთრებით კი იქ, სადაც მწერალი არა მარტო დრომოჭმულის, არამედ გადაგვარების ნიშნებით აღბეჭდილი „ახლის“ წინააღმდეგ ილაშქრებს; ასეთ ნაწერებში არ მოჩანს დინჯი, მშვიდი აკადემიური ტონი, არამედ აალებული წვა, ფიცხი და მგზნებარე სატირიკოსი პუბლიცისტი, რომელიც მოწინააღმდეგეს სასაცილო ვითარებას უქმნის და დიდ ზიანს აყენებს. ილიამ ასე გაუტეხა სახელი მოძველებულისადმი ყოველგვარ პატივისცემას პირველივე სატირული წერილებით „ორიოდე სიტყვა“ და „პასუხი“. ასევე უცემს ავტორიტეტს ცრუ სიახლეს სატირული ფელეტონებით „მითამ და ახალის რაზმის კაცი“, „თეორ-დალეულნი“ და „ახალი თაობა“, „ბულვარის აკადემია“, „უარმყოფელობა ჩვენში“, „ამბავი ყბად ასაღები და წყალ-წასაღები“, „ი. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიხოლოგია“, „სასელდასელო“ და სხვ.

ფართო საზოგადოებრივი იდეური სიმახვილითა და სიმწვავით ილიამ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა სალაყბო ფურცლების სატირული ფელეტონის ტრადიცია; ამავე დროს ილიას სატირული სიმძაფრე დამყარებულია მეცნიერულ საბუთიანობაზე, რაც მის სატირულ ფელეტონებს განსაკუთრებულ სოლიდურობას სძენს.

3. ილიას მხატვრული სატირა

„ზარდაცვენი ძლიერება ცრემლისა და სიცილისა სწორედ მაშინ არის, როცა ერთს მეორეს ადგილას ვხედავთ“.

ილია

„კაცია-ადამიანი?!“

სატირიკოსი მხატვარი ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „კაცია-ადამიანით“, რომელიც ქართული სატირის

შედევრია. ქართული სატირის კლასიკური სიახლე და ორიგინალობა მთელი ძალით გამოვლინდა მასში. აქ მთელი სიმძაფრითა და სიმახვილით იჩინა თავი პირველად ქართული სატირისა და ჰუმორის ძალამ, ძალამ, რომელიც სოციალურად მომაკვდავსა და განწირულზე იდეურ გამარჯვებას გამოხატავდა.

კრიტიკული რეალიზმის ძლიერება ტიპიზაციის მაღალ ფორმაშია, რაც სატირული ან არასატირული მეთოდით ხორციელდება ლიტერატურის ყოველ ჟანრში. ქართული კრიტიკული რეალიზმის გამარჯვება ძირითადად „კაცია-ადამიანის" სატირული ტიპიზაციით განხორციელდა.

კრიტიკული რეალიზმი უმთავრესად ფეოდალიზმთან და თვით ბურჟუაზიულ-მპყრობელობასთან ბრძოლაში იბადებოდა; ქართული რეალიზმი ასეთი ხდება განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან. ეს არის ქართული კრიტიკული რეალიზმი, რომლის მთავარი სულის ჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე იყო; მანამდელი ქართული რეალიზმი მხატვრულ მეთოდად კიდევ არაა ქცეული. ადრინდელი, განსაკუთრებით 40-50-იანი წლების ქართული რეალიზმი კრიტიკული რეალიზმის პირველი საფეხურია.

კრიტიკული რეალიზმიც ადრინდელ რეალიზმს ემყარება, მაგრამ იგი ხელოვნებისა და ლიტერატურის თვისობრივად სრულიად ახალი მხატვრული მოვლენაა.

1841 და 1857 წლების გურიისა და სამეგრელოს ყმა-გლეხების აჯანყებები ხელს უწყობს საქართველოში 60-იანი წლებიდან გამოჩნდეს ბატონყმურ-თვითმპყრობელური სისტემის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები, რაც, თავის მხრივ, მეტ გარკვეულობას იძენს რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გავლენით. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული რეალიზმი განსაკუთრებულ იდეურ-პოლიტიკურ სიმახვილეს იძენს. კრიტიკული რეალიზმი გულისხმობს მწერლის ხალხთან ახლოს ყოფნას, ხალხის ღრმა ცოდნას, ხალხის სახელით გამოსვლის ხაზგასმას, ტიპიზაციის ახალ მაღალ ფორმას, პოლიტიკური ბრძოლის მახვილ გამოვლინებას. ტიპში, როგორც განუმეორებელ ინდივიდუალურ ხასიათში, მთელი სისრულით კონდენსირდება საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი მხარეები. მხატვრული ტიპიზაცია, როგორც ხელოვნების ობიექტური კანონი, ახალ სრულყოფას აღწევს კრიტიკულ რეალიზმში.

კრიტიკული რეალიზმის ტიპიზაცია გამორიცხავს სქემებს და სინამდვილის ნატურალისტურ გადაწერას. ტიპიზაციაში მწერლის იდეური მიმართულება ვლინდება. ტიპიზაცია აუცილებლად გუ-

ლისსმობს გარკვეულ იდეათა, თვალსაზრისთა დაცვას ან დაგმობას. თუ რა ტიპს სასავს შემოქმედი სამაგ:ლითოდ ან დასაგმოსად, ამაში მოჩანს მწერლის პოლიტიკური როზიცია. მისი იდეური მიმართულება. თუ ეს კანონი დარღვეულია, თუ მწერალი ანგარიშს არ უწევს ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში მოცემას, თუ ივი გვეელინება ემპირისტულ-ობიექტივისტური აღმწერლის როლში. ჰეშმარიტი რეალიზმი აღარა გვაქვს. „გაანათეთ საკუთარი ობიექტები საკუთარივე მზის შუქით, რომელიც არაა ბუნე:ის მზე; დარჩით ცისარტყელას შეგირდად, მაგრამ ნუ იქცევით მის მონად,"... მიმართავდა დიდრო ხელოვანთ[158].

რეალისტი არ შეიძლება იყოს გულგრილი ფაქტოლოგი, ივი ღრმა მხატვრული განზოგადებათა ოსტატია. რომელიც თავის ნაბატს ყოენთავს ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის მახვილი შეფასებით. კლასიკურ რეალისტურ ტილოს ყოველთვის თან ახლავს ჭარბი ფერები: სინამდვილის ჰეშმარიტი მხატვრული შემეცნება შეუძლებელია ჭარბი ფერების გარეშე. ჭარბი ფერები ჰეშმარიტი მხატვრული ფანტაზიის შედეგია; ჭარბი ფერების გამოუყენებლად ვერ მივიღებთ ტიპს, მით უფრო სატირულ ტიპს. ჭარბი ფერები ცხოვრების შემოქმედისეული შეფასების მხატვრული ფორმაა, რაც, ცხადია, გამორიცხავს სინამდვილის დამახინჯებას. ჭარბი ფერები იბადება მხატვრული ნაწარმოების შინაარსთან ერთად, ისე როგორც შინაარსთან დიალექტიკურ მთლიანობაში იბადება ფორმა.

კრიტიკული რეალიზმი თვალნათლივ გამოვლინდა 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში, რამაც განსაზღვრა ქართული სატირის სიახლეც; ეს მოვლენა იმ დროის ქართველ რეალისტებში სხვადასხვა ძალითა და ნიშნებით იჩენს თავს. 60-იან წლებს ეკუთვნის გ. წერეთლის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა"; ეს საყურადღებო ნაწარმოებია ქართული სატირის ისტორიაში. ასევე, აკაკის „პირუტყვების არჩევანი" და სხვა სატირული ნაწარმოებები 60-იან წლებშივე, მაგრამ „კაცია-ადამიანს" საფუძველმდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული კრიტიკული რეალიზმის და მისი სატირის ისტორიაში.

ახალი მხატვრული სტილის ჩამოყალიბების თვალსაზრისით „კაცია-ადამიანი?!" ქართული მოთხრობის ყველაზე პირველი სრულყოფილი ნიმუშია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ილიას მიერ კრიტიკული რეალიზმის პრინციპების მტკიცედ დაცვამ და რევოლუციურ-დემოკრატიული სატირის მახვილის გაბედულად

---

[158] დ. დ ი დ რ ო, ესთეტიკა, ფილოსოფია, სოციოლოგია, 1939, გვ. 29.

აღმართვამ; ამ მოთხრობის ღირსებას უწინარეს ყოვლისა სატირული პათოსის მძლავრი ხელოვნებით მომარჯვება განსაზღვრავს.

ილია, თითქოს შეგნებულად, ფართოდ იაზრებს სასაცილოს არისტოტელესეულ გაგებას: „სასაცილოა რაიმე შეცდომა, ან სამარცხვინო საქმე, რომელიც ტანჯვასა და ზიანს არ შეიცავს". ილიამ სიცილის საზოგადოებრივ ფუნქციას ჩასჭიდა ხელი; სიცილი სოციალური სიმახინჯის მხილების მეტად ძლიერ საშუალებად იქცევა; ასეთი ჩდება სიცილი, როცა იგი შეერთებულია დაცინვის ობიექტისადმი შეურიგებლობასთან. მარტო ბერგსონისებური ბურჟუაზიული თეორეტიკოსები აცხადებენ სატირას მდარე ჟანრად. სატირული სიცილით მწერალი მაღლა დგება მოვლენაზე, აჩვენებს მოვლენის არარაობას. ამდენად, დაცინვის ობიექტი საძულველი სახით წარმოდგება. როგორც ჩანს, სიცილის ასეთი პრინციპი უძევს საფუძვლად „კაცია-ადამიანს". ამიტომ აღნიშნავს მწერალი: „მკითხველის გასართველად არ ვწერთ". ილიას გაგებით სატირაში დაცინვის ობიექტი და დაცინვა სერიოზული, საფუძვლიანი უნდა იყოს: „მარილიანს, ჯანიანს და მარგებელს სიცილს აზრი უნდა მომავლინებლად, საბუთი უნდა", „როგორც უმიზეზოდ მტირალა კაცი საბიზღარია, ისეც უმიზეზოდ, უაზროდ მოცინარიცა", „სიცილი თავის დღეში არ უნდა გადაიქცეს ლაზღანდარობად"[159].

ცხადია, ამით ილია არ უარყოფს ხუმრობას, ჰუმორს, ხოლო „ჯანიანი და მარგებელი" სიცილით ხელოვნებასა და ლიტერატურაში ილია მხატვრულად გამართლებულ სერიოზულ სიცილს იცავდა. „ღრეჩისა და ლაზღანდარობის" უარყოფით ილია გმობს უსაგნო ბალაგანურ სიცილს. თვით ცხოვრებაშიც ხომ სხვადასხვაგვარია სიცილი: „განყოფანი სიცილთანი ესე არს: ღიმილი არს სიცილი სიმშვიდით უხმო, ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს; სიცილი არს მცირედ ხმიანი და მდაბალი; კაშკაში არს სიცილი მაღალი და მოხდომილ; კასკასი არს სიცილი მაღალი და წვლილი: რახრახი (ხარხარი) არს სიცილი მაღალი და უშვერი; თქართქარი არს სიცილი მრავალთაგან შეხმობილი, ღინცილი არს სიცილი მიწყივ უწესო; ხოლო ფრუსტუნი ვის არ ენებოს სიცილის გამოჩინება და ერთს საცინელს საჭმეზედ წასცინოს და მალიად დაიდუმოს" (საბა).

„კაცია-ადამიანით" ილიამ აირჩია არა წვრილმანი, არამედ სერიოზული, ეპოქალური მნიშვნელობის სიცილი. რღვევის გზაზე მდგარი, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობის შენარჩუნების პრეტენზიების

---

[159] ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1953, ტ III, გვ. 120.

მქონე სოციალური სისტემის, ბატონყმობის მთელი სერიოზულობით მხატვრული სატირული დაცინვა.

„კაცია-ადამიანის“ სიცილით ილია სპობს ბატონყმური სისტემის უძლეველობის მცდარ აზრს, რომლის მიხედვითაც „ბატონყმობა ღმერთს დაუწესებია“. ილია ეკვმიუტანელი მხატვრული დაჯერებლობით გვიჩვენებს ამ წყობილების გარეგნული დიდების სიყალბესა და შინაგან გალაყებულობას. სიცილი ილიასათვის დრომოჭმულის ნგრევის ერთ-ერთი უმძლავრესი იარაღია, რადგან „От смеха падают венки и оклады“[160].

ილიას სიცილი რევოლუციურია თავისი არსით. მწერლის სიცილი მახვილს სცემს მომაკვდავ წყობილებას, რომელიც ნებით არ ტოვებდა ასპარეზს. ამიტომ ილიას მიერ დახატულ ღრმად კომიკურში, ღრმად ტრაგიკულიც მოჩანს. ასე უნდა გავიგოთ კომიკურისა და ტრაგიკულის, სასაცილოსა და სატირალის (მაგრამ არა „ცრემლმორეული სიცილის“) ის ინტერპრეტაცია, რაც „კაცია-ადამიანში“ მოგვცა ილიამ.

ლუარსაბს და დარეჯანს, მართალია, დასცინის მწერალი, მაგრამ ტრაგიკული ხასიათისაა მწერლის განცხადება: „თუ იმათ დასცინებ, მითამ შენი თავისათვის დაგიცინია“. მწერალს ვილაც დარეჯანისა და ლუარსაბის ბედი კი არ აწუხებს. არამედ ქვეყნისა. მკაცრად სასაცილოში ტრაგიკულის დანახვა იმას ნიშნავდა, რომ თვით სასაცილო პერსონაჟებიც, ცხოვრებაში მძაფრად კომიკურის აღმოჩენა ხალხის, ერის ტრაგიკული მდგომარეობის გამოვლინება იყო; „საზოგადო ჭირი“, ბატონყმობა ხელს უშლიდა ცხოვრების გაჯანსაღებას. აუცილებელი იყო „გასწორება“, ე. ი. ქვეყნის განთავისუფლება ბატონყმობისაგან.

ასე უყურებდა ტრაგიკულისა და კომიკურის საკითხს, კერძოდ, რევოლუციურ-დემოკრატიული სატირიკოსი შჩედრინიც თავის „ერთი ქალაქის ისტორიაში“ (1869—1870). ქალაქის უფროსს თავის ნაცვლად არღანი აქვს, რომელიც ხშირად იშლება და მას ვერ ასწორებს ადგილობრივი მესაათე. უფრო კარგი თავი გამოწერილია პეტერბურგიდან, მის მიღებამდე კი გამოჩერჩეტებული ადგილობრივი მესაათე ღებულობს საჭირო ზომებს: ხშირად ხსნის ქალაქის უფროსის თავს და იქიდან დაგროვილი უსუფთაობა გამოაქვს. ამის გამო შჩედრინი წერდა, რომ ქალაქის თავი ხელოვხური თავით ეს სასაცილო კი არა, ტრაგიკული მდგომარეობაა.

სიცილი ილიასათვის, ისევე როგორც გრიბოედოვის, გოგოლისა და შჩედრინისათვის, იყო უდიდესი საშუალება ჭეშმარიტების

[160] А. И. Герцен, Полное собр. соч., т. X, 1919, М., გვ. 12.

გასარჩევად სიცრუისაგან. „კაცია-ადამიანის" ყველაზე სასაცილო ადგილები კი არ ანელებს ილიას სატირის ძველისადმი შეურიგებლობის ტენდენციას, პირიქით, კიდევ უფრო ამძაფრებს. და ეს იმიტომ, რომ სატირული ტიპებით გამოვლინებულია წარმავალი სოციალური ურთიერთობის არა ნაწილობრივი, არამედ აბსოლუტური არარაობა.

„კაცია-ადამიანის" ეპილოგში გოგოლისებური გულმტკივნეული ცრემლიც არის, რაკი მწერალი სიცილისაგან თავის შეკავებისკენაც მოგვიწოდებს და „დატირებასაც" გვირჩევს (მაგრამ ილიას სატირაში მთავარია არა ეს, არამედ პოლიტიკური გამიზნულობა; ამავე დროს, ილიასათვის, როგორც სატირიკოსისათვის, ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი სატირული ლიტერატურული წყარო იყო გოგოლი. ამას კარგად გვიჩვენებს ჯერ კიდევ 1858-1859 წლებში დაწერილი „კაცია-ადამიანისა" და „გლახის ნაამბობის" პირველი ვარიანტი „კაკო". შემთხვევითი არ არის, რომ მასში ილია საგანგებოდ აყენებს საკითხს ქართულ სინამდვილეშიც მოინახოს გოგოლის გმირთა მსგავსი ადამიანები: „ჩვენცა გვყვანან ქართველი ბობჩინსკები და დობჩინსკები, ჩიჩიკოვები და საბაკევიჩები და სხვანი, მაგრამ ამათ სუყველას ქართვლის სუნი უდის. იქნება ოდესმე სულ დაწვრილებით აგიწეროთ შინაგანი და გარეგანი ჩვენის ბრწყინვალე თავადებისა, რომელთა შორის, კეხნით ვიტყვი, მეც ვურევივარ". ეჭვი არ არის, ილიას „საკეხნად" მიაჩნდა, რომ თვით დაეგმო და სასაცილოდ აეგდო კლასი, რომელსაც წარმოშობით თვით ეკუთვნოდა.

„კაკოში" აღნიშნული ადგილი გვიჩვენებს, რომ შეიძლება ლაპარაკი გოგოლთან ილიას გარკვეულ მიმართებაზე; გოგოლისებურ, ეპოქისეულ სატირულ ხასიათებში ილია მაშინვე ცდილა ქართული კოლორიტის დაჭერას.

„კაცია-ადამიანის" წინასიტყვაობის ვარიანტები ილიას სატირის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის განსაკუთრებულ სიფართოვეს ამტკიცებს. მწერალი გვიჩვენებს რა ბატონყმური ურთიერთობის არარაობას, თვალწინ გვიყენებს საზოგადოდ ადამიანური გადაგვარების სურათს. წინასიტყვაობის მესამე ვარიანტში ლუკასაბზე ეკითხულობთ: „ვინ ხარ, რა სულიერი ხარ?—ჰკითხა მგზაურმა.—კაცი ვარ, ადამიანი,—მიუგო იმანაცა.—რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხვდებოდი. მართლა კაცი ხარ, ადამიანი?"

„კაცია-ადამიანის" ფართო იდეური მიზანდასახულობა გამოვლინდა სათაურშიც და მოკლე ფრაზაშიც კი: „საზოგადო პირზედა ვწერთ".

სატირული ტიპიზაცია მოითხოვს ცხოვრების კანონზომიერი განვითარებიდან მკვეთრი გადახრის შემჩნევას და მის საგანგებოდ ხაზგასმას, მაგრამ არა ცხოვრების სიმართლისადმი დაპირისპირებას. ამის გამო სატირაში მძლავრად იჩენს თავს გროტესკი. ჭეშმარიტი რეალისტი სატირიკოსი რეალისტურ გროტესკს მიმართავს, რაც არაა თავსამტვრევი რებუსი, ან უაზრო „აბსტრაქცია". გროტესკი მიკროსკოპივით ადიდებს მოვლენას, სრულყოფილად დანახვის მიზნით: გროტესკული ფანტასტიკა კი არ გვთიშავს. არამედ გვაახლოებს მოვლენასთან.

დიდი „ფანტასტიკოსები" არიან სატირაში სვიფტი, რაბლე, შჩედრინი და ამავე დროს სინამდვილის დიდი მსატვრებიც. არც ილია ჭავჭავაძეა მოკლებული გადაჭარბებასა და რეალისტური გროტესკული „ფანტასტიკის" მონაცემებს. ეს მოჩანს, კერძოდ, „კაცია-ადამიანის" წინასიტყვაობის ვარიანტებშიც. ფეოდალურ-ბატონყმური საქართველო დამყაყებულ გუბედაა წარმოდგენილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ქვეყანა გადაშენდაო. მაგრამ ეს არ იყო რეალისტური ხატვის ღალატი: მის ნახატში მძაფრად იგრძნობა ფეოდალური სინამდვილის დრომოჭმულობა, რომელიც ფეხს უბორკავდა ჯანსაღი ადამიანური ცხოვრების განვითარებას. სატირიკოსმა მსატვარმა „ბრწყინვალე" თავადური მოდგმა ირონიულ-გროტესკულად ცხოველებად დასახა: „ერთს კარგად მოზრდილს. ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ წავაწყდი. ამ გუბიდამ მეტად ცუდი ოშხივარი ამოდიოდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი მოეკიდებოდა, მუხლი, წინ წასადგომად მოცემული, დაეხუთებოდა... შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა; მათ შორის ორფეხა ცხოველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან... ამ წუმპეს ქართველები სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან...".

ფეოდალური ყოფის გროტესკულ- „ფანტასტიკური" წარმოსახვის ელემენტები გამოვლინებულია სტატიაშიც, რომელიც 1852 წელსაა დაწერილი. ილია „ბრწყინვალე დიდკაცებს" ძვლებითა და სიმყრალით ავსებულ ხავერდმოსილ კუბოდ სახავს: „დიდკაცობა, როგორც სხვაგან ისე ჩვენში, სწორედ კუბოა, რომელიც გარედამ ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინებული, მაგრამ ასწენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების და სულის გასრწნილების მეტს ვერას დაინახავთ". ცხადია, მებატონე-თავადების ცხოვრება არ ყოფილა გუბე ან კუბო, მაგრამ ფეოდალური სინამდვილის სიდამპლეს პოლიტიკურად მახვილი, სწორედ ეს სარკასტულ-ირონიული, გროტესკული მეტაფორები ახასიათებდა.

გროტესკი ირონიის ერთ-ერთი ფორმაა, ირონიის ინერციის შედეგია. იგი „ფანტასტიკური", „გამოგონილი", პირობითი ჭარბი ფერია, რაც სატირული (და არა ყოველგვარი) ტიპიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ავტორის მიერ დამსახურებულად ათვალისწუნებული საგნის, მოვლენის „ქების" ფორმით უარყოფის,—მხატვრული გაზვიადების თავისებური საშუალებაა. საზოგადოებრივად მანკიერი პიროვნება თუ მოვლენა სატირიკოსს გროტესკით, ისევე როგორც ირონიით, მოჩვენებითი ფორმის ქებით აბსურდამდე დაჰყავს. „კაცია-ადამიანში" გამოყენებულია ირონიაც და გროტესკიც.

ლუარსაბი დონ-კიხოტივით არ ებრძვის ქარის წისქვილებს, გულივერივით არ მიდის ჭონდრის კაცების და გოლიათების ქვეყანაში, ტარტარენ ტარასკონელივით არ მიემგზავრება აფრიკაში ლომებზე სანადიროდ, სადაც იგი ჭონდრის კაცის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ჩიჩიკოვივით არ ეაჭრობს მკვდარი სულებით, თავის ნაცვლად არღანი არ ადგას კისერზე. მაგრამ გროტესკული ფერები საკმაოდაა ლუარსაბის გარეგნობაში, ხასიათში, მის გარემოში, თავგადასავალში; ყოველივე ეს თავს იჩენს ამ სატირული მოთხრობის სიუჟეტსა და კომპოზიციაში, დიალოგებში, მხატვრულ სახეებსა და სხვ.

თუ „კაცია-ადამიანის" სიცილი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ქართული სატირისა და ჰუმორის განვითარებაში, ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მასში რეალისტურ გროტესკს, გაშარჟებას მნიშვნელოვანი სტილისტურ-ფუნქციონალური გამოყენება აქვს. გროტესკულია მასში პერსონაჟების გარეგნობა, ლუარსაბის სახლ-კარი; ასევითვე ხასიათისაა ლუარსაბ-დარეჯანის „გონიერი ბაასი" ჭერზე ბუზების რაოდენობაზე, მათი ბაასი „ხე ბოროტისა და კეთილისა", ჩიხირთმისა და ბოზბაშის, თართისა და ორაგულის გამო და სხვ. გროტესკულია ლუარსაბი „ქალაქის კარგად მცოდნის" პოზაში; ქალაქის უნახავმა დარეჯანმა ლუარსაბი მიამიტი კითხვებით „დაიპირა" ტყუილში:

„—მაინც? — ეკითხება დარეჯანი.

—არ ვიცი. რამდენი რამ არის.

—სთქვი რაღა. მეც ვიცოდე.

—ბევრია.

—მაინც?

—რა ვიცი, რამდენი რაღაცაებია...

—მაინც?

—ეჰე, ვინ მოსთვლის? ბევრია. ნეტაი შენ! რა-რიგად ჩამოცხა! უჰ!

რომ არ იცოდა რა ეთქვა... სიტყვა გადაასხვაფერა... მერე გააკეთებინა ჩიბუხი და ჩიბუხის წევაში ისევ ხვრინვა ამოუშვა".

„კაცია-ადამიანში" ირონია გამოვლინებულია არაგროტესკული ფორმითაც.

როგორც კი მწერალი ლუარსაბის პირუტყვულ გარეგნობაზე იწყებს ლაპარაკს, მაშინვე დაუზოგავი და გესლიანი ირონიით შენიშნავს: „ქართველები იტყვიან: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებული, ის ბედნიერიაო. მართალიც არის, პირუტყვები სულ იმისაგან არიან ბედნიერნი!" ირონიითვე წერს ილია: „მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა?..."

ილიამ ნაციონალური ფორმით მწვავე ირონიით ამხილა ცხოვრების უძრაობის სასაცილო დაცვა. ამას გვიჩვენებს თათქარიძეთა „არგუმენტაცია": ღმერთის, მკითხავის, კარაბადინის, სახარების, „ხმის გაგდების" მოშველიება ბატონყმობის სიჯანსაღის დასამტკიცებლად და სხვ.

ყოველგვარი საზოგადოებრივი გადაგვარებისადმი შეურიგებლობის ტენდენცია მოჩანს „კაცია-ადამიანში". სატირიკოსი არსად არ მალავს სატირის ობიექტისადმი თავის დამცინავ დამოკიდებულებას; სატირულ ტიპიზაციას ამძაფრებს არა მარტო ნახატით, არამედ დახატულის შეფასებითაც—მკითხველისადმი მიმართვებით, ლირიკული გადახვევებით; მაგრამ თუ ტენდენციის ეულგარულ დამალვას. ობიექტივიზმს ნატურალიზმამდე მიჰყავს მწერლები, შიშველი ტენდენციურობა სქემებს, იდეების შიშველ პროპაგანდას წარმოშობს. მაგრამ სულ სხვაა ტენდენციურობა, რომელიც მიზნის ღრმა შეგნებით ხასიათდება; ილიას ტენდენციურობის მანიშნებელი სატირული რემარკები „კაცია-ადამიანში" სატირული ტიპიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა. ეს რემარკები დაახლოებით ნახატის წარწერის როლში გვევლინებიან, მაგრამ წარწერა როდი სწყვეტს ნახატის ბედს. „წარწერის" გარეშეც ილიას მხატვრული გამონაგონი მარტივი, ორიგინალური და ცხოვრებისეულია, რომელშიც, ჩეხოვის სიტყვით რომ ვთქვათ, „გარდა ცხოვრებისა, როგორიც არის, გრძნობთ აგრეთვე ცხოვრებას, როგორიც უნდა იყოს, და ეს გიპყრობთ".

ტიპიზაციაში, ამ შემთხვევაში სატირულ ტიპიზაციაში, მთავარია გმირთა დასრულებული ნახატის შექმნა. ილია გვიშლის მთავარი პერსონაჟების ყოველ ვნებას, მაგრამ არსებითს; მწერალი ეხება უველაფერს, რაც კი შეიძლება ადამიანს ცხოვრების მანძილზე განსაკუთრებით ახასიათებდეს. ის რომ ილია „კაცია-ადამიანში" იყენებს ლირიკულ რემარკებს, მოთხრობის სატირულ გამიზნულობას მოშმობს. მაგრამ მწერალი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ გმირს არ იძლევა

ტიპიურ გარემოში. „კაცია-ადამიანის“ ხასიათების თავისებურება ის არის რომ ზუსტადაა გათვალისწინებული ყოველი ადამიანური წვრილმანი, მთავარი პერსონაჟის სუნთქვაც კი იგრძნობა, ამის გამო ერთ პატარა მონოლოგშიც კი ცოცხლდება ლუარსაბი. მხოლოდ არა როგორც ტრაგიკული ხასიათი, არამედ როგორც საზოგადოებრივი ცხოველი. იგი „ძველებურად“, „ჩვენებურად“ გამძღარი ნებივრად გორავს ტახტზე, თავისი ცხოვრებით სრულიად კმაყოფილია, ჭუცელზე ხელს იცემს და სწაელულებსაც კი დასცინის: „მე თუ უსწავლელი ვარ... შიმშილით კუჭი მიდნება, დიაღ, მიდნება! ზედაკ ემჩნევა ჩემს სტომაქს“.

ლუარსაბისა და დარეჯანის ხატვისას მწერალი თანდათან ზრდის კომიზმს: მათ სასაცილო არარაობას გვიჩვენებს არა მარტო განათლებისადმი დამოკიდებულებაში, არამედ ყველაფერში. მწერალს მიზანშიც ეს შედის, არ აღძრას სიმპათია სასაცილოსადმი. ასე წარმოდგება არა მარტო ლუარსაბი და დარეჯანი, არამედ „მეორეხარისხოვანი“ პერსონაჟებიც, რომელნიც განსხვავებული ინდივიდუალური თვისებებითაა გამოკვეთილი. ეს პერსონაჟები მოჩანან „პირველხარისხოვან“ პერსონაჟებთან ტიპიურ დამოკიდებულებაში. მთავარი პერსონაჟებისათვის შერჩეული რეალისტური ჭარბი ფერები ანათებს მეორეხარისხოვან სასაცილო პერსონაჟებსაც; იმდენადაა დახასიათებული ლუარსაბი, დარეჯანი, რომ თავისუფლად შეიძლება აღვადგინოთ მათი სასაცილო ცხოვრების ის ნაწილიც, რომელზეც მწერალს არაფერი უთქვამს. ლამაზისეული დარეჯანის მოახლეა,—ეს საკმარისია მისი სასაცილო ცხოვრების დაუსურათებელი ნაწილის წარმოსადგენად.

სწორედ იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძემ ჭეშმარიტი რეალისტური სატირული ტიპები შექმნა, ისინი უკვდავ საზოგადო სახელებად იქცნენ.

მართალია, ილია დასცინის თათქარიძეობას და მასში მისაბაძს არაფერს სახავს, მთავარი ადგილი მაინც არ უჭირავს ისეთ გესლიან დაცინვას, რასაც სარკაზმი ეწოდება; სარკაზმი ირონიის გამწვავებული სახეა. სარკაზმი სატირაში თავს იჩენს მაშინ, როცა მწერლის საზოგადოებრივი განრისხება კულმინაციას აღწევს. იგი არ იჩენს თავს ისეთი მოვლენებისადმი, რომელიც ძირმომპალი და ძალაგამოლეულია. სარკაზმში არის რისხვა და გააფთრება, ირონიასა და გროტესკში კი რისხვა დაფარულია—პირობითი ქების სამოსელშია გახვეული. ასეთია გროტესკი და ირონია იმდენად, რამდენადაც მისი ობიექტი ძირითადად ისეთია, რომელსაც შინაგანი ძალა გამოცლილი აქვს და ძლიერ დაკნინებულია. ასეთია „კაცია-ადა-

მიანში“ თათქარიძეთა სამყარო. ლუარსაბ-დარეჯანი მოუქნელი მეტ... ტონენი არიან, თუმცა ისინი თავგამოდებით ჩაბღაუჭებიან ძირდამ-პალ ბატონყმობას; მათი ეს თავგამოდება შედარებით „მსუბუქ“ ირონიულ-გროტესკულ სიცილს უფრო იმსახურებს (მაგრამ სერი-ოზული დაცინვის მახვილით მაინც მომსპობსა და გამანადგურე-ბელს), ვიდრე მრისხანე სარკაზმს. სარკაზმს ილია უფრო პამფლე-ტებში იყენებს („ბედნიერი ერი“, „გამოცანები“, „კიდევ გამოცა-ნები“, „პასუხის პასუხი“). გროტესკი და ირონია უფრო „მშვიდი“, „დაწეული“ ტონის დაცინვაა, რომელიც იმ შარბათსა ჰგავს, რო-მელშიც მომაკვდინებელი საწამლავია გარეული. თათქარიძეობას უმთავრესად ამ „შარბათით“ გაუმასპინძლდა ილია. ირონია და გრო-ტესკი მსუბუქ ჰუმორსაც არ გამორიცხავს, რაც „კაცია-ადამიან-შიც“ ჩანს.

მხიარულ კომედიასაც და გესლიან სატირასაც ცხოვრების კო-მიკური უძევს საფუძვლად. მაგრამ არის სასაცილო-სამხიარულო და სასაცილო-სერიოზული. კომიკურია ადამიანი, რომელიც ნაცრით გატენილი გუდით (ნაცარქექია) ცდილობს ბუმბერაზი შეაშინოს, კომიკურია ეჭვით ავადმყოფის ყოველი სიტუაცია. მხიარული სი-ცილის აღძერა შეუძლია ასეთი გმირებით ჰუმორისტ-სატირიკოსს. მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთა საქციელი კომიკურია და ამავე დროს მავნებელიც. ასეთია მაგ., მკვდარი სულებით ვაჭ-რობა; ვინმე გაიძვერას სახელმწიფო რევიზორად მიჩნევა; კლასობ-რივი ჩაგვრის გამართლება ხელის თითების დიდ-პატარაობის „არ-გუმენტაციით“ და სხვ. საზოგადოებრივად საზიანო კომიკური სე-რიოზულიც არის. ილია ჭავჭავაძე კომიზმამდე მისულ მნიშვნელო-ვან სოციალურ მოვლენათა ეპოქისადმი აბსოლუტური შეუსაბამო-ბის სურათს ხატავს.

შეზღუდული და მდაბალი წარმოადგენს სატირულ-კომიკურის საფუძველს. ასეთია ადამიანის ტიპი, რომელიც კანონად იღებს მკითხავ-ეჭიმბაშების სიტყვას, ზედმეტად მიაჩნია სწავლა-განათლე-ბა, დასაშვებად თვლის „გასაიდუმლოებულ“ მრუშობას და სხვ. ეს ტიპი სიცილთან ერთად სიძულვილსაც იწვევს; ასეთია ლუარსაბ თათქარიძე.

ძიდარებით უწყინარია მწერლის ირონია, როცა პერსონაჟების შეუგნებელ ანტისაზოგადოებრივ საქციელს გვიჩვენებს. ამგვარი ირონიით ხასიათდება ლუარსაბ-დარეჯანის სულელური კამათი, დიალოგები და ეპიზოდები ჭერზე მსხდომი ბუზების რაოდენობაზე, ლუარსაბის სიზმრის შემდეგ ცოლ-ქმრის მიერ ერთმანეთის გაჟღე მიჩნევა და სხვ.

ლუარსაბ-დარეჯანის საქციელში მწერალი არა მარტო, ან არა მაინცდამაინც ბატონყმურ, არამედ ჩვეულებრივ „ადამიანურ" შეზღუდულობასაც იგდებს სასაცილოდ და ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის პროგრესს; ამიტომ მწერალი ერთგვარად „დამნდობ" მსუბუქ ირონიასაც ამჟღავნებს. დამახასიათებელია ასეთი რემარკა: „ლუარსაბი დაგვიღონდა, მკითხველო! ისე თავჩაღუნული იდგა, როგორც პატარა ბავშვი, როცა შაქრის ქურდობაში დაიჭერენ. არ იცოდა რა ექნა, ჰგრძნობდა, რომ ცოლმა დაიჭირა, აჯობა, მაგრამ ამის კისრად აღება ეთაკილებოდა"; ან კიდევ „ჰწიოდა საწყალი კნეინა და იცემდა ძალზე თავში, თითქო იმისი ბრალი იყოს ლუარსაბის გაგიჟება. ლუარსაბი გაოცდა ეს ამბავი რომ ჰნახა, სრულიად გაშრა. ეხლა ამას ეგონა, რომ ცოლი გაგიჟდა და დაიწყო ტირილი." ამგვარი სიცილი გოგოლის „ძველი დროის მემამულენის" სიბრალულის აღმძვრელ სიცილს მიაგავს. მაგრამ ილია სასაკილოში უფრო მეტს ისახავს მიზნად ან მეტს იძლევა, ვიდრე სიბრალულის გამოწვევაა. თვით სიბრალულის წარმომშობი მომენტიც შეიცავს იმის გმობას, რაც სიბრალულს აღძრავს: „დიდოურისა" და „გაუდიდურის" სცენა არავის გაუღვიძებს ლუარსაბ-დარეჯანისებრი ადამიანების „გასწორების" ან ასატანობის შესაძლებლობის აზრს. გარდა ამისა, მოთხრობაში წარმმართველი ადგილი უკავია უფრო ისეთ სასაცილოს, რაც ძირითადად გმირის ნაბევრად თვალთმაქცურ შეუგნებლობას უსკვამს ხაზს. ლუარსაბი და დარეჯანი აშკარად შეუგნებლად სჯიან „ხე ბოროტისა და ხე კეთილის" მოპარვის შესაძლებლობის შესახებ. ასევე შეუგნებლად, მაგრამ საკმაოდ სულმდაბლად ნატრობენ ერეკლე მეორის სიცოცხლეს, რაც მათი აზრით, იმით ყოფილა დიდებული, რომ ლუარსაბსა და დარეჯანს უშველიდა რაიმე განძეულის მოპარვაში. ეს ნახევრად გულუბრყვილო ამდენადვე ყალთაბანდური „სჯა" „მაღალ საგნებზე" ერთბაშად იცვლის მიმართულებას და „საქმიან ხასიათს" იღებს: „ცოდო არ არის, ის (ერეკლე II—ა. კ.) ეხლა მიწაში ლპებოდეს და შენი მაზლი დავით კი ცოცხალი იყოს!"—ამბობს ლუარსაბი. „თამარ ღედოფალი შავ მიწაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი კი მზეს უყურებდეს!"—უპასუხებს დარეჯანი. ამ სახის ეპიზოდებით ნაწარმოების მთავარი პერსონაჟების თავადური „კეთილშობილება" სულ უფრო და უფრო „მაღლდება" მკითხველის თვალში. ირონიის ასეთი მობრუნება საძულველ-სასაცილოს „შესაბრალ" სასაცილოსგან მკვეთრ განსხვავებაზე მიუთითებს.

„კაცია-ადამიანში" არა ერთი მაგალითი ვიპოვეთ სატირულ-ჰუმორისტული ინტერპრეტაციისა, რაც „ბრწყინვალე" და „დიდე-

ბული“ წოდების არა შებრალებას, არამედ დაგმობას ნიშნავს. რაც ღირს თუნდაც. ლუარსაბ-დარეჯანის „გულკეთილობის“ ფაქტი: დარეჯანი უარს ეუბნება გლეხის ქალს მეველეებისაგან დაშერილი კამეჩის გატანებაზე. „როგორ იქნება, ჩემო ბაბალე, ეხლა, მართალია. შენ ნათელ-მირონი ხარ. მაგრამ სოფელი აყაყანდება“. მაგრამ როცა ბაბალე ეტყვის: „ერთი გაბმა აბრეშუმი მოგართვიო“,— დარეჯანი მაშინვე შეაბრუნებს თავის სიტყვას: „ეგ, რომ არ ყოფილიყო, განა ისე კი, რაც შემიძლია, არ გაგირიგებდიო“. იგივე სცენა მეორდება ლუარსაბთან: ჯერ უარზეა და გაბრაზებით წამოიყვირებს: „კამეჩიო!“, მაგრამ შეიტყობს რა ბაბალეს „ერთი გაბმა აბრეშუმი მოუთმევიაო“, მაშინვე გასცემს „ყოვლად მოწყალე“ განკარგულებას: „მაშ, კარგი!.. დათო! ბიქო! დათო!.. ჩადი, უზბაშს უთხარი, ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას. თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ!“

ილიას სატირული სიცილი არ არის კომპრომისული. ამ მხრივ, „მკაცრადაც“ კი შეიძლება მიგვეჩნია ის დახასიათება, რასაც დიდი სატირიკოსი „კაცია-ადამიანით“ ასახულ მომაკვდავი უოფის ადამიანებს აძლევდა: „არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ“.

კვდომის საშყაროსადმი ილიას მახვილ სატირულ-ჰუმორისტულ დამოკიდებულებაშიც მოჩანს მწერლის იდეურ-მხატვრული თვალთახედვის სიფართოე; და დემოკრატიზმი. მისი სატირული სიცილი თვით ხალხის სატირული სიცილია. ამ სიცილს ვერ გადაურჩნენ ბატონყმური სინამდვილის ლპობის პროცესში მოყოლილი გლეხობის წარმომადგენლებიც. რეალისტი მწერალი ხედავდა, რომ მებატონენი უსამართლოდ ჩაგრავდნენ ყმა-გლეხებს, რომელნიც „ვაინაჩროებით და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ“. ამაყე დროს, ილია შორს იდგა ხალხის ჩამორჩენილობისადმი სანტიმენტალისტურ-ხალხოსნური შემწყნარებლობისაგან. მწერლის დაცინვა „ლამაზისეულისადმი“ არსებითად არ განირჩევა იმ დაცინვისაგან, რასაც მწერალი ლუარსაბ-დარეჯანისადმი იჩენს: „ფერი ფერსა. მადლი ღმერთსაო“. ლამაზისეულები თავისი ბატონებივით ცხოველური ცხოვრებით ხასიათდებიან: ჭუჭყისაგან გაზინთული, წილიანი, თმადაუვარცხნელი, გამურული არსებაა და მაინც „ლამაზისეულად“ არის მიჩნეული „ამა ქვეყნის ძლიერთაგან“. სწორედ ის არის ქალბატონის „უახლოესი“ მოახლე, „მესაიდუმლე“. თათქარიძეთა სინამდვილის იდილიის სურათი დასრულებული არ იქნებოდა, რომ „ლამაზისეულებიც“ არ ყოფილიყვნენ. ამ სურათში გამოტოვებული არ

არის ეზოს ქოფაკის ბედის შემნატრი „გოგოზედ ეტრო ჰუქყიანი ბიჭი".

„კაცია-ადამიანით" უმთავრესად ირონიულ-გროტესკული დაშლილია ბატონყმური „ცხოვრების" პრობა მთელი თავისი სასაცილო მხარეებით. ამ მოთხრობის ეს უძლიერესი მხარე ნაწილობრივ შენიშნული იყო ჯერ კიდევ 60-70-იან წლებში, 1869 წელს, მოთხრობის ცალკე წიგნად გამოცემისას. ერთი რეცენზენტი (თორელი) წერდა: „რა მშვენიერი რამ არის ლუარსაბ თათქარიძის მოთხრობა: ბედნიერია ის ლუარსაბი და ის დარეჯანი, რომელიც ამნაირ კალამის ქვეშ ჩავარდება. ნეტა სად არის ის ბედნიერი ლუარსაბი, რომ თავის ცხოვრებას არ კითხულობს,—ერთი წაიკითხოს და მერე უყურეთ მის განცვიფრებას... არ იტყვი იმის სახტად დარჩომას! ეს მოთხრობა ნამდვილად გადაღებული სურათია. მოვალე რომ ჩაუდგება გაკოტრებულს და თარო-კედელს. ძონძს და ჯონჯებს აკურავს, ეს მოთხრობა სწორედ ის არის. ისე ნამდვილად არის აღწერილი, რომ არაფერი არ არის გამოტოვებული"[161].

სატირულ ნაწარმოებში ინტერესს იწვევს დადებითი იდეალისა და დადებითი გმირის საკითხიც; ზოგი ლიტერატორი კი სატირას საერთოდ აბრალებს სელოვნებიდან, ან მდარე ჟანრად თვლის, ნაკლებად ეგულვება სატირაში დადებითი იდეალი, დადებითი გმირები.

სატირის მთავარი ობიექტი უარყოფითია, რაც, ისევე როგორც არასატირული ნაწარმოები არ გამორიცხავს დადებით იდეალსა და დადებითი გმირების მოცემას. დადებით იდეალს სატირიკოსი იმით აღწევს, რომ უარყოფითი პერსონაჟების საპირისპიროდ გულისხმობს დადებით იდეალს და დადებით ადამიანებს ცხოვრებაში: ჯანსაღ იდეალებზე დამყარებული სატირა ჟანგბადის როლში გვევლინება; „მკვდარი სულები" ეს იყო გამომაცოცხლებელი გაელვება სულის შემხუთავ გარემოცვაში,"—ამბობდა ბელინსკი.

„სატირა, რომ ჭეშმარიტი სატირა იყოს და თავის მიზანს აღწევდეს,—წერდა სალტიკოვ-შჩედრინი,— საჭიროა, ჯერ ერთი, ის, რომ აგრძნობინებდეს მკითხველს იმ იდეალს, რომელსაც ემყარება შემოქმედი და, მეორე, სავსებით ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული ის საგანი, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული მისი გესლი"[162]

რამდენადაც ნიშანდობლივია, რომ ჭეშმარიტი სატირიკოსი დადებით იდეალს იძლეოდეს, რაც თვით სიცილშია გამოვლინებული,

---

[161] „მნათობი", 1869, № 7 — 8, თორელის სტატია „მიმოხილვა".

[162] М. Е. Салтыков-Щедрин, об искусстве, изд. Искусство, 1949, გვ. 206.

არაფერი დააკლდება სატიროულ ხაწარმოებს თუ დადებითი გმირებიც იქნება მოცემული: ამის უპარწყინვალესი ნიმუშია სვიფტის „გულივერის მოგზაურობა" — თვით გულივერი. გენიალურ სატირაში „სიბრძნე სიცრუისა" რამდენიმე დადებითი გმირია: ლეონი, ჯუმბერი, სედრაქი. თვით მეფე ფინეზიც.

ილია ჭავჭავაძე „კაცია-ადამიანის" სატირის ობიექტად რეგრესულს ირჩევს, რასაც ჯერ კიდევ არ გამოსცლია ძალა და თავი მტკიცედ ეჩვენება. სოციალურად წარმავალისადმი კომპრომისის ელემენტიც კი არ არის ილიას სატირაში. სატირის ობიექტის მისამართით არის დაწერილი: „თუ მაინცა და მაინც წყრომას არ დაიშლი. შენი ნებაა. მე შენი წყრომისა არ მეშინიან". „კაცია-ადამიანის" წინასიტყვაობის მეოთხე ვარიანტიდან ჩანს, რომ მწერალი ხალხს მოწინავე უმცირესობაზე ამყარებდა იმედს. „ვისაც თავის-თავი იმ წუმპეში ეგულება, ის გამიგულიანდება, ვისაც არა — ის ხომ ჩემკენ იქნება. ვაი, რომ ეს უკანასკნელი ძალიან ცოტანი არიან. ეს დასაღონია, დამაბრკოლებელი კი არა: ოქრო მცირეა, მაგრამ ძვირია". მწერალმა ეს მოწინავე უმცირესობა არ დატოვა უყურადღებოდ; „კაცია-ადამიანის" სატირა არ არის მხოლოდ „უარმყოფელი" სატირა: გვიჩვენებს იმ უმცირესობასაც, რომელიც განახლების გზაზე დგებოდა. ილია სიძულვილისა და სიყვარულის შემოქმედი იყო: რომ გიყვარდეს, უნდა გძულდეს კიდეც, უნდა გძულდეს ის, რომლისგან რაც დროზე განთავისუფლდება ქვეყანა, მით უკეთესია. ილიას ძულდა ის, რაც აფერხებს ცხოვრების განაბლებას და ამდენადვე უყვარდა ის, რაც ხალხურობით, ეროვნულობით სუნთქავს. ხოლო ეროვნულობა ვერ გაიხარებს მის ხელის შემშლელთა მხილების გარეშე. ამიტომ ამბობდა ილია: „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობელად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი — ეგ აშკარაა"[163].

„კაცია-ადამიანში" კეთილის მოციქულად გვევლინება სიცილი და შეტ-ნაკლებად დასრულებული დადებითი გმირები, რომელნიც ხალხის წიაღს ეკუთვნიან. ხალხი არა მარტო ლამაზისეულებს შობდა. არამედ ზაქრო-კაკოებს, გაბროებს, დათოებს და ბაბალეებსაც; მათ საჭირო შემთხვევაში თავისი მჩაგვრელების მოხერხებუ-

[163] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. III, 1953, გვ. 69 — 70.

ლი განჭიქება, მოტყუება და განადგურებაც შეეძლოთ: «Революционные мысли не могли не бродить в головах крепостных крестьян»[164]. „კაცია-ადამიანში“ დადებითი გმირის ყველაზე ნაკრულებული სახეა დათო. იგი იარაღით არ იბრძვის. მაგრამ მებატონეთა ნამდვილ გლეხურ კრიტიკას მიმართავს შენიღბული სახით. მწერალს სიამოვნებით ელიმება გონიერ გლეხზე, რომელიც აბიაბრუებს ყეყეჩ მებატონეს. მაგრამ მწერალმა „პირმოთნე გლეხი“ უწოდა მას, გაბედულების უქონლობისა და არაპირდაპირობის გამო.

„კაცია-ადამიანის“ დადებითი პერსონაჟია ერთი „ხნიერი გლეხიც“, რომელსაც არაპირდაპირობისათვის „ცბიერ მონას“ არქმევს ავტორი. პირმოთნეა გლეხის ქალი ბაბალეც. ხნიერი გლეხი, დათო და ბაბალე ზიზღით არიან გამსჭვალულნი მებატონეებისადმი, მაგრამ გარეგნულად ერთგულებას უჩვენებენ. ამიტომ ისინი სავსებით კეთ აკმაყოფილებენ მწერალს. მწერლის განსაკუთრებული სიმპათია შეეძლო დაემსახურებინა ისეთ გლეხს, რომელიც მზად იყო იარაღით დაპირისპირებოდა უსამართლობის ჩამდენთ: ამ მხრივ „კაცია-ადამიანში“ გამოირჩევა ის გლეხი, რომელსაც მწერალი ასე უწოდებს—„ერთი თავმოწონებული გლეხი“. იგი არც პირმოთნეა და არც ცბიერი. მართალია, იგი ბატონყმობაზე დათოსოდენ სიმართლესაც ვერ ამბობს და რასაც ამბობს, იმასაც „წაბუტბუტებით“. მაგრამ იგი არ პირფერობს; მის ტონში სიბრაზეა, ლუარსაბმა დაიჯერა და ბიჭები შეყარა, მკითხავმა ორმო „აღმოაჩინაო“; ამის გამო „თავმოწონებული ბიჭი“ ლენჩი ბატონის მისამართით ამბობს: „ერთი რალაც გოგო-ბიჭების ნაჩიჩქნია და ამ კუდიანმა ორმოდ გახადა. რა უკვირთ?“

შემთხვევითი არ არის, რომ მწერალი ხაზს უსვამს: „წაიბუტბუტა ერთმა თავმოწონებულმა ყმაწვილმა ბიჭმა, რომელიც შორიახლო იდგა და მკლავი ხანჯალზედ ებჯინა“; ეს ყმაწვილი მწერალმა გამოარჩია ყმებისაგან; შემთხვევითი არაა, რომ „ერთი გამოცდილი ხნიერი გლეხკაცი“ ამ ყმაწვილს სწორედ მორჩილებისაკენ მოუწოდებს: „შენ რა გენაღვლება, ძამო, ხომ ჰხედავ—ბატონს უსარჩო, რომ იქ ორმოა, დაე ეგონოს, რომ ორმოა. შენ რა?“ და „მიუბრუნდა მერე ბატონს ცბიერი მონა“, დასძენს ამ „გამოცდილ გლეხკაცზე“ მწერალი.

ამ მცირე მონაკვეთში მწერალმა ერთმანეთს დაუპირისპირა „თავმოწონებული ყმაწვილი ბიჭი“, რომელიც ბატონისადმი მლიქვ-

---

[164] В. И. Ленин. Соч., т. XVII, გვ. 96.

ხელობას გაურბის და ეძლევა ბატონს და. მეორე მბრივ. „ცბიერი მონა". „თავმოწონებული ყმაწვილი ბიჭი" კაკო-ზაქროს თავისებური ესკიზური ჩანაფიქრია.

„კაცია-ადამიანი?!" გვიჩვენებს, რომ ილია არ იკიწყებდა დადებით გმირთა სახეებსაც. თუმცა მათ პორტრეტებზე ნაკლებად გაუმახვილებია ყურადღება; ეს მხატვრული ჩანაფიქრის თავისებურებით აიხსნება. რა თქმა უნდა, ილიას შეეძლო არ მოეცა დადებითი გმირები: სოციალურად რევრესულის დაცინვა დადებით გმირთა შემოყვანის გარეშეც სორცხელდება; ხელშესასები დადებითი გმირების დავიწყებას ხანი არ მოუტანია „მკვდარი სულების" ავტორისათვის, თუმცა იმ დროის კონსერვატიულმა კრიტიკამ „მკვდარი სულები" და „რევიზორი" „ცუდ ჟანრად" (Mauvais genres) გამოაცხადა. უმთავრესად „დადებითი გმირების", უფრო სწორად, იმის დადებითად მოუცემლობისათვის, რაც უარყოფითი იყო თვით ცხოვრებაში. გოგოლი დააფრთხო ამ გარემოებამ, მან თავისი სატირული უარყოფის უკან ვერ შენიშნა ობიექტურად გამოხატული ჭეშმარიტად დადებითი იდეალი: „მკვდარი სულების უკან ცოცხალი სულები",—როგორც გერცენი წერდა. როცა გოგოლი შეეცადა „მკვდარი სულების" მეორე ნაწილში დადებითი გმირების გამოყვანას ჩიჩიკოვებისა და საბაკევიჩების სამყაროდან, მისმა რეალიზმმა, მხსმა სატირამ მარცხი განიცადა; ძირითადად უარყოფითი გმირების სამყაროში ტრიალებდა შჩედრინის სატირული სტიქიაც. იგი ვერ ახერხებდა სატირაში დადებითი გმირების მოცემას. ამის გამო ირონიულადაც კი წერდა. «Сколько я ни старался добродетельную куклу сделать — никак не могу! Мерзавцев — сколько угодно, а что касается добродетели, так, кажется этого слова и заведено в этом царстве нет»[165]. ამით შჩედრინი არ უარყოფდა სატირაში დადებითი პერსონაჟების მოცემის შესაძლებლობას (ზოგიერთი დადებითი სახე შექმნა კიდეც), არამედ ხაზს უსვამდა თავისი სატირული პათოსის ინდივიდუალობას: მისთვის მთავარი უარყოფითი გმირების მოცემა იყო. ილია ჭავჭავაძემაც თათქარიძეთა გარემოში მხოლოდ ზოგი ნათელი წერტილის დანახვა შეძლო.

„კაცია-ადამიანის" სატირის დახასიათებისას ყურადღებას იპყრობს ენობრივ-სტილისტური საშუალებების სატირული ტიპიზა-

---

[165] М. Е. Салтыков-Щедрин, Сочинения, Гиз., М., т. V, 1926, стр. 295.

ციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხად მომარჯვება. ინტერესს იწვევს, კერძოდ, ლექსიკური საშუალებების გროტესკულად გამოყენება. მაგ., თათქარიძეთა დაკნინების საჩვენებლად გროტესკულადაა გამოყენებული ბეტაფორა „ბრწყინვალე": „მის ბრწყინვალების ჭონში", „თავის ბრწყინვალე გონიერებით". „მართალიც ბრძანდებიდა მისი ბრწყინვალება". ასეა შემკობილი არა მარტო ლუარსაბი, არამედ დარეჯანიც: „მისი ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გაღადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა მტვერი ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა". ცხადია, აქ შემთხვევითი არაფერია: მწერალი ირონიულ-სარკასტულად იყენებს ამ სიტყვას ყალთაბანდი სასიმამროს (თავად მოსე გრძელაძის) დასახასიათებლადაც. მისი წერილი ასე იწყება: „ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანის ძე გრძელაძე". დამახასიათებელია, რომ ეს თავადური „კეთილშობილებით" აღსავსე წერილი დაწერილია „დარბაისლური ქართულით". მწერალი ამით არა მარტო „ბრწყინვალე თავად" მოსე გრძელაძის, არამედ სამი სტილის გაცვეთილობასაც ამხილებდა.

თათქარიძეთა მოდგმის „ბრწყინვალების" ავტორის სიტყვით დახასიათების ძალა მოჩანს საერთოდ „კაცია-ადამიანის" პერსონაჟების აღწერით დახასიათებებში, რაც ნიშუშის მნიშვნელობას ანარჩუნებს; ავტორის სიტყვის ძალამ განსაკუთრებით იჩინა თავი მოთხრობის დასაწყისსა და ფინალში. ავტორისა და პერსონაჟის სიტყვის ურთიერთშეხამების საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს მოთხრობაში ლუარსაბის სიზმარი. ავტორისა და პერსონაჟის სიტყვა არსებითად, ერთ მიზანს ემსახურება: ხაზი გაესვას ფორმისა და შინაარსის. თათქარიძეთა „თავადური ბრწყინვალების" შეუსაბამობას: ახალ დროს აღარ შეესატყვისება ბატონყმობა: ეს ვენება თათქარიძეობის მზე: ლუარსაბ-დარეჯანში ერთ დროს ჭეშული „ცით მონაბერი სული" არსად ჩანდა, თითქო ჩამკვდარა.

პერსონაჟების წამყვან თვისებათა ხაზგასმას ისახავს მიზნად „კაცია-ადამიანში" ანდაზა-აფორიზმებიც. მაგ., ლუარსაბ-დარეჯანის ხასიათების მსგავსების ხაზგასასმელად, ავტორი ირონიულად შენიშნავს: „ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო". ცრუ კხეინას და „ბრწყინვალე" თავადების მუქთახორობის დასაცინად ავტორი ხალხური თქმით დაასკვნის: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს".

თათქარიძეთა ყოფის სატირული სტილისტური დახასიათების მიზნით არანაკლებადაა გამოყენებული პერსონაჟის სიტყვები: ასეთია მაგ., ლუარსაბ-დარეჯანის უშინაარსო და „ტკბილი" ცოლქმრობის ხაზგასმული საალერსო გამოთქმები („ჩემო ტურფა", „ჩემო სუ-

ლიკო", „ჩემო გოშია", „შენი სულისა". „ჩემი სულის წიწმატი"..)- შვილის მოლოდინით მთვრალი ლუარსაბის „სიმღერა" და სხვ.

ენობრივ-სტილისტური მონაცემების გამოყენებას, პერსონაჟის მნიშვნელოვანი თვისების სატირული ხაზგასმისათვის, დიდი ადგილი უჭირავს გ. ერისთავის კომედიებში. მაგრამ გ. ერისთავი უმთავრესად ე. წ. ყარგონიზმებს აქცევს ყურადღებას. „კაცია-ადამიანში" კი მთავაოია ავტორისეული. ავტორისა და პერსონაჟის და საკუთრივ პერსონაჟის სიტყვების სატირული ტიპიზაციის მიზნით გამოყენება.

3. „მგზავრის წერილები"

ილია ჭავჭავაძის სატირის ნიჭმა მნიშვნელოვნად იჩინა თავი „მგზავრის წერილებშიც": ამ მხრივ მისი თავისებურება ის არის, რომ იგი არ არის წმინდა სატირული ნაწარმოები, მაგრამ სატირული ნაკადი იმდენად ძლიერია მასში, რომ საფუძველს იძლევა მისი განხილვა დაუკავშირდეს კლასიკურ სატირულ ქმნილებას „კაცია-ადამიანს".

„მგზავრის წერილების" დაცინვა უმთავრესად თვითმპყრობელობის წინააღმდეგაა მიმართული: ამას აღწევს ილია „იამშჩიკისა", „პოვოზკისა" და რეგვენი ოფიცრის სატირული დახასიათებით და მერე ამ ფონზე მოსევის საუბრის გაშლით.

„მგზავრის წერილები" მეფის არმიის ოფიცრის სატირული სახით. პირველ ყოვლისა, დამპყრობლის უკულტურობას აშიშვლებს: დაპირისპირებულია ცარისტული სახელმწიფოს ოფიცერი და მაღალდეური ინტელიგენტი. ამ მიზნით მწერალმა მიმართა პერსონაჟის თვითდახასიათებას: მწერლის „სომხის ერთ სოფელგრად" მიჩნევის შემდეგ ოფიცერი წარმოდგება თავისი სასაცილო სახით. თავაზიანობა უზრდელი დამოკიდებულებით იცვლება, აგდებულია მისი საუბრის კილო, იგი ქართველებს და სომხებს ველურებად თვლის. თავის თავი მწერლად და მეცნიერად მოაქვს. „მსჯელობს" თბილისში „ბუზების მრეწველობის" განვითარების შესაძლებლობაზე, პეტერბურგის დიდებად იზლერის ბაღს სახავს. გენერლების რიცხვით საქართველოს ცივილიზებულობას აფასებს და სხვ.

მწერალთან დიალოგში ოფიცრის სიტყვას უჭირავს მთავარი ადგილი, მაგრამ მწერლის რემარკები („დიდკაცური სანახაობა მიიღო", „ტუჩები აიპრუწა", „ვფიქრობდი, ხომ არ გაგიჟებულა მეთქი...") ოფიცრის სახის სატირული გახსნის მნიშვნელოვან ფაქტო-

რად იქცევა: მწერლის დაცინვა სარკაზმს აღწევს. „მეცნიერი" და „მწერალი" ოფიცრის სატირულ ტიპიზაციას ილია ახდენს არა მარტო მისი „აზრების" მიმართულებით, არამედ ამ „აზრების" გადმოცემის ენობრივი ფორმითაც. ამით მწერალი დასცინის არა მარტო ოფიცრის უკულტურობას, არამედ საერთოდ ცრუმეცნიერულ სტილსაც. მაგ., „თქვენ არც კი იცით, რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არღუმენტაცია, ინტელიგენცია, კასაცია და ფილოლოგია".

„მგზავრის წერილებში" ყურადღებას იქცევს ლირიკული გმირი, თვით მწერალი. იგი გვევლინება როგორც მთავარი დადებითი გმირი, რომელიც არა ნაკლებ საინტერესოა არასატრფიალ კოტაქტშიც. იგი განათლებული, მაღალი კულტურის და პოლიტიკური შეხვნების პატრიოტია. მისი სამოქმედო იდეაა: სამშობლოს თავისუფლებისათვის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძანება: „მე შევძლებ კი... დავრდომილი აღვადგინო... და ის თითოეული ნაპერწკალი. რომელიც არ შეიძლება ყოველს კაცში არ ეოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შეკავროვ?".

„მგზავრის წერილების" ლირიკული გმირი ესაა თავისი დროის დიდი რევოლუციონერი" ჰუმანისტი მწერალი, რომელსაც უყვარს „ადამიანის მორჩმული ხმაურობა". ქართველი ერის „გამალებულ ბრძოლის" უკვდავი სახეა „მგზავრის წერილების" ლირიკული გმირი.

გ. „ს ც ე ნ ე ბ ი"

„სცენები" საგლეხო რეფორმის პირველ დღეებს ეხება. სხვადასხვა სოციალურ დონეზეა ყველა პერსონაჟი; მათი ტიპიზაცია ისეა წარმართული. როგ ნაჩვენებია ახალი სოციალური მდგომარეობის ზეგავლენა ადამიანის სულზე; სოციალური მდგომარეობის უეცარმა შეცვლამ შეცვალა ადამიანთა სულიც. ახალი ეპოქის დადგომის მაუწყებლად გაისმის ნაყმევის სიტყვები: „აღარა ვართ, ჭალბატონო, თქვენი ყმები, არა და არა!"

ნაჩვენებია სოფლის სამყაროს სულიერი და მატერიალური რღვევა, გადაგვარება. რა თქმა უნდა, ყოველი გლეხი როდი იყო ყოველმხრივ აწიოკებული, მაგრამ ილიამ დახატა სოფლის ტიპიური სურათი. სოფლის მთელემარე ყოფა გადასულია პერსონაჟთა მეტყველებაზე, რომელიც მოკლებულია დინამიკას. ჭრიაშვილის მეტყველება ამის მაგალითია.

საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელი სოფლის სურათის სიმწვავის ჩვენება გროტესკამდეა აყვანილი: ჭრიაშვილის აზროვნება იდიოტიზმის ზღვარზე დგას; ქვეყნიერი ადამიანური ეთიკის გადაჯ-

ვაობის მოსარჩლედ გამხდარა: ადამიანთა შორის შუამავლად გაჩე-
ვერა „პოსრედნიკი" ქცეულა. ცხოვრებისეული ლოგიკა გადაგვარე-
ბას მოუცავს. გროტესკულია „სცენების" თითქმის ყოველი პერსო-
ნაჟი. ეს ილიას ერთადერთი ნაწარმოებია, რომელშიც მწერალი ვან-
ზე გაბედგარა. არ ერევა ამბის მსვლელობაში, და თვით ფაქტებს ალა-
აცენებს: „სცენებში" არ არის თვით ილიას აზრის პირდაპირი სა-
განმომჭეველი პერსონაჟი. მწერლის ყოფნა „სცენებში" დაფუ-
რულია. გლეხებს არ ძალუძთ თავი დააღწიონ იმას, რასაც გაურბიან,
მათი პროტესტიც კი გროტესკულად განწირულია: ყოველივე ეს იწ-
კევს სიბრალულს. ეს, ამ სახით წარმოდგება მწერალი „სცენებში".
ადრე ამისა წერალი ჩანს რემარკებით: „სასაპა-სხუპით", „ქოქოლას
აყრის", „გაკაპასებული შეუტევს გლეხსა". „იწერს პირჯვარს"...

„სცენების" ჟანრობრივი თავისებურების გამო ტიპიზაციის
ზოგიერთ სიმძიმე პერსონაჟთა მეტყველებაზეა გადატანილი.— მეტყვე-
ლების ფორმის შესაბამისობაზე ხასიათთან: მაგალითად მოვიტანოთ
ქვრივის რეპლიკების ერთი ნაწილი:

ქვრივის მიმართვები გლეხისადმი:

„თქვე უბედურის-შვილებო! ბის". „ეი, შე ძაღლის ნაშვენო, იქ ჩემ სანეხვეში
ჩაგარჩობ შურაძაღლსაეითა". დავაყარე თქვენ ტილიან თაეებსა". „გე-
შინდეს მატლები". -კის დავაცალო. ვისა?.. ამ ტყლაპს?". კ დავაყარე
თქვენს თავსა". „ოო, შე ჯრელო გველო, ფარისეველო!", „რისთვის მოეთრიე,
შე ძაღლის ნათრევო!" და სხვა.

ქვრივის მიმართვები „პოსრედნიკისადმი":

„არა, მოწყალეო ხელმწიფევ". „რადა, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ. შე თქვენ-
თვის ცუდი სიტყვა არ მომისმენიბია, მე ამ პირუტყვს ვეუბნებით". „ჩემო დიდე-
ბულო ხელმწიფევ. ბრძანო და ბრძენთა ბრძენო... მაღალო და სვიანო", „ნუ
ინებეთ გაჯავრება, ჩემო მაღალო ხელმწიფევ!" და სხვა.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, ლუარსაბ თათქარი-
ძის შემდეგ, გლახა ჭრიაშვილი უაღრესად გამოკვეთილი ტიპია.
ამ გმირის სარკასტული და პაროდიული მდგომარეობა ტრაგიზ-
მადე ადის. იგი საბრალო ხდება. ამით მაღლდება ეს გმირი,
ვთქვათ, გ. ერისთავის ანალოგიურ ტიპზე, ამითვე უტოლდება
გ. ერისთავის ტიპაჟის საუკეთესო ნიმუშებს. გლახა ჭრიაშვილი
ვროტესკია. ტრაგიკული გროტესკი. ილიამ აჩვენა, რომ ეს საით
ცხოვრებამ გათელა, შებღალა სულიერად. იგი კი კვლავ ებღაუჭება
(კომიკურად) ცხოვრებას და უნდა თვითონაც დაისაკუთროს კაცუ-

რი ადგილი ცხოვრებაში; იგი ებღაუჭება იმას, რომ ... ზნეური ყოფილა. მაგრამ მისი ეს მონდომება ტრაგიკულია. მას საერთო ენაც ვერ გამოუნახავს ადამიანებთან, ვერ გამოუთქვამს თავისი აზრი. ეს ნორმიდან გადახვევაა. ეს გროტესკია. როგორზეც შერეული ანჯერსონი წერს თავის კრებულში „წიგნი გროტესკულ ადამიანებზე“.

4. ილიას სატირული ლირიკა

ილიასა და აკაკის სატირული ლექსებით ქართულ პოეზიაში მძლავრად იჩინა თავი „პოეტურობის“. პოეზიის საგნის, ინტონაციისა და განწყობილების ახალმა გაგებამ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც წესი, სატირულობა არსებითად გამორიცხავდა პოეტურობას. ილიამ და აკაკიმ მკითხველის გულის „აჩუყებაზე“ მნიშვნელოვნად გამოაცხადეს გულის „აღშფოთება“.

პოეტურობის ახალმა გაგებამ. რომელშიც სატირულობაც შეიჭრა, ეპოქის ახალ პირობებში ახალი შესაძლებლობა დაუსახა ქართულ ლირიკას; სატირული ლექსი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ლირიკაში, როგორც მისი განუყრელი ნაწილი.

ილიას სატირული ლექსების („რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?!“, „ბედნიერი ერი“, „პასუხის პასუხი“, „ჩიტები“...) რიცხვი საკმაოდ მცირეა; მათი მთელი ძალა პამფლეტური ხასიათის სატირულ-პოლიტიკურ სიმახვილეშია.

ლექსით „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?!“ ილიამ სამარცხვინო ბოძზე გააკრა ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი, — ერის ფაქტიურ მოღალატედ გამოაცხადა: და ეს შესრულებულია XIX საუკუნის ისტორიის ღრმა ცოდნით. მინიშნებულია ამ ისტორიის ყველაზე ტრაგიკული მომენტები. სადაც ქართველმა თავადაზნაურობამ სამარცხვინო, ზოგჯერ პირდაპირ მოღალატური როლი შეასრულა; ყოველივე ეს ნათქვამია ირონიულ-სარკასტული ლირიკის ენით. დამახასიათებელია. რომ თავისი მრისხანე დაცინვისათვის პოეტმა სრულიად მარტივი ფორმა აირჩია: ერთი მხრივ. გამოიყვანა შვილიშვილი. როგორც ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა და. მეორე მხრივ, პაპა, ძველი თაობის წარმომადგენელი. ამ ისტორიის მონაწილე, რომელმაც იცის საქართველოს ახალი ისტორიის გადამწყვეტ წუთებში თუ რა მოიმოქმედა თავადაზნაურობამ. აქ, შვილიშვილის კითხვები და პაპის პასუხები ის მთავარი საშუალებაა, რითაც დაცინვის ობიექტი ისტორიის წინმავალი პროცესის საპირისპირო ვითარებაშია ჩაყენებული,—გაშარჟებამდეა მიყვანილი:

პოლიტიკური გამჭრიახობის. ერთობის. ერთგულების, მოქმედების ნაცვლად— უზრუნველობა. ერთმანეთის გაუტანლობა. ღალატი და ბედოვლათობა.

„ბედნიერი ერის" თვითმამხილებელი „პანეგირიკის" ფორმით შემკული სატირული ტიპი, თავადაზნაურობა მეტყველებს ყოველგვარი სოციალური სისაძაგლის „ერის ბედნიერებად" მიჩნევაზე: კლასობრივი და კოლონიური ყალნის (ტვირთის) და ფალნის (კურტნის) უწყინრად ტარებას ქადაგებს. ლექსის ბოლოს რეფრენი („ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?!) სამუდამოდ ასახმარებს ერის მოსურვე მდგომარეობის ბედნიერებად მიჩნევის სამარცხვინო ტენდენციას.

„გამოცანები" და „კიდევ გამოცანები" ყურადღებას იპყრობს გამოცანა-სატიროს მახვილი ფორმით: ყოველ „გამოცანაში" არის გამოსაცნობი დამცინავი მინიშნებები დასაცინი პირის გარეგნობაზე ან საქციელზე. ეს სატირის ობიექტის სრული გაბიაბრუების ნიმუშია. დასაცინი პირის სატირული სახე იქმნება ირონიულ-სარკასტული ლექსიკური გზით. მაგ., უთაური თავიანი, ხელთა მლოკი, ცხვირ-ნისკარტა. გაწნილი. ორპირი. ენა გრძელი, თავდიდა, ტყუილი ბრძენი... ამ „გამოცანებიდან" დამახასიათებელია ერთი „გამოცანის" (გრ. ორბელიანზე) შედარებით მეგობრული ტონი და ლექსიკა: პირად ბადრი, ტანდაბალი, სიტყვატკბილი. ჭკუამაღალი. გულმხურვალე.

მეფის მთავრობის დაქირავებული ლაქიების შემკრებლობითი სატირული დახასიათებაც არის მოცემული: „დიდთა ნახირი", „ბროვა. ანუ ჯოგი", რითაც მხილებულია თვითმპყრობელური სისტემის შინაგანი სიდამპლე. შემთხვევითი არაა 1871 წელს ილიას წერილი დავით ერისთავისადმი: „დათიკო! გიგზავნი გამოცანებს, რომ წაიკითხავ და დააკვირდები. მგონია. მიხვდე ვინც არიან აწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ—არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა არ უნდა იცოდეს ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ, დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება.—ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ ჩვენდა სამტროდ „ისინი" ყოველს ფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება.

გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდობ ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი როგორ უპატრონებ"[166].

— ——---

[166] ი. ჭავჭავაძის წერილები, 1949, გვ. 33.

„პასუხის პასუხი" „გამოცანების" და „კიდევ გამოცანების" ერთგვარი შემაჯამებელი ხასიათის პამფლეტს წარმოადგენს: ამ ლექსის მიხედვითაც პოეტი კვლავ მეფის მთავრობის მაღალი რანგის მუნდირიანთა სატირულ დახასიათებას გვაწვდის. აქ სატირული დახასიათება ზენიტშია აყვანილი. მრისხანე სარკაზმით ეს ლექსი „ბედნიერ ერს" უტოლდება. ბიუროკრატიული თავადაზნაურობის დაცინვა განხორციელებულია დასაწყისშივე კალამბურულ-მაჯაჭუარი სიტყვების თამაშით:

ჩვენ უჩინონი.
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუნებაც გგონიათ...

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურად მახვილი სატირული ლირიკის დადებითი გავლენა ემჩნევა 1905 წლის რევოლუციის პერიოდის ქართულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ლირიკას.

5. სატირის მონაცემები ილიას არასატირულ თხზულებებში

სატირის ელემენტი თავს იჩენს არასატირულ თხზულებებშიც. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა შექსპირის ტრაგედიები. გამოჩენილ კლასიკოსთა მრავალი არასატირული ნაწარმოები. სატირულ-ჰუმორისტული ნაკადი არის ილია ჭავჭავაძის არასატირულ ნაწარმოებებშიც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „გლახის ნაამბობი". მასში არის ჰუმორის მონაცემები: მაგ., დათიკოს ჯიუტობა—ქალაქში „უგაბრუშკოდ" არ წავალო: პეპიას ხუმრობა თამროს გათხოვებაზე. ამ მოთხრობაში არის სატირული მონაცემებიც. მაგ., მღვდელი ივთანდილ-შერმადინის ბატონყმობაზე ირონიით ამბობს: უარესს ეგა სჯობიაო. ირონიის პრინციპით არის აგებული მღვდლისა და გაბროს დიალოგი ნაგეშ და თავისუფლად მყოფ შიმინოზე. ირონიის პრინციპი უძევს საფუძვლად მღვდლის საუბარს უწიგნურობით ეკლემოძღვნილ გლეხებთან. ირონია გამოსჭვივის მებატონე დათიკოს სიტყვებისადმი თამროზე: „კარგი საპროშტაი ყოფილა". სატირულად არის ნაჩვენები დიამბეგიც გაბროსთან ლაპარაკისას: „აბა, ძალიან დაგიჯერებ". „მამიშენის ცხონებამ"...

ჰუმორისტულად არის აგებული პეტრეს („სარჩობელაზედ") გულუბრყვილო ფიქრები ადამიანის ჩამოხრჩობის შეუძლებლობაზე: „რაც უნდა იყოს ღვთის კერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი". პეტრეს ეს გულუბრყვილო მსჯელობა, პეტრეს ხასიათი თავისებური სატირაა უსამართლობაზე აგებულ სახელმწიფო სისტემაზე.

„ოთარაანთ ქვრივში“ სატირულია თითქმის მთელი თავები: „რაც მიქვიან ტკბილი სიტყვა?!“. „პილპილმოყრილი მადლი“ და სხვ. თბილი ჰუმორიც ახლავს ოთარაანთ ქვრივის მონუმენტურ-სახეს. ილიამ სარკასტულად დაჰგმო მღიქვნელობის გამომხატველი „ტკბილი სიტყვა“. როგორც „ძიძის მომღერალი“. სატირულ-ჰუმორისტულადაა დაგმობილი მათხოვრული უქნარობა „პილპილ-მოყრილი მადლით“. სატირულ-ჰუმორისტული პათოსი ილიასთვის იმდენად ნიშანდობლივი იყო, რომ მასში თანაბრად ძლიერია სატირიკოსი მხატვარი და სატირიკოსი—პუბლიცისტი.

VI. ხალხთა შორის მეგობრობის იდეა ილიას შემოქმედებაში

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!“
ილია

წინამდებარე თავის მთავარი ამოცანაა, ილია ჭავჭავაძის, როგორც სალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ძმობის მომღერლის დახასიათება.

კაცობრიობის ისტორია გარდა იმისა, რომ კლასთა ბრძოლის ისტორიაა, იგი ამავე დროს ცალკეულ ხალხთა მმართველი კლასების მიერ სხვა ხალხთა დამონებისა და ჩაგრულ ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაც არის. მაგრამ, ცხადია, კაცობრიობის ისტორიამ იცის ხალხთა დამეგობრების არა ერთი ბრწყინვალე მაგალითიც. იყვნენ ადამიანები, რომელნიც ხალხთა შორის არა ზიზღსა და გადაკიდებას, არამედ ურთიერთგაგებასა და დამეგობრებას უმღეროდნენ და უმართავდნენ ხელს.

როგორც ჩაგრული, ისე დამმონებელი ქვეყნების მოწინავე ძალები ებრძოდნენ ერთმანეთში საერთო ენის გამონახვას. გამოჩენილი მოღვაწენი ებრძოდნენ თავის ეპოქაზე ამაღლებულიყვნენ, გადაელახათ თავისი დროის რეაქციული შეხედულებანი— რასობრივი ზიზღის, დისკრიმინაციის და ტომობრივ-ეროვნული ჩაგვრისაღმი შერიგების ყოველგვარი ქადაგება. ამის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს შოთა რუსთაველი თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსნით“.

საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხალხს თავს ესხმოდნენ პერძნები და რომაელები, არაბები და მონღოლები, სპარსელები და ოსმალები... ქართველი ხალხი ისტორიულად კეთილ მეზობლობას გულღიად ეგებებოდა, თავდამსხმელებს კი შემართული ხმლით

ხვდებოდა. „ვეფხისტყაოსანმა“ განამტკიცა ეს ტრადიცია და იგი უანდერძა მომდევნო საუკუნეებსა და თაობებს. ქართველ ხალხს, ობიექტურად და ტერიტორიულად პატარა ხალხს, ამ კეთილშობილურ მისწრაფებათა მტკიცედ დაცვამ მოუპოვა დიდი ისტორიული სახელი.

საქართველოს ისტორიაში პროგრესული მოვლენა იყო საქართველოს რუსეთთან შეერთება. საქართველოს გზა გაიხსნა მშვიდობიანი აღორძინებისაკენ. მეტად თუ ნაკლებად, საქართველო აჰყვა მოწინავე მსოფლიოს განვითარების ობიექტურ პროცესს; თუმცა ცარიზმი კვლავ დარჩა „ხალხთა საპყრობილედ“ როგორც მის მიერ დამონებულ ხალხთათვის, ისე თვით რუსი ხალხისათვის.

ჩაგრული ხალხები, განსაკუთრებით, დიდი ისტორიისა და კულტურული წარსულის მქონე ქვეყნები და მათი გამოჩენილი ადამიანები, შეუნელებლად იბრძოდნენ დაელეწათ, დაემხოთ ცარიზმის მძიმე უღელი. მაგრამ დევნილ ხალხთა საუკეთესო შვილები არასოდეს არ ივიწყებდნენ ამ ბრძოლაში რუს ხალხთან, მის სახელოვან მოღვაწეებთან მჭიდრო კავშირისა და მეგობრობის აუცილებლობას; ეროვნული თავისუფლებისათვის თავგამოდებულ ბრძოლას მეფის მთავრობისაგან შევიწროებულ რუს ხალხთან ძმობის დროშით წარმართავდნენ. ასე შეიძლება შევაფასოთ ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობა, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. ეს დროშა ეჭირათ ხელთ, როგორც რუსეთის შედარებით დაწინაურებულ ხალხთა, ისე თვით რუსი ხალხის გამოჩენილ ადამიანებს. ამ დროშასთან იდგნენ ძმურად შემოკრებილნი ალექსანდრე გრიბოედოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძე; ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი და ნიკოლოზ ბარათაშვილი; ნეკრასოვი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ლევ ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე. აკაკი წერეთელი, ნიკოლაძე, შევჩენკო, ფრანკო, კოციუბინსკი, უკრაინკა, აბოვიანი, სუნდუკიანი, თუმანიანი, შირვან-ზადე, ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა. რუსეთის ხალხთა საუკეთესო შვილებს მეფის მთავრობისადმი სიძულვილი საკუთარი ქვეყნის დამონებულმა მდგომარეობამ შთააგონა. რუსი და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილებმა კარგად იცოდნენ, რომ ყოველი ხალხის მტერი იყო ცარიზმი და ბატონყმობა. «Удерживать в своей зависимости чужое племя, которое негодует на иноземное владычество, не давать независимости народу только потому, что это кажется полезным для военного могущества и полити-

ческого влияния на другие страны, — это гнусно», — წერდა ჩერნიშევსკი[167].

ამით ჩერნიშევსკიმ შესანიშნავად გამოხატა თავისი დროის პროგრესული ძალების მისწრაფებანი ხალხთა თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და ძმობის შესახებ. ამ იდეას მტკიცედ იზიარებდნენ ქართველი სამოციანელები. ისინი ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძოდნენ XIX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის მანძილზე. არ ივიწყებდნენ რა მსოფლიოს სხვა ხალხებთან მჭიდრო კავშირის დიდ ისტორიულ მნიშვნელობას.

ცხადია, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ქართველ და რუს რევოლუციონერ დემოკრატებს ისე ესმოდათ პატრიოტიზმის, ხალხთა შორის ძმობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხები, როგორც დღეს მოწინავე იდეებით შეიარაღებულ ადამიანებს ესმით; ამიტომ ანტიხალხური და ნაციონალისტურ-შოვინისტური არაფერია მასში. პირიქით, სამოციანელთა იდეები უაღრესად რევოლუციურ-დემოკრატიულობის გამო, პროგრესულ სასიათს ინარჩუნებს დღესაც. ჯერ კიდევ ძალაშია ბარბაროსული კოლონიური პოლიტიკა. რასობრივი დისკრიმინაცია. საუკუნოებრივი ძილისაგან იღვიძებენ აზიისა და აფრიკის დამონებული ხალხები. ამიტომ შეუძლებელია დღესაც შთამაგონებლად არ გაისმოდეს ხალხთა თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობისთვის დიდი მებრძოლის, — დიდოსტატის მარჯვენით ნაკვეთი სტრიქონები:

შესძის. შესძის სანატრელი
ხალხთ პოეტის ამა მტკიცეულსა!

ილია ჭავჭავაძე, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მედროშე XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, იმთავითვე იმსჭვალება, როგორც თავისი საშობლოს, ასე მთელი მოწინავე კაცობრიობის ბედნიერებისთვის მებრძოლი პატრიოტიზმით. «Патриотизм живой, деятельный именно и отличается тем, что он исключает всякую международную вражду, и человек, одушевленный таким патриотизмом, готов трудиться для всего человечества»,— წერდა დობროლუბოვი; სწორედ ასეთი პატრიოტიზმით ხასიათდებოდა ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. ილია ჭავჭავაძე შეუპოვრად იბრძოდა რა რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, ეძებდა და

[167] Н. Г. Чернышевский, Полн. собр. соч., т. V, 1906, გვ. 48.

პიუთითებდა რუს ხალხთან ძმობის გზებზეც. დამახასიათებელია, რომ ჯერ კიდევ 1858 წელს, ან 1859 წლის დასაწყისში, თავის ერთ-ერთ საეტაპო ხასიათის ნაწარმოების „აჩრდილის“ პირველ ვარიანტში (თ. XXVII) ილია ჭავჭავაძე მკაცრად აკრიტიკებს რა ცარიზმსა და ბატონყმობას, ისტორიული წარსულიდან იხსენიებს რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობის საყურადღებო ფაქტს. პოემა საგანგებოდ შეისწავლა უურადღება თამარის დროის ძლიერ, დამოუკიდებელ საქართველოზე, რომელიც კეთილმეზობლურ ურთიერთობაში იყო რუსთა ქვეყანასთან. პოეტს კერძოდ, მხედველობაში აქვს საქართველოს მიერ გადახდილი შამქორის ომი (1195 წელს). რამაც რუს მსედრობას საშუალება მისცა ყაზანი თათრებისაგან გაეთავისუფლებინა:

[illegible]
საბან ის ომი, ის საკვირველი —
ამ ძლიერ ხალხსა შეეხებინა
და თვის სახელიც შეთებებინა.
მაშინ კავკასით ჩრდილეთის ველზედ
გაისმაოდა ქართველის სახელმა.
და ყაზანსა მაღარ კედლებსედ
იოანემა რუსთ ხელმწიფემა —
ლაშქარი დასდგებული
იმ ომის ამბით გაამამაცა.
და მსწრაფლ კასანი გამაგრებული
თათრი ხელიდან მას გამოსტაცა.

როგორი იყო ილია ჭავჭავაძის პატრიოტული ხედვის ჰორიზონტი? ხომ არ იფარგლებოდა იგი მარტო თავისი ქვეყნის ინტერესებით? არა! იგი ხედავდა რა ცარიზმისაგან დამონებულ საქართველოს მეზობელ კავკასიის ხალხებს, იბრძოდა არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის ყველა ხალხის თავისუფლებისთვისაც:

როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისსა დიდების ნაშთსა ზედა აკვანსა აღმდგარსა,
...როს იგი ტოტნი ცაღ მიეწვიან მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განიდიდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა...
(„აჩრდილი“).

ცარიზმის კოლონიური ბირკილებისგან საქართველოსა და კავკასიის განთავისუფლება რეალურად ესახებოდა ილია ჭავჭავაძეს.

ამით აიხსნება, რომ პოემა „ქართველის დედაში" ბრძოლა დაწუებულად წარმოიდგინა:

ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კაკასის თავისუფლება!..

ილია ჭავჭავაძე გვევლინება დიდ მომღერლად საზოგადოდ ადამიანის მოქალაქეობრივ თავისუფლებათა, რისთვისაც იგი სისხლიან ბრძოლასაც არ ერიდებოდა.

მაგრამ, ვფიქრობთ, დიდი რევოლუციონერი ჰუმანისტის სახელი არა თუ მცირდება, არამედ იზრდება კიდეც, როცა იგი კაცობრიობის ერთგვარ ტრაგედიადაც კი მიიჩნევს ყოველის შემძლებელ მოქალაქეობრივ თავისუფლებისთვის სისხლიანი ბრძოლის გარდუვალობას:

თავისუფლებაე, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
...თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძვინველი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არის?
(„ქართველის დედა")

ეს და სხვა მსგავსი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ადამიანისაკან ადამიანის სისხლის ღვრა ყოველთვის აკრთობდა დიდ ჰუმანისტს; მაგრამ უსამართლო სისხლისმღვრელი ომების შეუპოვარი მოწინააღმდეგე, არსებითად, ყოველგვარი სოციალური ბოროტების დაძლევის მთავარ გამოსავალს, მაინც სისხლიან ბრძოლებში ხედავდა: ფილანტროპ განმანათლებელზე საბოლოოდ რევოლუციონერი იმარჯვებდა.

ეპოქისა და კონკრეტულად თავისი ქვეყნის წინაშე წამოჭრილი კარდინალური პრობლემები დიდი შემოქმედებითი ტაქტით გამოხმაურებას საჭიროებდა. XIX საუკუნის 60-იან წლებში ასეთი პრობლემა იყო რუსეთის ცარიზმისა და თვით რუსი ხალხისადმი სხვა ხალხთა დამოკიდებულების პრობლემა; მასზე თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა ეთქვათ გამოჩენილ ქართველ მწერლებს და თქვეს კიდეც. უწინარეს ეს უნდა ითქვას ილიაზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბელეტრისტული ნაწარმოები „მგზავრის წერილები". არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს, რომ ეს

ნაწარმოები კონკრეტული ისტორიული ვითარებისაღმი დიდი შემოქმედებითი ერუდიციით გაცემულ უაღრესად გონივრულ პასუხს წარმოადგენს. ცარიზმი თავისი კოლონიური პოლიტიკით ქართველი ხალხის აღორძინების საქმეს დიდად აფერხებდა. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სადაველები სხვის ხელში იყო; ხალხი, ერი მოკლებული იყო „ერობას“: ისტორიულად დამონებული პატარა ხალხის დიდ წარმომადგენელებს ეს კარგად უნდა გაეთვალისწინებიათ. თუ ისინი გაჰყვებოდნენ იმ რეაქციონერ „მოღვაწეთა“ გზას, რომელნიც გუნდრუკს უკმევდნენ თვითმპყრობელობას, მომავალი თაობები მათ სამართლიანად შეაჩვენებდა.

მაშინდელი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების სირთულის გასათვალისწინებლად, ინტერესს იწვევს დ. ბერიევის (ბერიშვილის) მეფის მთავრობისადმი „უქვეშემრდომილესი“ მლიქვნელობის გამომხატველი „ლექსი“ (გაზ. „კავკაზი“, 1863, № 23) „მოსვლასა ზედა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის“, დიდის მთავრის ნამესტნიკის კავკასიისა“ (დაიბეჭდა ქართულად).

მადლი ზეცისა, ცხადად ეხედავთ, გარდმოგვეფინა,
საქართველო ან ბედნიერ — არს და მოელხინა,...
...ან შენ გეკუთვნის ივერიის ბედისა წამი,
ამას გვიმტკიცებს აწინდელი ნეტარი ჟამი!
ბედნიერ იყოს, მეფის ძეო, შემოსვლა შენი,
ხელგაპყრობილნი გიღაღადებთ მრთლად ქვეშევრდომნი.

ბერიევისებრი „პოეტები“ „მთლად ქვეშევრდომთა“ სახელით მეფის თვითმპყრობელობის „ნამესტნიკებზე“ ამყარებდნენ ქვეყნის ბედ-იღბალს; სამაგალითოდ კიდევ მოვიტანთ ასეთი „პოეზიის“ ერთ ნიმუშსაც. ესაა ვინმე როტმისტრ თავად ა. მიქელაძის „ლექსი“ „სარწმუნოთა ზეთა მამულისათა“, რომელიც იმავე წლის „კავკაზში“ დაიბეჭდა ქართულად (1863, № 37). როგორც ცნობილია საგლეხო რეფორმის გატარებისთვის ოფიციალურმა მზადებამ პირველ ხანებში მებატონეთა დიდ ნაწილში შეშფოთება გამოიწვია. მიქელაძე ანუგეშებდა მეფის მთავრობას, რომ თავადაზნაურობის უმეტესობა არა თუ ყმებს, ცოლშვილსაც კი გასწირავდა მისთვის:

მტერთა დრო კვლევს, — ვითომც ფიქრობენ ქვეთილშობილთა
გელის კლებასა,
ხელმწიფემ ხელ-ჰყო საბატონო ყმის ახლის ცხოვრების
განმშვენებასა,
მებატონენი განდრკებიანო, რასთვის ფიქრობენ ან ვის ნებავსა,
არა თუ ყმათა, ცოლსა და შვილთა ერთად შევსწირავთ მისსა
ნებასა.

მსგავსი მაგალითები შეგვეძლო მოგვეტანა ჟურნ. „ცისკრიდან“, მაგრამ არაა აუცილებელი. ისედაც კარგად ჩანს კონსერვატული თაობის „პატრიოტული“ მიდრეკილებანი. ამ თაობის ასეთი „მოღვაწეობა“ ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში, როცა ნაშანდობლივი მსჯავრი გამოჰქონდა:

ჩვენ ველეთ რუსეთი.
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია.
...თქვენგან ჩაგრული.
დაბრმავებული
ერი ჯერებზედ არ გაგვიყიდია.
(„პასუხის პასუხი“)

ილია არასოდეს არ მდგარა მებატონეთა და ბიუროკრატიული თავადაზნაურობის მხარეზე. არამედ იგი მუდამ ხალხის დიდი უმრავლესობის პოზიციებს იზიარებდა. რუსი მწერლების მაგალითისამებრ არა თუ არ აქებს რომანოვების „დაუბანელ რუსეთს“ (ლერმონტოვი), არამედ „პოვოზკის“, „იამშჩიკის“, ოფიცრის და სხვ. უკვდავი სატირული სახეებით, გამანადგურებლად ესხმის თავს. მან კალმის ხელში აღებისთანავე ბრძოლა გამოუცხადა და ზურგი შეაქცია ბერიევ-მიქელაძის ტიპის „მწერლებს“. მას გაბედულად აქვს წამოყენებული „მგზავრის წერილებში“ „ხალხთა საპყრობილის“ უღლიდან საქართველოს განთავისუფლების იდეა.

ზოგმა მკვლევარმა „მცდარად გაიგო“ ილია ჭავჭავაძე: რაკი საქართველოს რუსეთთან შეერთება პროგრესული მოვლენა იყო, ხოლო ილიამ „აჩრდილში“, „ქართვლის დედაში“, „მგზავრის წერილებში“ ქართველი ხალხის აჯანყების გზით გათავისუფლების იდეა წამოაყენა, თითქოს ეს იყო დიდი მწერლის „შეცდომა“ და იგი მის მიერ გამოსწორებულ იქნა 80-იან და შემდგომ წლებში; ამრიგად, საქართველოს ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა დააყენა „სწორ გზაზე“.

აქ, უწინარეს ყოვლისა, ორი საკითხი იბადება. პირველი: ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშით, კერძოდ, საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად, ნიშნავდა თუ არა რუსეთისგან გამოყოფა-გათიშვის ქადაგებას და პროგრესული იყო თუ არა იგი თავი-

სი დროისთვის? მეორე, ასეთ პოზიციაზე იდგა თუ არა შემდეგშიც ეს მოძრაობა. ან თვით ილია? ქართველი ხალხის გამოფხიზლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოიხატა ეროვნულ-რეფორმატორულ მოძრაობაში, რომლის შეცდომად მონათვლა საკუთრივ შეცდომაა. თუ თვითმპყრობელობა დაემხობოდა, მაშინ აშკარაა, ხალხთა შორის მეგობრობის უფრო მტკიცე საფუძველი შეიქმნებოდა; ამიტომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არც ერთ ეტაპზე არ შეიძლება შეცდომად გამოცხადდეს. მარტო ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძე იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, ფაქტიურად ჰასუხს წარმოადგენს დასმულ კითხვებზე.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იდეური მიმართულებისთვის რამდენად ნიშანდობლივია ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის ისეთივე ტენდენცია 80-იან და შემდგომ წლებშიც, როგორიც იგი ხასიათდებოდა 60—70-იან წლებში, ამაზე, მეტი რომ არა ვთქვათ, კარგად მეტყველებს პოემა „დიმიტრი თავდადებული". ეს პოემა 1878 წელს გამოქვეყნდა. ისტორიული წყარო ილიას აიძულებდა ხალხისთვის თავდადებული მეფე გამოეყვანა, მეფე, რომელსაც საკუთარი თავი მიაქვს მსხვერპლად, რომ ხალხს ააცილოს უიმედო, სისხლიანი ბრძოლები. მაგრამ როგორც ჩანს, მეფე დიმიტრის მოწამებრივმა თავდადებამ ვერ დააკმაყოფილა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ისტორიაშიც თავისუფლებისათვის აჯანყებულ ხალხს ეძებდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ აზრით არის შემოყვანილი პოემაში მოხუცი, რომელიც დამმონებლის წინააღმდეგ აჯანყების იდეას აყენებს:

ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადახდენია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ მოუხრია ქედია.

ეს ნიშნავს, რომ ილია დამპყრობლების წინააღმდეგ აჯანყების იდეას 60-იან წლებშიც იცავს.

ეროვნული თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლის იდეა ბრწყინვალედ არის წარმოდგენილი ლექსში „ბაზალეთის ტბა" (1883).

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ილია, იბრძოდა რა ცარიზმის წინააღმდეგ საქართველოს თავისუფლებისათვის, არ ივიწყებდა რუს ხალხთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას. ამას

მოწმობს ილიას მთელი მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა და პრაქტიკული მოღვაწეობა.

ილიას ეროვნული თავისუფლების იდეალში უნდა ვივარაუდოთ ხალხურ-დემოკრატიულ საწყისებზე დამყარებული სუვერენული საქართველოს მჭიდრო კეთილმეზობლური დამოკიდებულება ყაჯარა ქვეყანასთან და, უწინარეს ყოვლისა, რუსეთთან; სხვა საკითხია, თუ რა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ილიას დროისთვის ამის სინამდვილედ ქცევა.

ილია მთელი სიძულვილით უპირისპირდებოდა რა მონარქიულ რუსეთს, ამავე დროს მთელი გულწრფელობით ამაღლებულად ახასიათებდა პუშკინისა და ჩერნიშევსკის რუსეთს. „მგზავრის წერილებით“ ილიამ დაუნდობლად ჩამოგლიჯა ნიღაბი ცარიზმის „ცივილიზაციურ“ კოლონიურ პოლიტიკას.

მაგრამ ყველა ხალხის პატივისცემის პოზიციებზე მდგომმა დიდმა შემოქმედმა ისიც შეუცდომლად იცოდა, რომ იყო დიადი პომავლის მომლოდინე მეორე რუსეთიც. პროგრესული რუსეთისადმი ილიას მაღალი რწმენით, რუსი ხალხის სახელოვანი შვილების ქვეყანა იყო ის ადგილი, სადაც ახალგაზრდობა მიემართებოდა არა როგორც მექაში ფანატიკოსები, არამედ როგორც ცარიზმის დამანგრეველი, სინათლესა და სიბნელეს შორის გადებულ ბეწვის ხიდზე უხიფათოდ გასაველად, „ჰკუის სავარჯიშოდ“. სწორედ ამიტომ აძლევდა ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას რუსეთში გატარებულ ოთხ წელს, ბედნიერად თვლიდა მას, ვინც სახელოვან მოღვაწეთა გზას არ აცდა.

ილიას ყრმობაშივე ჩაესახა რუსი ხალხის, რუსული ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარული. ე. მარკოვი გადმოგვცემს თავის ბიძის ევგენი ლვოვის ძე მარკოვის შემდეგ ნაამბობს: ილიას 1880 წლიდან დავუმეგობრდი. ერთხელ გაიხსენა თავისი ყრმობა: რუსულად ლაპარაკი ყვარელში ვისწავლე ბავშვობისას ერთი რუსი მოხუცის. ივანესაგან, რომელიც მამაჩემთან მეფუტკრედ მუშაობდაო. გარდა ამისა. იმ დროს ყვარლის ციხეში რუსის ჯარის გარნიზონი იდგა. მამაჩემი ადრე ნიკეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა. ყვარლის გარნიზონიდან მამაჩემთან ხშირად მოდიოდნენ ოფიცრები. ერთ მაბგანს დავუახლოვდი, რაკი რუსულად ლაპარაკსაც კარგად ხერხებდი. მან შემასწავლა რუსულად წერა-კითხვა, გამაცნო ზოგიერთი რუსი პოეტის ლექსებს, განსაკუთრებით მომეწონა ლერმონტოვის ლექსებიო[164].

---

[164] საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმის ხელნაწერი № 13429.

რუსი ხალხისა და მისი კულტურისადმი სიყვარული და ინტერესი ილიას თბილისში პანსიონსა და გიმნაზიაში ყოფნისას გაუძლიერდა. პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროს კი საბოლოოდ განუმტკიცდა; იქ ახლო ნაცნობობაც უნდა ჰქონდეს პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენციასთან, კერძოდ, ჩერნიშევსკის წრესთან.

სტუდენტობის წლებში, პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწინავე ქართველ სტუდენტთა ჯგუფს ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობს. ამ ჯგუფს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია რევოლუციურ-დემოკრატიულად განწყობილ რუს, უკრაინელ, პოლონელ და სხვ. ხალხის სტუდენტებთან. აქ მტკიცედ ეყრებოდა საფუძველი ხალხთა შორის მეგობრობის იდეებს. როგორც ცნობილია, 1861 წლის 12 ოქტომბერს პეტერბურგის სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობენ ქართველი სტუდენტებიც. დაპატიმრებულ სტუდენტთა სიაში, რომელიც იმავე წელს გამოაქვეყნა საზღვარგარეთ გერცენის „კოლოკოლმა" (1861 წ., № 114), რამდენიმე ქართველი სტუდენტიც იხსენიება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ი. ჭავჭავაძის მიერ 60-იან წლებში თარგმნილ სხვადასხვა ქვეყნის პოეტთა 21 ნაწარმოებიდან 3 პუშკინისაა და 5 ლერმონტოვის. იმავე წლებში დაწერილ ორიგინალური ლექსებიდან: „მუშას" ეპიგრაფად აქვს ნეკრასოვის სიტყვები. „ალექსანდრე ჭავჭავაძეს"—პუშკინისა და „ჩემო მკვლელოს"—ლერმონტოვის.

1863 წელს „საქართველოს მოამბის" პირველ ნომერში დაიბეჭდა დობროლუბოვის ვეშმარიტი ინტერნაციონალიზმით აღსავსე პუბლიცისტური ნარკვევი „ალექსანდრე გავაცი", რომელიც ილიას თარგმანი უნდა იყოს.

ალ. გავაცი (1809-1889), როგორც ცნობილია, გარიბალდის ბრძნებარე თანამებრძოლი იყო. იგი გამოდიოდა ყველა შესაკრებ ადგილებში (ქუჩებში) და თავისი ბრწყინვალე ორატორული ნიჭით აღბეჭდილი სიტყვებით ხალხს რაზმავდა მჩაგვრელების—მეფის, ჰერცოგების, ეკლესიისა და პაპის წინააღმდეგ.

ნ. დობროლუბოვს თავის სტატია დაუწერია 1861 წელს, მძიმე ავადმყოფობის დღეებში, საზღვარგარეთ საექიმოდ ყოფნის დროს. სტატია მხურვალედ იცავს დემოკრატიულ წყობილებას და ამხილებს მონარქიულ-თვითმპყრობელურ რეჟიმს. წერილში მოტანილ გავაცის ქადაგებათა მთელი ადგილებიდან სანიმუშოდ შეიძლება დავიმოწმოთ შემდეგი: „გარიბალდი არის დიდი წარმომადგენელი ჩვე-

ხის ძლევამოსილი და გამარჯვებული რევოლუციისა. რომელიც ღიშნავს ხალხთა რჯულიერების აღდგენასა მფლობელების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ" („საქ. მოამბე", №1, გვ. 93). შემდეგ: „ნეაპოლელებმა თავისუფლების მომტან სიცილიელებს მადლობა შეგიძლიათ გადაუხადოთ არა ბალებით, სადილებითა და მისთ., არამედ ლეგიონებითა, თოფებითა, ცხენებითა და ზარბაზნებითა. გადივდით მაშინ, როცა თქვენ თითონ იბრძოლებთ იტალიის სხვა მხარეთათვის, რომელნიც ახლა მონობაში არიან" (იქვე, გვ. 73).

დობროლუბოვს დასახელებული სტატია წარდგენილი ჰქონია „სოვრემენიკში", მაგრამ ცენზურას არ გაუშვია. 1862 წელს, როცა ნეკრასოვმა და ჩერნიშევსკიმ დობროლუბოვის თხზულებათა ოთხტომეული გამოსცეს. ეს წერილი შეტანილ იქნა IV ტომში (გვ. 232-266). IV ტომი ცენზურის მიერ ნებადართულია 1862 წლის 28 ივლისს.

გამორკვეულია, რომ „სოვრემენიკი" და სხვა რევოლუციური ლიტერატურა სწრაფად აღწევდა რუსეთიდან საქართველოში.

„საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი, რომელშიც თარგმანი დაიბეჭდა (ხელმოუწერლად), ცენზურის მიერ ნებადართულია 1863 წლის 12 იანვარს; ეს გარემოება ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა გულმოდგინედ და სწრაფად ეხმაურებოდნენ ჩვენი სამოციანელები რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების მოვლენებს. სტატიის თარგმნის ფაქტი გარკვევით მოწმობს, კერძოდ, თვით დობროლუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული მრწამსის გაზიარებას. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს 77 ახალი შენიშვნა, რომლებიც დართული აქვს ქართულ თარგმანს. ამ შენიშვნებში მოცემულია განმარტებანი რევოლუციისა, კონსტიტუციის, რესპუბლიკის, ფეოდალიზმის, იაკობინელების, სქოლასტიკის, ობსკურანტის, ლაძარონების და სხვ.

სანიმუშოდ მივიტანოთ ზოგიერთი განმარტება: „რევოლუცია— ხალხის აღდგომა წინააღმდეგ მართებულობისა, მოძრაობა ხალხისა" (გვ. 93); „კონსტიტუციას უწოდებენ იმნაირ წესს მართებულობისას, რომლით ხელმწიფის უფლება გარშემოზღუდულია ხალხისაგან ამორჩეულ დეპუტატებისაგან" (გვ. 73); არსებითად ცარიზმის წინააღმდეგაა მიმართული რესპუბლიკის განმარტებაც: „რესპუბლიკა ჰქვიან იმ ქვეყანას, სადაც არ არის ხელმწიფე და სადაც მართებლობა არის ხალხისაგან ამორჩეულ პირების ხელში" (გვ. 91); ასეთივე ხასიათისაა ტირანობის ახსნაც: „ტირანობა—უკანონო და სასტიკი მოქმედება მართებულობისა" (გვ. 83).

აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ ვინ არის სტატიის მთარგმნელი და ამდენად ქართული კომენტარების ავტორიც. ამ საკითხზე შემდეგის თქმა შეიძლება:

1. „საქართველოს მოამბის“ სხვადასხვა ნომერში სრულიად ხელმოუწერლადაა დაბეჭდილი: „საქართველოს მოამბეზედ“ (№1, დიდი ხანია ცნობილია, რომ ეს წერილი ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის); „მამა ალექსანდრე გავაცი“ (№ 1, მთარგმნელ-კომენტატორი ხელს არ აწერს); „სხვადასხვა ამბავი — შინაური მიმოხილვის“ ნაწილი (№2, აშკარად ჩანს, რომ ხელმოუწერელი ნაწილიდან ზოგი რამ ი. ჭავჭავაძისაა); „სხვა და სხვა ამბავი“ (№ 3), ეჭვს არ იწვევს, რომ ნაწილი აქედან რედაქტორისაა, ე. ი. ი. ჭავჭავაძისა.

ცნობილია, რომ თავის წერილებისა, თუ თარგმანების დიდ ნაწილს ილია ხელმოუწერლად ათავსებდა „ივერიაშიც“. ასე რომ, შეიძლება ვიფიქროთ. დობროლუბოვის „ალექსანდრე გავაციც“ მან თარგმნა და ხელმოუწერლად გამოაქვეყნა თავის კომენტარებით.

2. იმის დასადასტურებლად, რომ თარგმანი ილიას ეკუთვნის, არსებობს უფრო უტყუარი საბუთიც, რისთვისაც ყურადღება არავის მიუქცევია. ეს არის ი. ჭავჭავაძის მიერ პელაგია ივანეს ასულ ყაზბეგისადმი გაგზავნილი ერთი უთარიღო წერილი. წერილიდან ამკარად ჩანს, რომ იგი გულისხმობს „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერს. ილია თავის ადრესატს აღფრთოვანებით წერს: „სამშაბათს უთუოდ ჩვენი ჟურნალიც გამოვა, აბა თუ ჩემ სტატიებს იცნობ? („სტატიებად“ მიჩნეულია მხატვრული ნაწარმოებნიც—ა. კ.). არცერთს ჩემი გვარი არ აწერია, არამც თუ გვარი, სულაც არაფერი, ერთს კი აწერია (უთუოდ „გლახის ნაამბობია“ მხედველობაში, რომელიც „მ. ჯიმშერიძის“ ხელმოწერით დაიბეჭდა—ა. კ.), ვნახოთ, შეიტყობ თუ არა. კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან“. ამ წერილს ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე (იხ. საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტ. ავტოგრაფული ხელნაწერი A 1720 — 1). ამ წერილის სხვა ცალში პირდაპირ არის დასახელებული „საქართველოს მოამბე“. „იქნებ ჩემი ჟურნალი ხვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა და იმედია, რომ, თორემ საათამდინ ქვეყანას ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე“. აბა, კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან“.

3. „მამა ალექსანდრე გავაცი“ შეტანილია 90-იან წლებში სხვისი ხელით გადაწერილ ი. ჭავჭავაძის ორიგინალური და თარგმნილი სტატიების, ლექსებისა და სხვა ნაწარმოებთა დიდ კრებულში, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. „ალ. გავაცი“ აქაც

ჟელმოუწერელია: კრებულში მოთავსებული მასალების აბსოლუტური უმრავლესობა 80-იან წლებში ხელმოუწერლად გამოქვეყნდა „ივერიაში“ და მათი ილიასეულობა ცნობილია, ან ეპვს არ იწვევს. შემოწმებისას ჩვენ წავაწყდით მხოლოდ ერთ მოთხრობას („მოღალატე ბავშვი“), რომელიც კრებულში ხელმოუწერელია, ხოლო „ივერიაში“ (1877 წ., № 18) მის მთარგმნელად აღნიშნულია ექ. ღვინიაშვილი. მაგრამ მარტო ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ კრებულში ილიასეულად ცნობილ ორიგინალურ და თარგმნილ ნაწარმოებებთან ერთად არის შეტანილი დობროლუბოვის ნაწარმოების „ალექსანდრე გავაცის“ ქართული თარგმანი თავისი კომენტარებით, გვაფიქრებინებს, რომ კრებულის შემდგენს ჰქონდა საფუძველი, როცა მას ილიასეულ თარგმანად მიიჩნევდა.

4. კიდევ უფრო საგულისხმოა შემდეგი გარემოება: თარგმანის ძირითადი ტექსტისა და სქოლიოების სტილისტური მონაცემები გადაჭრით იმაზე მეტყველებს, რომ ეს თარგმანი შესრულებულია ილიას მიერ. დობროლუბოვის სტატიაში გუბეზე მსჯელობისას გამოყენებულია ისეთი სიტყვიერი მასალა, რაც „კაცია-ადამიანის“ პირვანდელ, ჯერ კიდევ 1857-58 წლების ვარიანტებში გვაქვს. აღნიშნულ ვარიანტებში ილიას აქვს ნიშანდობლივი სიტყვები და ვარმოთქმები: ხავსმოკიდებული, ან დამყაყებული გუბე, ოშხივარი, სული შეუგუბდებოდა, საფლობი, ლექი და სხვ. წერილში „ბოლოტო“ თარგმნილია „გუბედ“, მაშინ როდესაც მოსალოდნელი იყო მისი „ჭაობად“ ან „ჭანჭრობად“ თარგმნაც. დამახასიათებელია, რომ იქვე „ბოლოტო“ „დამყაყებულ გუბედაც“ არის თარგმნილი ერთი სიტყვით. თარგმანში არის ილიასათვის ტიპიური სიტყვები და გამოთქმები. მეტი სიცხადისათვის მივმართოთ ტექსტობრივ შედარებას. „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობის პირვანდელ ვარიანტებში ვკითხულობთ: „ერთს... ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ წააწყდა... ოშხივარი ბუღსავით ამოდიოდა... კაცს სული შეუგუბდებოდა... ამ საძაგელს, დამყაყებულს... გუბეს სახელად რას ეძახიან?... შევტოპე შიგ. პირველშივე საფლობი ლექი დამხვდა... აქ არის გახრწნილება და სიკვდილი“ და სხვ.

აი, სტატიის ქართული თარგმანის შესაფერისი ადგილიც: „წყალი გუბეში დგას, ლექიდამ ამოდის ნადამპლევი სიკვდილ-მოსილი ოშხივარი... ნეაპოლი გუბე იყო დამყაყებული, სულის შემაგუბებელი, ტალახიანი საფლობი, სავსე სიმყრალითა, სიკვდილითა“ („საქ. ეპოქაზე“ № 1, გვ. 88).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თარგმანისა და კომენტარების სხვა სიტყვიერი ფორმებიც: იმათამდინ, ცნობები, მითამ, მაგალითებრ, წინა-აღდგომა და მრავალი სხვა,—ნიშანდობლივია ილიასათვის.

5. მეტად საინტერესოა ასეთი გარემოებაც: ილიას, როგორც ჩანს, თარგმნისას ისე ჩარჩენია მეხსიერებაში დობროლუბოვის სტატიის ზოგიერთი პასაჟი, რომ ამ ფაქტს გარკვეული გავლენა მოუხდენია მისი შესანიშნავი სტატიის („ზოგიერთი რამ") სტილისტურ აგებულებაზე: საყურადღებოა განსაკუთრებით მსჯელობა ქართველობაზე, რაც თითქმის პერეფრაზებულია გავაცის სიტყვებიდან: დობროლუბოვის ცნობით გავაცი ერთ თავის ქადაგებაში ამბობს: „ახლა ჩვენ მტკიცედ ჩავინერგოთ ნაციონალური გრძნობა; უნდა დავიწყოთ ყოფნა და ცნობა იტალიანელებად. როცა თქვენა ჰკითხამთ რომელსამე ფრანცუზსა, საიდამა ხარ? ის მოგიგებთ ხოლმე: ფრანციიდამ; ერთი და იგივე პასუხია ყოველთვის, გასკონელი იქნება, პროვანსელი თუ საფრანგეთის რომელიმე სხვა მხარის შვილი... ეგრე უნდა იყოს ჩვენშიაც. ჩვენ ამას იქით აღარა ვართ პიემონტელები, გენუელები, ლომბარდიელები, რომანიელები, ტოსკანელები, ნეაპოლიტანელები, სიცილიელები—ჩვენ ყველანი იტალიანელები ვართ" („საქ. მოამბე", № 1, გვ. 78). ილია თავის 1865—1876 წლებში დაწერილ სტატიაში „ზოგიერთი რამ". წერს:

„სად არის ქართველი და ქართველობა?.. ვართ-ღა სადმე?.. ქართველი ესლა ერთის კუნჭულის მცხოვრებია, საკუთარი კერძობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო.... იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი... ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ... იქ, სხვა ხალხში, მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ. საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი. რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო... ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა ჩემი ხალხის ძალაო, ჩემი სიკეთე — ჩემი ხალხის სიკეთეაო".

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ილიას სხვისი თარგმანით ჩარჩენოდეს მეხსიერებაში დობროლუბოვის წერილის აზრთა წყობაც და მისი ქართული ლექსიკური გაფორმებაც.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დობროლუბოვის „ალექსანდრე გავაცი" ილიამ თარგმნა.

რუსული მოწინავე აზროვნებისა და ლიტერატურის დადებით მნიშვნელობაზე საქართველოსათვის არა ერთხელ მიუთითებდნენ

ილია და სხვანიც კერძოდ, ნეკრასოვისა და ილიას იდეურ სიახლოვეზე წერდა ნ. ნიკოლაძე. გოგოლთან, გონჩაროვთან, ტურგენევთან, ნეკრასოვთან ერთგვარ პარალელს ავლებდნენ კ. აბაშიძე, მ. ნასიძე და სხვანი. თანამედროვეთაგან აღსანიშნავია ლ. ასათიანი, ა. ნიკოლაძე...

მშობლიური ხალხისადმი უპკნობი სიყვარულის გრძნობა, რაც ილია ჭავჭავაძემ ასე ძლიერად გამოხატა ჯერ კიდევ თითქმის ყველაზე ადრინდელ ლექსში „ყვარლის მთებს", პოეტს შინაგანად უკარნახებდა ღრმად გარეცადა სწვა ხალხთა ისტორიული ბედ-იღბალიც. ამ შესანიშნავი პატრიოტული ლექსის დაწერის წელი (1857) ვიცით, თვე არ არის ცნობილი. პოეტის სულიერი ევოლუციის ჟამთვალისწინებლად ინტერესს იწვევს ასეთი გარემოება: ამ ლექსის მომდევნო ლექსი, რომელიც პოეტის პატრიოტულ არსებაში ღრმად გვახედებს, არის არა თავისი სამშობლოს, არამედ სხვა ხალხის პირ-ველარამის ამსახველი. ეს არის, მის მიერ თარგმნილი ბაირონის ლექსი „სტროდეთ! (ებრაული მელოდია)". იგი ნათარგმნია „ყვარლის მთების" დაწერის (1857) უახლოეს ხანებში — 1858 წლის 28 თებერვალს. ეს არის დიდი პოეტური ძალით გამოხატული მოთქმა ტყვეობაში ებრაელებზე; მასში არაა დაცული ზუსტი რითმა და რიტმი, მაგრამ კარგად იგრძნობა ამ ლექსის ილიასეული ქართულით ბეტად შთაბეჭდავი სტრიქონების სევდა; მასში დამაფიქრებლად მოისმის არა მარტო ავტორის, არამედ თვით მთარგმნელის გულისძგერაც სხვა ხალხთა ისტორიულ ბედზე:

ოჰ. სტიროდეთ მათ. ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა.
მათ. ვისც ტაძარნი ნანგრევ არიან...
ვისიც მამული სამშობლოსა
არარა არს რა. გარდა სიზმრისა!
...მელას აქვს ხვრელი და თვის პუდე—ჩიტს,
კაცსა—სამშობლო. და ისრაელს —
არარა, გარდა თვის საფლავისა!

ნიშნეულია, ბაირონის სახელის მძლავრი გახმაურება ილიას „მგზავრის წერილებში".

ილიას ზოგადსაკაცობრიო ხასიათის პატრიოტული მისწრაფებების გასათვალისწინებლად საყურადღებოა აგრეთვე 1859 წლის 19 იანვრის თარგმანი ჰაინეს ასევე ღრმად იდეური, პატრიოტული ლექსისა „მეცა მქონია კარგი მამული":

მეცა მქონია კარგი მამული!..
თურმე სუფევდა იქ სიყვარული,
თურმე იქ ჰფრენდა ბედი მღიმარი, —
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

საზოგადოდ, ყოველი მწერლის ინტერნაციონალურ მისწრაფებებზე მიგვითითებს განსაკუთრებით საკუთარი ინიციატივით შესრულებული ისეთი თარგმანებიც, რომლებიც შეიძლება უშუალოდ პატრიოტულ მოტივს არ ასახავს; ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ილიას თარგმანები შილერიდან, ჰაინედან, ვალტერ სკოტიდან, ბაირონიდან, თომას მურიდან, ანდრე შენიედან, პუშკინიდან, ლერმონტოვიდან, პოლონსკიდან და სხვ.

70-იან წლებში, როგორც ცნობილია, ილია, ივანე მაჩაბელთან ერთად, თარგმნის შექსპირის „მეფე ლირს", რითაც ბიძგი მისცა მაჩაბელს უკვდავი თარგმანები დამოუკიდებლად განეხორციელებინა.

ცხადია, ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტის ყურადღების ცენტრში უშუალოდ თავისი ქვეყანა დგას, არ თიშავს რა მას კაცობრიობის საერთო ცხოვრებიდან. ვისაც თავისი ხალხი არ უყვარს, მთელი გულით, იგი ვერც სხვას შეიყვარებს: თავისი ქვეყნით ათრთოლებული დიდი შემოქმედის გული დროდადრო პასუხს აძლევს სხვა ხალხთა ბედსა თუ ძნელბედობას. ამდენად, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორიგინალური ნაწარმოებები, რომლებიც სხვა ხალხთა ცხოვრებას შეეხება. ასეთია ილიას ცნობილი ლექსი „მესმის მესმის". ცნობილია, რომ ეს ლექსი ეხება არა გლეხთა განთავისუფლების თემას, არამედ იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, თვით საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის აქცენტით; დადასტურებულია, რომ ილიას განზრახული ჰქონდა სახელგანთქმული გარიბალდის მოხალისედ გახდომაც. 1860 წლის 10 ივლისს მოხდა გარიბალდის ბრწყინვალე გამარჯვება. ამ ისტორიული თარიღის მეცხრამეტე დღეს, 29 ივლისს პავლოვსკში მყოფი სტუდენტი ილია წერს აღნიშნულ ლექსს; ეს პატარა ლექსი დამახასიათებლად მეტყველებს ილიას პატრიოტიზმის ფართო ჰორიზონტზე, რელიეფურად გამოხატავს პოეტის რევოლუციურ-დემოკრატიულ პატრიოტიზმს. რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიოს ყველა ხალხის მონობის ბორკილების მსხვრევას; სხვანაირად შეუძლებელია წავიკითხოთ ამ ლექსის ესოდენ პოპულარული სტრიქონები:

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნველად მონობისა.

ლექსმა „მესმის, მესმის" არ შეიძლება არ გაგვახსენოს მთელი მოწინავე კაცობრიობის ბედნიერებისთვის ბრძოლის მღაღადებელი

ადგილები ილია ჭავჭავაძის „ნანადან“, „მგზავრის წერილებიდან“, „ქართველის დედადან“, „აჩრდილიდან“, ლექსი „კომუნის დაცემის დღე“.

დიდ შემოქმედს მთელი კაცობრიობისათვის უფეთქდა გული. ნიშნეულია ამ მხრივაც ცნობილი პასაჟი „მგზავრის წერილებიდან“ დღისა და ღამის შესახებ. პოეტი ადიდებს ნათელ დღეს, როგორც ადამიანთა თავისუფლების სიმბოლოს, ხოლო წყეველს ღამეს, როგორც ყოველგვარი ჩაგვრისა და მონობის სამუდამოს განსახიერებას.

ყოველი ჭეშმარიტად პატრიოტული ნაწარმოები ობიექტურად ყველა ხალხის ინტერესებს ემსახურება, მაგრამ ილია ყოველ პატრიოტულ ნაწარმოებში საგანგებოდ აქსოვს ყველა ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის სწრაფვებს, ინტერნაციონალური ხასიათის აფორიზმებს, ფრთიან თქმებს... ასე მაგ., ლექსში „ნანა“ (1859) ასეთი ხასიათი აქვს აფორისტულად ჩამოყალიბებულ სტრიქონებს:

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია.

აქ შემთხვევითი არაფერია, პატრიოტს მოეთხოვებოდა სამშობლოს სიყვარულის გრძნობა გამოეცხადებინა არა ვიწრო ნაციონალურ, არამედ ინტერნაციონალურ გრძნობად, რომელიც ნიშანდობლივია ყველა ხალხისთვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ „აჩრდილის“ VIII თავი იწყება რა საქართველოს ბედ-იღბალზე მსჯელობით, ერთბაშად გადადის პატრიოტული კონცეფციის დასაბუთებაზე. პოეტის სამართლიანი რწმენით, სამშობლოსათვის თავდადებული გმირი ყველა ხალხის დიდებაა, ასეთი გმირი უკვდავი იქნება არა მარტო „თავის ხალხში“, არამედ „მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა“, ყველა ხალხის საამაყო სახელად იქცევა:

წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
...ყოველი იმღერს და სხვა მორჩმელი
გმირი იმ მღერით დაიბადება.

ასევე მნიშვნელოვანია ყველა ხალხის ჭეშმარიტი თავისუფლების მღაღადებელი სტრიქონები „ქართველის დედადან“:

თავისუფლებავ. შენ ხარ კაცთა ნაეთსაყუდარი.
შენ ხარ ჩაგრულის წვალებულის წმინდა საფარი.
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა.
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.

ლუ რამდენად თავისუფალი იყო ილია ჭავჭავაძე ნაციონალისტური შეზღუდულობისაგან, იმდენად მეტად ნიშანდობლივად შეიძლება მივიჩნიოთ დიდი პატრიოტი შემოქმედის პატარა მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი". წარმტაცი „ზღაპრის" მოყოლით დაინტერესებულ შვილებს მამა შთააგონებს ყველა ხალხის ღირსებისადმი პატივისცემას: „ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს". ამის საილუსტრაციოდ შერჩეულია არა ზღაპარი, არამედ ისტორიული ამბავი: იგი ადიდებს ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრების გმირობასაც—მტრად მოსულ ყიზილბაშთა ერთ-ერთმა მხედარმა ერთბაშად იმსხვერპლა რამდენიმე ქართველი მეომარი. მისი დამარცხება მხოლოდ ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილმა შეძლო, შეეძლო მოეკლა, მაგრამ არ გასწირა: „ნუ გეშინიან. მე თავს ვერ მოგკვრი. შენი თავი შენი ვაჟკაცობისთვის მიპატიებია...

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო, — უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა".

როგორც ვხედავთ, მაღალიდეური მწერალი როდი მიმართავს თავისი ხალხის იდეალიზაციას და სხვის დამცირებას. ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ძმობის დიდი მომღერალი თითქმის თანაბრად კიცხავს ან ადიდებს როგორც თავისი ხალხის, ისე ვერაგულად თავდამსხმელი მტრის მანკს თუ ღირსებას. ამ პატარა მოთხრობით მან შექმნა არა მარტო სასახელო ქართველი გმირის, არამედ მტრის ბანაკის ვაჟკაცის სახეც.

ილია ჭავჭავაძე იყო არა მარტო თავისი ხალხის, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხის დიდი მოკვირნახულე; ხალხთა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას არ თიშავდა კლასობრივი ჩაგვრის საწყაროს მოსპობისათვის ბრძოლისაგან. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ილიას დამოკიდებულება პარიზის კომუნართა ბრძოლებისადმი. კომუნარების პირველი წარმატებებით აღფრთოვანებული ილია რევოლუციურ-დემოკრატიული პათოსით წინასწარმეტყველებდა კაპიტალის ბორკილების მსხვრევის მოახლოებას მთელ მსოფლიოში. კაპიტალისტური წყობილების მოსპობაში ილია ხედავდა ყველა ხალხის ბედნიერებას. ამას გარკვევით გვაფიქრებინებს „აჩრდილის"

XIII თავის ცნობილი სტრიქონები:

შრომა არ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ნებებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა.
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლეამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზეირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას.
ეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა პრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.

ასეთივე მაღალიდეური მნიშვნელობა აქვს „აჩრდილის“ XIV თავის ქვემოთ მოყვანილ „შრომის სუფევის“ მღაღადებელ სტრიქონებსაც, რომლებიც აგრეთვე პარიზის კომუნართა მიმდინარე ბრძოლების დღეებში იწერებოდა:

ალღო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის ნუგბა ირღვევა,
და ამ ზეიადმა საუკუნემა
უნდა შეას იგი შრომის სუფევა.

დიდი შემოქმედის რევოლუციურ-დემოკრატიული ინტერნაციონალური სულისკვეთებით აიხსნება, რომ მან მძიმედ განიცადა პარიზის კომუნართა მარცხი. ამის გამო წერდა იგი ხაღელიასად თავის მეუღლეს, ერთ უთარიღო ბარათში: „მეწყინა ძალიან ფრანცუზების დამარცხება“[169]. პარიზის კომუნის დამარცხების უახლოეს დღეებში წერს ილია თავის ცნობილ ლექსს: „პარიზის კომუნის დაცემის დღე“. კომუნის დამარცხებაში ილიამ დაინახა არა მარტო და არა მაინცდამაინც ფრანგი ხალხის მარცხი, წმინდა ეროვნული ვაგებით. ამ მარცხში ინტერნაციონალური და კლასობრივი შინაარსი ჩააქსოვა. სრულიად სამართლიანად, მასში დაინახა მსოფლიოს ყველა ხალხის დროებითი მარცხის სამწუხარო გამოვლინება: შემთხვე-

---

[169] საქართველოს მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A 1720 — 1. თუ ილია ფრანგების პრუსიელებთან დამარცხებას სწუხს, ესეც მისი ინტერნაციონალიზმის გრძნობაზე მეტყველებს, — პრუსიელები აგრესიულად დაესხნენ ფრანგებს.

ვით არ უწოდა ამ მარცხს „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშის დაშლა“ და „ისტორიის შეფერხება“.

ერთი რამ მეტად ნათელია: ილია ჭავჭავაძე გულწრფელად უმღერდა ჰეშმარიტ თანასწორობასა და ურთიერთ პატივისცემაზე დამყარებულ ხალხთა შორის ძმობას. იმავე დროს, როგორც რევოლუციურ-დემოკრატიულად განწყობილი დიდი შემოქმედი, ყოველი ხალხის ჰეშმარიტი თავისუფლების საწინდარს ფართო ხალხურ-დემოკრატიულ საწყისებზე დამყარებულ მშრომელთა ძალაუფლების გამარჯვებაში ხედავდა.

ილია ჭავჭავაძე რამდენადაც დიდია როგორც შემოქმედი, მხატვარი, ამდენადვე დიდია, როგორც პუბლიცისტი. ხალხთა შორის მეგობრობის იდეამ დაახლოებით იმ ძალით იჩინა თავი მის პუბლიცისტურ ნაწერებში, რა ძალითაც მხატვრულ შემოქმედებაში. დიდი პატრიოტი როგორც ქართველ, ისე მსოფლიოს ყველა სხვა ხალხში, შეხაროდა და იცავდა ახალს, სიცოცხლის უნარის მქონეს, ხოლო ყოველთვის გაბედული დაუნდობლობით გმობდა რეაქციულსა და წარმავალს. ამას გვიჩვენებს მისი პირველივე პუბლიცისტური წერილები, რომლებიც მან 1860-1863 წლებში გამოაქვეყნა. მან მკაცრად დაჰგმო ქართველი ინტელიგენციის ძველი თაობის სქოლასტიციზმი და ძველისადმი ტრფიალება. იცავდა რა რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკის პრინციპებს, ხელოვანისა და მწერლის მაღალ დანიშნულებად მიიჩნევდა ყოველგვარი სოციალური ბოროტების მთელი სისასტიკით მხილებას. შოვინიზმის ულმობელი მოწინააღმდეგე, მთელი პრინციპულობით მოითხოვდა ადამიანური მანკიერებანი ბოლომდე ყოფილიყო გაშიშვლებული, რომელი ერის წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო მისი მატარებელი. ასე განსაზღვრა მან, კერძოდ, თავისი ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ დანიშნულება: „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელნი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან“[170].

---

[170] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1941, ტ. II, გვ. 47.

ეს ხაზი გასდევს ილიას ყველა პუბლიცისტურ თუ მხატვრულ თხზულებას, რომელიც კი ქართველი, თუ სხვა ხალხის ეროვნულ ღირსებას შეეხება; ყოველი ერის ღირსების დაცვას უმაღლეს მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლიდა,—გამონაკლისს არ უშვებდა. ამ მხრივ, მეტად ნიშანდობლივია მისი ერთ-ერთი გამონათქვამი ცნობილი ნაშრომიდან „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“: „ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთა-სწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგნება ერთი იმისთანა სიბრიყეა, როძელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“[174].

ამა თუ იმ ხალხის ეროვნული ღირსების, ისტორიის, სულიერი კულტურის, ხალხთა შორის ურთიერთობის საკითხებზე ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ისეთი სიღრმითა და სიჯანსაღით ხასიათდება, რომ თავის პროგრესულობას მუდამ შეინარჩუნებს.

დღეს, როდესაც ყოველი ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები თავგამოდებით იბრძვიან მსოფლიოს ყველა ხალხს შორის ჭეშმარიტი ურთიერთგაგების მისაღწევად და მშვიდობის შესანარჩუნებლად, შეუძლებელია განსაკუთრებული სიამოვნება არ გვაგრძნობინოს ილია ჭავჭავაძის იმ წერილებმა, რომლებიც ხალხთა შორის ძმობისა და მშვიდობის დანერგვას ისახავდა მიზნად. მხედველობაში გვაქვს ილია ჭავჭავაძის შემდეგი მეტად ცნობილი წერილები: „მილიტარობა ევროპაში“ (1889), „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“ (1889), „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“ (1889), „ოსმალეთის სომეხთა განწირვა“ (1895), „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“ (1898) და სხვა. ამ წერილების სპეციალური ანალიზის აქ მოცემა, უადგილოდ მიგვაჩნია, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ: კერძოდ, ეს წერილები გვიჩვენებს, რომ ისე როგორც ადრე, ილია ჭავჭავაძე 90-900-იან წლებშიც გულდასმით ადევნებდა თვალყურს საერთაშორისო მოვლენათა განვითარებას; ავტორიტეტულად იმაღლებდა ხმას ეროვნული ჩაგვრისა და ხალხთა შორის სისხლისმღვრელი ომების წინააღმდეგ. გამალებული შეიარაღების და მილიტარიზმის წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებათაგან მეტად დამახასიათებელია შემდეგი: „ერთა-შორის დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა,... კაცობრიობის ბედნიერებისა და

---

[174] ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1941, ტ II, გვ. 418 — 419.

კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპავია"[175].

ხალხთა შორის ძმობისა და თანასწორობის დიდი მქადაგებელი დაუნდობლად გმობს კოლონიალურ ჩაგვრას: გვევლინება დამონებულ ხალხთა თავგამოდებულ დამცველად. მეტად ნიშანდობლივია წერილში „ევროპის დიდი და პატარა ონავრები" გამოთქმული შეხედულებანი. აქ ილია ერთგვარად თითქოს „იცავს" პატარა პორტუგალიას". და კიცხავს ინგლისს, რომელმაც აფრიკის ერთ-ეროი კოლონია გამოსტაცა ხელიდან „პატარა პორტუგალიას". მაგრამ აქ ირონიაა. მწერალი ამხილებს, როგორც ინგლისს, ისე „პატარა პორტუგალიას". დიდი სატირიკოსი პუბლიცისტი ულმობელი სარკაზმით ესხმის თავს ერთსაცა და მეორესაც. როგორც სხვის ტაბლაზე მოდავე ქვეყნებს: „ერთი კაცმა ჰკითხოს ერთსაცა და მეორესაც, ხეტა ვის ტაბლაზე პურსუბობენ? იმ ქვეყანას, რომელსაც ესენი ერთმანეთს ედავებიან, თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს, და არ ინგლისს რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას... სამართალიო, ღმერთის პორტუგალია. ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც"[176].

ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძე ყოველთვის დაჩაგრულის მხარეზე დგებოდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აგრეთვე წერილები „აშლილობა კრიტის კუნძულზე" (1889), „კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი" (1897) და სხვა, რომლებიც ოსმალთა მონობის ბორკილების დასამსხვრევად ამხედრებულ კრიტელთა დასაცავად არის გამიზნული. საგულისხმოა პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისათვის გაგზავნილი ილიას საპასუხო ბარათი, რომელშიც ჩანს პოეტის აღფოთება კრიტელთა უსამართლო ჩაგვრის გამო და ამავე დროს რწმენა. „რომ თავისუფლება და სამართალი გაიმარჯვებს"[177].

აქვე, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ შევჩერდეთ კავკასიის ხალხთა და, კერძოდ, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებზე ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწერების მიხედვით. ილია საკმაოდ ხშირად ეხება ამ საკითხს და ამას თავის საფუძველიც აქვს. ისტორიულად ერთმანეთს დაუპირისპირდა სომხური ბურჟუაზია და ქართველი თავადაზნაურობა, მათ ქიშპობას მეფის მთავრობა უმართავდა ხელს. ჩნდებოდა ერთგვარი „სადაო საკითხები". მაგ-

---

[175] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952, ტ. III, გვ. 445.

[176] იქვე, გვ. 449.

[177] გ. აბზიანიძე, ქართველი კლასიკოსები, 1950, გვ. 114.

რამ საკითხავია, თუ კინ როგორ ეხმაურებოდა მას? ერთი გარკვეული პასუხი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ამ საკითხზე: როგორც სომეხი, ისე ქართველი ხალხის პროგრესული ადამიანები ამ „სადავო საკითხებს“ ყოველთვის ჯანსაღად ეხმაურებოდნენ. კერძოდ, ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბიდან“ მოყოლებული სომეხი ხალხისადმი ღრმა პატივისცემას ნერგავდა; ასეც მოიქცა ყველაზე „საჩოთირო“ მომენტშიც კი, როცა აუცილებელი გახდა სომეხ-ქართველთა მეგობრობის მტრების ნაციონალისტ-შოვინისტი მეცნიერების „ერთგვარი გუნდის“ მხილება მისთვის ნიშანდობლივი პრინციპულობით: ილიას არ დავიწყებია მაღალი შეფასება მიეცა სომეხ-ქართველთა ისტორიული მეგობრობისთვის: „ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით“. ილია ჭავჭავაძეც რევოლუციურ-დემოკრატიული შეგნებით მიუთითებდა შოვინისტ მეცნიერებზე: „ჩვენ ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა — მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნის“[178]. ამდენად ილია ჭავჭავაძე შეეცადა მთელი თავისი მეცნიერულ-პუბლიცისტური ალღოთი და ერუდიციით გადაეჭრა ბევრი სადავო საკითხი სომხეთ-საქართველოს ისტორიიდან. ილიას განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ საკითხების მეცნიერული კვლევის სწორ გზაზე დაყენება.

ხალხთა შორის ურთიერთობის საკითხისადმი რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით მიდგომა რამდენად ნიშანდობლივია ილია ჭავჭავაძისათვის, საკმარველია კიდევ ერთი მაგალითი დავასახელოთ. ჯერ კიდევ 1889 წელს, ილია ჭავჭავაძე ერთ თავის წერილში სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებს აგრეთვე წამინდა კლასობრივ-ინტერნაციონალური თვალსაზრისით უდგებოდა. იგი პირდაპირ მიუთითებდა სომეხ-ქართველთა მეგობრობის საერთო მტრებზე, სომხური წარმოშობის ექსპლოატატორულ ბურჟუაზიაზე: „ჩვენ... ავად ვიხსენიებთ ხოლმე მარტო იმ ჯურის სომხებს, რომელნიც წურბელებსავით მოჰკიდებიან ქაჯობას. სწოვენ ქვეყანას და რომელთაც ჰკიცხვენ და ავად იხსენიებენ თითონ გონიერნი და პატიოსანნი სომეხნი“[179]. „გონიერ და პატიოსან სომხებში“ ილია

---

[178] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1941, ტ. II, გვ. 418.

[179] იქვე, გვ. 195.

ჭავჭავაძე გულისხმობდა სომეხ ხალხს და მის პროგრესულ ინტელიგენციას.

ოვოლუციურ-დემოკრატიული ინტერნაციონალიზმი, რომ შემთხვევით რამეს არ წარმოადგენს ილია ჭავჭავაძისთვის, კერძოდ, თვით სომეხი ხალხისადმი დამოკიდებულების საკითხში, ამას ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ილია ჭავჭავაძის წერილი „ოსმალეთის სომეხთა განწირვა" (1895). როგორც სათაურიდანაც ჩანს ილია აღშფოთებით იმაღლებს ხმას ოსმალეთის სომეხთა ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ: „ყველა იძახის, რომ სომეხთა საქმე მიწყნარდა და ვითომც სამშვიდობოზედაც გავიდაო. ცალკე ხომ ამას იძახიან, ცალკე ისიც ისმის, რომ სომხებს მაინც სდევნიან და ჟლეტენ... რა თქმა უნდა, არც მეორე მხარე რჩება უამისოდ, რომ სომეხთაც არ შესწყობოს ამისთანავე მოქმედება, მითომ-და წინააღმდეგ ოსმალთა, და მით არ ამართლოს იგი ულმობელი საქმენი, რომელსაც ოსმალნი სჩადიან"[180].

რამდენად ორგანული იყო ილია ჭავჭავაძისთვის ხალხთა შორის ძმობის მისწრაფებანი, ამაზე მისი მოღვაწეობაც მიგვითითებს, როგორც ცნობილია, სტუდენტ ილია ჭავჭავაძეს გადაწყვეტილი ჰქონდა მოხალისედ შესულიყო იტალიის გამათავისუფლებელ ჯუზეპე გარიბალდის არმიაში; გარიბალდის დიდი პორტრეტი განუშორებლად ამშვენებდა მისი სამუშაო კაბინეტის კედელს.

ილია დიდ ყურადღებას უთმობდა სხვა ხალხთა ისტორიის, ცხოვრების, ხელოვნებისა და ლიტერატურის,—მათი გამოჩენილი ადამიანებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის დანერგვას ქართველ ხალხში; ამ მიზნით იგი დიდი ინტერესით ეკიდება სხვა ხალხებისა და მათი გამოჩენილი ადამიანებისადმი მიძღვნილ საგანგებო საღამოებს, საიუბილეო თარიღებს, შეხვედრებს და სხვა. 1876 წლის „დროებაში" (№ 83) ვკითხულობთ, რომ თბილისში აღნიშნული წლის 28 იელისს გამართულა ბალკანეთის მებრძოლთა სასარგებლო სალიტერატურო-მუსიკალური საღამო; მონაწილეობა მიუღიათ ილია ჭავჭავაძეს, გრ. არწრუნს, კ. ბებუთოვს და სხვ. ილიას წაუკითხავს ერთი თავი „კაცია ადამიანიდან".

1884 წლის 30 ნოემბერს, თბილისში, ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით ფრანგ კოლონისტთა დასახმარებლად გაუმართავთ შინაარსიანი საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენის შემდეგ ბანკეტზე სიტყვები წარმოუთქვამთ ი. მაჩაბელს, საფრანგეთის კონსულს და

---

[180] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952, ტ. III, გვ. 509.

ოვით ილიას. გაზ. „დროებას“ (1884, № 260) განსაკუთრებით ვრცლად მოაქვს ილიას ეს სიტყვა; იგი ერთხელ კიდევ ნათელს ფენს ილია ჭავჭავაძის ინტერნაციონალურ მისწრაფებებს. იგი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ მასში ხაზგასმულია დიდ ხალხთა გენიდან პატარა ხალხთა თვითარსებობის მნიშვნელობა და მათ შორის მჭიდრო კავშირის შესაძლებლობა. აი, ამ სიტყვის არსებითი ნაწილი: „მე მგონია, რომ ქვეყანაზედ დიდთან პატარაც არ გაჩენილიყო, ქვეყნიერების მშვენიერებას და სავსებას ბევრი რამ დააკლდებოდა...

ნუთუ ქვეყანა მით უფრო მშვენიერი, მდიდარი და სავსე არის, რომ დიდს უშველებელს მუხასთან პატარა მდელოზედ პატარა იაცა ჰყვავის თავის საკუთარის ფერითა და სურნელებითა, ანუ თვალგადუწვდენელ ზღვისა და ოკეანეს ტალღების გრიალთან ისმის ნელი ჩუხჩუხი და კამკამი პატარა წყაროსიცა. ბატონის კონსულის სიტყვამ დაგვიმტკიცა, რომ დიდისა და პატარის შუაც შესაძლოა ხიდი გაიდვას... გვსურს ირწმუნოთ, რომ ამ პატარა საქართველოს ერს არ ეუცხოება დიდი გრძნობა კაცთმოყვარეობისა...“

1884 წლის მაისში თბილისს პირველად ეწვია ცნობილი გერმანელი მწერალი, შემდეგში ილიას ასლო მეგობარი, არტურ ლაისტი; მას ამ დროისათვის უკვე რამდენიმე წერილი ჰქონდა დაბეჭდილი გერმანულად ქართულ ლიტერატურაზე. ლაისტს ქართველი მწერლების საგანგებო ბანკეტი მოუწყო ილია ჭავჭავაძემ („დროება“, 1884, №118). ბანკეტზე წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის სიტყვა გამოაქვეყნა „დროებამ“ (1884, № 119). იგი აღსავსეა ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავების სულისკვეთებით: „ორნაირად სასიხარულოა მისი (ლაისტის —ა. კ.) ჩვენ შორის ყოფნა ქართველმა იცის პატივისცემა უცხოსი და სტუმრისა და უფრო დიდი პატივისცემა თავისის სულით და გულით მახლობელისა და თავისიანისა. მაგრამ ჩვენ სხვა სიამოვნებაც უნდა მიგვიძღოდეს ამ შემთხვევაში. ბ-ნი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იღო შუაკაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის... ჩვენი სულიერი ძალღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელსაც ქვეყნის წარმატების გზაზედ ბეთაურნი და მესვეურნი აღიან...“

რა თქმა უნდა, ილიას პრაქტიკული საქმიანობის, სხვა ხალხების გამოჩენილი ადამიანებისადმი ყურადსაღები დამოკიდებულების ბევრი საინტერესო ფაქტი ჯერ კიდევ გამოვლინებული არაა.

ამრიგად, ილიას მსოფლმხედველობასა და ინტერესებში დიდი ადგილი უკავია მსოფლიოს ყველა ხალხისადმი მეგობრული და პა-

კიდებულების ლტოლვას. ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის ბრუნვას. ამ თვალსაზრისით. ილიას შემოქმედებასა და მოღვაწეობაში, სრულიად ბუნებრივად, რუს და ქართველ ხალხს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების საკითხებს უკავია.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. მეფის მთავრობის მკაცრმა კოლონიურმა პოლიტიკამ ვერ აღკვეთა რუსი და ქართველი ხალხების და მათი მოწინავე ადამიანების დამეგობრება, რომ ერთად დროშის ქვეშ დარაზმულიყვნენ ცარიზმისა და ყოველგვარი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში: ეს მნიშვნელოვნად განაპირობა XIX საუკუნიდან რუსული და ქართული კულტურის გამოჩენილ წარმომადგენელთა მჭიდროდ დაკავშირებამ.

ილია მოღვაწეობის დაწყების პირველი დღეებიდანვე რამდენიმე აშკარად მტრულად არის განწყობილი რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ და ასეთი რჩება ბოლომდე. ამდენადვე პატივისცემასა და სიყვარულს ნერგავს რუსი ხალხის, მისი გამოჩენილი ადამიანებისა მოწინავე კულტურისადმი. ამას ბრწყინვალედ მოწმობს ილიას მთელი ცხოვრება, მხატვრული და პუბლიცისტური მოღვაწეობა. როგორც ცნობილია, მან თავის პირველ პუბლიცისტურ-ესთეტიკური ხასიათის წერილში „ორიოდე სიტყვა“ დაგმო სანტიმენტალისტური ლიტერატურის საფეხურზე შეჩერება და დიდების პიედესტალზე აიყვანა რუსული ლიტერატურის სიამაყენი, ბელინსკისა ჩერნიშევსკის საყვარელი მწერლები— პუშკინი. ლერმონტოვი, გოლი: „თუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი. ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიან კაზლოვსა“[161].

ეს იყო ილიას მიერ ბრძნულად არჩეული ყველაზე სწორი ტორიული გზა, რომელსაც გაჰყვა არა მარტო თვითონ, არამედ ყველა მისი თანამებრძოლი. რუსი ხალხისა და მისი მოწინავე კულტურის პატივისცემის ეს ტრადიცია გაიზიარეს მთელმა ჩვენმა მოწინავე თაობებმა.

რევოლუციურ-დემოკრატიული სულით იყო გაჟღენთილი ილიას სახელოვანი ორგანო „საქართველოს მოამბე“, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ორგანოებთან.

ნიშანდობლივია, რომ 1878 წელს თავის გაზ. „ივერიის“ მეორე ნომერში ილიამ მოათავსა ვრცელი შინაარსიანი წერილი ნეკრა-

---

ჰ ა ე ჰ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, 1941, ტ. II, გვ. 8.

სოვის გარდაცვალების გამო. წერილის ავტორი უცნობია, მაგრამ წერილში ნეკრასოვი დახასიათებულია როგორც რუსეთის „გამოჩენილი პოეტი". რომელმაც ახალგაზრდობას „ასწავლა და ჩაუნერგა ხალხის სიყვარული და მისთვის მოღვაწეობა". ნეკრასოვში წერილის ავტორს დაუნებებული „აზრის პოეტი": „იმის ლექსებში უპირველესი მზარე აზრს ეპირა... ამ თვისებით ვერც ერთი რუსეთის აწინდელი მელექსე ნეკრასოვს ვერ შეედრება". სტატია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნეკრასოვის მოღვაწეობას 60-იან წლებში. „სოვრემენიკში", რომ ნეკრასოვის ამ დროის ლექსები ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა არა მარტო რუსეთის ხალხთა, არამედ იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობაზეც: „1856წლიდამ ჟურნალის („სოვრემენიკის"—ა. კ.) მოსპობამდე 1866 წელს, უკეთესნი მწერალნი იქ შეიკრიბნენ. ის ათწელობა სახელოვანი დრო იყო ნეკრასოვის ჟურნალისა. იმ დროს რუსეთში დაიწყო მოძრაობა აზრებისა და სახელმწიფო ცვლილებებისა. ამ დროს ეკუთვნის უკეთესი ლექსები ნეკრასოვისა, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდა იმ დროს ახალგაზრდობაზე რუსეთში და იქაურს გარდა ჩვენ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაზეც",— წერს „ივერია".

მეფის რუსეთის მოწინავე ადამიანებმა 1899 წელს ფართოდ აღნიშნეს 100 წელი რუსული პოეტური გენიის პუშკინის დაბადებიდან. გაზ. „ივერიამ" ილიას რედაქტორობით ამ ღირსსახსოვარი თარიღისათვის თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა პუშკინის პორტრეტი და მისი ლექსები, მოათავსა პუშკინზე ორი სტატია. ერთს მათგანს. „ალექსანდრე პუშკინი". ხელს აწერს „დავიწყებული მწერალი". ჩვენთვის უცნობია თუ ვინ იგულისხმება ამ ფსევდონიმში. მაგრამ ერთი კი უეჭველია, წერილი გარკვევით გამოხატავს რედაქტორის, ილიას სიმპათიებს გენიალური რუსი პოეტისა და რუსი ხალხისადმი. ეს სტატია საკმაოდ ცნობილია, მაგრამ ჩვენის მხრით საჭიროდ მიგვაჩნია მასში გამოთქმულ აზრებს სათანადო ყურადღება დავუთმოთ. სტატიაში პუშკინი და მისი სახით თვით რუსი ხალხი დახასიათებულია როგორც განსაკუთრებული ტიპის ინდივიდუმის ღირსი: „ამ ღამეს დღესასწაულობს ყველა, ვისაც ცოტაოდნად მაინც პოეზიის ამაკრული ღვინის გულში... ვინც რუსეთის კონებრივ წარმატებას აფასებს".

პუშკინის შემოქმედების გამოძახილზე მითითებულია მრავალი ხალხის მწერლობაში, მათ შორის ქართულ მწერლობაშიც: „ეროვნულ, ქართველთათვის პუშკინის მნიშვნელობა ფრიად დიდია: ამ სამოცდაათის წლის განმავლობაში ისეთი ჩამომავლობა არა ყო-

ფილა საქართველოში, რომელსაც რამე ესწავლოს და პუშკინის შუბას არ დასწაფებოდეს. ჩვენი საუკეთესო პოეტები გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი,--ამათ ყველას ნაწერებში წილი აქვს პუშკინს".

ლიტერატურათმცოდნენი ზოგჯერ ივიწყებენ, რომ პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებაში აისახა არა მარტო კავკასიის, თუ საქართველოს წარმტაცი პეიზაჟები, არამედ თვით ხალხის ხასიათიც, ბრძოლა თავისუფლებისთვის. ამაზე წერილში საგანგებოდ არის ლაპარაკი: პუშკინმა „კავკასიის მომხიბლავი პუნება, კავკასიელ ერთა თავისუფლებისთვის ბრძოლა და თავისუფლების სიყვარული გაბადა... საგნად ზოგიერთ თავის თხზულებისაო".

მეორე წერილში, „რუსეთის დიდი მგოსანი", რომელიც არბოელს (ნ. ლომოურს) ეკუთვნის, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პუშკინს, როგორც ხალხთა შორის ძმობის დიდ მომღერალს: „მხოლოდ ამისთანა მწერლებს შეუძლიათ იმ წმიდა და შეურყეველ კავშირის, ძმობისა და სიყვარულის დამკვიდრება სხვადასხვა ერთა შორის, რომელიც სანატრელია ყოველის აწინდელის ქართველისათვის. მაშ. დიდება და უკვდავება პუშკინის დიდებულ სახელს!"

საყურადღებოა, ის გარემოებაც, რომ ილია ქართველი ხალხის გამოსაფხიზლებლად ხშირად სხვა ხალხთა კარგ მაგალითებს ასახელებს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ასეთ ფაქტებს რუსი ხალხის ცხოვრებიდან. ყოველი ხალხის კულტურული წარმატების მნიშვნელოვან დადასტურებად მიაჩნია თავისი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანებისადმი შესაფერი პატივის მიგება. ამ მიზნით მოაქვს სახელგანთქმული რუსი მწერლების ღირსეულად დაფასების ფაქტები: „ნეკრასოვის, დოსტოევსკის დაკაფლავებაზედ მოსკოვმა და პეტერბურგმა დიდი გულის-ტკივილი და მადლობა გამოაცხადეს მათდა ღვაწლისათვის. ეხლაც ცოცხალის ტურგენიევის იუბილე საქეეყნოდ იდღესასწაულეს, მისი ღვაწლი ლიტერატურაში თავკოწონებით გასთქვეს და ადიდეს. ყოველმა კერძომ რუსეთისამ ამ საერთო მადლობის ხმას ბანი მისცა. პუშკინის სახსოვრად მადლობელმა რუსეთმა ძეგლი ამართა მოსკოვში და ამ ძეგლის ამართვის დღე დიდის ყოფით და დიდის ამბით გადაიხადა...

ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გასჯილ კაცისა. საჯაროდ მადლის ღახდა"...[152]

---

[152] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952, ტ. III, გვ. 121.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ილია მოღვაწეობის დაწყების დღიდან სიკვდილამდე, მკვეთრად განასხვავებდა რეაქციულ და პროგრესულ რუსეთს. იგი მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძოდა პირველის და ეყრდნობოდა და იცავდა მეორეს. დამახასიათებელია, რომ 1881 წელს ილია ამხილებს რა იანოვსკის ანტიქართულ-ანტიპედაგოგიურ მოსაზრებებს ქართულ საეკლესიო სკოლებში ქართული და რუსული ენების სწავლების საკითხებზე, თავის შენიშვნებში გამოჩენილ რუს პედაგოგს უშინსკის ეყრდნობა; მოითხოვს სწავლების დროის გაზრდას და რუსული ენისა და ლიტერატურის შესწავლას დიდ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს. რუსული ენის ცოდნა „გვსურს და ძალიანაც... მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონება-გახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი... ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან“[183].

რუს ხალხთან ქართველი ხალხის მჭიდრო კავშირისა და მოწინავე რუსული კულტურის დიდ მნიშვნელობას ჩვენთვის, XIX საუკუნის საქართველოს ყველა გამოჩენილი მოღვაწე აფასებდა; მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამას ყველაზე ღრმად ილია ჭავჭავაძე ჩაწვდა და მოგვცა სახელმძღვანელო ხასიათის მოსაზრებანიც. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი ცნობილი აზრი: „რუსულმა სკოლამ-მეცნიერებამ გაგვიღო ქარი განთლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენ ყონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“.

ცხადია, ილია ჭავჭავაძე, როგორც ღრმა მოაზროვნე, რომელსაც ბრწყინვალედ ესმოდა სხვა ქვეყნისა და ეროვნული კულტურის ჯოყუნების არსი, იქვე სათანადო შენიშვნასაც დასძენდა: „ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია“. ამ შემთხვევაში ილიას სამაგალითოდ მიაჩნდა XIX საუკუნის ქართველი სამოცანელები, რომლებმაც მოწინავე დასავლეთ ევროპული და რუსული კულტურა შეგნებულად შეითვისეს და გაამდიდრეს ახალი შინაარსითა და ფორმით.

რუსი ხალხისა და მისი გამოჩენილი ადამიანებისადმი ილიას გულთბილი დამოკიდებულებისათვის ერთი ასეთი ბიოგრაფიული მომენტიც უნდა დავასახელოთ: 1888 წლის 27 თებერვალს ჩოხატაურში შევსკის თანამებრძოლ შელგუნოვის შესახებ ილიას ფირალოვისაგან (ფირალიშვილი) მიუღია შემდეგი შინაარსის წერილი: თქვენთვის

---

[183] ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1941, ტ. II, გვ. 560.

ცნობილი მწერალი შელგუნოვი, რომელიც შეიწროებულია თავისი მრწამსის გამო: იგი ახლა 70 წელსაა მიღწეული, მაგრამ მაინც აკრძალული აქვს მოსკოვში ცხოვრება. მხოლოდ 1-2 ღღით ჩადის ხოლმე თავის საქმეებზე „Русская мысль“-ის რედაქციაში. მისი უბედურება ახლა ისაა, რომ შვილს ნიკოლოზს ოფიცრობა ლიტერატურის წრის შედგენისათვის. იმპერატორის ბრძანებით მისჯილი აქვს 6 წლით ჯარისკაცობა. უკვე სამი თვეა, რაც იგი ჯარისკაცად იმყოფება ალექსანდროვკაში კავკასიის მე-6 სარეზერვო ბატალიონში. ამ დღეებში პროფ. ივანოვმა წამიკითხა წერილი შელგუნოვის შვილისა, რომელიც პატიმარზე უარეს დღეში იმყოფება: მოხუც მამას ყოველივე ეს მეტად აღელვებს: ნ. ვ. შელგუნოვის მეგობარმა მოსკოველმა ლიტერატორებმა დახმარებისათვის მისწერეს პროფ. ლამბარაშვილსა და ხატისოვს. მაგრამ არაფერი გამოვიდა; ახლა მოგმართავთ თქვენ; წერილის ბოლო ნაწილი გვაფიქრებინებს, რომ ნ. შელგუნოვსა და ილიას შორის პირადი ნაცნობობაც უნდა ყოფილიყო: „და აი გადმოგცემთ მოხუცი მამის თხოვნას,—წერს ფირალოვი,—მონაწილეობა მიიღოთ მისი შვილის ბეღლობაში და შეამსუბუქოთ მისი ხვედრი, თქვენი ნაცნობობით სამხედრო წრეებთან. თქვენი უსაზღვრო გულკეთილობა და გულისხმიერება ყოველივე მშვენიერისადმი ძლიერ აიმედებს მას, რომ თქვენი ქომაგობა დიდ სარგებლობას მოუტანს მის შვილს“[184].

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში აღმოჩნდა ფირალიშვილისადმი გაგზავნილი ილიას სპასუხო წერილის შავიც[185], იგი საყურადღებოა არა მარტო იმ მხრივ, რომ ილიას უზრუნველია შელგუნოვის შვილისთვის, არამედ იმ მხრივაც, რომ გვიდასტურებს ილიას ახლო ნაცნობობას ნ. ვ. შელგუნოვთან და მისადმი დიდ პატივისცემას სტუდენტობიდანვე: ილია წერს, რომ ყოველივე გააკეთა შელგუნოვის შვილისათვის: „ძლიერ სასიამოვნოა,—წერს ილია,—გააგებინოთ ეს სასიხარულო ამბავი ნ. ვ. შელგუნოვს, რომლის მიმართაც უნივერსიტეტის სკამიდან ვარ გამსჭვალული მეტად გულითადი და ღრმა პატივისცემით; ამიტომ არ შეიძლება მადლობა არ გადაგიხადოთ იმ დიდი კმაყოფილება-

---

[184] „... И вот передаю просьбу старика-отца принять участие в судьбе его сына и облегчить его участь, пользуясь связями с военным миром. Безпредельная ваша доброта и отзывчивость на всё прекрасное сильно обнадёживает его, что ваше заступничество принесёт сыну его большую помощь“.

[185] ა. ყენჯოშვილი, ზ. სააკაძე. „წარსულის ფურცლებიდან“. „ლიტ. გაზეთი“, 1956, № 28.

სათვის, რომელიც მომანდობეთ მე რითიმე მაინც ვემსახურო ისეთ პატიოსან და განათლებულ მოღვაწეს, როგორიცაა ნ. ვ. შელგუნოვი. იშვიათად თუ შემისრულებია ოდესმე ასეთი დავალება, რომელიც ახე ახლოს ყოფილიყოს ჩემს სულთან" (Ilus. 95).

წერილები ერთხელ კიდევ მოწმობს იმასაც, რომ ილიას პირადი ნაცნობობა ჰქონდა ჩერნიშევსკისთან. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ 1861 წელს „ივერიაში" (№8) მოთავსებულია წერილი ნ. შელგუნოვის გარდაცვალების გამო[136]. იგი ხელმოუწერელია, მაგრამ მისი შინაარსი და სტილი გვაფიქრებინებს, რომ ილიაზი უნდა ყოს. მასში ნ. შელგუნოვი დახასიათებულია როგორც ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამებრძოლი.

80-იან და შემდგომ წლებში ილიას უცდია მოეცა რუსი რუსეთის იმპერიის ხალხთა ურთიერთკავშირისა და მეგობრობის ერთგვარი ჩამოყალიბებული პროგრამა. როგორი იყო და რა ხასიათი ჰქონდა ამ პროგრამას? რუსეთის თვითმპყრობელობის ხელეწიფობის პირობებში ეროვნული საკითხის მოგვარების ცდა იყო ივი თუ უფრო მეტი რამ?

ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით 1881 და 1882 წწ. მარტის „შინაური მიმოხილვები". 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში" ილია წერს: „აქ უნდა შეკწუვიტოთ ჩვენის ნებითვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგვაწყვეტინებენ... ამ წერილს თირკმლები განგებ ამოვაცალეთ და შეა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა"[137]. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრიად არსებითი რამ, როგორც ხშირად სხვა შემთხვევებშიც, ან ვერ სთქვა მის უნებურად, ან ამოუპრეს. ჩვენი ვალია ჩავწვდეთ არა მარტო იმ ტექსტს, რაც წინ გვიძევს, არამედ ქვეტექსტსაც, რაც უნებლიედ არ სთქვა დიდმა ადამიანმა, ან გადაუხაზეს: ეს ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში.

ილია ჭავჭავაძე თავის მახვილი პოლიტიკური თვალით ხედავდა რუსეთის იმპერიაში ეროვნული საკითხის დიდ მოუწესრიგებლობას და როგორც მოსალოდნელი იყო, ოდნავადაც ვერ ურიგ-

---

[136] ა. ქენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძე, 1955, გვ. 129 — 130.
ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952, ტ. III, გვ. 57.

დებოდა მას: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ... ამიტომაც ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან"[138].

„თირკმლებგამოცლილი" წერილითაც უნდა მიეღწია ილიას მეფის მთავრობის, როგორც „ხალხთა საპყრობილის" მკაცრი ძხლებისთვის. მეტად დინჯად, სერიოზულად, მაგრამ ეზოპურ-ქარაგმულად. – ცენზურისათვის ერთგვარი „მისაღები" ფორმით, ეს კიდეც არის ნათქვამი: „რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედა-აზრი მასზედ. –თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი"[139].

აქედან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე არსებითად მეფის მთავრობას ადებდა ხელს იმაში, რომ გადაუკრელი იყო და არც შეიძლებოდა გადაკრილიყო თვითმპყრობელობის პირობებში საკითხი იმის შესახებ, თუ „სად თავდებოდა უფლება ეროვნობისა და სად იწყებოდა სახელმწიფოსი". ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის კიდევ უფრო მკაცრი კრიტიკის ცენზურისთვის მისაღებ ფორმაში მოსაცემად, ილია ჭავჭავაძეს მთელი სიმძიმე მოხელეთა თავაშკებულებაზე გადაჰქონდა და „უმაღლეს მთავრობას" თითქოს „ათავისუფლებდა" ამისგან: „მოხელეობა, რომელიც ხშირად მოკლებულია არამც თუ საზოგადო დედა აზრებს, არამედ უმეცარია იმისიც, რაც ხშირად ფიქრად, თუ საგნად აქვს უმაღლესს მთავრობასა.– ამ უდიდესს საგანს ისე ეჭცეოდა, როგორც მისი ქვეშევრდომი იყო. ეგონა, რომ ეროვნობის დევნა და ჩაგვრა თავი და ბოლოა სახელმწიფოდ მოქმედის კაცისა. საჭიროა სახელმწიფოს წარმატებისათვის და თითონ უმაღლესი მთავრობაც ამისი მსურველი და მცდელია"[140]. მოხელეობა მოკლებულია არა მარტო საზოგადო აზრებს, არამედ უმეცარია „იმისიც", რაც ფიქრად აქვს უმაღლეს მთავრობას. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ილია ჭავჭავაძე „უმაღლესი მთავრობის" ასეთი „დაცვის" ფორმით ამბობდა: მოხელეობა ხომ მოკლებული იყო მოწინავე აზრებს და იმაშიც კი

---

[138] ი. ჭავჭავაძე. თხზ., 1952, ტ. III. გვ. 54

[139] იქვე.

[140] იქვე, გვ. 54 — 55.

ვერ ერკვეოდა, რაც მთავრობისაგან მოდიოდა და ხალხის სასიკეთოს არაფერს შეიცავდა.

მცდარია ის აზრი, რომ თითქოს ილია ჭავჭავაძე გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდა ცარიზმის მოხელეთა კრიტიკას და ხალხთა ცხოვრების მოწესრიგებას თვითმპყრობელობის დაუმხობლად ვარაუდობდაო. 1879 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე ირონიულად წერდა: „ამ წამალს (ე. ი. მოხელეთა კრიტიკას—ა. კ.) იმოდენა მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რომ ამითი ყველა ტკივილი მორჩეს, აქ ბევრი სხვა ტკივილიც არის, რომელიც სულ სხვა მიზეზით წარმოდგება და რომელსაც სხვა წამალი უნდა“[191].

ილია ჭავჭავაძის მთავარ მიზანს ცარიზმისა და მისი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა; ამას 1882 წლის მარტის „შინაური მიმოხილვაც“ ადასტურებს: „დღემდე ეროვნობის საჭიროებანი და სახელმწიფოსი ერთმანეთში გარჩეული არ იყო. ყოველისფერი სახელმწიფოს ანაცვალეს და ეროვნობას გზა შეუკრეს“[192].

ილიას ეროვნული კონცეფციის პროგრესული ხასიათი აღნიშნული წერილების მიხედვითაც ეჭვს არ იწვევს. ილია ჭავჭავაძე იბრძოდა ხალხთა ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის: „ეროვნობა და სახელმწიფო ადვილად მოსათავსებელხი არიან ერთძანეთში და საცილობელი, ერთმანეთის დამაბრკოლებელი არა აქვთ-რა. ამას მარტო ღრმად დაკვირვება უნდა, ხალასი გული და მიუდგომელი ჰკუა“[193].

ილია ჭავჭავაძის მკვეთრად ანტიცარისტულ პოზიციაზე მიუთითებს, კერძოდ, მისი ე. წ. „ხმლისა და გუთნის“ თეორიაც; აგრეთვე იმავე 1882 წელს გამოქვეყნებული მისი ცნობილი წერილი „კატკოვის პასუხად“. ამასვე გვიჩვენებს 1885 წლის თებერვლის „შინაური მიმოხილვა“, რომელსაც მხოლოდ ცენზურის თვალის ასახვევად აქვს ასეთი უწყინარი სათაური.

ილია ჭავჭავაძე რევოლუციურ-დემოკრატიული ოპტიმიზმით ხასიათდებოდა: კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ დადგებოდა დრო, რუსეთის ხალხთა თავისუფლებისა; ამით აიხსნება, რომ იმავე წერილში იგი ნიშანდობლივი განრისხებით წერდა ხალხთა ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის ბრძოლის მოღალატეთა წინააღმდეგ:

---

[191] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952, ტ. III, გვ. 26.
[192] იქვე, გვ. 94.
[193] იქვე.

„დღე გამოკვლება. მა ოცა თავისის ვინაობიდგან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება. როგორც ულირსი"[194].

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტური ნაწერების შესაფერი ანალიზი იმაში გვარწმუნებს, რომ მას რუსეთის ცარიზმის სასელმწიფო ყოველთვის მიაჩნდა „ხალხთა საპყრობილედ" და მისი დამხობა მაღალ მისწრაფებას წარმოადგენდა. მაგრამ. მიუხედავად ამისა. რუს ხალხსა და სხვა ხალხებს. მათ შორის რუს და ქართველ ხალხს შორის მჭიდრო კავშირს ამ ბრძოლის ქვაკუთხედად აცხადებდა. ამით აიხსნება, რომ წერილშიც „ახი წლის წინათ" (1899) ილია იწონებს საქართველოს რუსეთთან შეერთებას, იმ დიდ წარმატებას. რაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურ პროცესს მოჰყვა შედეგად: „ამ ღირს-სახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა... დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან.... გაჭრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ებუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს"[195].

ერეკლე მეორის და გიორგი XII-ის ორიენტაცია რუსეთზე, ილია ჭავჭავაძეს დასაბუთებული აქვს ისტორიულადაც: „რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა... წინაპარია აძდერძება. რაღგანაც მისდა მეფობის წინათაც. ჯერ კიდევ 1576 წლითგან. საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან"[196].

პეეროის მთქმელია თვით ილია ჭავჭავაძის დიდი შორსმჭვრეტელობის გამომხატველი უკანასკნელი ფრაზაც: „26 ნოემბერს, 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვივებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავის მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთაშესხმული"[197].

ცხადია, ილია ჭავჭავაძის ასეთი გამონათქვამებიდან ისეთი დასკვნის გამოტანა. რომ მას ოითქოს ამოცანად დაესახოს კეშმარიტი თავისუფლების მოპოვება ცარისტული რუსეთის იმპერიის ფარგლებში. შეუძლებელია. ილია ჭავჭავაძე ამით მხოლოდ ხაზს უსვამდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურ პროგრესულობას. რამაც განაპირობა რუსი და ქართველი ხალხების დაახლოება: არა რეაქციულ. არამედ პროგრესულ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება. იგულისხმება, რომ ეს ჰქონდა ყოველთვის ილია

---

194 ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1952, ტ. III, გვ. 96.
195 იქვე. თხზ., 1941, ტ. II, გვ. 498.
196 იქვე, გვ. 494.
197 იქვე, გვ. 498.

ქავჭავაძეს მოღვაწეობაში. ამით აიხსნება, რომ პროგრესული რუსეთის მეგობარი ილია ჭავჭავაძე, არასოდეს არ ივიწყებს რუს და ქართველ ხალხს შორის მეგობრობის ისტორიულ მნიშვნელობას, მაგრამ ცარიზმის წინააღმდეგ ყოველთვის შემართული აქვს მახვილი. მწერალი გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოძრაობას. „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს ქაქმა, საითკენაც ჯერ არს (ე. ი. ცარიზმის წინააღმდეგ—ა. კ.), და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ცხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ. ამას თხოულობს არამც თუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ კლეხკაცობისაც საკუთრივ"[198].— წერდა ილია ჭავჭავაძე.

ილია ბოლომდე იბრძვის მსოფლმხედველობრივ თანამიმდევრულობას და იდეურ პრინციპულობას: პირველ ყოვლისა, ამას განაპირობებს ყოველგვარი ანტიეროვნულისადმი იდეური შეურიგებლობა. ამის მაჩვენებელია. სხვათა შორის, ერთი ასეთი ფაქტი: 1899 წლის 2-ს ოქტომბერს გაზ. „კავკაზში" (№ 284) გამოცხადებულია, რომ 1900 წლის პირველი იანვრიდან თბილისში გამოსვლას დაიწყებს ყოველთვიური ჟურნ. „კავკაზსკი ვესტნიკი", რომელშიც ითანამშრომლებენ: ალიხანოვ-ავარსკი (?!), დე-პაი, აკად. ნ. ფ. დუბროვინი, აკად. ნ. პ. კონდაკოვი, პროფ. ნ. ი. ჭარი. თ. ვ. მიქელაძე. ე. თაყაიშვილი. თხორჟევსკი. ე. გ. ვეიდენბაუმი, უ. ა. ვერმიშევი, პროფ. ა. ს. ხახანაშვილი და სხვ. მათ შორის დასახელებულია ი. ჭავჭავაძეც; რამდენიმე პირმა სხვადასხვა მიზეზით მაშინვე განაცხადა უარი აღნიშნულ ჟურნალში თანამშრომლობაზე; განსაკუთრებულ ინტერესს ი. ჭავჭავაძის პროტესტი იწვევს.— ილია პროტესტს აცხადებს წმინდ. მსოფლმხედველობრივი მიზეზით:

„წერილი რედაქტორს!
მოწყალეო ხელმწიფევ, მოწყალეო რედაქტორო!

გავეცანი ჩვ. ახალი ჟურნალის „კავკაზსკი ვესტნიკის" თანამშრომელთა სიას, რომელიც 29 ოქტომბრის „კავკაზში" იყო გამოქვეყნებული. იმავე დღეს მე პატივი მქონდა გადამეგზავნა ხსენებული ჟურნალის ბ-ონ რედაქტორისადმი წერილი თხოვნით ამომშალოს მე ამ სიიდან; ეს მე მაიძულა შემდეგმა გარემოებამ: გავეცანი რა სიას საპატიო პირთა, რომელნიც მონაწილეობას ღებულობენ ახალ ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკში", მე შევნიშნე, რომ მათ

[198] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, 1928, ტ. IX, გვ. 191.

შორის დასახელებული არიან ისეთი პირნიც, რომელთაც მე დაამტკრალურად ვშორდები ყველაზე უფრო არსებით და ჩემთვის ძვირფას საკითხებში. ამის გამო უხერხულად ჩავთვალე ვმონაწილეობდე საქმეში, რომელიც ყველაზე უფრო მოითხოვს მიმართულებისა და მსოფლმხედველობის ერთობას.

მიიღეთ და სხვ.

თ. ილია ჭავჭავაძე"[199].

ილია ჭავჭავაძე — მეგობარი ჩერნიშევსკის რუსეთისა, — ბოლომდე დარჩა მტერი რომანოვების რუსეთისა. ივი ბოლომდე თანამიმდევრული მოჩანს რეაქციის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაშიც და მოწინავე ადამიანებთან მეგობრობაშიც.

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას ძირითადად არა ბურჟუაზიულ-განმანათლებლური, არამედ რევოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციები წარმართავს. ამით აიხსნება, რომ იგი ბოლომდე რჩება ცარიზმის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ, ყველა ხალხის ჭეშმარიტი თავისუფლების საფუძველს მშრომელთა გამარჯვებაში ხედავს,—თანამიმდევრულად ქადაგებს ხალხთა შორის ძმობასა და მშვიდობას.

* * *

ამა თუ იმ გამოჩენილი მოღვაწის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის პატრიოტულ-ინტერნაციონალური ხასიათის მისწრაფებანი შესწავლილი უნდა იქნას იმის მისედვითაც. თუ რა რეზონანსი ჰქონდა სხვა ხალხებში, მათი გამოჩენილი ადამიანების წარმოდგენაში.

როგორც ჩანს, სხვა ხალხებიდან, ვინც პირველი დაინტერესდა ილია ჭავჭავაძით, როგორც მოღვაწე-შემოქმედით, ეს იყო რუსული მწერლობა. ჯერჯერობით, ვიდრე სხვა მასალები არ გაგვაჩნია ხელთ, ამის პირველ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ვინმე „ვ. გ.-ზონ"-ის ბიერ 1863 წელს ილია ჭავჭავაძის ლექსის „მუშის" თარგმნა რუსულ ენაზე და მისი გამოქვეყნება გაზ. „კავკაზის", იმავე წლის მაისის 63-ე ნომერში. თარგმანს საფუძვლად უძევს ამ ლექსის ის ქართული ორიგინალი, რომელიც ჟურნ. „საქართველოს მოამბის" პირველ ნომერში დაიბეჭდა. ამ დროს გაზ. „კავკაზის" რედაქტორია ე. შვარცი. ლექსის პირველ წუაროდ „კავკაზში" მითითებულ იქნა „საქართველოს მოამბის" აღნიშნული ნომერი. ავტორი ლექსისა ილია ჭავჭავაძე, არ არის დასახელებული, ისე როგორც ეს თვით„ „საქართველოს მოამბეშია". ლექსს რუსულადაც სათაურად აქვს «Муза», ასევე. ზოგიერთი სიტყვა (კურტანი და სხვ.) რუსულ თარგ-

[199] გაზ. „Кавказ", 1899, № 286, 31/X.

მანში უცვლელად არის დატოვებული და სქოლიოში ახლავს გარ მარტებანი. იქვე ლექსი დაბეჭდილია ქართულადაც. სანიმუშო მოვიტანთ ამ თარგმანის რამდენიმე სტროფს:

В день жаркий, палящий, близь лавки базарной,
Среди суетливой тифлисской толпы,
Я видел, как ты, бедняк безотрадный,
Муша, прислонился у жаркой стены.

Ты, верно, не вынес плетей господина?
Иль ложной надеждой сюда привлечен,
Оставил жену ты, очаг свой и сына
Желанием лучшей судьбы увлечен.

Он даром и бросит и рад подарить
Тому, кто богаче, кто с ним посмелее,
И щедро готов он того накормить
Кто сыт и доволен, с кем жить, брат, милее.

ითარგმნა თუ არა იმ დროს ი. ჭავჭავაძის კიდევ სხვა რამ რუსულად, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ „მუშის“ რუსული თარგმნის ფაქტიც და კავკასიის მთავარ რუსულ პერიოდულ ორგანოში გამოქვეყნება თავისთავად მეტყველებს ამ შესანიშნავი ლექსის გარკვეულ გამოხმაურებაზე.

1864 წელს იმავე გაზ. „კავკაზის“ ლიტერატურულ დამატებაში, „ლიტერატურნი ლისტოკში“ (№№ 3, 4, 5, 6, 7, 8, 9) ანტონ ფურცელაძემ მოათავსა „კაცია-ადამიანის“ განხილვა.

1869 წელს „კაცია-ადამიანი?!“ გამოიცა პეტერბურგში (ქართულ ენაზე, გამომცემელი მ. ბეთანიშვილი), რასაც შესაფერი გამოხმაურებაც თან ახლდა; გაზ. „გოლოსში“ დაიბეჭდა მასზე წერილი. ეს უნდა იყოს პირველი წერილი „კაცია-ადამიანსა“ და საზოგადოდ ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც ცენტრალურ რუსულ პრესაში გამოქვეყნდა. ივი რომელიღაც ქართველ მოღვაწეს უნდა ეკუთვნოდეს. წერილში ერთი დაუმსახურებელი ბრალდებაც გვხვდება მოთხრობიდან ზოგიერთი სცენის, თითქოს-და სინამდვილისადმი შეუფერებლობაზე, მაგრამ სტატია ძირითადად სწორ ორიენტაციას აძლევდა მკითხველს დიდ ქართველ მწერალზე. ამის თაობაზე „დროება“ აღნიშნავდა (1869, № 25, ივნისი): გაზ. „გოლოსში“ წერენო: „ეს მოთხრობა პირველად დაბეჭდილი იყო 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“, რომელსაც სცემდა ავტორი და ძალიან მოეწონათ ქართველ მკითხველებს. იმაში აწერილია სატირიკულად, მაგრამ იშვიათის სიმართლით, ძველი ქართველი მებატონეების ცხოვრება. თუმც ზოგი სცენები სინამდვილეს არ ეთანხმება, მაგრამ საზოგადოთ ეს მო-

თხრობა იშვიათი მოვლინებაა ქართულ ლიტერატურაში. ილია ჭავჭავაძეს, როგორც პოეტსა და მწერალს უჭირავს პირველი ალაგი ახალ ქართულ ლიტერატურაში: იმიდან იწყება ახალი ეპოქა ლიტერატურისა".

„გოლოსის" აღნიშნულ წერილს „დროებამ" თავის შენიშვნაც დაურთო. ილია ჭავჭავაძის დიდი ღირსების მიუხედავად, ჩვენ არ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ თითქოს ქართული პოეზია ილია ჭავჭავაძემდე „ვარდ-ბულბულიანობას" ვერ გასცილებოდეს და მოქალაქეური ელემენტის პირველი შემომტანი ილია იყოსო.

როგორც ვხედავთ, ასე თანდათანობით, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ცნობილი ხდებოდა როგორც რუსი, ისე სხვა ხალხებისთვის.

1872 წელს გაზ. „კავკაზში" (№ 3, იანვარი) დაიბეჭდა ნ. ბერძნიშვილის საყურადღებო წერილი ქართულ პერიოდიკაზე, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ილია ჭავჭავაძის ჟურნალისტურ და შემოქმედებით მოღვაწეობას. ბერძნიშვილი აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბის" რედაქტორობამდეც მოასწრო ბიეპყრო თავისკენ ყურადღება თანამედროვე სულით გაჟღენთილი კარგი ლექსებით და კრიტიკული სტატიებით. ბერძნიშვილი შემდეგ საგანგებოდ ჩერდება „კაცია-ადამიანსა" და „გლახის ნაამბობზე". წერილის ავტორი კვლავ უბრუნდება „საქართველოს მოამბეს", როგორც ყველაზე მოწინავე ორგანოს; ამ საინტერესო სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ჟურნალის დახურვის მიზეზებს და გადაკრულად კიდევ მეტს ამბობს ამ ორგანოს ღირსებაზე: „რა მიზეზის გამოა, რომ ძლივს მბჟუტავი „ცისკარი" დღემდე თავს იმაგრებს ლიტერატურულ არენაზედა. „მოამბე" კი, ასე ბევრის დამპირებელი ჩაჩუმდა ერთი წლის შემდეგ? ამაზე განა შეეძლოთ ეპასუხნათ მათ, რომელნიც იკისრებდნენ გადაეწყვიტათ საკითხი: რატომაა, რომ ზოგიერთის უნაყოფო და უმიზნო ცხოვრება გრძელდება მრავალ ათეულ წელს და ზოგიერთისა კი, სავსე იმედებით, ძალითა და ენერგიით წყდება ადრეულ ახალგაზრდობაში? ასეთ კითხვებს ჰაინე უწოდებდა „დაწყევლილ კითხვებს". კითხვებს, რომელზედაც პირდაპირ პასუხებს მოთხოვდა. მაგრამ იგი მათ ვერ ღებულობდა".

ილია ჭავჭავაძის სახელი, როგორც ცარიზმის წინააღმდეგ დიდი მებრძოლისა, ცნობილი ხდება განსაკუთრებით XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამის ერთ-ერთ ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს ილია ჭავაჭავაძის განთქმული ანტიცარისტული წერილი „კატკოვის პასუხად" და ის გამოხმაურება, რაც ამ წერილის ქართუ-

ად და რუსულად გამოქვეყნებას მოპყვა ქართველ, რუს და სხვა ხალხთა მოწინავე წრეებში.

რეაქციონერი ჟურნალისტის მ. კატკოვის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის გალაშქრება თავისი მახვილით ძირითადად მიმართული იყო. უწინარეს ყოვლისა, თვით ცარიზმის, როგორც „ხალხთა საჯაროებილის" წინააღმდეგ. მ. კატკოვი, ეს ის კატკოვია, რომელსაც ვ. ი. ლენინი „თვითმპყრობელობის ერთგულ მოდარაჯე ქოფაკს" უწოდებდა[200]. „კატკოვი ცოფებსა ჰყრის"—წერდა ვ. ი. ლენინი ერთ-ერთ სტატიაში[201].

კატკოვმა, როგორც ცნობილია, სასაცილოდ აიგდო ქართველი და სომეხი ხალხები, ისინი „სეპარატისტებად" მონათლა და მეფის მთავრობას რეაქციულ-კოლონიური პოლიტიკის კიდევ უფრო გაძლიერებისკენ მოუწოდა («Моск. Ведомости», 1882. № 44). კატკოვის ამ საქციელს ილია ჭავჭავაძემ თავის ნამდვილი სახელი „პოლიტიკური ბეზღობა". „ეგ უწმინდური ძალღონე გაცვეთილის კაცობა"—უწოდა. კატკოვის დამჭაშები კი გამოაცხადა „მაბეზღართა რაზმად", რომელსაც „რუსეთის სიყვარული კი არ ამოქმედებს, არამედ... საკუთარი დამშეული კუჭი".

ილია ჭავჭავაძემ. სრულიად სამართლიანად, ხალხთა ასეთ ბეზღობაში ცარისტული სისტემის სიდამპლე დაინახა: რაკი პოლიტიკური ბეზღობა „პირახდილი დაიარება. არამც თუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს" და გაზეთის ფურცლებზეც გვევლინება. „მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ. რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევია და აღსასრული მოახლოებულა".

ეს წერილი დიდებულად ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს. როგორც ხალხთა ბედნიერებისთვის მებრძოლს. როგორც ირკვევა. წერილი დაიბეჭდა რუსულ ენაზეც, მაშინდელ საკმაოდ პროგრესულ გაზეთში „მოსკოვსკი ტელეგრაფში". მის გამოქვეყნებას საერთო კმაყოფილება გამოუწვევია არა მარტო მოწინავე ქართველ. არამედ აგრეთვე მოწინავე რუს თუ სხვა ეროვნების ადამიანებშიც. ამ მხრივ ცამახასიათებელია ილია ოქრომჭედლიშვილის ბარათი ილიასადმი, რომელიც გამოგზავნილია მოსკოვიდან 17 მარტს (ალბათ 1882 წლისა): „მოსკოვსკი ტელეგრაფში" წავიკითხე შენი წერილი კატკოვის დანოსზედ, წერილი მეტად მშვენიერი. ჭეშმარიტი, ენერგიული და ზომიერი. ჩემი სიამოვნება იმან უფრო ასწია, რომ აქ, არა თუ სომხები. ერთი რუსი არ შემხვედრია, რომელსაც არ გამოეთქვას აღტაცე-

[200] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 1949, ტ. V, გვ. 681.
[201] იქვე. გვ. 93.

ბული კმაყოფილება შენ წერილზედ. -ეხლა აქ იშვიათად იპოვნი იმისთანა კაცს, რომელიც კატკოვის მოჰაზრეს და მიდრეკილებას კაცს არ უყურებდეს. როგორც ხალხის მოღალატეს და შპიონს"[202].

საინტერესოა, თვით მოწინავე რუსული პრესის აზრი ილია ჭავჭავაძის აღნიშნულ წერილზე. ამის თაობაზე გაზ. „დროებაში" (1882, № 55, 15 მარტი) ვკითხულობთ: „გუშინ და დღეს მოსკოვეც გაზეთებმა მოგვიტანა ამბავი, თუ რა საზიზღარი შთაბეჭდილება მოუხდენია რუსეთში ბ-ნ კატკოვის და მისი კორესპონდენტის ბეზღობას. „მოსკოვის ტელეგრაფს" გადაუბეჭდია ვრცლად ბ-ნ ილია ჭავჭავაძის კატკოვისადმი პასუხი, რომლის შესახებ ამბობს სხვათა შორის: „კატკოვის გაზეთის ბეზღობა არის ნამდვილი ბეზღობა; კატკოვს არ აკმაყოფილებს რომელიმე საბრალო გიმნაზისტის დაბეზღება... ი ს ე ძ ე ბ ს ხ ა ლ ხ ე ბ ი ს ა რ ე უ ლ ო ბ ა ს, ბ უ ნ ტ ს; ...მაგრამ ნახეთ რა საზოგადო ზიზღს აღძრავს მთელი კატკოვის უსინიდისო მოქმედება".

არა ნაკლებ საინტერესოა, იმავე „დროების" (1882, № 43) ერთი სხვა ცნობაც ილია ჭავჭავაძის აღნიშნულ წერილზე: „დიდის სიამოვნებით ვაცხადებთ,—წერს „დროება",—რომ ჩვენის გაზეთის № 40-ში დაბეჭდილს სტატიის გამო, „კატკოვის პასუხად"—ავტორს ამ სტატიისას თ. ი. ჭავჭავაძეს რამდენიმე ტელეგრამა მოუვიდა, რომელშიც თანაგრძნობას და მადლობას უცხადებენ ამ სტატიაში გამოთქმულ აზრების გამო. ამგვარი თანაგრძნობა გამამხნევებელი და სულის ჩ ა მ დ გ მ ე ლ ი ა ა რ ა თ უ მ ა რ ტ ო მ წ ე რ ლ ი ს ა, ა რ ა - ა ე დ თ ვ ი თ ი მ ს ა ქ მ ი ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ც ი ს თ ა ვ ი ს ა კ ა ლ მ ი თ ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ა".

ასეთი იყო დაახლოებით ის გამოძახილი საზოგადოდ, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწის, ხალხთა შორის ძმობის დიდი მებრძოლის მახვილი პუბლიცისტური კალმის ერთ-ერთი ნიმუშის გამოქვეყნებას მოჰყვა.

დამახასიათებელია, რომ მოწინავე რუსული საზოგადოებრივი აზრი ასეთივე გულისხმიერებით ხვდებოდა ილია ჭავჭავაძის მხატვრულ-შემოქმედებით მიღწევებსაც. მაგალითად, ქართული პოეტური ეპოსის უკვდავი ქმნილება „განდეგილი"-მაშინვე თარგმნა რუსულად თხორჟევსკიმ და გამოაქვეყნა „ნოვოე ობოზრენიეში" (1884, №№91, 102, 126). „განდეგილისთვის" მაღალი შეფასება მიუცია გაზ. „ეხოს" და გადაუბეჭდავს კიდეც ორი თავი. ამის შესახებ გაზ. „დროებაში"

---

[202] საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი A : № 1720/6.

(1884, № 98, 5 მაისი) ვკითხულობთ: გაზ. „ეხო“ წერს, რომ „ქართული ლიტერატურა აყვავებულია, მეტადრე მისი პოეზია განვრად ფრთებს იშლის; ამ უკანასკნელსა ჰყავს რამდენიმე ნიჭიერი წარმომადგენელი, რომელთა შორის პატივსაცემი ადგილი უჭირავს თავ. ჭავჭავაძეს. „ახალი მიმოხილვის“ დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია ერთი იმის თხზულებათაგანი—„განდეგილი“, რომელმაც ჩვენზე მომხიბლავი შთაბეჭდილება იქონია. არ შეგვიძლიან სიამოვნება მოვაკლოთ და არ გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ორი თავი, ოომელიც ალალ-ბედზედ მოგვყავს ჭავჭავაძის თხზულებიდან“.

ყურადღებას იქცევს ნაჩუქარი წიგნების ავტორთა მინაწერები[203], რაც ილიას პირად ბიბლიოთეკას შემოუნახავს[201]. მაგალითად ცნობილ რუს მწერალს გრ. ალ. მაჩტეტს (1852-1900) ილიასთვის მიუძღვნია თავისი მოთხრობების კრებული «Силуэты» (1888), რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: «Посту князю Илье Чавчавадзе на добрую память Григорий Мачтет. И песнь твоя как родина твоя, прелестна и грустна».

საერთოდ, რუსეთის გამოჩენილ ადამიანებსა და ილია ჭავჭავაძეს შორის მეგობრული ურთიერთობისთვის ნიშანდობლივად მიგვაჩნია ერთი ცნობაც, საიდანაც ჩანს, რომ ახლო მეგობრობა ყოფილა მუსიკათმცოდნე მ. ა. დავიდოვასა და ილიას შორის. 1891 წლის 7 ნოემბერს მ. ა. დავიდოვა პეტერბურგიდან წერს ილიას: გმადლობთ წერილისა და კრებულისთვის (?) „ხელმოწერით ქართული პოეზიის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენლისა“. ახლა ხება მიბოძეთ გადმოგიგზავნოთ ჩემი პატარა ნაშრომი „მოცარტის ბიოგრაფია“ და გაგაცნოთ ჩემი ლექსები—გულისხმიერად გასინჯოთ ჩემი პოეტური კალმის პირველი ნაყოფი“ (თან ერთვის ხუთი ლექსი ხელნაწერის სახით რუსულიდან).

ცხადია. წიგნის მიძღვნა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არ არის ღრმაშინაარსიანი ურთიერთობის გამოხატულება და არც არის საჭირო ასეთი ავტორების დასახელება; ამ მხრივ ინტერესს არაა მოკლებული ფრანგი ბარონ დე-ბაი: ილია ჭავჭავაძესა და ბარონ დე-ბაის ახლო ნაცნობობა ჰქონდათ.

---

[203] იხ. „ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი“, შედგენილი თამარ მაჭავარიანის მიერ, კ. მარქსის სახელობის საქ. სახ. რესპ. ბიბლიოთეკის გამოცემა, 1957.

1899 წელს ბარონ დე-ბაი ილიას ოცეის წიგნს უძღვნის. წარწერა სახელწოდებაა: „Au nord de la chaine du Caucase souvenirs d' une mission, Paris, 1899". წარწერა საკმაოდ პოეტურია: „Au poéte, au patriote, au fils de si beau pays ou le soleil sourit toujours. Tiflisinc. 12. nov. 1899. Cocnko de Baï".

ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ილიასთან ცნობილ რუს მეცნიერებს მაქს. კოვალევსკის და გრ. მიულერს; ილიაში ისინი ხედავდნენ პეშმარიტ სახალხო მოღვაწეს. 1906 წელს. თავის გაზ. „სტარინაში" (1906. № 43) მაქს. კოვალევსკი ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს, როგორც გამორჩენილ ადამიანს და „ცნობილ ქართველ მწერალსა და პოეტს". 1912 წლის 15 მარტს, პეტერბურგში, ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მიერ მოწყობილ ილიას ხსოვნის საღამოზე. იმავე კოვალევსკიმ ასე დაახასიათა ილია ჭავჭავაძე: ვერაფერს „მომაგონებელს ჩვენი დროის ზოოლოგიური ნაციონალიზმისას. ვერ ეპოულობთ თ-დ ჭავჭავაძესთან. პირიქით, მისი პოეზია მთლიანად გაჟღენთილია ადამიანებისადმი სიყვარულის იდეებით, განსაკუთრებით მათდამი, რომელნიც ჩვენს მხარდაჭერას და დაცვას საჭიროებენ".

საზოგადოებამ საკანგებო სხდომა მიუძღვნა ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. ილია ჭავჭავაძეზე მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ვს. მიულერმა: იგი ილიას ახასიათებს როგორც დიდ შემოქმედს და ეხება მის ეთნოგრაფიულ ღვაწლს (მისი სიტყვა დაიბეჭდა 1908 წელს „ეთნოგრაფიჩესკოე ობოზრენიეში"); საგულისხმოა. რომ ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1887 წლიდან ყოფილა აღნიშნული საზოგადოების წევრი. 1887 წლის 27 იანვარს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება აცნობებდა ილიას, რომ თქვენ ამა წლის 16 იანვრის სხდომაზე არჩეული ხართ საზოგადოების ნამდვილ წევრად. მომართვას ხელს აწერს თავმჯდომარის მოადგილე ა. ზელენსკი[201].

შეიძლება ვიფიქროთ. რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი ადრეკე გარკვეული ინტერესი უნდა გამოეჩინოს სოციალისტურ რეალიზმის ფუძემდებელს მ. გორკის; ქართველმა მწერლებმა იმთავითვე გამოავლინეს განსაკუთრებული ყურადღება გორკისადმი. ქართველი მწერლების ერთ ნაწილსა და მ. გორკის შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა. მ. გორკის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისადმი ცნობისმოყვარეობის გამოჩენის მანიშნებელია ივ. პულუმორდვინოვი.

---

[201] საქ. სახ. მუზეუმის საარქივო დოკუმენტები, Rus. 90.

მოგონება. როგორც ცნობილია, 1891 წლიდან მოყოლებული მ. გორკი რამდენჯერმე იყო თბილისში. 1903 წელს ჩამოსვლისას ივ. პოლუმორდვინოვთან შეხვედრისას მ. გორკი დაინტერესებულა გამოჩენილი ქართველი მწერლებით, მათ შორის ილია ჭავჭავაძით: „ჩვენ დავასახელე რამდენიმე მოწინავე ქართველი მწერალი, ილია, აკაკი, ალ. ყაზბეგი და ნინოშვილი. გორკიმ თითქმის ყველა მათგანზე შემაჩერა და მოისურვა მოკლედ გაცნობოდა მათ შემოქმედებას"[205],—წერს პოლუმორდვინოვი.

მ. გორკის დაინტერესებას ილია ჭავჭავაძით ადასტურებს მეორე ცნობაც. შ. სოსლანი წერს გორკისთან ერთი შეხვედრის გამო: „ალექსი მაქსიმეს-ძე გამომესაუბრა ქართულ ლიტერატურაზე. მან გაიხსენა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელები.—ნუთუ ჯერ კიდევ არ გაირკვა ჭავჭავაძისა და მთარგმნელ მაჩაბლის მკვლელობის საიდუმლოება".—ნაღელიანად იკითხა მან"[206].

გორკის მუზეუმში დაცულია მასალები ქართველ მწერლებზე და მათი თხზულებების თარგმანები, კერძოდ, ილიაზეც; მათ გორკი გამოსაცემად ამზადებდა.

ილია ჭავჭავაძეზე რუსი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეების შეხედულებისთვის დამახასიათებლად მიგვაჩნია ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი საბჭოთა რუსი მკვლევარის გოლცევის აზრი: «Ненависть к русскому самодержавию с его политикой не мешали великому грузинскому патриоту правильно оценивать историю русско-грузинских государственных отношений»[207].

უხდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის პოეზიის ნიმუშების რუსული თარგმანები საქმის ცოდნითა და სიყვარულით არის შესრულებული ცნობილი საბჭოთა პოეტების ნ. ზაბოლოცკის, ხ. შერვინსკის, ვ. დერჟავინის, ა. კოჩეტკოვის, ა. ტარკოვსკის, ვ. ზვიაგინცევას და სხვ. მიერ. ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის კარგი თარგმანები ეკუთვნის ე. ღოღობერიძესა და ლუნდბერგს.

ცხადია, ილია პატივს სცემდა და უყვარდა უკრაინელი ხალხი და მისი გამოჩენილი ადამიანები. 1881 წელს „ივერიაში" (№ 5) დაბეჭდილია ტარას შევჩენკოს „მუშა ქალი". ილია ჭავჭავაძის პირადი

---

[205] გაზ. „კომუნისტი", 1936, № 287.

[206] იხ. გაზ. „Советское искусство", 1937, 11 IV, № 28.

[207] Илья Чавчавадзе. Избранные произведения, М., 1950, ვიქტ. გოლცევის შესავალი წერილი: „Великий писатель — гражданин".

ბიბლიოთეკის წიგნებს შორის არის ტ. შევჩენკოს „კობზარი"(«Кобзарь, М., 1874» г.).

დიდ პატივს სცემდნენ და უყვარდათ ილია ჭავჭავაძე უკრაინელებს. იხორჟევსკი. რომელმაც ილიას ლექსები და პოემა „გაწდეგილი" თარგმნა რუსულად. უკრაინელია. უკრაინელ პოეტს პ. გრაბოვსკის (1864-1902), როგორც ცნობილია, 1893 და 1897 წლებში უკრაინულად უთარგმნია ილიას „პოეტი", „ელეგია", „გაზაფხული". „გუთნის დედა" და სხვ. ეს გრაბოვსკისეული თარგმანები გამოქვეყნდა ქ. ლვოვში უკრაინულ ჟურნალებში „პრავდა" და „ზარია". 1893 წელს ილიას ლექსები „მას აქეთ რაკი შენდამი" და „ღმერთო! აკურთხე ამ ყრმისა ძალნი" უკრაინულად უთარგმნია და ლვოვში გაზ. „პრავდაში" დაუბეჭდავს უკრაინელ პოეტს გ. ჩაიჩენკოს. ამის შესახებ 1900 წელს ალ. ხახანაშვილი წერდა: ილია ჭავჭავაძის „ლექსები ზოგი, როგორც ჩანს, რუსულიდან არის ნათარგმნი; ზოგი კი პირდაპირ ქართულიდან. ვისურვებთ მალოროსიული ლიტერატურის აღორძინებასა და ჩვენის მწერლების უკეთ გაცნობასა"[208].

1898 წელს შეუტყვიათ რა, რომ საქართველოში ემზადებოდნენ ილია ჭავჭავაძის სამწერლო მოღვაწეობის 40 წლის თავის აღსანიშნავად: იმავე წლის 24 მაისს უკრაინელ მწერლებს ილია ჭავჭავაძის სახელზე შეუდგენიათ ხალხთა შორის ძმობის ღრმა იდეებით გამსჭვალული ადრესი და გაუგზავნიათ. ადრესის დამახასიათებელ ნაწილში ვკითხულობთ: „საქართველო. ეს გულწარმტაცი მხარე, რომელსაც შეეძლო ამ ქვეყნიური სამოთხე ყოფილიყო. ჩვენს უკრაინასთან ერთად იზიარებს მწარე ხვედრს. ორივეს ერთნაირად ავიწროებს ერთი და იგივე უცხო რეჟიმი. ერთნაირი ჩაგვრა ხალხის მგზნებარე გულისა.

თქვენი დიდება უკვე კარგა ხანია გაცდა კავკასიის საზღვრებს, და ჩვენ, უკრაინელები, სიამოვნებით ვკითხულობთ ზოგიერთს თქვენს ნაწარმოებს ჩვენს ენაზე,—ისინი ჩვენს გულებს იმასვე ეუბნებიან. რასაც თქვენი თანამებრძოლების გულებს...

დიდება სახელოვან პოეტს—პატრიოტს! იცოცხლეთ კიდევ დიდხანს, მრავალ წელს. თქვენი ხალხისა და კაცობრიობის სასიკეთოდ. თქვენი შრომა და ბრძოლა მიმართულია ხალხის სულის უკვდავყოფისაკენ. ჩვენ გვწამს. რომ ეს ბრძოლა მიაღწევს თავის მი-

---

[208] „იმერია", 1900, № 103, ალ. ხახანაშვილი, ქართული პოეზიის ნიმუშები მალორასიულად.

ჩანს"[209]. ბარათს ხელს აწერს რამდენიმე უკრაინელი მწერალი, მათ შორის ცნობილი უკრაინელი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერალი მ. კოციუბინსკი (1864-1913).

80-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის სახელი, როგორც დიდი შემოქმედისა ცნობილი ხდება მსოფლიო ასპარეზზედაც,—საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. ამას კარგად მოწმობს, სხვათა შორის, გერმანელი მწერლის არტურ ლაისტის წერილები ქართულ ლიტერატურაზე, სადაც იგი ილია ჭავჭავაძესაც ეხება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით მისი ის წერილები, რომლებიც მან გამოაქვეყნა გერმანიასა და პოლონეთში ილია ჭავჭავაძის პირადად გაცნობამდე,— საქართველოში ჩამოსვლამდე.

გერმანულ ჟურნალში „Magazin für Literatur des In — und Auslandes" („ჟურნალი ჩვენი ქვეყნისა და უცხო ლიტერატურისა"). 1883 წელს არტურ ლაისტს გამოუქვეყნებია ორი წერილი ქართულ ლიტერატურაზე: ერთის თარგმანი ქართულად გამოქვეყნდა ჟურნ. „ივერიაში" (1883, № 1), ხოლო მეორისა გაზ. „დროებაში" (1883, № 264). 1884 წლის მარტში მესამე წერილი ქართულ ლიტერატურაზე არტურ ლაისტს დაუბეჭდავს პოლონურ ჟურნ. „Ateneum"-ში.

აღნიშნული წერილები დაზღვეული არ იყო ფაქტობრივი შეცდომებისგან, მაგრამ მათი პოზიტიური მნიშვნელობა უდავოა. ლაისტს პირველ წერილშივე განხილული აქვს ილიას უმთავრესი ნაწარმოებები. მეორე წერილში, მხედველობაში ჰქონდა რა „კაცია-ადამიანი" და „გლახის ნაამბობი", ლაისტი აღნიშნავდა: მისი „მოთხრობები ჰგავდნენ კაცობრიულ გრძნობის ფსალმუნებს და მის შემამულეთა ჩუმს პატრიარქალურ ცხოვრებას ქარიშხალსავით მოეღვნენ".

ლაისტი ჩაწვდა დიდი შემოქმედის ისტორიულ ოპტიმიზმსა და ადამიანური სიცოცხლისადმი სიყვარულის გამოვლინების დიდ ხელოვნებას: „ჭავჭავაძის ყოველ თხზულებაში ჩანს ბუნებრივი ძალა, ძლიერი, მღელვარე სიცოცხლე. პოეტი გრძნობს, რომ მზე განათლებისა ამ ცხოვრებასაც მოჰფენს თავის სხივებსა". მესამე წერილშიც ლაისტი ილიას თითქმის მთელ შემოქმედებას ეხება. მთლიანად არის მოტანილი „გაზაფხული" და „ელეგია".

ლაისტი შემდეგში საქართველოს მკვიდრი და ილიას ახლო მეგობარი გახდა. ამ დროიდან იგი „უცხოელად" აღარც-კი ჩაითვლება.

---

[209] ადრესის დედანი დაცულია ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში. ნაწყვეტი მომაქვს ლ. ასათიანის თარგმანით.

ამდენად, მისი შემდგომი პერიოდის შეხედულებანი ილიაზე, ამ შეხვედრაში, ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს აღარ იწვევს.

საყურადღებოა ცნობილი ავსტრიელი ორიენტალისტის ჰუგო შუხარტის და ილია ჭავჭავაძის მეგობრული ურთიერთობა. ჰუგო შუხარტს 1895 წელს გრაცის უნივერსიტეტიდან ორი ბარათი გამოუგზავნია ილიასთვის (ბარათები დაწერილია ფრანგულად. აქა-იქ ურთავს ქართულადაც). პირველი ბარათით შუხარტი ილიას თხოვს ზოგიერთი ქართული წიგნის გადაგზავნას კაპადოკიის, ანუ ჭანეთის ძველ და ახალ მკვიდრთა შესახებ. იქვე წერს: „ეხლა დავიწყებ კითხვას თქვენს წერილისა: „ვლადიკავკასიდამ თბილისამდე", მაგრამ ძალიან ძნელია ჩემთვის"[210]. მეორე ბარათით (1895, 25. X. გრაცი. Ros. 90, ბარათი № 65) თხოვს ალ. ხახანაშვილის ქართული სიტყვიერების ისტორიას (რუსულ ენაზე) და „ივერიის" იმ ნომერს, სადაც დაიბეჭდა ხახანაშვილის წერილი „ქვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში". 1894 წლის 8 სექტემბერს საქართველოს მეგობარი ჭაბუკი ქალი მარჯორი უორდროპი (1869-1909) გულთბილად წერდა ილია ჭავჭავაძეს: „მოწყალეო ხელმწიფევ! ინგლისურად თარგმანი ვქმენ თქვენსა „განდეგილსა", რომელსაც უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში... რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს. მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც ამ ლექსმა მაგრძნობინა"[211].

„განდეგილის" მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანი 1895 წელს დაიბეჭდა ლონდონში. ისე როგორც მარჯორი უორდროპის სხვა თარგმანებს ქართული ლიტერატურიდან, „განდეგილს" ფართოდ გამოეხმაურა და მაღალი შეფასება მისცა ჭაბუკმა ინგლისურმა და ამერიკულმა პრესამ. ერთ-ერთ ინგლისურ ორგანოში აღნიშნულია: „ეს პოემა ნათარგმნია ქართული ენიდან. დიდად საყურადღებოა, ვითარცა ნიმუში უცხო მწერლისა, თავადი ი. ჭავჭავაძე, უეჭველია, საუკეთესო პოეტი უნდა იყოს თავის ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიადი ნიჭი და ძლიერება პოეტური ფანტაზიისა"[212]. ჟურნ. „Academia" - მ 1876 წლის 4 აპრილის ნომერში მოათავსა პოემის შინაარსი და დაურთო:

---

[210] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის საარქივო დოკუმენტი, Ros. 90.

[211] ვ. ურუშაძე. ილია ჭავჭავაძის „განდეგილი" და მარჯორი უორდროპი", „მნათობი", 1945, № 10.

[212] იქვე.

„უორდროპი სრულ საშუალებას გვაძლევს ისეთი ქართველი ნიჭიერი პოეტი, როგორიც არის ილია ჭავჭავაძე, საესებით გავითვალისწინოთ და პატივი ვცეთ მის შესანიშნავ მოღვაწეობას“[213]. უფრო მოგვიანებით, „ინგლისის სამეფო სააზიო საზოგადოების“ ჟურნალში (1900, № 562 და 566) ვკითხულობთ: „ეს ქვეყანა (ე. ი. საქართველო) კი უტურფესი კუთხეა დედამიწაზე... მცხოვრებნი ახოვანნი არიან; ერი ღირსია თვისის ქვეყნისა... უველაზე უშესანიშნავესი, აწინდელი დროის პოეტთაგანი თავადი ილია ჭავჭავაძეა... ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ თარგმნილია რუსულად და აგრეთვე ინგლისურადაც, რომელიც გადმოიღო მარჯორი უორდროპმა“[214].

ინტერესმოკლებული არ არის ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების პრეზიდენტის ე. ა. კაზალეტის ერთი ბარათიც (რუსულად) რომელიც ილიას სახელზეა გამოგზავნილი 1897 წლის სექტემბერში ლონდონიდან. კაზალეტი წერს: „თქვენი ბრწყინვალებავ, წავიკითხე „ნივაში“ წერილი თქვენზე და ო. დ. ერისთავზე, ვ. ველიჩკოს ხელმოწერით. ვბედავ, მოგმართოთ თხოვნით, არ გვითხრათ უარი და მოგვაწოდოთ ცნობები თქვენი ცხოვრებისა და ლექსების შესახებ.

ჩვენი სურვილია, ისინი დაებეჭდოთ ინგლისურ ენაზე ჩვენ მომავალ ბროშურაში.

ახლა ნებას მივცემ ჩემ თავს ფოსტით გამოვაგზავნო თქვენს სახელზე ჩვენი უკანასკნელი ორი ბროშურა № 17, 18, რომლებშიც დაბეჭდილია შევჩენკოს ლექსები, გადათარგმნილი ინგლისურ ენაზე რუსული თარგმანიდან.

ასეთივე სახით გადაწუვეტილი გვაქვს ვთარგმნოთ თქვენი და თავად ერისთავის ლექსები, რადგან ჩვენ არ ვიცით ქართული ენა.

თუმცა მე ინგლისელი ვარ, ვიცი რუსული ენა, რადგან რუსეთში ვარ დაბადებული. ვიმედოვნებ, რომ თქვენ ორივენი არ გვეტყვით უარს ამავე დროს ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრებად აგირჩიოთ.

ჩვენი მიზანია შევქმნათ მეგობრული ურთიერთობა ინგლისელებსა და თქვენს შორის. თუ რითიმე შემიძლია თქვენთვის სარგებლობის მოტანა მზად ვარ თქვენდა სამსახურისთვის.

ღრმა პატივისცემით
თქვენი ბრწყინვალებისა

---

[213] ვ. ურუშაძე, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ და მარჯორი უორდროპი“ „ნათობი“. 1945, № 10.

[214] იქვე.

ოქვენი ჰორჩილი მსახური ე. ა. კახალეტი. პრეზიდენტი"[215] ბარათს გვერდზე მიწერილი აქვს იმავე ხელით: „მე ვიმგზავრე ამიერკავკასიის მხარეში 1858-1859 წლებში". შემდეგ რა მოხდა, ილიამ შეასრულა თუ არა თხოვნა. რა მიწერ-მოწერა გაიმართა და სხვ. ჩვენთვის უცნობია. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წერილს უყურადღებოდ არ დატოვებდა ილია.

არა ერთი ბარათი მოსდიოდა ი. ჭავჭავაძეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

მოტანილი ცნობები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩვენთან ერთად სხვა ხალხთა გამოჩენილმა ადამიანებმა ილია ჭავჭავაძეში დიდი ადამიანი, დიდი ეროვნული მოღვაწე, ერის სულიერი ცხოვრების წარმმართველი ადამიანი შენიშნეს, რომლის გულის, არა მარტო თავისი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის ცემდა.

---

[215] საქ. ცენტრ. მუზეუმის საარქივო დოკუმენტები, Ros 90.

ნაწარმოებთა საძიებელი

აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი, 84
ალაზანს, 20, 21, 99
ალექსანდრე ჭავჭავაძე, 21, 114
ასის წლის წინათ, 23, 254
აშლილობა კრიტის კუნძულზე, 242
არდილი, 4, 13, 19, 24—25, 28, 34, 40, 46, 51—54, 56—57, 95, 97—98, 128, 133, 223

ბაბალეთის ტბა, 59—60, 111
ბაში-აჩუკი, 177
ბედი-ქართლისა, 21—22, 98
ბედა მქადაგებელი (ი. პოლონსკი), 24
ბედნიერება (ჩეზოვი), 168
ბედნიერი ერი, 127, 200, 216—18
ბულბული ვარდზედ, 21

გაბაფხული, 137, 264—67
გავსწორდეთ ბედო, 192
გამოცანები, 51, 57, 127, 200, 217—18
განდეგილი, 4, 51, 59, 62, 97, 129, 143, 260, 266
გაჩიცხულნი (ჰიუგო), 104
გახსოვს ტურფავ, 114, 120
გიყვარდეს, 105, 129
გლახის ნაამბობი, 12—13, 20, 23, 28, 37, 40—41, 51, 100, 104, 132, 140—41, 147, 153—60, 166, 169, 171, 177, 181, 183, 218, 258
გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები, 51, 139—40, 142, 214—16
გოგჩის ტბა, 68, 98, 111
გუთნის დედა, 13, 20, 23—24, 40, 52, 128, 191, 264

გულივერის მოგზაურობა, 209
გული მთებისკენ მიიწევს (ბერნსი), 110

დაბნელდა გული, 122
დაე თუნდ მოვკვდე, 109
დაკარგული ედემი, 126
დანტეს წინასწარმეტყველება (ბაირონი), 97
დიამბეგობა, 147, 191
დიმიტრი თავდადებული, 13, 59

ევროპის დიდი და პატარა ონავრები, 241
ელიგია, 23, 124—26, 264—65
ეთოი ქალაქის ისტორია (შჩედრინი), 200
ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი, 99, 119—20
ეშმაკები, 177, 180

ვაი მას, 99
ვეფხისტყაოსანი, 19—20, 63, 94, 220
ვიხილე სატრფო, 119—20
ვპოვე ტაძარი, 121

ზოგიერთი რამ, 105, 195.

თავადის ჰა... ძის ასულს ეკ... ნას, 115

იარალის, 97
ირაკლი, 131
იულიუს კეისარი (შექსპირი), 130

კაენი (ბაირონი), 97, 131
კაკო, 14, 58, 102, 163—64, 201

კატკოვის პასუხად, 195—96
კაცია-ადამიანი?! 4, 20, 23. 28 29. 40—41. 95. 134, 136—37, 143—46, 148, 153. 158. 163—69. 171, 177—78. 181. 183, 189, 196—213. 257—58
კიდევ გამოცანები, 51—53. 57. 206. 217—18
კოლა, 23
კომუნის დაცემის დღე, 51, 54. 56—57
კრუნკებილი (ა. ფრანსი). 175

ლოცვა („მამაო ჩვენო"). 105
ლოცვა („ოდეს დემონი"), 116—17. 129

ნამა ალექსანდრე გავაცი (დობროლებოვი), 21. 37. 114
მას აქვთ რაკი შენდამი. 40, 263
მაშინ დავტკბები. 113
მარტო მიეცურავ ცხოვრების ზღვაში, 123
მგზავრია წერილები, 16, 21, 34. 51—54, 97. 102. 130. 132, 139, 143—44, 146—47, 153, 160. 163, 175—76. 178. 181—83, 213—14
მგზავრის წიგნები, 175. 188, 198
მგზავრის ღამეული სიმღერა. 125
მგრანი, 21, 97, 127
მესმის, მესმის, 23
მეფანტურე, 59
ვეცა მქონია კარგი ბაძული (მიბაძეა ჰაინესი), 24
მეცხრამეტე საუკუნე. 49. 82
მითხარით რისთვის, 123
მილიტარობა ევროპაში, 196
მითამ და ახალის რახმის კაცი, 196
მკვდარი სულები (გოგოლი), 131, 162, 189. 211
მუშა. 18. 23, 37, 128, 255
მუხამბაზი ლათიური, 20
მწირი (ლერმონტოვი), 102
მწუხარება, 97. 122

ნანა, 11. 24

ნიკოლოზ ბარათაშვილზედ, 21
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, 11, 163

ობლომოვი (გონჩაროვი), 167—68
ორიოდე სიტყვა..., 29, 192—93, 196
ოთარაანთ ქვრივი, 4,11, 59, 63—64, 66, 133, 138, 140, 142, 144—45, 148, 161—62, 165—66, 170—73. 176. 178—79, 182—83. 219

პასუხის პასუხი, 51, 57, 127, 206, 216, 218
პასუხი. 29—30. 32, 196
პირუტყვების არჩევანი, 198
Письмо о Грузии, 69
პოეტი, 23, 37, 40, 131, 263
პრანცია ქალები (მოლიეროი), 185

რად ჰყვედრი ქალსა. 21, 119
რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით..., 127, 216
რევიზორი (გოგოლი), 162, 189, 211
რაოდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი კახაღის ცხოვრებიდამ, 12—13, 19, 24. 28, 40—41, 100, 147, 155—56, 158
როცა წუსილი, 115
რჩევა, 216

სადღეგრძელო. 21. 96
სარჩობელაზედ, 53. 62, 102, 146—47, 162, 166, 173—75, 178, 218
საფლავი მეფის ირაკლისა. 22
სამგვარი სიყვარული, 176
საღამო გამოსალმებისა, 96, 176
საყურე, 117
სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, 179
სიბრძნე სიცრუისა, 19, 95, 209
სიზმარი, 121
სოლომონ ისაკის მეჯღანუაშვილი. 133, 186
სტიროდეთ (ბაირონი), 24
სფირიდონის და თადეოზის ბაასი. 42
სულო ბოროტო, 21
სურამის ციხე, 133
სხარტელა, 194—95
სხვადასხვა ამბავი, 42—43

ტარტიუფი (მოლიერი), 185
ტფილისის ტროტუარებზე მოგზაურობა, 188

უსულდგმულო ცხოვრება, 129—30

ფიქრნი მტკვრის პირას, 21

ქართველი სტუდენტების სიმღერა, 24, 33
ქართლის პირი, 98
ქართლის ცხოვრება, 19, 60
ქართვლის დედა, 6, 11, 19—20, 28, 51, 54, 57, 224
ქვათა ღაღადი, 71

ღამე ყაბახზედ, 115

ყვარლის მთებს, 23—24, 108—111, 122

შემოღამება მთაწმინდაზედ, 111, 176
შინაური მიმოხილვა, 77—78

ჩანგური, 21
ჩატეხილი ხიდი, 65
ჩემი ლოცვა, 21
ჩემი თარიალი, 20, 124
ჩემო კალამო, 36, 131
ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე, 95
ჩვილი, 21
ჩონგურს, 115
ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყეობა, 42

ცისკარს რა ვაკანებდა? 42, 45
ციურნი ხმები, 115, 118
ცრემლთა შინა ნეგეში, 24

ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, 76

წითელი და შავი (სტენდალი), 4

ჭეშმარიტება (პუშკინი), 24

ხმა გულისა, 115
ხმა იდუმალი, 121
ხმა სამარიდამ, 24, 122, 191
ხუმარასწავლა, 186

ჰე, იეროვაგ, 124
ჰაჯი-აბრეკი (ლერმონტოვი), 24

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3
I. ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების გზა . . 9
II. ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ სტილში 93
III. ილიას ლირიკული სიახლენი 102
IV. ილია ჭავჭავაძე — ახალი ქართული მხატვრული პროზის ფუძემდებელი 134
1. ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის ენა და სტილი 135
2. ტიპისა და ტიპიურობის საკითხი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ პროზაში 149
3. ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურებანი 165
4. ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის ჟანრობრივი თავისებურებანი 179
V. ილიას სატირა 184
1. ილიას სატირის გენეზისი 186
2. ილიას პირველი სატირული ცდები. პუბლიცისტური სატირა 191
3. ილიას მხატვრული სატირა 196
ა. „კაცია-ადამიანი?!“ 196
ბ. „მგზავრის წერილები“ 214
გ. „სცენები“ 215
4. ილიას სატირული ლირიკა 217
5. სატირის მონაცემები ილიას არასატირულ თხზულებებში 219
VI. ხალხთა შორის მეგობრობის იდეა ილიას შემოქმედებაში 221
ნაწარმოებთა საძიებელი 265

Акакий Димитриевич Кенчошвили

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ
ВОПРОСЫ ХУДОЖЕСТВЕННОГО ТВОРЧЕСТВА

(на грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР
Тбилиси — 1962

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი გ. აბზიანიძე
გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი რ. ფეიქრიშვილი

გადაეცა წარმოებას 15.8.1961; ანაწყობის ზომა 6×10;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.2.1962; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 8,5; საბეჭდი ფურცელი 17,0; საავტორო
ფურცელი 14,81; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 15,03;
შეკვეთა 1172; უე 02832; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 14 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5